რატომ მოკლეს ჟიული შარტავა?

№22, 2005 წლის დეკემბერი

ქაქუცას ნეშტი მთაწმინდაზეა!

# მამული



ა ს ე დალოცა ჩვენი გაზეთი და მისი მკითხველები სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

0105, თბილისი, მეფე ერეკლე II მოედ. №1
ტელ.: 99 03 78, 98 95 40 ფაქსი: (+99532) 98 71 14

CATHOLICOS-PATRIARCH
OF ALL GEORGIA

Tbilisi 0105, King Erekle II sq. 1
Tel.:99 03 78, 98 95 40 FAX: (+99532) 98 71 14

30 ოქტომბერი, 2005 წელი

გულითადად მოგესალმებით აშშ-ში მცხოვრებ ყველა ქართველს და გილოცავთ ადგილობრივი ქართული გაზეთის – „მამულის" დაარსებიდან მეორე წლისთავს.

ამ გაზეთის სახელწოდებაც კი ნათლად მიუთითებს, რომ გამომცემელთა მიზანია ეროვნული ფასეულობების შენარჩუნებისა და სამშობლოსადმი სიყვარულის განმტკიცებისთვის ზრუნვა, – მეც მინდა ეს გისურვოთ.

ამასთან, რა თქმა უნდა, მინდა გისურვოთ მტკიცე რწმენა, ჭეშმარიტი სარწმუნოებისა და ღვთის მცნებების დაცვა, რაც ასე აკლია დღევანდელ კაცობრიობას;

მინდა გისურვოთ სულიერი სიხარულით აღვსება, რასაც ვერანაირი მიწიერი ტკივილი და განსაცდელი ვერ დაჩრდილავს;

მინდა გისურვოთ შვილების სწორად აღზრდა და საქართველოს ღირსეულ მოქალაქეებად ჩამოყალიბება;

მინდა გისურვოთ სამშობლოში მალე დაბრუნება!

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგახაროთ და მოგცეთ ძალა, ღვთივსათნო მრავალი საქმეთა აღსასრულებლად.

ღმერთმა დალოცოს გაზეთ „მამულის" გამომცემელნი და მკითხველნი.

სრულიად საქართველოს
კათოლიკოს-პატრიარქი

## დეპეშა საქართველოდან

## ლიტერატურული საქართველო

ქალაქი ნიუ-იორკი,
გაზეთ „მამულის“ მთავარ რედაქტორს,
ბატონ **მანუჩარ კაჭახიძეს!**

### ქართველი მწერლების გაზეთი კვლავაც ქართველი ხალხის სამსახურშია!

ძვირფასო ბატონო მანუჩარ!

საქართველოდან სალამს გითვლით და სიყვარულით მოგიკითხავთ თამაზ წივწივაძე!

და კიდევ, თავს უფლებას ვაძლევ, თქვენი გაზეთის საშუალებით მანდაურ ჩვენს თანამემამულეებსაც დავუდასტურო ჩემი გულწრფელი პატივისცემა!

ერთის სიტყვით, ყველას მოგიკითხავთ, დიდიან-პატარიანად, ამჟამად ამერიკაში მცხოვრებო ქართველებო!

ეს ჩემი წერილიც, პირველ ყოვლისა, მადლობის სათქმელად იგზავნება იმ გულითადი და პატრიოტი ადამიანების მისამართით, რომელთაც დიდი წვლილი შეიტანეს „ლიტერატურული საქართველოს“ გადარჩენის საქმეში!

მინდა სიამაყით გაუწყოთ, თქვენი მცდელობა, გაჭირვების ჟამს ხელი გაგემართათ რედაქციისთვის, წარმატებით დამთავრდა, ძვირფასო თანამემამულენო - ქართველი მწერლების გაზეთი კვლავაც ქართველი ხალხის სამსახურშია!

დიდი მადლობა თქვენ, საქართველოს პატრიოტო ქალბატონებო!

ამასთან, გამოვთქვამ ერთგვარ მწუხარებასაც იმასთან დაკავშირებით, რომ, დიდი სურვილის მიუხედავად, თქვენს გვარებს ვერ ვასახელებ - ვაითუ, რაიმე პრობლემა შეგიქმნათ მანდაურ მიგრაციის სამსახურთან, ან თუნდაც, აქაურ ჩვენს უმადურ ხელისუფლებასთან!..

მოდით, ეს საქმე უკეთესი და უფრო შესაფერისი დროისთვის გადავდოთ, ახლა კი მხოლოდ ის აღვნიშნოთ ზოგადად, რომ თქვენს მიერ ორგანიზებული ხელმოწერები დიდად წაადგა ჩვენს გაზეთს!..

და ბოლოს, ძვირფასო ბატონო მანუჩარ, - დიდო მეკავშირევ ამერიკაში ამჟამად გაკრეფილ ჩვენს თანამემამულეებს შორის - წარმატებებს ვუსურვებთ თქვენს „მამულს“ და, რაც ყველაზე მთავარია, ყოველთა ქართველთა მამულს, საქართველოს!..

უღრმესი პატივისცემით,
**თამაზ წივწივაძე**
„ლიტერატურული საქართველოს“
რედაქტორი.

## ასე გამოეხმაურა ჩვენი გაზეთის წინა, სპეციალურ ნომერს „მამულის„ ღირსეული პარტნიორი, საქართველოში გამომავალი გაზეთი

# ასავალ დასავალი

**ქართული სული ოკეანის გაღმა**





# გალაკტიონის დაბადების დღე ამერიკის ქართველობას გაახსენდა!



**ალბათ, სამშობლოდან შორს წასვლაა საჭირო, ასე რომ დაინახო გალაკტიონი, ასე რომ შეიყვარო... ასე რომ მოგენატროს!**

**... და რომ გაგახსენდეს 17 ნოემბერი – – გალაკტიონის დღე გალაკტიონის ქვეყანაში!**

ახლა ვფურცლავთ ოკეანისგაღმიდან, ამერიკიდან მიღებულ ჯერაც საღებავშეუშრობელ ნომერს გაზეთისას „მამული“...

პირველ გვერდზე ნიკორწმინდის ჩუქურთმებში გალაკტიონის ხელით დაწერილ-დახატული მისივე ჟურნალის ქუდს წავაწყდით, ქვემოთ კი რედაქტორის მანუჩარ კაჭახიძის წინასიტყვაობაში წავიკითხეთ:

**„ეს ნომერი თავისი აგებულებით არაორდინარულია: სულ ხელით ნაწერები — ზოგი კარგად შენახული, ზოგი გაცრეცილი, ზოგი როგორი კალიგრაფიით, ზოგიც კიდევ როგორით... ცხადია, ყოველივე ამას გალაკტიონის ხელი აკეთებს. ჩვენ კომენტარებს გარკვეული მოსაზრებით არ გავაკეთებთ, ერთი კია, რომ მკითხველს დავტოვებთ გალაკტიონთან, რათა მან მოუთხროს თავის სატკივარზე, სიხარულზე, ოცნებებზე, სურვილებზე, რათა გადაუშალოს წამიერ გაელვებასავით თავისი გული. გაზეთს უცილობლად გალაკტიონის სურნელი და კოლორიტი ასდის. ეს იყო ჩვენი მიზანი“.**

გადაშლი გვერდებს და გალაკტიონის ხელნაწერები, ნახატები, ფოტოსურათები შემოგეფეთება... გაზეთის რედაქციას ერთ გვერდზე მხოლოდ გალაკტიონისა და მერის პატარა სურათები დაუბეჭდავს... და გვერდის სიცარიელით დუმილისა და ფიქრის უფლება მოუცია! **ის კი არადა, პოეტისავე ხელნაწერი ლექსისა „გამარჯობა, აფხაზეთო შენი“ გვერდის ქვედა კუთხეში მოუთავსებიათ და დიდი სივრცე დაუტოვებიათ, რათა განახლებული და დაბრუნებული აფხაზეთის სურათი თავად ჩავაკრათ.**

ეს ნომერი მართლაც არაორდინარულია! ალბათ, იმით, რომ ტანში გაგვაჟრჟოლა ოკეანისგაღმელი ქართველების ქართველობამ, გალაკტიონის სიყვარულმა, და იმან, რომ ჩვენგან განსხვავებით, იქ ახსოვთ გალაკტიონის დაბადების დღე და ეფერებიან მის ხელნაწერებს!

**მადლობა ამისათვის მამულზე უზომოდ შეყვარებულ კაცს — მანუჩარ კაჭახიძეს. თუ ამ დღეებში საფრანგეთიდან თბილისში დიდი ქაქუცა ჩოლოყაშვილი ჩამობრძანდა, ამერიკიდან კიდევ ერთხელ შემოგვესმა გალაკტიონის უკვდავი სტრიქონები, იმ გალაკტიონისა, რომელმაც მთაწმინდაზე საქართველოდან გადახვეწილ დიდ მამულიშვილს უნდა უმასპინძლოს.**

## გაზეთი „მამული“ – „ასავალ-დასავალის“ საქმიანი პარტნიორი ამერიკის შეერთებულ შტატებში







ერთადერთი ქართული გაზეთი შეერთებულ შტატებში

მამული

რედაქტორ-გამომცემელი მანუჩარ კაჭახიძე
EDITOR & PUBLISHER MANUCHAR KATCHAKHIDZE

Phone: 609-517-2278
mamuli@comcast.net

P.O. Box 13121,
Jersey City, NJ 07303

ასავალ დასავალი საქართველოში „მამულს“ წარმოადგენს საგამომცემლო სახლი „ასავალ-დასავალი“ ლაშა ნადარეიშვილის პატრონაჟით

კოსტავას 14, V სართული, თბილისი, 0108
ტელეფონი: 98-97-21

# გაიოზ კერატიშვილის ახალი რედაქცია ქართული ოთხთავისა

*ვუძღვნი ჩემი მასწავლებლისა და მაკურთხევლის, განსვენებულ კათალიკოს-პატრიარქ ეფრემ II-ის ნათელ ხსოვნას*

# სახარება მათესი

*დასაწყისი იხ. „მამული“ № 14–17*

## თავი 13

**1.** მას დღესა შინა გამოვიდა იესო სახლიდან და ჩამოჯდა ნაპირსა ზღვისასა.
**2.** და შემოეხვია დიდძალი ხალხი, სანამ ის შევიდოდა და ჩაჯდებოდა ნავში და მთელი იმოდენა ხალხი ზღვის სანაპიროზე იდგა.
**3.** და ელაპარაკებოდა ბევრს იგავებით და უთხრა: აჰა, გამოვიდა მთესველი დასათესად.
**4.** და თესვისასა ზოგი მარცვალი დავარდა გზასა ზედა; და მოფრინდნენ ფრინველნი ცისანი და აკენკეს იგი.
**5.** და სხვაი დავარდა კლდოვანსა ზედა, სადაც ნაკლები მიწა იყო; და აღმოცენდა მეყვსეულად, რამეთუ არა იყო სიღრმე მიწისაი.
**6.** ამოსვლისა მზისასა, დასცხა და რამეთუ ფესვნი არ ჰქონდა გადგმული, განხმა.
**7.** და სხვაი დავარდა ეკალთა შორის, და აღმოცენდნენ ეკალნი და მოაშთვეს იგი.
**8.** ზოგიერთი კი დავარდა მიწასა კეთილსა და გამოიღო ნაყოფი: ზოგმა ასი, ზოგმა სამოცი და ზოგმა ოცდაათი.
**9.** რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინონ!
**10.** და მოვიდნენ მოწაფენი და უთხრეს: რაისთვის იგავით ელაპარაკები მათ?
**11.** ხოლო იესომ უთხრა მათ: თქვენდა მოცემულ არს ცოდნა საიდუმლოისა სასუფევლისა ცათაისა, ხოლო მათთვის არა მოცემულ არს.
**12.** რამეთუ რომელსა აქვნდეს, მიეცეს და მიემატოს, და რომელსა არა აქვნდეს, ისიც წაერთვას, რაცა ჰქონდეს.
**13.** იმისთვის ველაპარაკები მათ იგავებით, რამეთუ ჰხედვენ და ვერა ჰხედავენ, ესმით და არ ესმით და ვერცა ხვდებიან.
**14.** და აღესრულების მათ ზედა წინასწარმეტყველება იგი ესაიასი: სმენით გესმოდეთ და არა გულისხმაჰყოთ, ხედვით ხედვიდეთ, და არა დაინახოთ.
**15.** რამეთუ გაქვავდა გული ამ ხალხისა, დაეხშოთ ყურნი და დაევსოთ თვალები, რათა არ იხილონ თვალით, და არ იგრძნონ გულით და არ მოიქცნენ, რომ მე განვკურნო ისინი.
**16.** ხოლო თვალნი თქვენნი ნეტარ არიან, რამეთუ ჰხედავენ, და ყურნი თქვენნი, რამეთუ ესმით.
**17.** ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: რამეთუ მრავალ წინასწარმეტყველსა და მართალს გულითა სწადოდა, ეხილა ის, რომელსაც თქვენ ხედავთ და ვერ იხილეს, და ესმინათ, რასაც თქვენ ისმენთ, და, ვერ ისმინეს.
**18.** ხოლო თქვენ ისმინეთ იგავი ესე მთესველისაი:
**19.** ყოველსა, რომელსა ესმას სიტყვაი სასუფეველისაი და არა გულისხმაჰყოს, მოვიდეს უკეთური იგი და მოსტაცოს გულისაგან მისისა. ესე არს, რომელი იგი გზასა ზედა დაეთესა.
**20.** ხოლო, რომელი იგი კლდოვანსა ზედა დაეთესა, ესე არს: რომელმან სიტყვაი იგი ისმინოს და მეყვსეულად სიხარულით მიიღოს იგი.
**21.** მაგრამ გულსა შინა ფესვნი არა აქვს და ხანმოკლე არს. და რაჟამს დადგება გასაჭირი ანდა დევნა სიტყვისა გამო, მეყვსეულად შეეჭვდება იგი.
**22.** ხოლო, რომელი იგი ეკალთა შორის დაეთესა, ესე არს: რომელმან სიტყვაი იგი ისმინოს და ზრუნვამან ამა სოფლისამან და საცდურმან სიმდიდრისამან მოაშთოს სიტყვაი იგი და უნაყოფო იქმნეს.
**23.** ხოლო რომელი იგი კეთილსა მიწასა დაეთესა, ესე არს: რომელმან სიტყვაი იგი ისმინა და გულისხმაჰყო და რომელმან გამოიღო ნაყოფი, და ჰყო ზოგმა ასი, ზოგმა სამოცი და ზოგმა ოცდაათი.
**24.** სხვა იგავიც მოუყვა და უთხრა მათ: სასუფეველი ღვთისაი ემსგავსა კაცსა, რომელმან დათესა თესლი კეთილი საყანესა თვისსა.
**25.** და ვითარცა დაიძინეს კაცთა მათ, მოვიდა მტერი მისი და ჩათესა ხორბალს შორის ღვარძლი და წავიდა.
**26.** ხოლო ოდეს აღმოცენდა ჯეჯილი იგი და ნაყოფი გამოიღო, მაშინ გამოჩნდა ღვარძლიცა იგი.
**27.** და მოვიდნენ მსახურნი იგი და მოუთხრეს სახლის პატრონსა და უთხრეს: ბატონო, განა კარგი თესლი არ დასთესე საყანესა შენსა? საიდანღა აღმოცენდა ღვარძლი?
**28.** ხოლო მან უთხრა: კაცმან მტერმან გააკეთა ეს. ხოლო მსახურებმა უთხრეს მას: გნებავთ, რათა მივიდეთ და გამოვმარგლოთ იგი?
**29.** ხოლო მან უთხრა: არა, ვაითუ გამარგვლისას ღვარძლისა ხორბალიც ამოძირკვოთ.
**30.** აღროვეთ, ერთად იზარდოს ორივემ მკის დაწყებამდე და ჟამსა მკისასა დავავალებ მომკველთ: პირველად ღვარძლი იგი შეკრიბეთ და შეკარით ძნებად, რათა დაიწვას იგი, ხოლო ხორბალი შეიტანეთ ბეღელსა ჩემსა.
**31.** სხვასა იგავსა უყვებოდა და უთხრა მათ: მსგავს არს სასუფეველი ცათაი მარცვლისა მდოგვისა, რომელიც აიღო კაცმა და დათესა საყანესა თვისსა,
**32.** რომელიც უმცირეს არს ყოველთა თესლთა, და რაჟამს გაიზრდების, ყველა მწვანილეულზე დიდი ხდება და ხედ გადაიქცევა, რამეთუ ფრინველნი ცისანი მოდიან და ეფარებიან რტოთა მისთა.
**33.** მერმე სხვა იგავი მოუყვა და უთხრა მათ: მსგავს არს სასუფეველი ცათაი საფუარის, რომელიც აიღო დედაკაცმა და შეურია ფქვილსა სამსა წყვასა, ვიდრე არ გააფუვა იგი მთლიანად.
**34.** ყოველივე ამას იგავით ეუბნებოდა იესო ხალხს და გარდა იგავისა, არარას ეუბნებოდა მათ.
**35.** რათა აღესრულოს სიტყვა იგი წინასწარმეტყველისა მიერ თქმული: განვაღო პირი ჩემი იგავებით და ვიტყოდე დაფარულთა დასაბამითგან ქვეყნისაი.
**36.** მაშინ გაუშვა იესომ ხალხი და სახლში მივიდა. და მოვიდნენ მისი მოწაფენი და უთხრეს: განგვიმარტე იგავი იგი ღვარძლისა და საყანისა.




**37.** ხოლო მან მიუგო და უთხრა მათ: რომელიც სთესავს თესლსა კეთილსა, ძე კაცისაი არს.
**38.** ხოლო საყანე იგი, ეს, ქვეყანა არს. ხოლო თესლნი იგი კეთილნი, ეს, ძენი სასუფეველისანი არიან, და ღვარძლნი იგი, ძენი უკეთურისანი არიან.
**39.** ხოლო მტერი იგი, რომელმან დასთესა იგი, ეშმაკი არს. და მკაი იგი აღსასრული ამის ქვეყნისაი არს, და მომკველნი იგი ანგელოზები არიან.
**40.** ვითარცა შეჰკრიბვენ ღვარძლსა და ცეცხლით დაწვავენ, ასევე იყოს აღსასრული ამის სოფლისაი.
**41.** რამეთუ მოავლინოს ძემან კაცისამან ანგელოზნი თვისნი, და შეკრიბონ სუფევისაგან მათისა ყოველნი საცდურნი და მოქმედნი უსჯულოებისანი.
**42.** და შთაყარონ იგინი ქურასა მას ცეცხლისასა. იქ იყოს ტირილი და ღრჭენაი კბილთაი.
**43.** მაშინ მართალნი გამობრწყინდნენ, ვითარცა მზე, სასუფეველსა მამისა მათისასა. რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინონ!
**44.** კიდევ, მსგავს არს სასუფეველი ცათაი საუნჯისა, დამარხულსა ყანასა შინა, რომელიც ჰპოვა კაცმან და დამალა და გახარებული იმისგან, წავიდა და გაყიდა ყოველივე, რაიც კი გააჩნდა და შეისყიდა ადგილი იგი.
**45.** კიდევ, მსგავს არს სასუფეველი ცათაი კაცსა ვაჭარსა, რომელიც ეძიებს კეთილთა მარგალიტთა.
**46.** და მიაგნო რა ერთსა ძვირფასსა მარგალიტსა, წავიდა და განყიდა ყველაფერი, რაიცა ჰქონდა და შეისყიდა იგი.
**47.** მერმე: მსგავს არს სასუფეველი ცათაი ზღვაში ჩაგდებულ მოსასროლ ბადისა, რომელიც ყველანაირ თევზს იჭერს.
**48.** და ოდეს აღივსება, გამოათრევენ ნაპირსა ზღვისასა და დასდებენ, და კარგებს ჭურჭელში შეჰკრებენ, ხოლო ცუდთ გარე განაყრიან.
**49.** ესრეთ იყოს აღსასრული ამა ქვეყნისაი, რამეთუ მოვიდნენ ანგელოზნი და უკეთურნი იგი განაშორონ მართალთაგან.
**50.** და შთაყარონ იგინი ქურასა ცეცხლისასა. იქ იყოს ტირილი და ღრჭენაი კბილთაი.
**51.** უთხრა იესომ მოწაფეთა თვისთა: გულისხმაჰყავით ესე ყოველი? ხოლო მათ უთხრეს მას: დიახ, უფალო.
**52.** და უთხრა მათ: ამისთვის, ყოველი მწიგნობარი, დამოწაფებული სასუფეველსა ცათასა, მსგავსი არს კაცისა სახლისა პატრონისა, რომელსაც გამოაქვს საუნჯისაგან თვისისა ძველი და ახალი.
**53.** და რაჟამს დაასრულა იესომ იგავნი ესე, წარვიდა იქიდან.
**54.** და მოვიდა მამულსა თვისად და ასწავლიდა მათთავე სინაგოგებში და კვირვობდნენ და ამბობდნენ: ვინ მისცა ამას ამოდენა სიბრძნე და ძალი?
**55.** განა ეს ხელოსნის შვილი არაა? განა დედამისს მარიამი არ ჰქვია და მის ძმებს კი იაკობი და იოსე და სიმონი და იუდა?
**56.** და დანი მისნი, განა ყველა ჩვენს შორის არაა? საიდანა აქვს ამას ყოველივე ესე?
**57.** და ბრკოლდებოდნენ მასზე. ხოლო იესომ უთხრა მათ: არსად არა არს წინასწარმეტყველი პატივის გარეშე, გარდა სოფელსა თვისსა და სახლსა შინა თვისსა.
**58.** და არა ქმნა იქ სასწაულნი მრავალნი ურწმუნოებისა მათისა გამო.

## თავი 14

**1.** მას ჟამსა შინა ესმა ოთხთა მათ სამთავროთა მთავარსა ჰეროდეს იესოს ამბავი.
**2.** და უთხრა მსახურთა თვისთა: ესე არს იოანე ნათლისმცემელი, იგი მკვდრეთიდან არს აღმდგარი და ამისთვის იქმნებიან ძალნი ესე მასში.
**3.** რამეთუ ჰეროდემ შეიპყრო იოანე და შებორკა და საპყრობილეში ჩასვა თავისი ძმის ფილიპეს ცოლის ჰეროდიას გამო.
**4.** რამეთუ იოანე ეუბნებოდა მას: არა ჯერ არს შენდა, რამეთუ ცოლად გესვასო იგი.
**5.** და უნდოდა მოკვლაი მისი, მაგრამ ეშინოდა ხალხის, რამეთუ ვითარცა წინასწარმეტყველს აღიარებდნენ მას.
**6.** და ვითარცა შობისა დღენი იყო ჰეროდესი, ცეკვავდა ასული ჰეროდიასი შეკრებილთა წინაშე და მოეწონა ჰეროდეს ცეკვა იგი მისი,
**7.** რისთვისაც ფიცით აღუთქვა, რომ მისცეს, რასაც კი მოითხოვს.
**8.** ხოლო იგი წინასწარ დარიგებული იყო დედისაგან თვისისა და უთხრა: მომეცი აქვე ლანგრით თავი იოანე ნათლისმცემლისა.
**9.** და შეწუხდა მეფე, მაგრამ მიცემული ფიცისა და რიდისა გამო თანამეინახეთა ბრძანა, მიეცათ იგი მისთვის.
**10.** და მიავლინა და მოჰკვეთა თავი იოანეს საპყრობილესა შინა.
**11.** და მოართვეს თავი მისი ლანგრით და მისცეს ქალსა მას, და მან მიართვა დედასა თვისსა.
**12.** და მოვიდნენ მოწაფენი მისნი და წარიღეს გვამი მისი და დამარხეს იგი და მოვიდნენ და უთხრეს იესოს.
**13.** ხოლო, ესმა რაი ესე იესოს, განეშორა იქაურობას ნავით და განმარტოვდა უდაბურ ადგილზე. და ვითარცა გაიგო ხალხმა, ფეხდაფეხ მიჰყვა ქალაქებიდან.
**14.** და გამოვიდა იესო, იხილა დიდძალი ხალხი და შეებრალა ისინი და განკურნა სნეულები მათი.
**15.** და ვითარცა შემწუხრდა, მივიდნენ მასთან მოწაფენი მისნი და უთხრეს: უდაბნო არს ადგილი ესე, და დროც უკვე გვიანია. გაუშვი ხალხი, რათა წარვიდნენ გარემო დაბებში და იყიდონ თავიანთი თავისთვის საჭმელი.
**16.** ხოლო იესომ უთხრა მათ: არაა საჭირო მათი წასვლა. თქვენ მიეცით მაგათ საჭმელი.
**17.** ხოლო მათ უთხრეს მას: არა გვაქვს აქა არაფერი, გარდა ხუთი პურის და ორი თევზისა.
**18.** უთხრა მათ იესომ: მომიტანეთ მე აქა.
**19.** და უბრძანა ხალხს, დამსხდარიყვნენ ბალახზე, და აიღო ხუთი იგი პური და ორი თევზი, აღიხილნა თვალნი ზეცად და აკურთხა და განსტეხა და მისცა მოწაფეთა თვისთა და მოწაფეებმა კი ხალხს.
**20.** და ჭამეს ყოველთა და განძღნენ და აიღეს ნარჩენები თორმეტი გოდორი სავსე.
**21.** ხოლო რომელთაც ჭამეს, მამანი მარტო ხუთიათასი იყო გარდა ყრმებისა და დედებისა.
**22.** და მეყვსეულად აიძულა მოწაფენი ნავში ჩამსხდარიყვნენ და უწინარეს მისსა გასულიყვნენ მეორე მხარეს, სანამ ის ხალხს გაისტუმრებდა.
**23.** და ვითარცა გაისტუმრა ხალხი, აღვიდა მთასა სალოცავად განმარტოებით. და მწუხრის ჟამს მარტო იყო იქ.
**24.** ხოლო ნავი იგი განშორებულიყო ხმელეთისგან მრავალ უტევანზე[1] და ტალღები ეხეთქებოდა, რამეთუ პირქარი ქროდა.
**25.** და მეოთხესა სახმილავსა[2] ღამისასა მივიდა მათთან იესო ზღვასა მას ზედა სიარულით.
**26.** ხოლო მოწაფენი — ვითარცა იხილეს, ვიდოდა რა ზღვასა მას ზედა, შეძრწუნდნენ და თქვეს, რამეთუ მოჩვენება რაიმე არს, და შიშისაგან ღაღადყვეს.
**27.** იესო მაშინვე დაელაპარაკა და უთხრა: მხნედ იყავით, მე ვარ, ნუ გეშინიათ!
**28.** მიუგო პეტრემ და უთხრა მას: უფალო, უკეთუ შენ ხარ, მიბრძანე მე წყალთა ამათ ზედა მოვიდე შენთან.
**29.** ხოლო მან უთხრა: მოდი! და გარდამოვიდა პეტრე ნავიდან და ვიდოდა წყალთა ზედა და მიდიოდა იესოსთან.
**30.** ვითარცა იხილა რა ქარი იგი ძლიერი, შეეშინდა და ჩაძირვა დაიწყო, ღაღადყო და თქვა: უფალო, მიხსენ მე!
**31.** და მეყვსეულად გაუწოდა ხელი იესომ, ჩასჭიდა და უთხრა: მცირედ მორწმუნენო, რაისა დაეჭვდი?
**32.** და ვითარცა აღვიდნენ ნავსა მას, დასცხრა ქარი იგი.
**33.** ხოლო რომელნიც ნავსა შინა იყვნენ, მივიდნენ და თაყვანისცეს მას და უთხრეს: ჭეშმარიტად ძე ღმრთისაი ხარ შენ.
**34.** და განვიდნენ ნაპირზე და მივიდნენ ადგილსა მას გენესარელთასა.
**35.** და იცნეს იგი მცხოვრებთა მის ადგილისათა და წარავლინეს ყოველსა მას მხარესა და მოჰყავდათ მასთან ყოველი ბოროტად ვნებული.
**36.** და ევედრებოდნენ მას, რათა შეხებოდნენ ბოლოსა სამოსლისა მისისა, და რომლებიც შეეხნენ, განიკურნენ.

*გაგრძელება იქნება*

*1. უტევანი, სტადიონი: მანძილის ერთეული, უდრიდა დაახლოებით 143 ნაბიჯს (იხ. საბა).*
*2. დროის აღრიცხვის ერთეული.*















# ქართველ ხალხს გამარჯვებისა!

## დაწვრილებითი რეპორტაჟი მომავალ ნომერში

















*12 წლის წინათ, 27 სექტემბერს, სოხუმი დაეცა... 12 წლის წინათ, 27 სექტემბერს, ბრძოლის ველზე დაეცა აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ეროვნული გმირი ჟიული შარტავა... 12 წლის წინათ, 27 სექტემბერს, ცეცხლში გახვეული სოხუმი დატოვა ქვეყნის მთავარსარდალმა ედუარდ შევარდნაძემ. დედაქალაქში მას კოლეგა პარლამენტარები მქუხარე ტაშით შეეგებნენ... (?!) ექს-პრეზიდენტი შევარდნაძე აფხაზეთის ომის დაწყებაში თენგიზ კიტოვანს ადანაშაულებს...*

*აფხაზეთში 12 წლის წინათ მიმდინარე მოვლენებზე ვესაუბრებით ედუარდ შევარდნაძეს:*




**- აფხაზეთის დაკარგვიდან 12 წელიწადი გავიდა, როგორ შეაფასებთ დღეს ამ მოვლენებს?**

- აფხაზეთის ომის დეტალური აღწერა გადმოცემული მაქვს ჩემს მემუარებში, მაგრამ, სამწუხაროდ, ჯერჯერობით მასზე მუშაობა არ დასრულებულა, ითარგმნება უცხო ენებზე და ქართულადაც დაიბეჭდება, მაგრამ ამას შედარებით დიდი დრო დასჭირდება... რაც შეეხება აფხაზეთის დაკარგვასთან დაკავშირებულ განცდებს, არ მგონია, საქართველოში იყოს ვინმე ნორმალური კაცი, რომელიც მძიმედ არ განიცდის მომხდარს და, რა თქმა უნდა, პირველ რიგში, ეს მე გახლავართ, რადგან პირველივე დღეებიდანვე დაკავშირებული ვიყავი ამ ტრაგედიასთან. რით უნდა აიხსნას სოხუმის დაცემა და რატომ უნდა მომხდარიყო ეს? მგონია, პირველ რიგში, იმით, რომ საქართველო არ იყო სახელმწიფო, სუსტები ვიყავით. 1992 წელს, როცა საქართველოში ჩამოვედი, ჩვენი ქვეყანა, ფაქტობრივად, დაშლილი იყო, არავინ არ მუშაობდა და ძალიან დიდი დრო დამჭირდა იმისთვის, რომ ნელ-ნელა ყველაფერი კალაპოტში ჩამეყენებინა. სამოქალაქო ომი მძვინვარებდა და ამ ფონზე აფხაზეთში დაიწყო დაპირისპირება. რა თქმა უნდა, ეს რომ ყოფილიყო მარტო ქართველებისა და აფხაზების ომი, შედეგი სულ სხვა იქნებოდა, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ეს იყო რუსეთ-საქართველოს ომი. ჩემზე უკეთესად არავინ იცის, სად რამდენი აფხაზი იბრძოდა, რამდენი რუსი და რამდენი ჩეჩენი. მეომრების რაოდენობით აფხაზები, ალბათ ,10 პროცენტსაც არ შეადგენდნენ. ჩეჩნები კარგად გაწვრთნილებიც იყვნენ და ძალიან სასტიკებიც. მახსოვს, გაგრაში, სტადიონზე, როგორ დააჭრეს თავები ადამიანებს და როგორ თამაშობდნენ ფეხბურთს. უნდა გითხრათ, რომ მასხადოვმა საჯაროდ მოუხადა ბოდიში ქართველ ხალხს იმ სისაძაგლეებისთვის, რასაც ჩეჩნები აფხაზეთში სჩადიოდნენ.

**- თქვენი ოპონენტები აცხადებენ, რომ აფხაზეთის დაკარგვა თქვენი ,,დამსახურებაა“... რატომ დაიწყეთ ომი?**

- არ ვიცი, ვინ არის ამ შემთხვევაში ჩემი ოპონენტი ან ვის შეუძლია, იდაოს ამ საკითხებზე. მაშინ სამხედრო საბჭო იყო, რომელიც, თავისთავად, ლეგიტიმური არ იყო. ასეთი ფაქტის წინაშე დავდექით, აფხაზეთში იძარცვებოდა მატარებლები და, თუ არ ვცდები, 11 მილიარდი მანეთის ზარალი მიადგა იმ სახელმწიფოებს, რომელთა ტვირთიც მოძრაობდა რკინიგზაზე. ამის მოთმენა, რა თქმა უნდა, არ შეიძლებოდა. შეიკრიბა სამხედრო საბჭო და მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ მატარებლებს ქართველი სამხედროები გააცილებდნენ აფხაზებთან ერთად. დავუკავშირდი არძინბას და ჩვენი გადაწყვეტილების შესახებ ვაცნობე. შევთანხმდით, რომ მატარებლებს გავაცილებდით ლესელიძიდან სოხუმზე გავლით სამტრედიამდე და მერე გაცილება აღარ იყო საჭირო. არძინბამ მითხრა: არ ვარ წინააღმდეგი, ოღონდ ვინმე ჩამოვიდეს, რომ უფრო დეტალურად დამელაპარაკოსო... სხვათაშორის, იმავე სამხედრო საბჭოზე სიტყვით გამოვედი და კატეგორიულად მოვითხოვე, რომ სამხედროები დასახლებულ ტერიტორიაზე არ უნდა შესულიყვნენ, მაგრამ მაშინ არც პრეზიდენტი ვიყავი და არც მთავარსარდალი... ჯარი კიტოვანს ემორჩილებოდა... მე და არძინბა შევთანხმდით, რომ მეორე დღეს მასთან შესახვედრად კიტოვანი და სიგუა ჩავიდოდნენ, მაგრამ მოხდა ისე, რომ კიტოვანი ახალციხეში გაემგზავრა სამხედრო ტექნიკის ჩამოსაყვანად და ვერც სიგუამ მოახერხა ჩასვლა. მესამე დღეს კი, რომ ჩავიდა, არძინბა ვეღარ ნახა. ამ დროს იქ უკვე შესულიყო პოლიცია და ეს გაუთვალისწინებლად მოხდა. პოლიცია შევიდა ჯერ გალში, მერე ოჩამჩირის რაიონში და მოხდა ისე, რომ სისხლი დაიღვარა.

**- ვისი ბრძანებით შევიდა აფხაზეთში პოლიცია?**

- ვერ გეტყვით, ვისი ბრძანება იყო, მაშინ სამხედრო მინისტრი კიტოვანი იყო. ან მისი ბრძანება იქნებოდა...

**- ან ვისი, ჯაბა იოსელიანის?**

- არა, არა, გამორიცხულია! ვერც ჯაბა და ვერც სიგუა გასცემდა ასეთ განკარგულებას. უფრო კიტოვანთან იყო დაკავშირებული ეს საქმე... როგორც გითხარით, სიგუა მესამე დღეს მაინც ჩავიდა აფხაზეთში, მაგრამ არძინბამ რუსეთის სასაზღვრო ჯარების ნაწილებს შეაფარა თავი და მოლაპარაკებას გვერდი აუარა. სხვები ყველანი იყვნენ, მათ შორის, თამაზ ნადარეიშვილი და ბაღაფშიც, მაგრამ ისინი არძინბას გარეშე გადაწყვეტილებას ვერ მიიღებდნენ. ამგვარად, მოლაპარაკება ჩაიშალა და კიტოვანმა მაინც გააგრძელა ჯარების შეყვანა. მიადგნენ სოხუმს და როცა გავიგე, მაშინვე დავრეკე კიტოვანთან, მაგრამ მან ტელეფონზე არ მიპასუხა. ერთ-ერთ მის თანაშემწეს უთქვამს, - შევარდნაძე რეკავსო. კიტოვანს ხელი ჩაუქნევია, - ვიცი, რაც უნდა მითხრასო...

**- რა უნდა გეთქვათ ისეთი კიტოვანისთვის, რომ ტელეფონთან არ მივიდა?**

- სოხუმში შესვლას ვუკრძალავდი და ვეტყოდი, რომ დასახლებულ ადგილებში არ შესულიყვნენ. ალბათ, ამიტომაც არ მიპასუხა. დარწმუნებული იყო, რომ სოხუმში შესვლას ავუკრძალავდი. ამ დროს ელცინი სოჭში ისვენებდა. დამირეკა და მითხრა: მომახსენეს, სოხუმს ქართული ჯარი მოადგაო, მინდა, გაგაფრთხილოთ, რომ სოხუმში ჩვენი ჯარიც იმყოფება და რაღაც მოხდება ისეთი, რაც ძალიან სავალალო შედეგით შეიძლება დასრულდეს, ამიტომ ძალიან გთხოვთ, ამ ნაბიჯს ნუ გადადგამთო... მოკლედ, კიტოვანს ვერ დაველაპარაკე, მაგრამ გადასცეს, რომ სოხუმში შესვლის კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავი. ორი-სამი დღე არ შევიდა, მაგრამ მერე ჩაიქნია ხელი და ტანკებით შეგრიალდა. იმ პერიოდში სოხუმი აფხაზებისგან თითქმის დაცლილი იყო, რადგან როგორც კი გაიგეს, რომ ჯარი შედიოდა, გუდაუთაში გადავიდნენ. სხვათაშორის, საშინელი ძარცვა-გლეჯა მიმდინარეობდა. ვერ გეტყვით, რომ ჯარისკაცები კიტოვანის ბრძანებით მოქმედებდნენ, მაგრამ დამშეული ჯარისკაცი რომ სასმელ-საჭმელს ნახავს, რას იზამს?!

**- ერთპიროვნულად მიიღო კიტოვანმა ეს გადაწყვეტილება, რომ სოხუმში ჯარით შესულიყო?**

- ერთპიროვნულად!

**- გამოდის, რომ ომი აფხაზეთში კიტოვანს დაუწყია...**

- ვერ გეტყვით, გინდათ, კიტოვანს დააბრალეთ, გინდათ, შევარდნაძეს... როგორც განვითარდა მოვლენები, მოგახსენეთ... ყველაფერი სულ სხვაგვარად იყო ჩაფიქრებული, მატარებლების გაცილების საკითხი... და ეს ყველაფერი ომში გადაიზარდა. მაშინ მე მთავარსარდალი არ ვიყავი და ჩემს ბრძანებას ნაკლები ძალა ჰქონდა, ჯარი კიტოვანს ემორჩილებოდა.

**- ფიქრობთ, რომ კიტოვანი გარეძალების დაკვეთას ასრულებდა?**

- გამორიცხვა არაფრის არ შეიძლება, მაგრამ ამის მტკიცებულება არ მაქვს. ომი რომ დამთავრდა, მას შემდეგ კიტოვანი, ძირითადად, რუსეთში ცხოვრობს და, როგორც ამბობენ, არცთუ ცუდად. შესაძლოა, რუსებს უნდოდათ ომის პროვოცირება, ვერ გეტყვით... რუსეთი რომ დაინტერესებული იყო აფხაზეთში შესვლით, ეს ფაქტია, უმიზეზოდ ისინი ამ ნაბიჯს ვერ გადადგამდნენ და სოხუმში ჯარის შესვლა ომის დაწყების მიზეზი გახდა... ჩაერთო რუსეთი ამ დაპირისპირებაში და შედეგი სახეზეა. კიტოვანმა სოხუმში, მთავრობის სახლზე დროშა ჩამოხსნა და თბილისში ჩამოიტანა...

**- სად ინახება დაცემული სოხუმიდან წამოღებული საქართველოს დროშა?**

- არ ვიცი, ალბათ, სადღაც შეინახეს, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს?! სოხუმი დაეცა და დროშა ჩამომიტანა, რას ვეტყოდი...

**- რით იყო გამოწვეული 1993 წლის სექტემბერში ჩვენი სამხედრო მარცხი აფხაზებთან, რომლებიც მაშინ აფხაზეთის მოსახლეობის ოციოდე პროცენტს შეადგენდნენ?**

- ეს იყო რუსეთ-საქართველოს ომი და საქართველოს მაშინ ნამდვილად არ ჰქონდა იმდენი ძალა, რუსეთისთვის ომი მოეგო. ღარიბები და ღატაკები ვიყავით, ჯარისკაცების გამოკვებაც კი გვიჭირდა. სექტემბრის დასაწყისში დამირეკა ელცინმა და მითხრა: იქნებ, ომი დავამთავროთო... მოლაპარაკებაც შედგა (სხვათაშორის, ამ შეხვედრას ჩრდილოკავკასიის ლიდერებიც ესწრებოდნენ). არძინბა გაჯიუტდა, მერე დაუძახა ელცინმა, რაღაც უჩურჩულა და დაითანხმა ომის შეწყვეტაზე. 3 სექტემბერს გამოცხადდა, რომ აფხაზეთში ომი დამთავრდა... ჩვენ ხომ ნამდვილი ჯარი არ გვყავდა და როგორც კი გამოცხადდა, რომ ომი დამთავრდა, ჯარისკაცებს არც არავისთვის უკითხავთ, ისე დატოვეს ბრძოლის ველი. ერთი კვირის შემდეგ დაიწყო შეტევა გაგრაზე, მერე დაიწყეს მოძრაობა ლესელიძისკენ...

**- შესაძლოა, ამ თემაზე საუბარი თქვენთვის ადვილი არ იყოს, მაგრამ ჟიული შარტავას მკვლელობის საკითხს გვერდს ვერ აუვლით...**

- ჟიული, შეიძლება ითქვას, ჩემი გაზრდილი იყო... აფხაზეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარედაც მე დავნიშნე და უნდა გითხრათ, რომ დღემდე ვნანობ ამას, რადგან ეს ნაბიჯი რომ არ გადამედგა, შესაძლოა, ცოცხალი გადარჩენილიყო, მაგრამ ყველაზე მეტად მისი იმედი მქონდა. ძალიან უშიშარი კაცი იყო, საქმეც იცოდა და თან შესანიშნავი ურთიერთობა ჰქონდა ბევრ აფხაზთან. მას ანგარიშს უწევდნენ და ეშინოდათ კიდეც. მანამდე ეს თანამდებობა თამაზ ნადარეიშვილს ეკავა, მაგრამ ის გულით ავადმყოფი იყო და ინფარქტი რომ მოუვიდა, გადავწყვიტე, მის ადგილზე შარტავა დამენიშნა. ჟიულიმ თავიდან იუარა, მაგრამ მეორე დღეს მითხრა: წავალო... ჟიულის სიკვდილი მისი ოჯახის წევრების შემდეგ ყველაზე დიდი ტრაგედია ჩემთვის იყო და კიდევ ვიმეორებ, დღემდე ვნანობ, რომ ამ თანამდებობაზე დავნიშნე...

**- ვინ იყო პასუხისმგებელი შარტავას უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე და ვინ უნდა აგოს პასუხი იმაზე, რომ ჯერ კიდევ 90-იან წლებში თქვენს „მემკვიდრედ“ მიჩნეული შარტავა გაწირეს და აფხაზებს დაახვრეტინეს?**

- ჟიულის უსაფრთხოებაზე მისი დაცვა იყო პასუხისმგებელი, მაგრამ, როგორც ვიცი, ზოგიერთი მათგანი მასთან ერთად დაიღუპა, თანაც, ეს არ იყო ჩვეულებრივი ვითარება. ჟიული ბრძოლის ველზე დაეცა და ომის დროს უსაფრთხოების დაცვაზე საუბარი ცოტა რთულია. 27 სექტემბერს, დილით, ქალაქი რომ შემოვიარე, მთავრობის სახლში მივედი. შარტავა გასული იყო. ვიღაცამ დაურეკა და უთხრეს, - შევარდნაძეა მოსულიო. ხუთ წუთში მოვიდა, ქალაქი უკვე დაცლილი იყო, მაგრამ მაშინ სოხუმის დატოვებას არც ვფიქრობდით. ცოტა ხანი ვისაუბრეთ და მე ისევ შტაბში დავბრუნდი. შევთანხმდით, რომ საღამოს ჟიულიც მოვიდოდა შტაბში თათბირზე. თითქმის ნახევარი საათი კიდევ ვიარე დაცარიელებულ სოხუმში და შტაბში დავბრუნდი. ირაკლი ბათიაშვილი და კიდევ რამდენიმე კაცი დამხვდა. ტექნიკაც აღარ იყო, სამი ტანკი იდგა შტაბთან. ცოტა ხანში სოხუმის აქტიური დაბომბვა დაიწყო. დავურეკე შარტავას და ვუთხარი, რომ სასწრაფოდ წამოსულიყო შტაბში... ამ დროს მთავრობის სახლსაც უტევდნენ, გარეთ გამოსვლა კი მოასწრეს, მაგრამ ჟიულიზე ნადირობდნენ, რადგან მისი გავლენა ბევრს აშინებდა. პირველ რიგში, სწორედ ის და მისი თანამებრძოლები დახვრიტეს, მერე მისი ცხედარი გუდაუთაში გადაასვენეს... ყარყარაშვილმა მითხრა, მე წავალ და ჟიულის გამოვიყვანო. იმ სამი ტანკით გავიდა, რაც შემოგვრჩა, მაგრამ მთავრობის სახლამდე ვერ მიაღწია. ხიდზე უნდა გადასულიყო, რომელიც აფეთქებული დახვდა და იძულებული გახდა, უკან დაბრუნებულიყო.

**- მაინც, რატომ არ დატოვა შარტავამ სოხუმი, მაშინ, როდესაც ქვეყნის მთავარსარდალს ბრძოლის ველი უკვე დატოვებული ჰქონდა?**

- უკვე გითხარით, რომ მაშინ არც მთავარსარდალი ვიყავი და არც ბრძოლის ველი მქონდა დატოვებული. მე წავედი შტაბში და ჟიული მთავრობის სახლში დავტოვე ისეთი შეთანხმებით, რომ საღამოს შევხვდებოდით ერთმანეთს... კიდევ გეუბნებით: დღემდე ვნანობ, შარტავა ამ თანამდებობაზე რომ დავნიშნე, რადგან შეიძლება ცოცხალი ყოფილიყო... ჟიულის მკვლელობის შემდეგ აფხაზეთში რუსეთის წარმომადგენელს - პასტუხოვს შევხვდი და ვუთხარი, რომ თუ ჟიულის ცხედრის გადმოსვენებას ვერ შევძლებთ, თავს მოვიკლავ-მეთქი. პასტუხოვიც ძალიან განიცდიდა მომხდარს და პრაქტიკულად მისი უშუალო ჩარევის შედეგად მოვახერხეთ შარტავას გადმოსვენება...

**- თქვენ ბრძანეთ, რომ შარტავა თქვენი გაზრდილი იყო. ალბათ, მისი მკვლელობის გამოძიებით განსაკუთრებულად დაინტერესდებოდით... თუ არის თქვენთვის ცნობილი, ვინ ესროლა ჟიული შარტავას?**

- არა. როგორ შემეძლო იმის გარკვევა, ვისი ტყვიით მოკვდა შარტავა ბრძოლის ველზე? თანაც გითხარით, რომ მასზე განსაკუთრებულად ნადირობდნენ, რადგან ძალიან ეშინოდათ მისი...

**- არ ნანობთ, ჟიული შარტავას ეროვნული გმირის წოდება თქვენ რომ არ მიანიჭეთ? სამაგიეროდ, ეს ნაბიჯი გაპრეზიდენტებისთანავე მიხეილ სააკაშვილმა გადადგა...**

- იქნებ, დაინტერესდეთ, მიბრძანდეთ პარლამენტში და ნახოთ, რამდენი ხანი იდო საკანონმდებლო ორგანოში ჩემი ინიციატივა, რომ მიგვეღო კანონი და დაგვეწესებინა ეროვნული გმირის წოდება. ჩამონათვალიც კი მქონდა იმ ადამიანებისა, ვისთვისაც ეროვნული გმირის წოდება უნდა მიგვენიჭებინა და, თუ არ ვცდები, პირველი ჟიული შარტავა მეწერა, მაგრამ პარლამენტმა გააჭიანურა ამ კანონის მიღება და მეც უძლური ვიყავი.

**- ექს-პრეზიდენტ გამსახურდიას შეიარაღებულ მომხრეებთან საერთო ენა რომ გამოგენახათ, იქნებ, აფხაზეთი არ დაგვეკარგა?**

- გამსახურდიას შეიარაღებულ მხარდამჭერებთან საერთო ენას ვერ გამოვნახავდი, რადგან თავად გამსახურდია არ წამოვიდოდა ჩემთან დიალოგზე. უფრო მეტიც, მას ქვეყნის ნომერ პირველ მტრად მივაჩნდი. საქართველოს მტრების საკუთარი სიაც ჰქონდა შედგენილი და პირველი მე ვეწერე ამ სიაში... მიუხედავად ყველაფრისა, ერთხელ მაინც შევხვდი ლოთი ქობალიას, ვისაუბრეთ და შემომთავაზა, მიგვეღწია შეთანხმებისთვის, პრეზიდენტად დაგვესვა გამსახურდია და ,,დამპირდა“, ისე, არც შენ დაგტოვებსო უადგილოდ (სხვათაშორის, ამ შეხვედრის ინიციატორი ბატონი ოთარ ფაცაცია გახლდათ)... იმ დროს თანამდებობებზე საუბარი სასაცილოც კი იყო... ზვიადმა უბრძანა თავის შეიარაღებულ ძალებს, რომ ბრძოლის ველი დაეტოვებინათ და მთელი ჯარი მოხსნა. რომელ შეთანხმებაზეა ასეთ დროს საუბარი?.. დავაზუსტებ, რომ სოხუმს კარგი ბიჭები იცავდნენ, მაგრამ მათი უმრავლესობა ზვიადისტი იყო.

**- იმაზე, თუ როგორ „ნადირობდნენ“ თქვენზე სოხუმის დაცემის საღამოს რუსები, აფხაზები და თქვენივე ხელქვეითებიც კი, ლეგენდებს ყვებიან. როგორ გადაურჩით ამდენ „მონადირეს“, ბატონო ედუარდ?**

- სოხუმიდან მართლა სასწაულებრივად გამოვაღწიეთ. ყველა, განსაკუთრებით, ჯაბა იოსელიანი მთხოვდა, რომ თბილისში დავბრუნებულიყავი. როცა აეროპორტამდე მივედი, აღმოჩნდა, რომ პილოტები არ იყვნენ ადგილზე. მერე აეროპორტის უფროსმა მონახა მორიგე პილოტები, მაგრამ მოხდა ისე, რომ თვითმფრინავში საწვავი არ იყო საკმარისი რაოდენობის. მიუხედავად ამისა, მაინც გამოვფრინდით და ჩავედით ბათუმში. იქ ჯარისკაცებმა უცხო თვითმფრინავი რომ დაინახეს, შემოგვეხვივნენ, მაგრამ საწვავზე უარი გვითხრეს. ავთო იოსელიანი გავიდა და უთხრა, - დაჭრილები მიგვყავსო, მაგრამ არც ამან გაჭრა. მერე იძულებული გავხდი, ფანჯარაში გამეხედა და რომ დამინახეს, როგორც ჩანს, ასლანს უთხრეს, - შევარდნაძეა აეროპორტში და რა ვქნათო. საწვავი კი მოგვცეს, მაგრამ თავად ასლანი არ გამოჩენილა... ასე გამოვაღწიე სოხუმიდან, თუმცა, დეტალებზე არ ვისაუბრებ, რადგან ყველასთვის ცნობილია, რომ სოხუმიდან ცოცხალი ძლივს გამოვედი. სხვათაშორის, აფხაზეთის დაკარგვის შემდეგ პარლამენტში მისვლას აღარ ვაპირებდი და ეს აზრი ჩემს მეუღლესაც გავუზიარე... მითხრა, - შენ როგორც გადაწყვეტ, მაგრამ პარლამენტიდან რამდენჯერმე იყვნენ მოსულიო... იმ მიზნით მივედი, რომ ჩემი გადაწყვეტილება გამეცნო ჩემი კოლეგებისთვის, მაგრამ რამდენადაც უცნაურადაც უნდა მოგეჩვენოთ, მქუხარე ტაშით რომ შემხვდნენ, ეს იმხელა სტიმული იყო ჩემთვის, გადავწყვიტე, რომ იმ დროს პოლიტიკიდან და თანამდებობიდან ჩემი წასვლა მართლა ღალატი იქნებოდა, რადგან ქვეყნის გადარჩენის ერთადერთ იმედად ვითვლებოდი...

**- გადაწონის თუ არა თქვენი პოლიტიკური კარიერის მანძილზე მიღწეული წარმატებები მარცხს, რომელიც აფხაზეთის დაკარგვით განიცადეთ?**

- სხვადასხვა სახის და მასშტაბის მოვლენებია და ამიტომაც ჩემი პოლიტიკური წარმატებებისთვის ხაზის გადასმა აფხაზეთის დაკარგვის გამო სწორი არ იქნება. თუმცა, ჩემთვის ყველაზე მტკივნეული საკითხია აფხაზეთისა და ცხინვალის დაკარგვა.

**- როგორ ფიქრობთ, მიხეილ სააკაშვილი დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებას შეძლებს?**

- ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით... დარწმუნებული ვარ, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა აღდგება, მაგრამ როდის, ამის თქმა შეუძლებელია. ღმერთმა ქნას, ეს სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს მოხდეს.

*ესაუბრა*

**მაია მარგველანი**

*ზურაბ ჟვანიას მკვლელობის შესახებ ყველა ყოფილ ჩინოვნიკს თუ მოქმედ პოლიტიკოსს საკუთარი მოსაზრება გააჩნია, მაგრამ თვად ჟვანიას „თანაგუნდელებისა“ და დღევანდელი „ერთიანი გუნდის“ გარდა არავინ დაობს იმაზე, რომ ეს კარგად ორგანიზებული მკვლელობა იყო! პრემიერ-მინისტრის „გაზით გაგუდვის“ შესახებ საკუთარ მოსაზრებებს შევარდნაძის რეჟიმის თავდაცვის ყოფილი მინისტრი, რუსეთში გადახვეწილი თენგიზ კიტოვანი გვიზიარებს. იგი მიიჩნევს, რომ ბოლო ათწლეულებში საქართველოში მომხდარი ყველა გახმაურებული მკვლელობის უკან „რევოლუციის“ შემდეგ სახლში წასული ედუარდ შევარდნაძე დგას... ვესაუბრებით ექსპრეზიდენტ შევარდნაძის ყოფილ მინისტრს თენგიზ კიტოვანს.*



ფოტო გიორგი აბდალაძის

# თენგიზ კიტოვანი:
# შევარდნაძეს პატარიძის, კოსტავას, გამსახურდიას, ჭანტურიას, და ჟვანიას მკვლელობასაც დავუმტკიცებ!

**- რას ფიქრობენ ჩრდილოეთში ზურაბ ჟვანიას მოულოდნელი გარდაცვალების შესახებ? თქვენ როგორ ფიქრობთ, ეს უბედური შემთხვევა იყო თუ ორგანიზებული მკვლელობა?**

- ნებისმიერ ადამიანს, ვინც ოდნავ მაინც აზროვნებს, ეჭვი შეეპარება იმაში, რომ ზურაბ ჟვანია უბედური შემთხვევის მსხვერპლია. ოფიციალური ვერსია არავითარ ლოგიკაში არ ჯდება. საგულისხმოა ნარდის თამაშის ფაქტიც. კარგა ხანია, ზურას ვიცნობ და ვიცი, რომ ის ნარდს არ თამაშობდა! დაკარგულია აგრეთვე უსუპოვის ფეხსაცმელი. ეს იძლევა იმის თქმის საშუალებას, რომ უსუპოვი იმ ბინაში მკვდარი მიიტანეს ან იქ იყო კიდევ ვიღაც მესამე პიროვნება, რომელმაც პრემიერ-მინისტრი და მისი მეგობარი დაახრჩო და წავიდა... როგორც ჩანს, უსუპოვმა ჭიდაობის დროს დაკარგა ფეხსაცმელი.

**- როდესაც მაღალი თანამდებობის პირი კონსპირაციულ ბინაში მიდის, ალბათ, იქაურობა საგულდაგულოდ უნდა იყოს შემოწმებული...**

- ყოველთვის ასე არ ხდება და არც დაცვაა ყოველთვის საქმის კურსში, ვისთან მიმდინარეობს საიდუმლო შეხვედრა, რათა ინფორმაციამ არ გაჟონოს, მაგრამ დაცვა გარეთ უნდა მდგარიყო და არა - რესტორანში. დაცვას არც ის უნდა სცოდნოდა, ვის ხვდებოდა მისი დასაცავი ობიექტი.

**- არსებობს მოსაზრებები, რომ ზურაბ ჟვანია გარე ძალებმა მოიშორეს... ახლახან „ასავალ-დასავალში“ გამოქვეყნდა ჟვანიას ერთ-ერთი მეგობრის გია ხუხაშვილის ინტერვიუ, სადაც იგი აცხადებდა: შესაძლოა, ეს ყველაფერი „ფეესბემ“ განახორციელაო...**

- მე პირიქით მგონია... ზურაბ ჟვანია საქართველოში ამერიკული სამხედრო თვითმფრინავების დასმას ეწინააღმდეგებოდა. ყოველივე ეს მიუღებელი იყო როგორც რუსეთის, ისე სომხეთის ძალოვანი სტრუქტურებისათვის. თუ ამერიკა დერეფნად გაიხდიდა თურქეთს, საქართველოსა და აზერბაიჯანს, მაშინ ეს ბაზები გამოყენებული იქნებოდა ირანის წინააღმდეგ. **ჩემი აზრით, სწორედ ეს გახლავთ მთავარი მიზეზი ზურაბ ჟვანიას მკვლელობისა - იგი ეწინააღმდეგებოდა ამერიკას, რათა მის მიერ საქართველოს სამხედრო აეროდრომები არ ყოფილიყო ირანზე შეტევისათვის გამოყენებული. ზურაბ ჟვანიას გარდაცვალებიდან ერთი კვირის შემდეგ საქართველოს მთავრობამ ამერიკას მისცა თანხმობა, საჭიროების შემთხვევაში გამოიყენონ სამხედრო აეროდრომები ვერტმფრენების დასაფრენად.** დაუკვირდით მოვლენათა განვითარებას და ყველაფერს მიხვდებით. კიდევ ვიმეორებ: როგორც კი მოიშორეს ჟვანია, მაშინვე ითქვა, რომ მიეცეს ამერიკას სამხედრო აეროდრომების გამოყენების ნებართვა!.. სწორედ ამას ეწინააღმდეგებოდა ზურაბ ჟვანია... აქედან გამომდინარე, შეგიძლიათ, გააკეთოთ დასკვნა...

**- მავანთა შეფასებით, ზურაბ ჟვანია პრორუსული ორიენტაციის პოლიტიკოსად მოიაზრება...**

- ვერ გეტყვით, მაგრამ თუ მის სომხურ წარმოშობას გავითვალისწინებთ, მაშინ ბუნებრივია, სომხეთის პოლიტიკიდან გამომდინარე, ის ამერიკული პოლიტიკის წინააღმდეგი უნდა ყოფილიყო. საერთოდ, ჟვანია მხარს უჭერდა სომხურ დიასპორას საქართველოში. მოგეხსენებათ სომხების ურთიერთობა რუსეთთან, აქედან გამომდინარე, ზურაბ ჟვანია მხარს დაუჭერდა საქართველოში რუსეთის ინტერესების გატარებას.

**- გამოდის, ზურაბ ჟვანია პროამერიკულმა ძალებმა მოიშორა?**

- დიახ.

**- საქართველოს ხელისუფლების გარკვეულ წრეებთან შეთანხმებით?**

- ამის მტკიცება შეუძლებელია, მაგრამ, თუნდაც, ის ფაქტი, რომ საქართველოს ხელისუფლებამ ამერიკას ჟვანიას გარდაცვალებისთანავე დაუთმო ჩვენი სამხედრო აეროდრომები ნებისმიერი ამერიკული თვითმფრინავის დასაფრენად, უნდა ვივარაუდოთ, რომ ამ მკვლელობაში გარეულია პრეზიდენტის მომხრე ძალებიც! ზურაბ ჟვანია მოკლეს, მაგრამ ამის შესახებ სააკაშვილს შეიძლება არაფერი სცოდნოდა...

**- ხელისუფლების წარმომადგენელთა ასეთი უცნაური დუმილი ბადებს ეჭვს, რომ ისინი ამ მკვლელობის ორგანიზებაში თუ არ მონაწილეობდნენ, ინფორმაცია მაინც ექნებოდათ...**

- საეჭვო დაბნეულობა შეიქმნა მთავრობაში და ნაჩქარევი განცხადებებიც გაკეთდა... ჩამოიყვანეს იმ წუთში ამერიკელი ექსპერტები და ყველაფერი სხვა ქვეყანას გადააბრალეს. ისე წარმოაჩინეს ყოველივე, რომ, თითქოს, ისინი იყვნენ დაინტერესებული ჟვანიას მკვლელობით.

**- „ეფ-ბი-აი“-ს ჩამოყვანის მიზანი ის იყო, რომ შემდეგ ხელი ამერიკისათვის შეეხოცათ?**

- იტყვიან, ამერიკის დასკვნა ასეთია და ჩვენ უძლურები ვართო!..

**- საქართველოს ხელისუფლება რატომ ვერ საუბრობს ღიად ზურაბ ჟვანიას მკვლელობაზე - ამერიკას უწევენ ანგარიშს თუ საკუთარი ტყავის გადარჩენას ცდილობენ?**

- **დღეს ამაზე საუბარი არ ღირს. ჟვანიას მკვლელობის დეტალები თავისთავად ამოტივტივდება! მომავალი ყველაფერს გვიჩვენებს, ისე, როგორც ნუგზარ საჯაიას „თვითმკვლელობის“ გარშემო მოხდა. ესეც მკვლელობა იყო! კაცს ერთი იარაღი ეჭირა ხელში და ტყვია სხვა აღმოჩნდა მის სხეულში.** მართალია, საქმე ბოლომდე არ გახსნილა და მკვლელი არ დასახელებულა, მაგრამ... ასეთივე ვითარებაა ზვიად გამსახურდიას „თვითმკვლელობის“ შემთხვევაშიც. „სტეჩკინის“ იარაღით როგორ მოიკლავს თავს ადამიანი, ამიხსენით?! ეს შეუძლებელია! ქალი, რომელიც პირველი შევიდა გარდაცვლილი გამსახურდიას ოთახში, აცხადებდა, იარაღი მუცელზე ედოო. როგორ შეიძლება, ადამიანს იარაღი გასროლის, ანუ თვითმკვლელობის შემდეგ ხელიდან არ გაუვარდეს?! ამ დეტალებს არავინ მიაქცია ყურადღება, მაგრამ საქმეში შევარდნაძის კომისია იყო ჩართული, რომელმაც დაამტკიცა, რომ ეს იყო თვითმკვლელობა. ამიტომაც **გამსახურდიას მკვლელობა ხელახლაა გამოსაძიებელი, ის მოკლულია!** შეუძლებელია, ადამიანმა „სტეჩკინით“ მოიკლას თავი! თანაც გვერდით ოთახში მყოფები აცხადებენ, რომ მათ „რაღაც“ ტაშტის დავარდნის მაგვარი ხმა გაიგეს. ეს ნიშნავს, რომ იარაღი მაყუჩიანი იყო.













**- თუ გავრცელებულ მოსაზრებას გავიზიარებთ, ზვიად გამსახურდია ედუარდ შევარდნაძემ მოაკვლევინა...**

- დიახ, გამსახურდიას მკვლელობის უკან ედუარდ შევარდნაძე დგას! უფრო ზუსტად, მოაკვლევინა შოთა კვირაიას! ახლა, ალბათ, იმის ახსნაც მომიწევს, რატომ უნდოდა შევარდნაძეს გამსახურდიას მოშორება. პირველ რიგში, იმიტომ, რომ მან უამრავი საიდუმლო იცოდა შევარდნაძის შესახებ, თუნდაც, ის, რა როლი მიუძღვის შევარდნაძეს 9 აპრილის ტრაგედიაში... გარდა ამისა, მას ჰქონდა იმის შიშიც, გამსახურდია კვლავ პრეზიდენტი არ გამხდარიყო!

**- სოხუმის დაკარგვიდან 12 წლის შემდეგ ედუარდ შევარდნაძემ თქვენ ღიად დაგადანაშაულათ აფხაზეთის ომის დაწყებაში და ლამის რუსეთის აგენტადაც შეგრაცხათ...**

- თვითონ ვის დაკვეთას ასრულებდა?! რატომ აწყობდა, მაგალითად, რუსეთს აფხაზეთში ომი? იმიტომ, რომ ჩრდილო კავკასიაში სეპარატისტული მოძრაობა დაწყებულიყო?! შევარდნაძე არის ავადმყოფი და ნაძირალა კაცი. ბოლო დროს მის ინტერვიუებს რომ ვკითხულობ, მეცინება, ყველაფერს იტყუება! ის არის კომკავშირიდან წამოსული ნაძირალა! სამხედრო საბჭო შეიკრიბა, ავთო ცქიტიშვილმა მოიტანა რუკა და გვაჩვენა, როგორ უნდა შევსულიყავით და დაგვეცვა რკინიგზა...

**- რკინიგზის დასაცავად რომ უნდა შესულიყო ჯარი, ამას არც შევარდნაძე უარყოფს, მაგრამ აცხადებს, რომ დასახლებულ ადგილებში არ უნდა შესულიყავით...**

- ამიხსენით, როგორ უნდა შევსულიყავით ისე, რომ დასახლებული ადგილები არ გაგვევლო?

**- შევარდნაძემ განაცხადა, რომ, თურმე, გირეკავდათ, მაგრამ მასთან საუბარზე უარი განგიცხადებიათ, ხელი ჩაგიქნევიათ და გითქვამთ, - ვიცი, რაც უნდა მითხრასო...**

- შევარდნაძე მირეკავდა, რომ ჯარი უკან გამოგვეყვანა, მაშინ, როდესაც საომარი ვითარება უკვე დაწყებული იყო. რატომ?! ან როგორ?! ეს შეუძლებელი იყო! რუსეთიდან ვიღაცამ დაურეკა შევარდნაძეს და უთხრა: თუ ჯარს არ გამოიყვანთ, დაგბომბავთო... მაგრამ როცა ჯარი შეგყავს რომელიმე რეგიონში, სადაც უკვე კონფლიქტური ვითარებაა შექმნილი და მერე მოგეხუშტურება - უკან გამოდითო, ასეთი რამ ომის დროს არ ხდება!.. **ეს ომი წააგეს შევარდნაძემ და ყარყარაშვილმა, როცა ქართული ჯარი განაიარაღეს.** წამგებიანი იყო ისიც, რუსეთის ჯარმა რომ გვთხოვა, - გუმისთაზე დავდგებით და მომრიგებლების ფუნქციას ვიტვირთავთო. შევარდნაძეს ჰქონდა დავალება, რომ 350 ათასი ქართველი გამოედევნა აფხაზეთიდან და არა - კიტოვანს. 23 სექტემბერს შევარდნაძემ ისევ შეყარა ქართველი მოსახლეობა სოხუმში - არაფერი არ მოხდებაო, ამ დროს კი ჯარი უკვე განიარაღებული იყო. მან ქართველთა გენოციდი მოაწყო! ვინ აგებს ამ ყველაფერზე პასუხს?.. რისთვის დამაპატიმრა შევარდნაძემ, იცით? **აფხაზეთში რომ არ შევსულიყავი, ამიტომ გამომკეტა ციხეში რვა წელი.** ომის დაწყებიდან მესამე დღეს მივხვდი და სიგუას ვუთხარი კიდეც: შევარდნაძემ გაგვყიდა-მეთქი!..

**- თუ მას ამდენი დანაშაული აქვს ჩადენილი, რატომ არ დგება მისი პასუხისმგებლობის საკითხი?**

- ამერიკა იცავს და იმიტომ. იცით, რა დამსახურებისათვის? ნახევარი რუსეთი და საქართველო რომ გაყიდა! ის ავადმყოფი, ავანტიურისტი კაცია.

**- საქართველოში ბოლო დროს მომხდარ გახმაურებულ და ბუნდოვანებით მოცულ მკვლელობებს დავუბრუნდები... თქვენ განაცხადეთ: ვიცი, საჯაია ვინც მოკლა, მაგრამ არ ვიტყვიო...**

- დიახ, ვიცი, მაგრამ არ ვიტყვი, რადგან ამ საქმის გახსნა გამოძიების მოვალეობაა!

**- შეიძლება ითქვას, რომ ამ დუმილით თქვენ დამნაშავეს აფარებთ ხელს...**

- რატომ? ჩემი იურიდიული უფლებაა, ვიტყვი ამას თუ არა. არსებობს გამოძიება და ყველაფერს მან უნდა მოჰფინოს ნათელი, ამის თქმას ვერავინ დამაძალებს. შევარდნაძე რომ გამოვარდა და კიოდა, კიტოვანმა ისეთი წერილები დაწერა, იმის გამო მოიკლა საჯაიამ თავიო, ასეთი რამ მასზე პირველად კი არ დაიწერა... მანამდე რატომ არ მოიკლა თავი?

**- თქვენ მინიშნება გააკეთეთ გახმაურებული მკვლელობების საერთო ხელწერაზე...**

- რა, ამას ვერ ამჩნევთ? ვინ მოკლა გია ჭანტურია? შევარდნაძის დაკვეთით არ მოკლეს?! აკაკი ელიავა შევარდნაძემ არ მოაკვლევინა?! უფრო შორს წავიდეთ, „თვითმფრინავის ბიჭები“ დახვრიტა! ორსულ ქალს ძალით გაუკეთეს აბორტი!... დახვრიტა უდანაშაულო მღვდელი! მსოფლიოში არავის ჩაუდენია იმდენი სისაძაგლე, რაც ამ საზიზღარმა შევარდნაძემ გააკეთა! ვინ აგებს ამ ყველაფერზე პასუხს?

**- საერთო ხელწერაზე საუბრობთ და ფიქრობთ, რომ ჟვანია ამერიკამ მოიშორა... გამოდის, ჟვანიას მკვლელობაშიც შევარდნაძის ხელი ურევია...**

- დიახ, **ჟვანიას მკვლელობაშიც შევარდნაძე მონაწილეობდა!** ზურაბ პატარიძესაც ხომ შევარდნაძემ მოუწყო ავარია და მოკლა! მერე მძღოლიც მოკლეს! **ვაცხადებ: შევარდნაძე მკვლელია და ის უნდა დაისაჯოს! თუ საჭიროა, ყველა ამ მკვლელობას დავუმტკიცებ მას!** რა, მერაბ კოსტავა შევარდნაძემ არ მოკლა?! სასწრაფო დახმარებას ვერასდროს ნახავთ იმ უღელტეხილზე, სადაც კოსტავას ავარია მოუწყვეს! როცა მდგომარეობიდან გამოვიდა ჭავჭავაძე, მაშინ გაუკეთეს C-ჰეპატიტიანი ნემსი და მოკლეს! როგორ იცავთ თქვენ ამ ხალხს? დასაჭერი კი არა, დასაგლეჯია შევარდნაძე და ჩამოსახრჩობი!

**- ნამდვილად არ ვიცავთ შევარდნაძეს და რაზეც გესაუბრეთ, ეს მხოლოდ მისი პოზიციაა და თქვენც გაქვთ საშუალება, დაასაბუთოთ თქვენი უდანაშაულობა...**

- ჩემზე ვერავინ იტყვის, რომ მკვლელი ვარ და ვინმე მოვკალი... შევარდნაძეზე ქრონოლოგიურად გეტყვით, რა სისაძაგლეებიც ჩაიდინა: უდანაშაულოდ დახვრიტა „თვითმფრინავის ბიჭები“, მღვდელი და ორსულ ქალს ციხეში ძალით გაუკეთეს აბორტი! მოკლა პრემიერ-მინისტრი ზურაბ პატარიძე! მოკლა მერაბ კოსტავა და ზურაბ ჭავჭავაძე! მონაწილეობდა 9 აპრილის ტრაგედიაში! 8 აპრილს ჩამოფრინდა ვაზიანის აეროდრომში, რაც შემდეგ გენერალმა ლებედმა დაამტკიცა. მესამე კაცი, ვინც მაშინ თვითმფრინავში იჯდა, იყო ბაკატინი, უშიშროების მინისტრი, რომლის ხელმძღვანელობითაც მოხდა 9 აპრილის ტრაგედია! დაიწყო ომი აფხაზეთში და დაგვაკარგვინა როგორც სამაჩაბლო, ისე აფხაზეთი! მოკლა ზვიად გამსახურდია! მოკლა გია ჭანტურია! შემდეგ ნუგზარ საჯაია! მოკლა გიორგი სანაია და აკაკი ელიავა! ბოლოს მოკლა ზურაბ ჟვანია!

**- გასაგებია, მაგრამ ზურაბ ჟვანიას მკვლელობა რატომ შედიოდა შევარდნაძის ინტერესებში?**

- ბოლო დროს ჟვანია მართლა დაუპირისპირდა შევარდნაძეს... ის არის მსოფლიოში ყველაზე ბინძური პოლიტიკოსი!

**- შევარდნაძე დღემდე ამერიკის დაკვეთას ასრულებს და ის ამ გარე ძალასთან შეთანხმებით მოქმედებდა?**

- ეს ამერიკელებმა და შევარდნაძემ არჩიონ!...

**- თქვენ ადასტურებთ, რომ საქართველოში ბოლო ათწლეულებში მომხდარი ყველა გახმაურებული და გაუხსნელი მკვლელობის უკან შევარდნაძე დგას?**

- დიახ, ვადასტურებ!..

*ესაუბრა*

**მაია მარგველანი**

# იგორ გიორგაძე
# სამშობლო და არა საბანკო

***აქამდე პრაქტიკულად ყველა ინტერვიუში იგორ გიორგაძე წარმოგვიდგებოდა როგორც საქართველოს სახელმწიფო უშიშროების „სწორედ ის" მინისტრი, რომელიც ედუარდ შევარდნაძისათვის №1 მტრად იქცა და რომლისაც მიხეილ სააკაშვილსაც პანიკურად ეშინია. აკი, სათავეში მოსვლისთანავე თქვა, — „გიორგაძის საქმე პოლიტიკურიაო", რითაც მას საქართველოში დაბრუნების შესაძლებლობა მოუსპო. დამოუკიდებელ ექსპერტ მაია ნიკოლეიშვილთან იგორ გიორგაძის არაფორმალური, გულახდილი საუბარი ბევრად მეტს ეტყვის ქართველ ხალხს, ვიდრე ახლანდელი ხელისუფლების ოფიციალური ისტერიკა. დაარქვით ამას, თუნდაც, ავანტიურა, ანდა ძიება, ან, სულაც, თავდაცვის მინისტრის ამასწინანდელი „პარტიზანობის" მაგალითის გამოვლენა აფხაზეთის ტერიტორიაზე. აკი რუსები ამბობენ:*** *”Дурной пример заразимелен”*



„სასაცილოა, რომ სააკაშვილს მის მიერ შეგროვილი „ჰიტლერიუგენდის" იმედი აქვს!"

**მემარცხენე-ცენტრისტული ოპოზიციური პარტია „სამართლიანობის" ლიდერს, 1993-1995 წლებში საქართველოს სახელმწიფო უშიშროების სამსახურის მეთაურს იგორ გიორგაძეს ესაუბრება დამოუკიდებელი ექსპერტი, საზოგადოებრივი მოძრაობა „პატრიოტის" ლიდერი მაია ნიკოლეიშვილი**

**მაია ნიკოლეიშვილი: - როგორია თქვენი პოლიტიკური ინტერესები დღეს, როცა 29 აგვისტოს „ჟბადაღებული ტერაქტიდან" საქართველოს მოსახლეობისათვის 10 უმძიმესი წელიწადი მიიწურა?**

**იგორ გიორგაძე:** - ჩემი პოლიტიკური ინტერესი მარტივი, გასაგები და გამჭვირვალეა. დღეს საქართველოში ძალაუფლება ხელთ უპყრიათ ადამიანებს, რომლებიც პრიმიტიულად მოამზადა ბატონმა სოროსმა; ადამიანებს, რომლებმაც ქვეყანა უკვე მოაქციეს ისეთ ჩიხში, რომელსაც ქართველი ხალხის მიერ თვითიდენტიფიკაციის დაკარგვა შეიძლება ვუწოდოთ. წაირეცხა ყველა მორალური, სულიერი, ზნეობრივი ღირებულება. ისინი, ვინც დღეს 8-10-12 წლისანი არიან, მალე ერთნაირი სიმაღლისა და აზროვნების კლონებად იქცევიან. სწორედ ეს სჭირდება სოროსს, მაგრამ ამას არაფერი აქვს საერთო ჩვენს ტრადიციულ ძირძველ ღირებულებებთან, ცხოვრების ჩვეულ გაგებასთან.

ამიტომ ჩემი პოლიტიკური ინტერესები მეტად კონკრეტულია - **მოვაშოროთ ქვეყანას** ეს სოროსის ლექი, რომელიც არა მხოლოდ ხელს უშლის მშენებლობაში საქართველოს, არამედ ხრწნის ჩვენს საზოგადოებას, აქცევს მას **სოროსის ექსპერიმენტების პოლიგონად.** შემდეგ კი ავაშენოთ მშვიდი, ნორმალური, ღირსეული ცხოვრება და დავიწყოთ ეს ჩვენი სახელმწიფოებრიობის აღდგენით.

**მაია ნიკოლეიშვილი: - როგორ აფასებთ თავისუფლების, დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოებრიობის ცნებებს? ვფიქრობ, ერთადერთი შესაძლებლობა გვრჩება, მშობლიურ მიწა-წყალზე რეზერვაცია მოვითხოვოთ, რადგან „სორო"-კოლონია უკვე გავხდით!**

**იგორ გიორგაძე:** - **დღევანდელ საქართველოსთან მიმართებაში ჩემთვის თავისუფლება ასოცირდება გამოთქმასთან „ბიჭო თავისუფალია".** მართლაც, თითქოს თავისუფლები ვართ, მაგრამ გაუგებარია, რისგან. დიახ, თავისუფლება დღეს ხელისუფალთა და მოხელეთა თვითნებობის, სამართლებრივი და ზნეობრივი ანარქიის სინონიმად იქცა. სწორედ ამიტომ მატულობს ხელისუფლების კარზე პროტესტანტთა კაკუნის ხმა.

სამწუხაროდ, არ არის იმის არავითარი ნიშანი, რომ დღევანდელი ხელისუფლება რაიმე ელემენტარულს აკეთებს ქართული სახელმწიფოებრიობის შესაქმნელად. არადა, სახელმწიფოებრიობა მხოლოდ ტერიტორიული მთლიანობა როდია, ეს არის ხალხის წინაშე კოლოსალური პასუხისმგებლობა. და იმ გააზრებულ ღონისძიებათა კომპლექსი, რომელსაც ნაბიჯ-ნაბიჯ მივყავართ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისაკენ, ეკონომიკური უსაფრთხოების უზრუნველყოფისაკენ. **სახელმწიფოებრიობა არ ნიშნავს, დასავლეთის სხვადასხვა ფონდების წყალობის იმედად იყო და ხელფასს თავისი ჯიბიდან სოროსი გიხდიდეს.**

დღეს დაახლოებით ასეთი რამ ხდება: ზის ქვეყნის პრეზიდენტი და ფიქრობს, **„ვაითუ ბაბუ სოროსს თავი ვერ მოვაწონო და ამის გამო ხელფასი შემიმციროს, ამიტომ საჭიროა, კიდევ უფრო ავ-ურ-დავურიო სიტუაცია საქართველოში, და გავაუარესო მდგომარეობა, რომ ხელფასიც შესაბამისად გამეზარდოს".**

აი, თანამედროვე ქართული სახელმწიფოებრიობის აპოთეოზი. აი, „მიშისტების" პოზიცია.

**მაია ნიკოლეიშვილი: - როგორ ფიქრობთ, იყო თუ არა ოდესმე პოსტსაბჭოთა საქართველო დამოუკიდებელი?**

**იგორ გიორგაძე:** - ნუ მიწყენენ ჩვენი პირველი ტალღის ეროვნული გმირები, რომლებსაც თავიანთ ყველაზე დიდ დამსახურებად საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება მიაჩნიათ. **რატომ ვერ შევირგეთ ეს დამოუკიდებლობა? იმიტომ, რომ ზემოდან გვიბოძეს.** მის მისაღწევად ილუზიურ ბრძოლას ვაწარმოებდით ვითომდა არსებულ მონსტრთან, რომელმაც თითქოსდა ამ დამოუკიდებლობის მოპოვებისაკენ გზა გადაგვიღობა. არ ყოფილა ასეთი დაპირისპირებული მონსტრი, არ ყოფილა!

სახელმწიფო სტრუქტურებში მომუშავე **ჩვენმა თაობამ იცოდა, რომ ადგილებზე ხელისუფალთ ცენტრიდან აბსოლუტურად მკაფიო მესიჯი გაუგზავნეს - წინ არ აღუდგეთ ხელისუფლების სათავეში იმათ მოსვლას, ვინც მისკენ ისწრაფვის!** სინამდვილეში სწორედ ასე მოხდა.

ეს სულაც არ აკნინებს იმ ადამიანთა ღირსებას, ვინც მართლა ფიქრობდა, რომ თავად მოიპოვა ეს დამოუკიდებლობა. ვინაიდან **უხილავი მომენტები ხილული მხოლოდ დროის გადასახედიდან ხდება.** დარწმუნებული ვარ, ჩემს სიტყვებს ბევრი კრიტიკოსი გამოუჩნდება იმათ შორისაც კი, ვინც დღეს სოროსის წინააღმდეგ ბარიკადების ერთ მხარეს ვდგავართ... ისინიც კი გამაკრიტიკებენ: „როგორ, განა ჩვენ მიტინგებით არ მოვიპოვეთ ეს დამოუკიდებლობა?!"

**...ზემოდან ბოძებული დამოუკიდებლობა ვერ გამოვიყენეთ,** ყველგან კრემლის აგენტურას ვეძებდით, დავიწყეთ ანგარიშსწორება და შედეგად ხელოვნურად გამოწვეული შინა ომის ქარ-ცეცხლში აღმოვჩნდით. **საქართველოს დამოუკიდებელი რესპუბლიკის კანონიერად არჩეული პრეზიდენტი კი, რომელმაც ლამის ხმათა 100 პროცენტი მიიღო, ნახევარ წელიწადში საკუთარი სახელმწიფოდან განდევნილი აღმოჩნდა.**

ვინ ისარგებლა ამით? სხვა, **ანზარებიანმა, სრულიად „პრაგმატულმა" გუნდმა,** რომელსაც **შევარდნაძის გუნდი** შეგვიძლია ვუწოდოთ. და **მხოლოდ ახლა ხდება ეროვნული გამოფხიზლება,** მხოლოდ ახლა ვხვდებით, რომ პირველმა დამოუკიდებელმა და თავისუფალმა ხელისუფლებამ შეცდომები დაუშვა. მაგრამ ის, **რაც შემდგომმა ხელისუფლებამ - შევარდნაძის ხელისუფლებამ ჩაიდინა, მოსახლეობისათვის კიდევ უფრო საშინელი და საზარელი იყო.**

შემდეგ კი, **შევარდნაძის დროს გამოფხიზლებული ქვეყანა რეაქტიული სიჩქარით „მიშიზმში" გადავარდა.** ხალხს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრის **შევარდნაძის მოწაფეები** შეაჩეჩეს, რომლებმაც ახლა უკვე საქართველო ლაფში ამოსვარეს და შექმნეს სიტუაცია, როცა თავისუფლება, დამოუკიდებლობა და სახელმწიფოებრიობა ლიტონ სიტყვებად იქცა.

ახლა საქართველოში არ გვაქვს თავისუფლება, ვგულისხმობ კონსტიტუციურ და სამოქალაქო თავისუფლებას, პრესის თავისუფლებას, სიტყვის თავისუფლებას, დამოუკიდებელ სასამართლოს, აზრის თავისუფლად გამოხატვის უფლებას, არ გვაქვს სახელმწიფოებრიობა... **ჯერაც წარმოებს სამოქალაქო ომი საკუთარ მოსახლეობასთან: აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან.** ახლა უკვე იძაბება ურთიერთობა საქართველოს სომეხ და აზერბაიჯანელ მოსახლეობასთან. ნადგურდება ყველაფერი, რაც საქართველოს სახელმწიფოდ აქცევდა.

**მაია ნიკოლეიშვილი: - იცით, რა გამახსენდა. იმხანად შევხვდი ერთ მაშინდელ დეპუტატს, რაიონიდან ჩამოვიდა და მითხრა: „დარწმუნებული ვარ, რომ კომპარტიას არ სურს, შეინარჩუნოს... არ ცდილობს... წინააღმდეგობას არ უწევს. აქ რაღაც სხვა რამ ხდება..." ახლა კი თქვენ, ამდენი წლის შემდეგ, ადასტურებთ იმას, რაც იმ კაცმა მხოლოდ ივარაუდა. იქნებ, სცენარი მანამდე დაიწერა? მოვიდნენ ეროვნული ძალები, გაჩნდა ლოზუნგები... დაიწყო ბრძოლა, მერე კი რვა თვით თავისუფლება მოგვცეს. და ამით დამთავრდა...**

**იგორ გიორგაძე:** - ჩემი პროფესიის ადამიანებს შემთხვევითობის არ სჯერათ, ვინაიდან, როცა მოვლენას ხედავ, ხვდები, რა წარმოშობს მას... მაგრამ, **როცა მოვლენა ორჯერ-სამჯერ მეორდება, ნათლად იკვეთება კანონზომიერება, ტენდენცია.** თუმცა, არის კიდევ ერთი რამ, მაგრამ ამ თემის განვრცობა არ მინდა, რადგან არ მსურს, „შეთქმულების თეორიის" მომხრედ ვიქცე.

ერთ რამესაც დავძენ: ალბათ, ოდესმე ვინმე იტყვის, რომ **გინესის რეკორდების წიგნში შესაყვანია გორბაჩოვი, რომელმაც საკუთარ ტერიტორიაზე სომხებსა და აზერბაიჯანელებს შორის ჩათამაშებული ომი გააჩაღა და სანაცვლოდ მშვიდობის დარგში ნობელის პრემია მიიღო.**

**მაია ნიკოლეიშვილი: - გამოდის, საქართველო უნდა განვიხილოთ როგორც პოსტსაბჭოთა სივრცეში მიმდინარე მოვლენათა ერთგვარი მინი-მოდელი, ანუ გორბაჩოვი და მის გვერდით ქართველი - შევარდნაძე...**

**იგორ გიორგაძე:** - არა, მოდით, ახლავე განვაცხადოთ - **არა ქართველი, არამედ ქართული გვარის კაცი. რადგან მას ქართველის არაფერი სცხია...**

**მაია ნიკოლეიშვილი: - დიახ, გეთანხმებით. და კიდევ ერთი პარალელი: ჯორჯ ბუში და სააკაშვილი! იქნებ მაშინ შევარდნაძე იყო სანიმუშო, ახლა კი სააკაშვილია სანიმუშო...**

**იგორ გიორგაძე:** - არა, **კატეგორიული წინააღმდეგი ვარ, რომ არსაიდან მოსული პოლიტიკური პიგმეი სააკაშვილი, რბილად რომ ვთქვათ, ჩემთვის არცთუ საყვარელ შევარდნაძეს შევადარო.** ამ უკანასკნელს დიდი საბჭოთა პარტიული სკოლა ჰქონდა გავლილი, რომელიც საშუალებას აძლევდა, შეენარჩუნებინა თუნდაც რესპექტაბელურობა, იმის მიუხედავად, რომ სახელმწიფოსათვის დამღუპველ საქმეებს სჩადიოდა.

რაც შეეხება ბუშს... ის თავად წამოეგო ანკესს და მხარში ამოუდგა სააკაშვილს. სოროსის მიერ ნასაზრდოებ სააკაშვილსაც მეტი რა უნდოდა. მას მხოლოდ ერთი რამ სურდა: ამერიკის პრეზიდენტის გვერდით დამდგარიყო.

**დარწმუნებით, თუ ბუშს რეგულარულად მოახსენებენ, რას ნიშნავს „მიშიზმი" საქართველოში, ალბათ, ხელებს თავში წაიშენს...** ვიმეორებ: ყველაფერი რომ გაიგოს...

მინდა, ისევ თქვენს კითხვას ვუპასუხო და გითხრათ, რომ არაფრით შეიძლება იმის შედარება, რაც საბჭოთა საქართველოში ხდებოდა, და იმის, რაც ახლა ხდება.

**მაია ნიკოლეიშვილი: - ესე იგი, კავშირი სრულიად არ არის? ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს სრულიად ახალი ტალღაა და არა ძველი სქემის გაგრძელება?**

**იგორ გიორგაძე:** - არა, არა, ეს მხოლოდ იმას უკავშირდება, რომ საქართველოსა და სხვა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა სახით გვაქვს დიდი, წითელი იმპერიის ნამსხვრევები, რომლებმაც ინერციით იმპერიული აზროვნება დაგვიტოვა.

დიახ, **საბჭოთა იმპერიას მოწყვეტილებს მაშინვე გაგვიჩნდა უკვე ჩვენს ტერიტორიაზე სხვა ხალხების მიმართ იმპერიული ზრახვები. როგორ თუ აფხაზმა დამოუკიდებლობა გამოაცხადა?** დამოუკიდებელი მხოლოდ ქართველი შეიძლება იყოს. და **იმის ნაცვლად, რომ ჩვენს აფხაზ და ოს ძმებს მომავალ პოსტსაბჭოთა ცხოვრებაზე შევთანხმებოდით, დავიწყეთ მუქარა, მერე კი იარაღით ხელში ცხინვალსა და სოხუმში შევცვივდით...**

ახლა წითელი იმპერიის ნამსხვრევიდან სახელმწიფოდ უნდა ვიქცეთ. მაგრამ ვინ უნდა გააკეთოს ეს? ეს ჩიხია, ეს „მიშისტები" არსაიდან მოსული ხალხია. მათ რომ ვუყურებ, მახსენდება ფილმი „მონანიება". გახსოვთ, არავიძის პროტოტიპი ბერია რომ ეკითხება: **„დოქსოპულო, შენ დედა არ გყავს?" „მიშისტები" ჩემთვის კოლექტიური დოქსოპულოები არიან.**

გახსოვთ, რა ბრძანა სოროსმა? - **მომწონს საქართველო და კიდევ აფრიკის ერთიორი ქვეყანა,** ვნახო, ერთი, იქ რა გამომივაო... მისთვის ქართველებიც და პაპუასებიც ერთი და იგივეა, რაღა საქართველო და რაღა ბურკინა-ფასო, ამას მნიშვნელობა არა აქვს! სოროსს აქვს ფული, ამბიციები და გიგანტომანიის კომპლექსი: **ზოგი სათამაშო ჯარისკაცებით თამაშს სჯერდება, სოროსს კი ხალხების გადაადგილება და ეროვნული შენებით მანიპულირება სწადია.**

მარტო სოროსს რატომ ვახსენებ? იმიტომ, რომ არცერთი საღად მოაზროვნე და შორსმჭვრეტელი ოკეანისგაღმელი პოლიტიკოსი არ აირჩევდა მას, - სააკაშვილს ვგულისხმობ!

**ოკეანისგაღმა სპეცსამსახურებში ჩემს კოლეგებს სააკაშვილის და მისი გუნდის ტესტირება რომ მოეხდინათ, თავიანთი შენობის გვერდით მდებარე საზოგადოებრივ ტუალეტშიც კი აუკრძალავდნენ შესვლას, არათუ ქვეყნის მართვას!**

**მაია ნიკოლეიშვილი: - მათ ფიქრიც კი არ მოეთხოვებათ. „მერკურიანელებმა", რომლებსაც დარღვეული აქვთ არტიკულაცია და ბავშვობიდანვე ფსიქო-სექსუალური კომპლექსები სჭირთ, როგორც წესი, ერთი და იგივე კურსები გაიარეს დასავლეთის ერთი და იგივე ინსტიტუტებში.**

**ეს ზომბირება კი არა, კულტურულ-საგანმანათლებლო და აზროვნებითი დეგრადაცია გახლავთ, არა მხოლოდ საქართველოში, არამედ რუსეთშიც. ეს არის განათლების ანალიტიკური სისტემიდან ტესტურ სისტემაზე გადასვლა. ახლა არ ასწავლიან აზროვნებას, ანალიზს. ასწავლიან,**

# აკვნით იწყება

ამ ლოგოს დაბეჭდვით გაზეთ „მამულის“ რედაქცია ღიად აცხადებს, რომ სიამაყით დგება საზოგადოებრივი ორგანიზაცია „ანტისოროსის“ მხარდამჭერთა რიგებში. ვთვლით, რომ ეს არის მოძრაობა და ბრძოლა ჩვენში ყოველივე ქართულის გადასარჩენად.

ANTI СОРОС SOROS

**სწორად მონიშნონ პასუხი, თანაც თავად პასუხი კი პრიმიტიული და დაშტამპული ფრაზებით არის შედგენილი. ეს არის რეფლექტორული მოძრაობებისა და რეფლექტორული წარმოსახვის გამომუშავება!**

**იგორ გიორგაძე**: - **უთხრეს და მათაც გააკეთეს, თანაც გააკეთეს სწორხაზოვნად, A წერტილიდან B წერტილისაკენ, და მეტი არაფერი.**

**მაია ნიკოლეიშვილი**: **- სააკაშვილმა დაადასტურა, რომ საქმე, რომელიც თქვენზე შევარდნაძემ აღძრა, იურიდიული კი არა, პოლიტიკურია! საქართველოში ამას უკვე ბევრი ხვდება, საზოგადოებრივ აზროვნებაში თქვენ უკვე იმ ადამიანად გადაიქცევით, რომელსაც პოლიტიკური მოტივებით სდევნიან. როგორ გგონიათ, ამოწურეთ თუ არა სამართლებრივი რესურსები, რომლებიც ადასტურებს, რომ თქვენ წინააღმდეგ საქმე შეთითხნილია?**

**იგორ გიორგაძე**: - მსოფლიო დონის ორი ნიუ-იორკელი ადვოკატი ნახევარი წელი სწავლობდა ჩემს ეგრეთ წოდებულ საქმეს, რომლითაც შევარდნაძის ხროვა 1995 წლის 29 აგვისტოს მათ პატრონზე თავდასხმის ორგანიზებაში მდებდა ბრალს. ამ გამოცდილმა ადვოკატებმა დადეს დასკვნა - **ის მასალები, რომლებსაც ჯერ შევარდნაძის, მერე კი სააკაშვილის „სამართალდამცავები“ ჩემ წინააღმდეგ საქმის მასალებად მიიჩნევენ, იურიდიული აბსურდია და ჩემი დევნისათვის არანაირი საფუძველი არ არსებობს...** სწორედ ამის თაობაზე უთხრეს მსოფლიოში ცნობილმა და მაღალი რეპუტაციის მქონე ადამიანებმა, ფინანსურმა მაგნატებმა სააკაშვილს, რაზეც მან წარბშეუხრელად უპასუხა: **„...ჰო, ვიცი, შევარდნაძის დროს შეიძლებოდა იურიდიული შეცდომები მომხდარიყო, მაგრამ საქართველოში გიორგაძის დაბრუნება იურიდიული საკითხი არ არის. გიორგაძის დაბრუნება პოლიტიკური საკითხია“.**

**მაია ნიკოლეიშვილი**: **- იქნებ დროა, ეს კაზუსი პოლიტიკურ და საზოგადოებრივ დონეზეც წარმოაჩინოთ?**

**იგორ გიორგაძე**: - ეს უკვე გავაკეთე. მე მემარცხენე-ცენტრისტული პარტია „სამართლიანობის“ ლიდერი ვარ. ღვთის წყალობით, **იმის იმედი მაქვს, რომ მომხრეებთან და თანამოაზრეებთან ერთად სოროსის ბოშია ხელისუფლების წინააღმდეგ ბარიკადების ერთ მხარეს დავდგებით.**

ვის რა უნდა ვუმტკიცო? **მართლმსაჯულება, თქვენც მშვენივრად მოგეხსენებათ, საქართველოში არ არსებობს.** „მიშისტები“ „სოროსღრუტუნებთან“ ერთად ფიქრობენ, რაკი ძია სოროსი თავისი ჯიბიდან უხდით, ხოლო ძია ბუშმა ერთხელ მათთან სურათი გადაიღო, ახლა ყველაფრის ნება აქვთ. მაგრამ, მერწმუნეთ, ასე არ არის...

**მაია ნიკოლეიშვილი**: **- ანუ საქართველოში აღარ გვჭირდება ქარიზმატული ლიდერი...**

**იგორ გიორგაძე**: - სავსებით. მაგრამ, ვფიქრობ, აქ ქარიზმატულობა უფრო ფართოდ უნდა გავიგოთ, ვიდრე რომელიმე კონკრეტული პირის ქარიზმა. გვეყოფა ქარიზმატიკოსები, **მშვიდი, აბსოლუტურად ჩამოყალიბებული, დინჯი, პრაგმატული ხელმძღვანელობა გვჭირდება,** რომელიც პროფესიულად, დაშვებული შეცდომებისა და მიღწევების გათვალისწინებით ააგებს იმას, რასაც ეწოდება **თავისუფლება,** იმას, რასაც ეწოდება **დამოუკიდებლობა** და იმას, რასაც ეწოდება **სახელმწიფოებრიობა**.

**მაია ნიკოლეიშვილი**: **- თავს ასეთ ადამიანად მიიჩნევთ?**

**იგორ გიორგაძე**: - მე, რომ იტყვიან, შინაგანად შეძენილი საკმაო გამოცდილება მაქვს. **ვიცი, რას ნიშნავს, იყო პოლიტიკოსი, რომელიც მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობს და რას ნიშნავს, იყო პოლიტიკოსი, რომელიც სახელმწიფოზე ფიქრობს.** ნება მიბოძეთ, კიდევ ერთი წიაღსვლა გავაკეთო: **სასაცილოა, რომ სააკაშვილს მის მიერ შეგროვილი „ჰიტლერიუგენდის“ იმედი აქვს.** 5000 ახალგაზრდას „კოკა-კოლით“ გაუმასპინძლდა, ასწავლა, როგორ იძრომიალონ ბუჩქებში და გადაწყვიტა, რომ ახლა მისთვის თავს დადებენ, ცოცხალ ფარად აეფარებიან. **სასაცილოა. ასეთი რამ არ მოხდება, რა თქმა უნდა, არ მოხდება.** არავინ იბრძოლებს **„სამშობლოსათვის, სააკაშვილისთვის“,** ხელისუფლებას ასეთი რესურსი არ აქვს, არ დაუმსახურებია. ვინ არიან ისინი ახალგაზრდებისათვის? **საქართველოს არ სჭირდება უფასო „კოკა-კოლას“ ჩამომრიგებლები, „მიშას“ და ოფიციანტის ნაზავი...**

ასე რომ, დღეს „სამშობლოსათვის, სააკაშვილისათვის“ არათუ ტანკს შეებრძოლება ვინმე, ქუჩაშიც კი არ გამოვა!

მაგრამ, თუ საჭიროა (თუმცა, ჯობია, საჭირო არ გახდეს, გვეყოფა!), კაცმა „სამშობლოსათვის“ მაინც უნდა გაიბრძოლოს. სამშობლოს გრძნობა ჩვენში უნდა ცოცხლობდეს, სამშობლო კი აკვნით იწყება. **იგი საბანკო ანგარიშით არ უნდა იწყებოდეს და მთავრდებოდეს.** სამშობლოს გრძნობა ყალიბდება ოჯახში, ბაგა-ბაღში, სკოლაში... არა ამ თანამედროვე სკოლებში, სადაც 13 წლის გოგონებს უხსნიან, სად არის ეროგენული ზონები (თითქოს თვითონ არ იცოდეს), არამედ იქ, სადაც ბავშვი უბედურ დღეში ჩავარდნილ კნუტს რომ დაინახავს, თანაგრძნობით ატირდება და ეცდება, დაეხმაროს.

**მაია ნიკოლეიშვილი**: **- რა მოგვიტანა ერთპოლუსიანმა პოლიტიკამ საქართველოში? ოპოზიციას, პრაქტიკულად, არაფრის შეცვლა არ ძალუძს. ვეძებდით მიზეზს: რატომ? სუსტია? ვინმეზეა დამოკიდებული? უმოქმედოა? იქნებ, იმიტომ, რომ ერთპოლუსიანი, პროდასავლური პოლიტიკა გვაქვს. ჩვენ ხომ, პრაქტიკულად, კოლონიას წარმოვადგენთ. სწორედ ერთპოლუსიანი პოლიტიკა იწვევს დაჭაობებას, ხოლო ჭაობის ამოშრობა მეორე პოლუსის გახსნით, ანუ რუსეთთან და იმ რუს პოლიტიკოსებთან ურთიერთობის აგებით შეიძლება, რომლებსაც საქართველოსთან კეთილმეზობლური ურთიერთობა სურთ.**

**იგორ გიორგაძე**: - ჩვენ გვავიწყდება მამაპაპისეული ორიენტირები. აი, ნახეთ, ვამბობთ, რომ საკუთარი დამოუკიდებელი სახელმწიფოს აშენება გვინდა, თვალი კი ვაშინგტონის „პარტიის საოლქო კომიტეტისაკენ“, გვიჭირავს...

ახლა ერთგვარი რეცეპტი - მეორე პოლუსის შექმნას ველოდოთ თუ მისი შექმნა დავაჩქაროთ? დიახ, **ეს პოლუსი თავად შეიქმნას!!!.** სრულიადაც არ ვფიქრობ, რომ რაღაც პოლუსი საქართველოში უნდა „მოათრიო“. უბრალოდ, ჩვენს ბრძენ ხალხს საშუალება უნდა მისცე, თავად განსაზღვროს, რა და როგორ! **ჩვენი ქართველი გლეხი ბუნებით დიპლომატია, ერთი თავით სჯობია მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობათა სახელმწიფო ინსტიტუტის კურსდამთავრებულს, ოღონდ ხელი არ უნდა შეუშალო, ისე მოიქცეს, როგორც საუკუნეთა განმავლობაში იქცეოდა.** ხალხს უნდა მივცეთ შესაძლებლობა, იყოს ისეთი, **როგორიც არის**. და გარწმუნებთ, რომ არავითარი მეორე პოლუსი არ დაგვჭირდება, და არც პირველი, არც მესამე.

დღეს კახელ გლეხს მინისტრისაგან ესმის: „თქვენგან ყურძენს ამ ფასად ვერ ვიყიდით, რადგან მაშინ საქართველოში ინფლაცია იქნება. ჰოდა, დალპეს თქვენი მოსავალი“. კახეთში უკვე მიმდინარეობს ყურძნის რევოლუცია, გორში - ხილბოსტნეულის. რისთვისღა გვჭირდება მეორე პოლუსი? ჩვენს ყურძენს ამერიკაში არავინ იყიდის და არც ვაშინგტონის „პარტიის საოლქო კომიტეტი“ შეგვიქმნის დამამზადებელ პუნქტებს, რათა თურქეთში ღვინო დაგვიწურონ. **სამაგიეროდ, საუკუნეებია, რაც რუსეთისაკენ გზა არსებობს. განა საჭიროა, ეს გლეხს ავუხსნა? არ არის საჭირო.**

მე არც პრორუსული და არც პროდასავლური მიმართულების ვარ. პროქართული მიმართულების გახლავართ. მინდა, რომ ქართველ ხალხი თავად დაფიქრდეს და მიეცეს შესაძლებლობა, გამოთქვას ის, რაც მოიფიქრა.

**საქართველოში მეორე პოლუსის მოთრევა კი არა, საქართველოდან სოროსის ლექის გათრევაა საჭირო.** პოლიტიკური ასპარეზი უნდა გაიწმინდოს და ხალხს ვუთხრათ: **„იფიქრეთ!“** და კი არ უნდა დავაშინოთ ხალხი, ტელეეკრანებიდან ზომბებად კი არ უნდა ვაქციოთ, ჟურნალისტებს „შეკვეთებისათვის“ კი არ უნდა ვუხადოთ, არამედ უნდა განვაცხადოთ: **„ხალხო, ჩვენ ხომ ჩვენთვის ვაშენებთ და არა ვაშინგტონისათვის, სოროსისათვის, კრემლისათვის, სტამბოლისათვის“.** მოდით, რეფერენდუმი გავმართოთ, დავურიგოთ ადამიანებს ბიულეტენები, ჩაწერონ, რა უნდათ... ჩვენ კი გამჭვირვალე ყუთებითაც უზრუნველვყოფთ, გამჭვირვალე არჩევნებითაც და გამჭვირვალე კონტროლითაც!

აი, მაშინ ნახავთ, რომ ბრძენი ქართველი ხალხი, და არა მარტო ქართველი ხალხი, არამედ ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები ყველა ხალხი, მშვიდად იტყვის **„თქვენ, რა, გვასულელებთ? ეს მცირეწლოვანი „სოროსღრუტუნა“ პოლიტიკოსები მოგვაშორეთ“...**

და მერე შევაგროვოთ ეს „სოროსღრუტუნები“, ცელოფანში გავახვიოთ და იმ ვარდთან და ბაბუ სოროსთან ერთად თავის გზას გავუყენოთ. მათ საქართველოსთან საერთო არაფერი აქვთ, **ისე, შემთხვევით დაიბადნენ ამ ტერიტორიაზე.**

**მაია ნიკოლეიშვილი**: **- ესე იგი, პოლიტიკური მუქთახორობის ნაცვლად პოლიტიკური პრაგმატიზმი.**

**იგორ გიორგაძე**: - მართალია.

**მაია ნიკოლეიშვილი**: **- ახლა ირანის საკითხი. ირანთან შეერთებული შტატების ომის დაწყების ალბათობა და საქართველო - როგორც პლაცდარმი...მგონი, ეს რეალობაა. როგორია თქვენი პოზიცია?**

**იგორ გიორგაძე**: - რაც შეეხება ირანს. არც მისანი ვარ და არც წინასწარმეტყველი, მაგრამ ირანსა და შეერთებულ შტატებს შორის მხოლოდ დაძაბულობას კი არა, ომის დაწყების საშიშროებას ვხედავ. იგი გარდაუვალია, ამისათვის არ არის საჭირო, იყო ანალიტიკოსი, საკმარისია, რუკა დაიდო და შეხედო იმ რეგიონს, თუ სად არის ახლა განლაგებული სამხედრო ბაზები შუა აზიაში, სად მიმდინარეობს ერაყთან ომი, სად დგანან შეერთებული შტატების ჯარები ავღანეთში... და მიხვდები, თუ როგორ ვიწროვდება რკალი ირანის გარშემო. სრულიად ცხადი ხდება, რომ საქმე იმას კი არ ეხება, თუ ვინ გააკონტროლებს დედამიწაზე ნავთობის უკანასკნელ წვეთებს. ვინც გააკონტროლებს, ეს სრულიად ნათელია - შეერთებული შტატები. მაგრამ, თურმე, ურჩ ირანელებს ეს არ სურთ. მოდით, გავაანალიზოთ: ავღანეთმა თავის დროზე უფსკრულში ჩაითრია ინგლისელები და საბჭოთა კავშირი, ახლა კი შეერთებულ შტატებს ითრევს. **ნებისმიერი, ვინც ავღანეთში ფეხს ჩაადგამს, საფლავს იქ იპოვის.** ამას გიცხადებთ როგორც ადამიანი, რომელიც იქ იყო, ყველაფერი საკუთარი თვალით ნახა, ურთიერთობა ჰქონდა ამ ქვეყანასთან და ახლაც კეთილად იგონებს მას. ეს ერთი. მეორე - ერაყი. ზოგიერთი მეცნიერის მონაცემებით, ნავთობის უკანასკნელი წვეთი საუდის არაბეთში კი არა, ერაყშია. უზარმაზარი საბადოები უშუალოდ ბაღდადის ქვეშაა.

ირანი ვიღაცას მოსწონს, ვიღაცას - არა. მე ირანს ვუყურებ, როგორც სახელმწიფოს, რომელიც იმ რეგიონშია, სადაც ჩემი ქვეყანა მდებარეობს. არსებობს დიდი კავკასიონის ექვსი სახელმწიფო, რომელთა საერთო მოსახლეობა 280 მილიონი კაცია: რუსეთი, საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, თურქეთი და ირანი. და მაინც, ირანი ეს მხოლოდ დიდი კავკასიონი კი არა, ეს კიდევ სპარსეთის ყურეა, ეს ნავთობია. გარდა ამისა, **ეს არის სახელმწიფო, რომელიც მტრულადაა ისრაელისადმი განწყობილი.** ყოველივე ეს მაძლევს საფუძველს, ვივარაუდო, რომ ჩემი სამშობლო - **საქართველო განიხილება მხოლოდ როგორც მსოფლიო ბატონობისათვის ბრძოლაში დიდი ოპერაციის განხორციელებისას საიერიშო აეროდრომი.**

მაგრამ რა ვქნა, რომ არ მინდა, საიერიშო აეროდრომი ვიყო, მენანება საქართველო ასეთი ხვედრისათვის. არც აეროდრომი მინდა, ვიყო. მინდა, ვიყო საერთაშორისო აეროპორტი, გულგახსნილი და სტუმართმოყვარე მასპინძელი. **არ მინდა და რა ვქნა, რომ ჩემი წინაპრების საფლავებიდან თვითმფრინავები ვიღაცის დასაბომბად ილებდნენ ბეზს.** მნიშვნელობა არა აქვს, ვისი, - საერთოდ არ მინდა, რომ ვინმეს ბომბავდნენ. ასეთია ჩემი ხედვა.

**მაია ნიკოლეიშვილი**: **- აქედან გამომდინარე, დაიმკვიდრებს თუ არა ტერორიზმი ადგილს საქართველოში, რომელიც ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკის გამტარებელია?**

**იგორ გიორგაძე**: - რას გულისხმობთ? კავკასიის ომს? ჩემო კარგებო, მოდით, ახლავე გავარკვიოთ - **არ ვაღიარებ საერთაშორისო ტერორიზმის მხარდამჭერ არცერთ მოძრაობასა და მიმდინარეობას. მე იმათ მხარეზე ვარ, ვინც თავგამოდებით ებრძვის საერთაშორისო ტერორიზმს, ვინც მსოფლიოს ნებისმიერ რეგიონში მოძებნის ტერორისტებს და გაანადგურებს მათ.** მაგრამ, როცა მეუბნებიან, რომ ყოველდღე ბაღდადში კამიკაძე ტერორისტები თავს იფეთქებენ, ამასთან, სასიკვდილოდ წირავენ უცხოელ ჯარისკაცებს და იმათ, ვინც საოკუპაციო ჯარებთან თანამშრომლობს, ეს პარტიზანული ომი მგონია. და **ერთ მშვენიერ დღეს საქართველოც შეიძლება გახდეს მათი იერიშის ობიექტი,** მე კი ეს არ მინდა. და რა მოჰყვება ამას საქარ-



# ანგარიშით

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# იგორ გიორგაძე

საუბარი შინაურულ წრეში

# სამშობლო აკვნით იწყება!

*დასაწყისი მე-8 გვერდზე*

თველოში, სადაც ცხოვრობს მუსლიმანთა ერთი ნაწილი, თუნდაც, მცირე, და რა მოჰყვება ამას იმ აზერბაიჯანელებისათვის, რომლებიც საქართველოში ცხოვრობენ და ქვეყნის მოქალაქეები არიან?

დარწმუნებული ვარ, რომ ირანს, როგორც კავკასიის რეგიონის სრულფასოვან მონაწილეს, ეყოფა ძალა და საშუალებები, პასუხი გასცეს იმ ქვეყნებს, რომლებიც მის წინააღმდეგ აგრესიაში მიიღებენ მონაწილეობას. ვფიქრობ, ასეც მოხდება.

ახლა მოდით, ცოტა გადავუხვიოთ თემას. როგორ **გგონიათ, სააკაშვილს ამაზე უფიქრია? სულაც არ ადარდებს, მისთვის მთავარია, ბუჩქებში იძრომიალონ...**

დაბეჯითებით გეუბნებით, **უახლოეს ხანში ახლანდელ ხელისუფლებას საქართველოდან კინწისკვრით გააგდებენ,** მის ადგილს უაღრესად დინჯი, პრაგმატული, გონიერი ხელისუფლება დაიკავებს. **მოვლენ ყოველგვარი სოროსის დაუხმარებლად.** რადგანაც ამის დრო დგება. რადგანაც ეს უკვე მომწიფდა. გაერთიანდებიან ისეთი სახელები, ისეთი გვარები, ისეთი სახეები, რომელთა შესახებაც შარშანწინ ვერავინ იფიქრებდა, რომ ბარიკადების ერთ მხარეს აღმოჩნდებოდნენ.

**მაია ნიკოლეიშვილი: - ხალხი ყველაფერს ხვდება, მაგრამ მკაფიოდ ვერ აყალიბებს თავის სურვილს.**

**იგორ გიორგაძე:** - რა თქმა უნდა, ხვდება. მაგრამ ძნელია, იფიქრო, შეადარო, გააანალიზო და ჩამოაყალიბო, როცა დილიდან საღამომდე ეკრანზე მხოლოდ სააკაშვილს ხედავ: აი პირი გააღო, აი ააშენა, აი დაჯდა, აი წაიქცა... იმასაც არ გაგებინებენ, რა ხდება, მხოლოდ ის უნდა ჩანდეს, ცოტაოდენი მართალი ინფორმაციაც კი სანატრელია.

**მაია ნიკოლეიშვილი: - ამასწინათ აჭარაში ვიყავი, ქობულეთში, ხალხი შეძრწუნებულია, ისეთი ამბები ხდება. მაგალითად, ქობულეთში საავადმყოფო, როგორც ამბობენ, ნატოელებს მიჰყიდეს, უკვე იქ არიან, სამხედრო ჰოსპიტლად ამზადებენ. აეროდრომსაც, როგორც თქვენ ბრძანეთ, ამოწმებენ - ვარგისია თუ არა. სულელიც კი მიხვდება, რას აპირებენ... ხალხს კი, ბრძენ აჭარელ ხალხს, მშვენივრად ესმის, რომ აქ დაჭრილებს ჩამოიყვანენ, აქედან ვერტმფრენები აფრინდებიან...**

**იგორ გიორგაძე:** - საზარელია ადამიანებით მანიპულირება, რომლებსაც ნორმალური ცხოვრება სურთ. სურთ, იმუშაონ და იცხოვრონ. **მაგრამ არა ძია სემისთვის, არამედ საკუთარი თავისთვის და საკუთარი ქვეყნისთვის.** მაგრამ სააკაშვილი ვერაფერს შემოგვთავაზებს, მას სხვა მიზნები აქვს - რაც შეიძლება მალე აქციოს საქართველო ნატოელებისა და მათი დამქაშების პლაცდარმად. და ხალხის მოსყიდვას ცდილობენ, პრიმიტიულად ცდილობენ. ეუბნებიან, ჰოსპიტალს ავაშენებთ და შეიძლება სანიტრის ადგილზე იმუშაო, ქოთნები გარეცხო ან მეხუთე მცველის ადგილი დაიკავოო. **ადამიანებს, რომლებსაც არანაირი სამუშაო არა აქვთ, თანხმდებიან ამას.** მართალია, თავს დამცირებულად გრძნობენ, მაგრამ სხვა რა გზა აქვთ?

**მაია ნიკოლეიშვილი: - დიახ, სწორედ ამგვარი სამუშაო ადგილები იქმნება: მომსახურე პერსონალის, რომელსაც არავინ არაფრად აგდებს. საქართველოში ხომ დღეს არანაირი წარმოება არ არსებობს, ყველაფერი გაჩერებულია. გარდა „ბორჯომისა“, მაგრამ ამას ხუმრობით ვამბობ, რადგან ეს წყალი მიწიდან ამოდის... ყველაფერი ერთად ბადებს აზრს, რომ ქვეყანა მზადდება როგორც პლაცდარმი... არავითარი ინვესტიცია, არაფერი.**

**იგორ გიორგაძე:** - დიახ, ასეა.

**მაია ნიკოლეიშვილი: - ამერიკაზე რა აზრის ხართ?**

**იგორ გიორგაძე:** - ამერიკაზე? მომწონს ამერიკა როგორც საოცრად გამბედავი, საზრიანი, ფანტასტიკურად ნიჭიერი ადამიანების ქვეყანა... მაგრამ, თუ ამერიკის პოლიტიკის, რომელიღაც ადმინისტრაციის შესახებ მეკითხებით, აქ სულ სხვა აზრი მაქვს. ამერიკის პოლიტიკისადმი ჩემი დამოკიდებულება ისეთივეა, როგორიც დღეს პლანეტის მოსახლეობის უმრავლესობისა - სულგანაბული მივჩერებივართ: რამდენად შორს გაავრცელებს ამერიკა თავის გავლენას. განა ვერ ვხედავთ... სულაც არ ვფიქრობ, რომ თალიბების ალაგმვა საჭირო არ იყო, მაგრამ, არა მგონია, რომ ეს იმგვარად უნდა გაეკეთებინათ, როგორც გააკეთეს. **ავღანეთიდან ნარკოტიკების ნაკადი მხოლოდ გაიზარდა.** სავსებით დარწმუნებული ვარ, რომ ამერიკის პოლიტიკას მეორე პოლუსი რომ გაუჩნდეს, ამ ამბიციებს დაუოკებდა.

შევარდნაძეს მიაჩნდა, რომ **საქართველო ამიერკავკასიის ისრაელი უნდა ყოფილიყო.** მე კი ვთვლი, რომ **საქართველო დიდი კავკასიის შვეიცარიად უნდა ვაქციოთ,** სადაც სიამოვნებით დაისვენებს და იშრომებს ხალხი. რა თქმა უნდა, ეს საქართველოს არაერთი თაობის ოცნებაა...

ისევ მიწაზე დავეშვათ... გაჰყვირის სააკაშვილი: „კარგია, რომ ჩვენთან ბაზები არ იქნება“. საკითხავია, რომელი ბაზები? მხოლოდ რუსეთის? მაშ, მოდით, გულახდილნი ვიყოთ - მაშინ არანაირი ბაზა არ იყოს... და თუ ბაზები მაინც საჭიროა, მაშ, რატომ არა რუსეთის? ისინი რა, ტერორისტების მომხრენი არიან? არა. იქნებ, თურქეთის ბაზები განვალაგოთ? უფრო ახლოს არიან, რაღა შორიდან ჩამოვიყვანოთ, მოდით, თურქეთის განვალაგოთ... ან, იქნებ, ირანის?

მე კი, მართალი გითხრათ... თუმცა, ვიცი, რომ ეს მდიდარი ქვეყნების პრივილეგიაა, **ხვალიდანვე სიამოვნებით გამოვაცხადებდი საქართველოს ნეიტრალურ ქვეყნად.** ჩამობრძანდით, რუსებო, გერმანელებო, ამერიკელებო, სომხებო, ლატვიელებო, ყველას გიმასპინძლებთ... მაგრამ ეს ჯერ მისაღწევია...

**მაია ნიკოლეიშვილი: - და ჩვენთვის მტკივნეული თემა - აფხაზეთი და ოსეთი...**

**იგორ გიორგაძე:** - ვფიქრობ, რომ **ჩვენმა გაერთიანებამ „ანტისოროსმა“, რომელიც სოროსელებს შეცვლის, არ უნდა გააჟღეროს ამ პრობლემის გადაწყვეტის ნიუანსები.** როცა ღვთის წყალობით მოვალთ, სხვაგვარ მიდგომას შევთავაზებთ... გარწმუნებთ, ვერც კი წარმოიდგენს ვინმე, როგორ მივუდგებით ამ საკითხის გადაწყვეტას. ერთადერთი, რაც დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, არ გვექნება 300 მილიონი დოლარის სამხედრო ბიუჯეტი, იმის მტკიცების ფონზე, რომ მშვიდობიანი გზით გვინდა გადავჭრათ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრობლემა.

ასეთი პრობლემა სინამდვილეში არ არსებობს. პრობლემა სხვაა - **ჩვენი აფხაზი და ოსი ძმების მიმართ საქართველოს ყოფილ მბრძანებელთან სისხლით შეფერილი უტიფრობა.** მას ნამდვილად მშვიდობიანად გადავწყვეტთ, თუმცა, არა ცალმხრივი წესით. „მიშისტები“ და „სოროსლორუტუნები“ გაჰყვირიან: „შევძლებთ ამას, გადავწყვეტთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხს...“ **ჰკითხე კი იქითა მხარეს, სურს თუ არა შენთან ლაპარაკი?** ან ვინ დაელაპარაკება, როცა პირზე დუჟმომდგარი ამტკიცებ, - ხუთი წლის მერე კი არა, ერთ წელიწადში ნატოში ვიქნებიო. ჰკითხე კი, ჯერ ერთი, საკუთარ ქართველ მოსახლეობას, მერე კი ოსებსა და აფხაზებს, გამოგყვებიან თუ არა? მოაწყვე თუ არა რეფერენდუმი? **ვინ გითხრა, რომ ნატოში ან, საერთოდ, რომელიმე სამხედრო ბლოკში გაერთიანება უნდათ...** ამიტომაც, ეს ვაიპოლიტიკოსი ვიგინდარები, ძია სოროსმა რომ გამოგვიგზავნა, ერთად უნდა შევკრიბოთ და ცხრა მთას იქით მოვისროლოთ!

**მაია ნიკოლეიშვილის მინაწერი:** ***კარებზე დააკაკუნეს. მივხვდი, ჩემი წასვლის დროა. ნეტა, რამდენ ხანს ვსაუბრობდით? გენერალ-ლეიტენანტს დავემშვიდობე. ის მარტო დარჩა შინდისფერ ოთახში, საქართველოსგან ათასობით კილომეტრის დაშორებით.***

***მე გავფრინდები, რამდენიმე საზღვარს გადავკვეთ, მისთვის კი ის, მთავარი, სამშობლოს საზღვარი, ჯერჯერობით ოფიციალურად დაკეტილია.***



„უახლოეს ხანში ახლანდელ ხელისუფლებას საქართველოდან კინწისკვრით გააგდებენ...“

**ღიად!**

# ჟიული შარტავა ვერ დააჩოქეს და ამიტომ ჩაცხრილეს, მისი ვაჟკაცობის ამბავს რუსი პოლკოვნიკი ადასტურებს



**დოსიე: ჯიმი სხირტლაძე, პოლიციის გადამდგარი პოლკოვნიკი, ოთხჯერ იყო თბილისის ავტოინსპექციის უფროსი, ორჯერ — ქალაქის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე, პოლიციის აკადემიის კათედრის გამგე, რვა წელიწადი — ისნის რაიონის პოლიციის უფროსი, ხუთი წელიწადი კი — გარე სამსახურის უფროსი. დაჯილდოებულია ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენით.**

— ამ დილით ჟიულის საფლავზე ვიყავი. მერე თქვენი გაზეთი ვიყიდე. წავიკითხე, რომ ჟიული შარტავა ვერ დააჩოქეს ბანდიტმა სეპარატისტებმა და დახვრიტეს. გიდასტურებთ, რომ მართლაც ასე იყო..

*1993 წლის 2 ნოემბერს* ***ჯიმი სხირტლაძე*** *ფოთის სამხედრო კომენდანტად დანიშნეს. მოგეხსენებათ, მაშინ შიდაეროვნულმა დაპირისპირებამ პიკს მიაღწია. რესპონდენტმა მუქი სათვალის მიღმა ცრემლის დამალვა სცადა და აი, რა მოგვითხრო:*

— ფოთში იმ დროს შემოსული იყო შავი ზღვის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დესანტი, რომელსაც ფლოტის ადმირალის — ბალტინის პირველი მოადგილე, **პირველი რანგის კაპიტანი მაქსიმოვი** მეთაურობდა.

პირველსავე საღამოს შევხვდი მას. ვისაუბრეთ. კატეგორიულად მოვითხოვე, რომ მედესანტეებს (სულ 28 კაცი იყო) ჩემთან შეუთანხმებლად არ ემოქმედათ.

მაქსიმოვმა სადესანტო გემზე მიმიპატიჟა და იქ, შეიარაღებაზე ლაპარაკისას, მითხრა, რომ მათ განკარგულებაში იყო სწრაფმავალი კატარღა, რომელიც საათში 260-280 კილომეტრს ავითარებდა და ამ დროს ერთი საზამთროც რომ მოხვედროდა, აფეთქდებოდა. ასეთი კატარღით წასულან 27 სექტემბერს სოხუმიდან ედუარდ შევარდნაძისა და ჟიული შარტავას გამოსაყვანად.

**— ვისი განკარგულებით?**

— ელცინის ბრძანება მიუღიათ: შეუნარჩუნეთ სიცოცხლე შევარდნაძესა და შარტავას **ჩემმა მასპინძელმა ხაზი გაუსვა** — შარტავასო. ოპერაციის ჩასატარებლად სანაპიროს რომ მივუახლოვდით, ცეცხლი გაგვიხსნესო. გაჰკვირვებიათ: ზესაიდუმლო ოპერაცია იყო და რა მოხდა, ვერ გაიგეს — ქართველების საშველად მოდიოდნენ და ქართველებმა ესროლეს! დესანტი უკან გაბრუნებულა.

*ჯიმი სხირტლაძემ კარგა ხნის შემდეგ გაიგო ოპერაციის ჩაშლის მიზეზი: ჩვენებს უსვრიათ — უცხო კატარღა იყო, ვერ მოვარტყით, მაგრამ იქაურობას მოვაცილეთო.*

— ასეთი გაუგებრობა, რომელიც ხშირად საკუთარი თავის მტრობაზე უარესი იყო, იმიტომ ხდებოდა ხოლმე, რომ ჩვენს შეიარაღებულ ფორმირებებთან, პრაქტიკულად, არავითარი კავშირი არ არსებობდა.

როცა მინისტრთა საბჭოს შენობიდან ჟიული შარტავა გამოვიდა, თავზეხელაღებულმა ბანდიტებმა იგი თავიანთ ხელმძღვანელობასთან წაიყვანეს (ოღონდ არა არძინბასთან). ახალ ათონთან მანქანიდან გადმოსვეს და დაჩოქება უბრძანეს. ჟიულიმ არ დაიჩოქა. ვიღაცამ ხელი მოუქნია. ამაყი კაცი ამას როგორ მოითმენდა და შეაფურთხა! ახალგაზრდამ, ჯერ კიდევ ბიჭმა, რომელიც ბობოქრობდა, შემართა ავტომატი და დაცხრილა.

ვიღაც **პაპაშუა თუ პაპასკუა,** ეგებ **პაპასკირი** იყოო ის თავზეხელაღებული, — მითხრა მაქსიმოვმა.

**— საიდან გავიგეო?**

— ჩვენებმა მითხრესო. გმირულად მოიქცა, არ დაემორჩილა, ვერ გატეხეს და ამიტომ მოკლესო. გაოგნებულები დარჩნენ ჩვენები ასეთი გმირობისა და ვაჟკაცობის ხილვითო, — ასე ყვებოდა პოლკოვნიკი მაქსიმოვი.

ამ სცენას რომ წარმოვიდგენ, ვაჟას ზვიადაური მახსენდება: „ძაღლ იყოს თქვენი მკვდრისადა!“

ეს ამბავი არავისთვის მომიყოლია. პირველად თქვენ გეუბნებით — „მამულის“ რედაქციას, რაც ჟიულიზე დაწერილმა წერილმა გადამაწყვეტინა, რომელიც თქვენი გაზეთის მე-20 ნომერში გამოქვეყნდა.

*ესაუბრა*

**არმაზ სანებლიძე**



**ნატალია პეტროვნავ! ეს წერილი ერთი წლის წინათ დაიწერა! ვწუხვარ, რომ კიდევ ერთხელ გახსენებთ თქვენი გაზეთის არაობიექტურობას, დამარცხებულის ამპლუაში თქვენს ყოფნას. და იმას, რომ ამ წერილის დაბეჭდვა ვერ გაბედეთ საკუთარსავე გაზეთის ფურცლებზე, და არც თანამშრომელი აღმოგაჩნდათ ისეთი, ვინც ღირსებას დაიცავდა და პასუხის გაცემას გაბედავდა. ყოჩაღ! გრცხვენოდეთ თქვენი გაზეთის ფურცლებზე დამჩნეული თქვენსავე სახელ-გვარის გამო... და დამარცხებული კაცის დუმილის გამო. მე ვამაყობ თქვენით!**



1960 წელი, გაეროს სხდომა, ნიკიტა ხრუშჩოვი ოფლიან ფეხსაცმელებს იხდის და მაგიდაზე უბრახუნებს

### ღია წერილი გაზეთის "Русский базар" რედაქტორს, ქალბატონ ნატალია შაპიროს

# მე პატარა ვარ, შენ დაპატარავებული!

ძვირფასო კოლეგავ...

ნატალია პეტროვნავ,

კოლეგიალობა მაიძულებს მოგმართოთ პირადად თქვენ და არა თქვენი რედაქციის ავტორს, ჟურნალისტს რომ უწოდებთ და ჟურნალისტიკის მართლა არაფერი გაეგება.

მოგმართავთ ჩემი პატრიოტული გრძნობების შეურაცხყოფის გამო და იმიტომაც, რომ თქვენი გაზეთის ფურცლებზე თქვენსავე ავტორმა უზნეობა გამოავლინა და ფეხქვეშ გათელა ჟურნალისტის რეპუტაცია, გამოავლინა რა თავი როგორც არაპროფესიონალმა, მოსყიდულმა და თავი „ისახელა" როგორც ქართველი ერის მოძულემ და შოვინისტმა.

ჩვენ (ქართველები) სიყვარულს არავის არ ვაიძულებთ, მაგრამ ცილისწამებასაც არავის ვაპატიებთ.

ეს ვაიჟურნალისტი რომ წინასწარგამიზნულად მოქმედებს და ანტიქართულ განწყობილებას ქმნის რესპოდენტთან საუბრისას, ამას წერა-კითხვის უციდინარიც იოლად მიხვდება, თუ ვინმე წაუკითხავს თქვენს გაზეთში დაბეჭდილ იმ ავადსახსენებელ ინტერვიუს (N52, 16-22 დეკემბერი, 2004, „მინდა ვიყო მეუღლე და დედა"). გათვლა ძალზე მდაბიო დონეზე გაკეთდა. თუ ასეთი ჟურნალისტები გყავთ შემოკრებილი, როგორიცაა ლეონიდ ზონშაინი, მაშინ წამხდარა თქვენი და თქვენი გაზეთის ავტორიტეტი მრავალათასიანი მკითხველის თვალში.

მართალია, მთელს თქვენს კოლექტივს შეურაცხყოფას არ ვაყენებ, მაგრამ ხომ გაგიგონიათ, ერთ წვირიან ღორს მთელი კოლტის გასვრა რომ შეძლებია.

განაწყენებული მეტყვით, ჩვენი რა ბრალია, მხოლოდ რესპოდენტის საუბარი ჩავწერეთო. მე კიდევ დაბეჯითებით გიპასუხებთ - „როგორიც იყო ე.წ. ჟურნალისტი, ისეთივე მონახა რესპოდენტიც". რაც უნდოდა და როგორც უნდოდა, ისე ათქმევინა იმ თავხედს, რომელსაც ეროვნება არ გააჩნია.

ერთი კია, რომ რუსებისაგან ქართველების ლანძღვა არახალია, ძველია. მაგ თქვენს ჟურნალისტად წოდებულ ავტორამდეც ადრე ვულანძღივართ ქართველები რუსებს და, რა თქმა უნდა, ზოგი მათგანი გაცილებით მაღალ დონეზე; იყო შემთხვევები, როდესაც რუსები ჩვენს განქიქებაში მართლებიც იყვ-ნენ და სამართლიანებიც, ჩვენ კიდევ გული მოგვდიოდა და რატომ თუ იცით? იმიტომ, რომ თუ რამეში არ მოვწონდით რუს „ძმებს" და თითს გვიქნევდნენ - თქვე ასეთ-ბო და ისეთებოო, - ეს ჩვენი თანდაყოლილი ბუნება კი არა, შეძენილი თვისება იყო, ისევ და ისევ რუსებიდან ნასწავლი მთელი რიგი უზნეობანი. მაგალითად, ყბადაღებული „ლავროვილისტის" ამბები. რუსი გვაიძულებდა ყველაფერ ამას, თვით გადარჩენის ინსტიქტი მოქმედებდა ჩვენში და მიტომ.

კი, ბატონო, მართალი იყო ვიქტორ ასტაფიევი, წრეგადასული ქეიფი იცით ქართველებმაო (ამაში მას თქვენი თანამშრომელი, მაშინდელი ჟურნალ „ოგონიოკის" რედაქტორი ვიტალი კოროტიჩი ეთანხმებოდა) მაგრამ თვითონაც ხომ კარგა ლაზათიანად ქეიფობდა ჩვენთან ერთად. მე, მაგალითად, არ ვითამაშებ და არც ვთამაშობ ეროვნულ გრძნობებზე. ვითომ რუსი ერი იდეალურად სანიმუშოა?! თუ ვერ ვუპოვით მას საქილიქო და სასაცილო ჩვევებს, თანდაყოლილი რუსული ხასიათი რომ ჰქვია?! ერთს კი ვიტყვი -

რუსები ვერასოდეს უგებდნენ ქართველებს. ჩვენი ლანძღვა ადრეულ საუკუნეებში მხოლოდ პოლი-ტიკა იყო, ამჟამად უკვე მხოლოდ უნაირო, გამოყოლილი ახირებაა და მეტი არაფერი; ნათქვამიცაა, „ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო". ჩვენ კიდევ თქვენი იმპერიებისთვის კარგის მეტი არაფერი გვიკეთებია. „მამინაცვალს ვიფიცებდით მამის საფლავდავიწყებულები" ომის დროს, შამილის დამორჩილებაში, რევოლუციებში, იმპერიათა ცვლილებაში, „კაციანი რუსეთის ატომურ რუსეთად ქცევაში" (ჩერჩილი), ჰიტლერთან ბრძოლაშიც და კომუნიზმის ნგრევაშიც. სამაგიეროდ, „უფროსმა ძმებმა" არ დაგვიფასეს ეს ერთგულება. უფრო მეტიც, ერთმორწმუნეობის დროშით მოსულებმა ჩემი ეკლესიის ფრესკები გადაფხიკეთ და გადაათეთრეთ ჩემი სამლოცველოები, ავტოკეფალია წამართვით პოლიტიკურ დამოუკიდებლობასთან ერთად - „ამას უკვე აღარავინ გთხოვდათ".

ორიოდ სიტყვით შევჩერდები ერეკლე მეფის იმ ტრაქტატზე, ლერმონტოვმა რომ დაიკვეხნა-„такой-то царь в такой-то год вручил России свой народ"-ო

საუბარია, გეორგიევსკის 1783 წლის ტრაქტატზე, სადაც თვალნათლივ არის გამოხატული ქართლ-კახეთის მეფის პოლიტიკური კრედო, ის, რასაც დღეს მსოფლიო ინტეგრაციის პროცესი ჰქვია. ეს კი სულაც არ ნიშნავს საკუთარ სუვერენიტეტზე უარის თქმას. თუ კარგად წაიკითხავთ ხსენებული ტრაქტატის არტიკულებს, საუკეთესოდ დარწმუნდებით ზემოთქმულში. რუსეთს არათუ მე-18 საუკუნეში, დღესაც კი, 21-ე საუკუნის დასაწყისშიც უჭირს ასეთი მასშტაბის აზროვნება და ამდენად, გაამარტივა და გაამართლა თავისი იმპერიული ამბიციები. ამას თავი დავანებოთ, ერის უშვერ ლანძღვას მოჰყო ხელი დღიდან საქართველოს ანექსიისა. ეს პოლიტიკა იყო, დამპყრობლური პოლიტიკა დაპყრობილის მიმართ. ახლა კი, აღარც დამყრობელი ხარ და აღარც დაპყრობილი ვარ. ამიტომ, ცოტა ტონი უნდა შეარჩიოს დღევანდელმა პოლიტიკოსებმა და კონკრეტულ შემთხვევაში ჟურნალისტად წოდებულმა შოვინისტებმა ჩემთან ლაპარაკში. პირველად თვითონ ლენინმა დაძრახა „ველიკორუსული დერჟიმორდული შოვინიზმი". თქვენი ჟურნალისტი კი პირველყოფილი ბოლშევისტის დონეზეა დარჩენილი, თავისი ბოროტი გონითა და განზრახვით.

ჩვენ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა ვართ და ღმერთი გვფარავს ხრუშჩოვისნაირი პოლიტიკური ლეშებისაგან, ჯერ რომ დაგვხოცა და შემდეგ ჩვენი დეპორტაცია მოისურვა ჩვენივე ქვეყნიდან, თუმცა დირექტივა მოგვცა, კახეთში ვაზი აჩეხეთ და სიმინდი დათესეთო. ასეთი რეგვენი იმპერატორების ხელში ვიყავით მოქცეული, თორემ ღირსეული დამპყრობლის ხელში რაღაც ღირსეულს ვისწავლიდით (ამაშიც არ გაგვი-მართლა ბედმა, ირგვლივ ბარბაროსების ხელში ვიყავით გარშემორტყმულნი და სანაქებო ვერაფერი ვისწავლეთ მათგან, გარდა ყალთაბანდობისა).

ჩვენც გვქონდა, მართალია, ჩვენი ლაფსუსები, მაგრამ ჩვენი ღირსებითა და ნაკლით თვალში არავის ვეჩრებოდით. ახლა კი საქვეყნოდ გინდათ გამოგვაჭენოთ, აბსურდული და თითიდან გამოწოვილი ცრუბრალდებებით.

ერთი კია, რაც რუსეთთან დავიჭირე ურთიერთობა და საკუთარი ნებით ვანდე მას ემართა ჩემი ბედიღბალნი, იმ დღიდან მესმის ზონშაინისნაირი ჭორიკანა მებაზრეებიდან ჩემი აუგი. აკი, ამ ზონშაინისნაირმა, კოროტჩისნაირმა გაიძვერა ტოტლებენებმა დამინგრიეს ქართველთა სულიერი ერთობის ძეგლადქმნილი დიდებული ბაგრატის ტაძარი?! ამის მერეა, რომ გალექსილან პუშკინები, ლერმონტოვები და ტოლსტოები ჩემს აუგსიტყვაობად, ამ დიდებულთა ფეხის ხმას აჰყოლიან კატკოვები, ასტაფიევები და ჟირინოვსკები...

გადაეცით ჩვენგან თქვენს ვაიჟურნალისტს, ჩვენს განქიქებაში ახალს ვერაფერს იტყვის, ვერც გაგვაოცებს თავისი ე.წ. საზრისიანობით. ამიტომ, მეგობრულ რჩევას მივცემთ, გაანებოს თავი ისეთ საკითხებზე წერას, რაც ხელთ არ ეწიფება, და არც გონება მიუწვდება. მიხედოს თავის ყოფით საკითხებს და ჩემს ეთნოგრაფიასა და ოჯახურ ყოფას შეეშვას.

მე ვიწვნიე რუსეთის სალდაფონური ჩექმა, რომელმაც გადამთელა 1921 წლის 25 თებერვალს, 1924 წლის აჯანყებისას, 1937 წლის რეპრესიებში, 1956 წლის 9 მარტს სტუდენტობისას, და სულ აგერ, თექვსმეტიოდე წლის წინათ, 1989 წლის 9 აპრილს. აი, ახლა დადგა დრო, რომ ეს ჩექმა წავი-დეს ჩემგან. თუ, როგორც რუსულ აზროვნებაშია დამკვიდრებული, რუსეთის მოსვლა ჩემი ნება იყო, მისი წასვლაც მხოლოდ და მხოლოდ ჩემი ნებაა და ახლა გეუბნები სიმაყით მაღლა თავაწეული, „უშიში, ვითარცა უხორცო" - საიდანაც მოსულხარ, იქეთვე წადი!

და ეს ჩემი ტონი ჩემი ბრალი არაა, ეს შენმა პასკევიჩებმა და პასკვილებმა ჰქნეს. ადრე თუ ვერა, ახლა ერთიანად მომივიდა გული და გავნაწყენდი შენზე, მით უფრო მაშინ, როდესაც ძალა და გონებაგამოლეული ხარ. მე პატარა ვარ, შენ დაპატარავებული.

როდესღაც ხომ უნდა მომსვლოდა გული სამართლიანად?! ახლა მომივიდა გული, როცა ვერაფერს დამაკლებ, გონი მიჭრის, თვითგადარჩენის ინსტიქტმა რომ წარმოშვა. მე შენზე ძლიერი მტრები მყოლია, და როგორც შენი ზღაპრის გმირი „კოკორი" (Колобок) ამბობს: „Я от бабушки ушёл, Я от дедушки ушёл"...და მერე,

„...и от тебя уйду!"

ასეა ესეც. ფინალი კი, უცილობელი აპოკალიფსური ინტეგრაცია იქნება მსოფლიოში და არა შენგან ჩემი შეჭმა.

ვასრულებ წერას და არ მინდა სამი სიტყვით არ შევეხო იმ ინტერვიუს და პირადად ავტორს.

„ძაღლი ვინც მოკლა, იმან უნდა გადაათრიოსო"- ნათქვამია. ხოდა, აგოს მანაც პასუხი.

ლეონიდ...

„*საქართველოში ქმრები ცოლებს სცემენო*"- ათქმევინებთ თქვენს რესპოდენტს და შემდეგ გულწრფელად გიკვირთ. არადა, გასაკვირს და გასაოცებელს რუსის მხრიდან ვერაფერს ვხედავ ამაში, რადგან მგონია, რომ ეს უსათუოდ რუსული წყობის ოჯახებში აქვს ნანახი თქვენს რესპოდენტს, არყით გალეშილი ქმარი რომ მივარდება ცოლს და დალურჯებამდე გაიგდებს წიხლქვეშ. ამის უტყუარი დასტური თვით თქვენი პროლეტარული მწერლობის კორიფე მაქსიმ გორკია და ნობელის პრემიის ლაურეატი მიხეილ შოლოხოვი. მრავლადაა რუსულ ლიტერატურაში მსგავსი პასაჟები. იქამდე სალტიკოვ-შჩედრინთან გვხდებიან მამლაყინწა ქალები, რომლებიც თავიანთ ქმრებს ცემა-ტყეპაში ატარებინებენ საღამოებს, ღამით კი ლოგინი ათანაბრებს გრძნობებს სექსუალურ ვნებათაღელვაში.

გადამიშალეთ ნებისმიერი ქართველი მწერლის ნაწარმოები, სად შეხვდებით მსგავს პასაჟებს?!

„*ქართველი კაცები რუსეთში მიდიოდნენ ქალებისთვის, იმიტომ, რომ საქართველოში მათი ყოლა არ შეეძლოთო*". ესეც დააცდევინა 21-ე საუკუნის ევას ამის მსურველმა ზონშაინმა. და იმას ვერ მიხვდა, რომ უნებლიედ თავის ერს და რუს ქალბატონებს მიაყენა შეურაცხყოფა ამის გამოაშკარავებით.

ჩემს ქვეყანაში ერეკლეს დროს იყო საროსკიპოები, ლაშა-გიორგის დროს, ვახტანგ გორგასალის დროსაც, რუსთაველმა საუკეთესოდ იცოდა სიძვისა და მრუშობის განსხვავება არა გრამატიკული მნიშვნელობით, არამედ ცხოვრებისეული ცნობიერებით პირველყოვლისა.

რაც შეეხება საბჭოურ პერიოდზე, ბევრს არაფერს ვიტყვი, მხოლოდ ერთს შეგახსენებთ:

- წყალტუბო, საბჭოთა კავშირის დაუკანონებელი ბორდელი იყო და ბოზებად სწორედ რუსი ქალები მსახურობდნენ.

ერთს კი სიმართლეს ამბობს ინტერვიუს ავტორიცა და რესპოდენტიც: „*პირველი ქალი ქართველი მამაკაცისათვის, როგორც წესი, რუსი იყო ხოლმეო*"...

თავად მიმიხვდებით ქალბატონო რედაქტორო რატომაც. ალბათ, იმიტომ, რომ ევროპისკენ გზა ჩაკეტილი იყო, ხოლო „აღმოსავლეთის გავლენისაგან გათავისუფლებულმა რუსმა ქალმა" სრული უზნეობა გამოავლინა, მრუშობა და სიყვარულობანას თამაში დაიწყო, ხოლო ეს უზნეობა ევროპულის ყაიდაზე იყო მოჭრილი თუ ამერიკულზე, ამაზე სხვამ იმტვრიოს თავი.

ნატალია პეტროვნავ,

თქვენი გაზეთის ფურცლებზე დაბეჭდილი ეს პასკვილური ჟანრის ინტერვიუ სხვა არაფერია, თუ არა რუსულ-ქართული დახლართული ურთიერთობა. ჩვენ ორთავე მართლმადიდებლური ქრისტიანი ერი ვართ და უკეთესი იქნება ქრისტესმიერი გაგებით მივუდგეთ ერთმანეთის ნაკლსა თუ ღირსებას, რადგან ღმერთი ერთმანეთის ლანძღვა-გინებაში კი არა, ერთმანეთის სიყვარულში იბადება.

**მანუჩარ კაჭახიძე,**
**გაზეთ „მამულის" რედაქტორი**

# ის, რაც ჩვენებმა აჭარაში გააკეთეს

## ჟურნალისტ ინგა გრიგოლიას ინტერვიუ ედუარდ შევარდნაძესთან

**„პირველები“, ტელეკომპანია „იმედი“ (24 იანვარი, 2005 წელი)**















**- საღამო მშვიდობისა, ბატონო ედუარდ, გილოცავთ დაბადების დღეს, მინდა, გისურვოთ წარმატება და მინდა, გისურვოთ, ბედნიერი წელი გქონოდეთ. როგორი განწყობით ხვდებით 25 იანვარს იუბილარი ედუარდ შევარდნაძე, რომელიც აღარ არის საქართველოს პრეზიდენტი? როდესაც თქვენ იყავით პრეზიდენტი, მახსოვს, როგორ საგანგებოდ ემზადებოდნენ ხოლმე მთავრობის წევრები, მინისტრები... თქვენი დაბადების დღისთვის, ყოველ შემთხვევაში, ალბათ, მილოცვებს ვერ აუდიოდით და ერთმანეთს ასწრებდნენ ხოლმე შემოსვლას. ვისი იმედი გაქვთ 25 იანვარს სტუმრად?**

- დიდი მადლობა. დაბადების დღე ამ წელს ჩემთვის უმძიმესია, უმძიმესია იმიტომ, რომ ნანული აღარ არის ჩემთან. პირველად ვხვდები ასეთ პირობებში დაბადების დღეს. ის იყო ყველაფრის ორგანიზატორი, ის აბამდა თავს. სხვათაშორის, ხალხმრავლობა არასოდეს ყოფილა ჩემთან. აი, თქვენ რომ ბრძანეთ ახლა, მინისტრები და სხვები და სხვები, უარეს შემთხვევაში ან უკეთეს შემთხვევაში ან კაბინეტში შემოვიდოდნენ, მისაღებში დამხვდებოდნენ, მილოცავდნენ და ესეც რაღაცას ნიშნავდა.

**- ვის ელოდებით დღეს იმ ადამიანებიდან, ვინც თავის დროზე მისაღებში იდგნენ ხოლმე და გილოცავდნენ?**

- არავის, თითქმის არავის. პაატა ჩამოვიდა პარიზიდან, თქვენ იცით, რომ იქ, იუნესკოში მუშაობს, სამწუხაროდ, ცოლ-შვილი ვერ ჩამოიყვანა, ყველაფერი ხარჯებთანაა დაკავშირებული და არც თუ ისე ცოტა ხარჯებთან. დანარჩენი სამი-ოთხი მისი მეგობარი, ძმაკაცი, ჩემთანაც მეგობრობენ ახალგაზრდები, ძალიან ნიჭიერი, ჭკვიანი ბიჭები არიან, ნათესავები, ახლო ნათესავები ვინც არიან, ქალიშვილი იქნება, სიძე იქნება, დაახლოებით რამდენია, ოცი კაცი მოიყრის თავს.

**- როგორც წესი, საჩუქრებს თუ გჩუქნიან ხოლმე, აი, იგივე თქვენი ოჯახის წევრები?**

- არა, არა, ყველამ იცის, რომ მე საჩუქრების მიმართ მაქვს ალერგია.

**- რატომ?**

- არ მინდა საჩუქრების მიღება და რა ვქნა. მე იმდენი საჩუქარი მაქვს მიღებული მსოფლიოში... 8 წელიწადი ვიყავი თითქმის საგარეო საქმეთა მინისტრი და მთელი მსოფლიო მოვლილი მაქვს. შენ რომ ჩამოგიტანენ, შენც უნდა ჩაგეტანა, უკვე ასე ვცვლიდით საჩუქრებს. ახლა რომ გავიდეთ მეორე-მესამე ოთახში, საჩუქრებითაა გავსებული ყველაფერი. რად მინდა საჩუქრები ახლა, რაღა საჩუქრები მინდა...

**- ისე, თუ შეგიძლიათ, გაიხსენოთ საჩუქარი, რომელიც თქვენ დაბადების დღეზე მიგიღიათ და იყო თქვენთვის ძალიან ძვირფასი. საჩუქარი ისეთი, რომელსაც გაიხსენებდით?**

- ვერ გავიხსენებ, ვერა, ვერ გავიხსენებ. შეიძლება ნათესავებიდან...

**- რატომ, აი, საათი, მაგალითად, ან რაღაც ასეთი არასოდეს უჩუქებიათ?**

- არა, კალმისტარი კი, აი, ასეთი კალმისტარი.

**- ბატონო ედუარდ, თქვენთვის რომ ეჩუქებიათ დაბადების დღეზე, ვთქვათ, რაღაც ისეთი, ვთქვათ, ძვირადღირებული საათი, დაუბრუნებდით თუ არა უკან?**

- დავუბრუნებდი.

**- თქვენც დაუბრუნებდით, რატომ?**

- იმიტომ, რომ ყველამ იცოდა, რომ მე საჩუქრებს არ ვიღებდი. და აი, პაატამ შემახსენა ახლა, ერთადერთი, რაც იყო, ეს კალმისტარი, თანაც, ისიც უბრალო.

**- საათის ჩუქება ან რაღაც ისეთი ნივთის ჩუქება არ შეიძლება, ვთქვათ, პრეზიდენტისთვის ან თანამდებობის პირისთვის. ახლა მე გაგახსენებთ ცოტა ხნის წინ მომხდარ სკანდალს, როდესაც დედაქალაქის მერს გამგებელმა აჩუქა, მაგალითად, საათი და ჭიაბერაშვილმა პირდაპირ ეთერში ბრიფინგი გამართა და უკან დაუბრუნა ეს საათი და თან მოხსნა გამგებელი, მაგრამ 2 საათის შემდეგ საქართველოს პრეზიდენტმა მოიხსნა საკუთარი საათი და აჩუქა მერს. ეს საათი ჭიაბერაშვილმა მიიღო. როგორი იყო ამაზე თქვენი რეაქცია?**

- არ ვარგა ეგ ისტორია.

**- რატომ?**

- არ ვარგა. ჯერ ერთი, რომ ჭიაბერაშვილს საათი არ უნდა მიეღო, ხმაური არ უნდა აეტეხა და უნდა ეთქვა, რომ შენ ეს არ გჭირდება, მე და შენ კარგად ვმუშაობთ, ერთად ვიმუშავეთ და ეს, მე ნუ მაკადრებ ამას და არ ვიღებ საჩუქარს. ამან კაპიტალის, დაგროვება სცადა. პოლიტიკური კაპიტალის ჭიაბერაშვილმა ამით. საათი მიშასგან მიიღო. მაშინ მიშასგან რატომ მიიღო?

**- მე არ ვიცნობ პრეზიდენტების ფსიქოლოგიას, არ ვიცი და აი, თქვენი აზრით, რატომ აჩუქა ზუსტად იმ დღეს საქართველოს პრეზიდენტმა მას საათი?**

- ნუ, ალბათ, კარგი საქციელისთვის.

**- ზოგი ფიქრობს, რომ ამით, უბრალოდ, ხომ არ დაანახა პრეზიდენტმა დედაქალაქის მერს ის, რომ არც ისე მაგარია, ანუ უარს ამბობს გამგებლის საათზე, მაგრამ პრეზიდენტის საათზე უარი ვეღარ თქვა. თქვენ როგორ ფიქრობთ?**

- ქალაქის გამგებელი პრეზიდენტის მიერ ნაჩუქარ საათზე ვერ იტყვის უარს იმიტომ, რომ დამოკიდებულია მასზე და ეს ბევრ რამეს ნიშნავს. არა მარტო მორალურად და მატერიალურად, ზნეობრივადაც. პრეზიდენტის საჩუქარია. ახლა ჩემთვის რომ ეჩუქებიათ, მოსკოვში პრეზიდენტი იყო გორბაჩოვი და მერე ელცინი, შეიძლება, არც მე მეთქვა უარი, შეიძლება, იმიტომ, რომ სხვა ხალხია. მაგრამ არაფერი არასდროს არ უცდიათ.

**- ძალიან ბევრი საინტერესო კითხვა გაჩნდა, აი, იმ პერიოდის განმავლობაში, რაც თქვენ პრეზიდენტი აღარ ხართ. მოდით, აი, თუ შეგიძლიათ გვითხრათ, რევოლუციიდან ერთი წლის შემდეგ რა მიგაჩნიათ დღევანდელი ხელისუფლების ყველაზე დიდ წარმატებად და ყველაზე დიდ შეცდომად. თუ ახარისხებთ ასე მათ მიღებულ გადაწყვეტილებებს და ან რაღაც კონკრეტულ ქმედებებს?**

- მე ახლა ასეთი ანალიტური ცნობა, ვთქვათ, სად დაუშვეს შეცდომები და რა წარმატებები აქვთ, არ მაქვს, სიმართლე გითხრათ, მაგრამ, რა თქმა უნდა, გაზეთებს ვკითხულობ, თვალყურს ვადევნებ ყველაფერს, და უნდა გითხრათ, რომ ბევრი რამ კარგად და ყოჩაღად დაიწყეს.

**- რა, მაგალითად?**

- მაგალითად, ის, რომ ახალგაზრდობა დააწინაურეს. შეიძლება ამ ახალგაზრდებში ყველამ კი არ გაამართლოს, მაგრამ 10 კაციდან თუ სამი და ოთხი გაამართლებს, ესეც უკვე სახელმწიფოსთვის ბევრს ნიშნავს. მეც ამ პრინციპით ვუდგებოდი და ამ ახალგაზრდებიდან ბევრი ახლა... ჟვანია რა იყო, 27 წლის ბიჭი იყო, როცა გენერალურ მდივნად ავირჩიე პარტიის.

**- რითი მოგხიბლათ მაშინ ჟვანიამ, როდესაც ახალგაზრდა ბიჭი აირჩიეთ?**

- ნიჭიერებით, ნიჭიერია ძალიან.

**- რაში გამოიხატება მისი ნიჭიერება ყველაზე მეტად?**

- ბოლოს ჩქარა ითვისებს მთელ ტექნოლოგიას, პოლიტიკური საქმიანობის მთელ ტექნოლოგიას ითვისებს ძალიან სწრაფად.

**- მაგრამ ამ ტექნოლოგიების ათვისების მიუხედავად მას ძალიან უნდოდა პრეზიდენტობა. ყოველ შემთხვევაში, იგი იყო ერთ-ერთი რეალური კანდიდატურა, მაგრამ ჟვანია პრეზიდენტი ვერ გახდა, მიუხედავად მისი გამოკვეთილი ნიჭიერებისა. ამაზე რას იტყვით?**

- ნუ, ახლა ნიჭიერება ყოველთვის არ არის საკმარისი იმისათვის, რომ პოსტი დაიკავო.

**- და არის ამისთვის საჭირო?**

- ამისთვის, ალბათ, პირობები უნდა იყოს სათანადო, ხალხის აღიარება უნდა იყოს მაღალი დონის. ამ შემთხვევაში სააკაშვილის ზურგს უკან იდგა სერიოზული პოლიტიკური ძალა, რომელმაც პარლამენტში უმრავლესობა მოიპოვა. ამაზე ბევრი რამ იყო დამოკიდებული. ჟვანია, არ ვიცი, ახლა მას უნდოდა თუ არა პრეზიდენტობა, მაგრამ შეეგუა იმ აზრს, რომ იქნება პრემიერი, პრემიერ-მინისტრი.

**- როდემდე იქნება ის პრემიერ-მინისტრი, როგორ ფიქრობთ?**

- მე მგონი, კარგა ხანს იქნება, იმიტომ, რომ, ხომ გითხარით, ნიჭიერი კაცია, გონიერი კაცია ძალიან, მე ვერ გეტყვით, ახლა ეშმაკი არის თუ არა, ალბათ, რაღაც ეშმაკობის მონაცემები აქვს, მაგრამ ისეთი არა, რომ მიუღებელი იყოს. ისეთი არაა.

**- და კვლავ, ბატონო ედუარდ, ამბობენ, რომ თავის დროზე, მე მახსოვს, როდესაც დაიწყო საუბარი თქვენი პრეზიდენტობის დროს საკონსტიტუციო ცვლილებებზე, მაშინ ყველაზე რეალური კანდიდატურა პრემიერმინისტრობის იყო ზურაბ ჟვანია. ამბობენ, რომ თქვენ ეს საკონსტიტუციო ცვლილებები მიგეღოთ, უკვე ზურაბ ჟვანია გამხდარიყო პრემიერ-მინისტრი, იგი შესაძლებელია, არ დაშორებოდა შემდგომში ედუარდ შევარდნაძეს. რატომ ვერ გარისკეთ მაშინ, რომ პრემიერი გაგეხადათ ჟვანია. რისი შეეშინდა მაშინ შევარდნაძეს?**

- არა, არა, არავისი არ შეეშინდა. მაშინ თქვენ იცით, საკმაოდ დიდი ხმაური იყო „რუსთავი-2“-თან დაკავშირებით, რომ მთელი მთავრობა გადადგა, პრაქტიკულად. არც იყო სხვა გამოსავალი, ეს არ უნდა მომხდარიყო, რაც მოხდა „რუსთავი-2“-ში. მერე „რუსთავი-2“-მა თავისი აუდიტორია გამოიყენა და ამას მოჰყვა დიდი აურზაური. ახლა ზურაბის კანდიდატურა პრემიერობაზე არ იდგა მაშინ, ლაპარაკიც კი არ ყოფილა. ზურაბმა ვერ მოითმინა და მიიღო გადაწყვეტილება გადადგომის შესახებ, მაგრამ პირობა წამოაყენა, თარგამაძეც უნდა გადადგესო. მას ვიღაცამ ჩააგონა, რომ თარგამაძე მას ჩასაფრებული ჰყავს და რაღაც-რაღაცებს აგროვებს.

**- და არ იყო ეს ასე?**

- არ იყო არაფერი, არავითარ შემთხვევაში. კახა თარგამაძეს მე ძალიან კარგად ვიცნობ... ჩვენ ხანდახან ვიტყვით ხოლმე - მოხარშულს ვიცნობო, სწორედ ასე ვიცნობ.

**- დღეს გაქვთ მასთან კონტაქტი?**

- არა, არ მაქვს კონტაქტი, მაგრამ ძალიან დიდ პატივს ვცემდი და ის ერთგული კაცი იყო.

**- თუმცა ამბობენ, რომ ის ნამდვილად იყო ყველაზე გავლენიანი კაცი თქვენს კარზე და მან ძალიან დიდი ფულიც იშოვა მინისტრობის პერიოდში. ამაზე რას იტყვით და აი, სწორედ ეს ბრალდებები იყო, ამ გავლენის და ფულის ბრალდებები იყო, რის გამოც მოხდა დაპირისპირება თარგამაძესთან იგივე ჟვანიასი, სააკაშვილის და ა. შ. თუ გახსოვთ, იგივე მთავრობის სხდომაზე გამოსული მიხეილ სააკაშვილი, რომელიც ხელს ასე ატრიალებს მთავრობის წევრების მხარეს და ასახელებს კორუმპირებულ პირებს, მათ შორის, ყველაზე დიდი დარტყმა იყო პოლიციაზე...**

- მე ვერ გეტყვით ახლა, ამ კაბინეტიდან რომ გახვალთ, თქვენ რას გააკეთებთ, მე ამის გარანტიას ვერავის ვერ მივცემ. თქვენ და, გინდათ, თანმხლები პირები. კახა თარგამაძე, მე დარწმუნებული ვარ, პატიოსანი კაცი იყო, მას არ სჭირდებოდა. ჯერ ერთი, ხელფასი ჰქონდა დიდი, მერე - ოჯახი, მე მგონი, ქუთაისიდან თუ წყალტუბოდან იყო და საკმაოდ ძლიერი ჰყავდა. რომ ფულს არ იღებდა, ამაში მე დარწმუნებული ვიყავი, ამიტომაც გავლენაც ჰქონდა მას ჩემზე, გარკვეული გავლენა, იმიტომ, რომ არასდროს არ მოვუტყუებივარ. რასაც მეტყოდა, იმას გადავამოწმებდი ხოლმე. მარტო ერთი შინაგან საქმეთა სამინისტრო ხომ არ არის, არის კიდევ სხვა უწყებები, გადავამოწმებდი და ყველაფერი დასტურდებოდა. ასევე ხალხის გამოკითხვით. კახა, ჩემი შეხედულებით, პატიოსანი კაცი იყო.

**- ანუ ჟვანიას შეეშალა, როდესაც იგი დაუპირისპირდა თარგამაძეს?**

- მე მგონი, კი. ზურაბს მაშინ შეეშალა და ბევრი დაკარგა ამით. ზურაბი რომ დარჩენილიყო პარლამენტის თავმჯდომარედ, შეიძლება მართლა გამხდარიყო პრემიერიც და შეიძლება - პრეზიდენტიც.

**- ბატონო ედუარდ, ჩვენ ვსაუბრობდით კახა თარგამაძეზე, ვინ იყო თქვენი პრეზიდენტობის პერიოდში ყველაზე გავლენიანი კაცი მაშინ თქვენს კარზე? თუ შეიძლება ასეთი ფორმულირება რომ მივცეთ, ყველაზე გავლენიანი, ვისაც თქვენი ამ წლების განმავლობაში გამოარჩევდით თავისი გავლენით თქვენთან მიმართებაში, ყველაზე ძლიერი?**

- მე იმ ბუნების კაცი ვარ, რომელიც ადამიანებს ასე არ აჯგუფებს; რომ ეს არის ყველაზე გავლენიანი, ან ამას უნდა დავუჯერო, მეორეს არ დაუჯერო. მე ყველას ვუსმენდი, სუყველას ვუსმენდი. ზოგი სიმართლეს ამბობდა, ზოგი შელამაზებული სიმართლე იყო. იყო ასეთებიც. მაგრამ ის ხალხი ნელ-ნელა მერე იწმინდებოდა, მიდიოდნენ. რაც შეეხება, აი, გამორჩევას, ეს ჩემი მეთოდი არ არის?

**- საჯაია? ამბობენ, რომ ის იყო რუხი კარდინალი?**

- არ იყო. არ უნდა კადროთ ეგ სიტყვა, და ნუ გეწყინებათ, ახლა შენიშვნას მოგცემთ, იმიტომ, რომ რუხი კარდინალი სულ სხვა რამეა და საჯაიას როლი და საჯაიას პიროვნება სულ სხვაა, კონტრასტია, დიდი კონსტრასტი. ნუგზარ საჯაია იყო ერთი უწესიერესი კაცი.

**- რატომ მოიკლა მან თავი?**

- რომელსაც არასდროს ჩემთვისა და სხვებისთვისაც ტყუილი არ უთქვამს. ჩვენ ხომ შუა საბჭოზე ვიჯექით, მისი წევრი იყო, სიტყვით გამოდიოდა და ყველაფერი, და ათასჯერ გადამოწმებული მქონდა მისი ინფორმაცია - რამდენად სწორია, რამდენად არაა სწორი. ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, მის სიცოცხლეში, ყოველ შემთხვევაში, რომ მას არასწორი ინფორმაცია მიეწოდებინოს.

**- ამბობენ, რომ კახა თარგამაძე და საჯაია იყვნენ ძალიან დაპირისპირებულები...**

- გამორიცხულია, არავითარი დაპირისპირება არ იყო. საჯაიას, ისიც, რა მოხდა, საჯაიაზე პრესაც ფრთხილად უნდა იყოს ხოლმე. საჯაიაზე რაღაცა გრძელი გამოქვეყნდა.

**- ბურუსით მოცულია მთელი ის ისტორია, მაშინ რაც მოხდა?**

- რა თემა იყო... ცუდი, ძალიან ცუდი თემა იყო. ადამიანს ცილი დასწამეს ისეთ რამეში, რაშიც მართალი იყო და ნორმალური კაცი ვერ მოითმენს ამას, ნორმალური მამაკაცი.

**- რაში, ბატონო ედუარდ?**

- ახლა, ხომ იცი, რა ბრალდებას უყენებენ ხშირად ზოგს - ახალგაზრდას და ზოგს - ასაკოვან მამაკაცებს, რომ მამაკაცობა არა აქვს და რაღაცა სხვა.

**- ეს იყო მიზეზი, რის გამოც საჯაიამ თავი მოიკლა?**

# ეს არის ისტორიული საქმე

## საპრეზიდენტო დაიჯესტი

- არა, მარტო ეს არ იყო მიზეზი. აი, ერთი მომენტი ამის შემდეგ ჩემთვის აუხსნელია. ბატონი ასლანი როცა აჭარაში იყო, ხანდახან მთხოვდა ხოლმე, საჯაია ჩამოვიდეს, თუ შეიძლებაო. იცოდნენ, რომ ვერ ჩამოვიდოდი, 22-ჯერ ვიყავი და ყოველთვის აჭარაში არ ვიქნებოდი. საჯაია რამდენჯერმე ჩავიდა, ხუთჯერ-ექვსჯერ თუ შვიდჯერ. და ერთ-ერთი ჩასვლის შემდეგ, როცა დაბრუნდა, მითხრა, რომ მე მეორედ ბათუმში აღარ წავალო. რა მოხდა-მეთქი, - ვერ გეტყვითო. როგორც ვერ მეტყვი, შე კაცო, აბა, ვის უნდა უთხრა, - არა, ახლა ვერ გეტყვითო, შეიძლება დრო გავიდეს, ერთი კვირა ან ათი დღე, მერე, ეს გადაწყვეტილია, რომ მე ბათუმში არ წავალ. და მართლაც, აი, ეს წერილი რომ გამოქვეყნდა, ორი-სამი დღის შემდეგ შემოვიდა თვითონ, რომ ბათუმში უნდა წავიდეო. ეტყობა, რაღაცა კვალი მიდიოდა იქეთ, ასლანთან თუ არა, სხვასთან მიდიოდა რაღაცა კვალი. და რომ შემოვიდა და მითხრა, რომ ისეთი ნორმალური საუბარი იყო და, რომ ჩვენ თვითონ არ გამოგვივიდა საუბარი, გულწრფელი საუბარი, როგორიც ყოველთვის გამოგვდიოდა ხოლმე. რა მოხდა-მეთქი, რა არის, რაშია საქმე, რაღაც გაწუხებს. არა, არაფერი, არაფერი, ეს მე თვითონ უნდა მოვაგვარო და მე თვითონ უნდა მივხედო ჩემს თავს. და ჩევიდა, მეორე სართულზე იყო თუ მესამეზე, პატარა პისტოლეტი ჰქონია, არც ვიცოდი, თქვენ დამიჯერებთ, რომ პისტოლეტი მე არ მიტარებია. - 8 წელიწადი ვიყავი შინაგან საქმეთა მინისტრი, პისტოლეტი არ მქონია ჯიბეში.

**- არ იცოდით ხმარება?**

- არა, ახლაც რომ მითხრათ, არ ვიცი ხმარება. რომ გადავწყვიტო, თავი მოვიკლა, ვერ მოვიკლავ თავს, იმიტომ, რომ პისტოლეტის ხმარება არ ვიცი და ახლა დიდი თოფები არის, ერთი ათი ცალი არის და დიდი თოფით ძნელია. ჩავიდა, პატარა პისტოლეტი ჰქონია, არ იცოდა ხმარება, დაუძახა თავის მდივანს და უთხრა, ეს როგორ უნდა, პირში როგორ უნდა მივცეთო, ე. ი. როგორ უნდა, ლულაში როგორ უნდა შევაძვრინოთო? მან აწავლა, შეაძვრინა. - ჩახმახიო... - ჩახმახი ასე უნდა წამოაყენოთო. ჰო, კარგიაო, მადლობელი ვარო, და დავხურავ ახლა ამასო. გამოვიდა ეს ბიჭი და ნახევარი საათის შემდეგ გაისმა სროლა.

**- ანუ ბათუმში იყო იგი წინა დღეს თვითმკვლელობამდე?**

- ორი დღით ადრე.

**- თქვენ ბრძანეთ, რომ ეს შესაძლებელია, იყო ასლანი, შესაძლებელია, იყო კიდევ ვიღაც სხვა. ხომ არ იცით, ვინ სხვა შეიძლება ყოფილიყო იმ დღეს ბათუმში?**

- არა. არავისზე არ შემიძლია თქმა.

**- და ვერ გაიგეთ, ბატონო ედუარდ, რა, არ შეიძლება ბათუმში რაიმე ისეთი მნიშვნელოვანი მომხდარიყო?**

- ვერ გავიგე, ვერა, ვერ გავიგე, იმიტომ, რომ თვითონ არ მომეხმარა იმაში, დამედგინა სიმართლე. არ მომეხმარა. მას, ეტყობა, მაშინვე ჰქონდა გადაწყვეტილი, როცა ჩამოვიდა ბათუმიდან... იცი, რა მითხრა, ერთი შვილი მყავსო, ბიჭი. მაშინ იყო ის ბიჭი 11-ის თუ 12 წლის. - უკვე კითხვა იცის, გაზეთებს კითხულობსო, იმ გაზეთს რომ წაიკითხავს, მერე მე როგორღა მივიდე ოჯახშიო. და, აი, ასე დაამთავრა ყველაფერი. არც ცოლმა იცოდა რამე, არც... მერე შვილი წამოიზარდა, მერე შევხვდი, არაფერი არ იცოდნენ.

**- თქვენი მეუღლის დაკრძალვის დღეს მოხდა კობა ნარჩემაშვილის დაპატიმრება. როდესაც თქვენ ეს გაიგეთ, როგორი იყო თქვენი რეაქცია?**

- ძალიან მეტკინა.

**- რა?**

- შეიძლება იყო საფუძველი დაპატიმრების, ვერ გეტყვით, არ ვარ გარკვეული, მაგრამ, დასაფლავებიდან კაცის აყვანა... ამ პროცესიდან ადამიანის აყვანა, რა გეჩქარებოდა, კაცო, გაივლიდა, აგერ, ერთ კილომეტრს გაივლიდა და მერე აგიყვანდი, ხომ?! მაგრამ აქედან წაიყვანეს პირდაპირ. ეს იყო ჩემი შეურაცხყოფა, ჩემი და ჩემი მეუღლის, მისი ხსოვნის შეურაცხყოფა.

**- ბატონო ედუარდ, მთელი თქვენი ცხოვრების მანძილზე რა არის ისეთი, რაც თქვენ გაგიკეთებიათ და შემდეგ გინანიათ? ძალიან ხშირად, როდესაც თქვენზე საუბრობენ ხოლმე, ამბობენ ბევრ კარგს, ბევრ ცუდს. მე ვსაუბრობ იგივე ცეკას მდივნობიდან მოყოლებული. თუ შეგიძლიათ, იყოთ გულწრფელი და თქვათ, რას არ გააკეთებდით, ხელახლა რომ გაგევლოთ ეს გზა? მე შეგახსენებთ შემდეგ ერთი-ორ დეტალს, მაგალითად, იგივე თვითმფრინავის ბიჭებთან დაკავშირებით. არის კიდევ რაღაც სხვადასხვა ამბები, რომელსაც თქვენ გიკავშირებენ, თუ გააკეთებდით. რაღაც ისეთი, რასაც არ გააკეთებდით, ხელახლა რომ გაგევლოთ ეს გზა?**

- მე გეტყვით ახლავე, თვითმფრინავზე მერე ვილაპარაკოთ, თვითმფრინავი აქ არაფერ შუაში არ არის. აი, რას არ გავაკეთებდი?

**- დიახ.**

- მე ძალიან ხშირად გამოვდიოდი საკავშირო ღონისძიებებზე, ვთქვათ, ყრილობა, პლენუმი და სხვა და სხვა. რით იწყებოდა ჩემი გამოსვლა. ქება-დიდებით, მაგალითად, ბრეჟნევის, ან შემდეგ სხვები იყვნენ, მათი ქება-დიდებით. ეს იყო შესავალი. ეს ქება-დიდება მაძლევდა მე საშუალებას, შემდეგ მომეთხარა ყველა და ყველაფერი. მე ვიცი, რომ ის კაცი კმაყოფილი იყო, რა ლამაზად თქვა შევარდნაძემ, კარგად თქვა, მაგრამ მერე იმას კი არ უსმენდა, მერე რა იყო, მერე იყო, რაც ჩანდა, რომ ეს ქვეყანა აღარ არის ქვეყანა. აი, ამას აღარ გავაკეთებდი ახლა და არც საჭირო იქნებოდა, მაგრამ მაშინ ეს მჭირდებოდა, მჭირდებოდა რისთვის, საქართველოსთვის მჭირდებოდა.

**- წეღან ვსაუბრობდით, იგივე თვითმფრინავის ბიჭებთან დაკავშირებით. რას იტყვით ამაზე? თქვენ ბრძანეთ, რომ არის რაღაცები, ვთქვათ, რასაც არ გავაკეთებდი, რას არ გააკეთებდით დღეს, და, საერთოდ, იყო თუ არა ეს ყველაფერი მოსახდენი?**

- რა თქმა უნდა, ვნანობ, მაგრამ მაშინ ისეთი კანონები მოქმედებდა. თვითმფრინავის გატაცება იყო ჩეპე, განსაკუთრებული შემთხვევა საბჭოთა კავშირში, ახლაც ასეა. მაგრამ მაშინ სხვა იყო უფრო. რა არ გავაკეთე, სხვათაშორის, ბიჭები და გოგოები, ვითომ ქორწილს იხდიან, მოტყუებით შევიდნენ თვითმფრინავში. ავედი თვითმფრინავში, დაველაპარაკე ამათ, ამ ბიჭებს და გოგოებს, არც მომისმინეს...

**- თქვენ პირადად ახვედით?**

- პირადად ავედი, არც მომისმინეს, მე ვუთხარი, ცუდად დამთავრდება, გეუბნებით თქვენ, რომ ცუდად დამთავრდება. ეს არ არის მარტო საქართველოს გადასაწყვეტი, ეს არის... აეროფლოტი იყო საკავშირო ორგანიზაცია, მათ შორის, საქართველოს ფლოტი, და მართლაც, ჩემი თხოვნის გარეშე 2-3 საათის შემდეგ ჩამოფრინდა სპეციალური თვითმფრინავი და ჩამოფრინდნენ სპეციალისტები, რომლებმაც ამ დროს იციან, რა უნდა გააკეთონ. თუ არ ვცდები, ამ ბიჭებმა ორი მფრინავი მოკლეს - ერთი გამცილებელი და ერთი მფრინავი, წინააღმდეგობა გაუწიეს და მოკლეს. ალბათ, უკვე საფუძველი ჰქონდათ, რომ შესულიყვნენ შიგნით. უკვე იცოდნენ, ვინ სად იჯდა, ზოგმა გარედან ისროლა, ზოგმა შიგნიდან და რამდენიმე კაცი დაიღუპა, სამი თუ ოთხი, არ მახსოვს კარგად. მათ შორის იყო კოტე წერეთლის შვილი, კოტე წერეთელი... აი სურათი არის იქ, კოტეს სურათი მაქვს, ჩვენ ვმეგობრობდით, გავიდა კარგა ხანი და ჩვენ ვმეგობრობდით. ის ბიჭი მწერლობდა, წიგნების გამოცემაში დავეხმარე... რუმინეთში თუ ბულგარეთში, სადღაც გამოვეცით. ავად ვიყავი მაშინ, რომ გარდაიცვალა კოტე და მისი მეუღლე ვნახე ამას წინათ, ოპერაში ვიყავი, ანა კალანდაძის საღამოზე, ვნახე და გადავეხვიეთ და გადავკოცნეთ ერთმანეთი. იმ ხალხმა გაიგო, რომ მე მეტის გაკეთება არ შემეძლო არაფრის, არ შეიძლებოდა.

**- შეგეძლოთ თუ არა, გადაგერჩინათ?**

- არა. სასამართლო ხომ ჩატარდა, დაელაპარაკეთ, მე მგონი, ცოცხალი იქნება ის მოსამართლე, პროკურატურა ხომ იყო... პროკურორთან, რაზმაძე ახლა ცოცხალია, დაელაპარაკეთ, ნუ ეტყვით, რომ ჩემთან იყავით, დაელაპარაკეთ და ჰკითხეთ, როგორ იყო საქმე. ჩაერია თუ არა შევარდნაძე ამ საქმეებში, შევარდნაძე თუ არა, ან ვინმე ხელმძღვანელი. არავინ არ ჩარეულა, ყველაფერი მოხდა კანონის ფარგლებში. და თვითონ საქმე იყო მოსკოვის კონტროლზე - როგორ გადაწყვეტილებას მიიღებს საქართველოს ხელისუფლება, ხელისუფლებაა თუ სასამართლო.

**- იცით, რა მაინტერესებს, მართლაც იყო თუ არა თქვენთან შემოსული ივერიელების მამა და გთხოვათ შვილების გადარჩენა და თქვენ მართლა უთხარით თუ არა - აირჩიეთ, რომელი გადაგირჩინო - ან ერთი, ან მეორე?**

- არა, ზღაპარია.

**- მამამ ვერც ერთი ვერ აირჩია და იმიტომ ორივე დაიღუპა.**

- ივერიელების მამას მე მანამდეც ვიცნობდი. თუ არ ვცდები, ლეჩკომისიაში მუშაობდა, თუ არ ვცდები, მანამდეც ვიცნობდი, ვიცნობდი ხელის ჩამორთმევით და გამარჯობა, გაგიმარჯოს, და ჩვეულებრივ სალამი. მერე ეს ორივე ბიჭი მოჰყვა ამ საქმეში, არც ერთის გადარჩენა შემეძლო, არც - მეორესი. როგორ ვიტყოდი, ახლა თქვენ ასეთი წარმოდგენის ხართ ჩემზე?

**- ამბობენ ამას უბრალოდ?**

- არა, არა, ამბობენ, ათას სისულელეს ამბობენ, მაგრამ თქვენ ასე ფიქრობთ? როგორ ვეტყოდი მამას - აირჩიე, რომელი შვილი გინდა, ერთ-ერთს გადაგირჩენ და ერთი უნდა დაიხვრიტოს... სულელი უნდა იყო, ეს რომ უთხრა. სულელი უნდა იყოს, ანდა ვინც ამ თხოვნით მოდის შენთან, ის არის სულელი. გამორიცხულია.

**- წარმატებული პოლიტიკოსი, მსოფლიოში აღიარებული პოლიტიკოსი, ადამიანი, რომელსაც იცნობდნენ ყველგან, შევარდნაძე, ედუარდ შევარდნაძე, ეს სახელი და გვარი ძალიან ბევრს ნიშნავდა. ბევრი საუბრობს იმაზე, რომ ამ წარმატების უკან იდგა რაღაც ძალიან დიდი ძალა, ძალა, რომელმაც შევარდნაძეს მოუტანა ეს წარმატება. მსმენია ასეთი რამ, რომ შევარდნაძეზე ამბობდნენ, რომ იგი ერთ-ერთი მასონური ორგანიზაციის წევრი და სწორედ ამ მასონებმა, მასონიზმმა და მასონურმა ორგანიზაციებმა, მსოფლიო მასონებმა შეუწყვეს ხელი წარმატებაში. რას იტყვით ამაზე თქვენ? მე წავიკითხე ლოლლი ზამოისკის წიგნი, არის ასეთი, „მასონიზმი და გლობალიზმი - უხილავი იმპერია“, სადაც არის თქვენზე საუბარი, რომ როგორც თქვენ, ერთი მასონური კლუბის, მაგისტერიუმის წევრი, მოხსენიებული ხართ და თქვენთან ერთად იაკოვლევი, გორბაჩოვი და არსებობს კიდევ ერთი ასეთი წიგნი, რომელიც, სხვათაშორის, ამ დილას მომიტანეს, ეს არის პლატონოვის წიგნი, რომელშიც ასევე შევარდნაძე არის მაგისტერიუმის, მასონთა კლუბის წევრად დასახელებული და აქვე არის, კვლავ ვსაუბრობ, გორბაჩოვი. როგორი არის თქვენი კომენტარი ამ ყველაფერზე? ხართ თუ არა მასონი?**

- ახლა, როგორ უნდა გითხრათ, რომ ტყუილს ამბობთ-მეთქი თქვენ და ანდა ისინიც, ვინც ამას წერს.

**- მაგისტერიუმი, მასონთა კლუბი, რომელიც 1992 წელს არის დაარსებული. ამის შემდეგ თქვენ უკვე ხდებით საქართველოს პრეზიდენტი. შეგიწყვეს თუ არა ხელი ამ ყველაფერში?**

- არ ვიცი, ბატონო, მე გეუბნებით თქვენ, როცა მე შემომთავაზეს, რომ თქვენ უნდა იყოთ საქართველოს ცეკას პირველი მდივანი, მე ვუთხარი კატეგორიული უარი. მე ვუთხარი, გავვარდები ამ კაბინეტიდან, გავიქცევი, ჩავჯდები თვითმფრინავში და გავიქცევი თბილისში.

**- რატომ, არ გინდოდათ?**

- არ მინდოდა. კატეგორიულად არ მინდოდა. კაცს, რომელსაც ადამიანი დაუჭერია, მერე გაუსამართლებიათ, მერე რაღაც მიუსჯიათ და დახვრეტებში მონაწილეობას ღებულობდა გარკვეულად, არ მინდოდა, იმიტომ, რომ შინაგან საქმეთა მინისტრი არ შეიძლება გახდეს ცეკას პირველი მდივანი.

**- აქ საუბარია, ბატონო ედუარდ, რომ 1992 წელს შეიქმნა ეს მასონური კლუბი მაგისტერიუმი, რომელიც ჩამოყალიბდა „60 ძმის“ - ასეთი დასახელებაა, გაერთიანების შედეგად, სწორედ ამ პერიოდის შემდეგ თქვენ ხდებით საქართველოს პრეზიდენტი, ანუ ეს არის აბსოლუტურად ახალი ისტორია და მანამდე იშლება საბჭოთა კავშირი და ამ მასონთა კლუბის წევრები არიან ასევე გორბაჩოვი და იაკოვლევი - მთავარი იდეოლოგი.**

- ყველაფერი არის მოგონილი, იმიტომ, რომ 92 წლამდე მე ვიყავი ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, ყველაზე რთული მისაღწევი რაც იყო, იმას მივაღწიე.

**- მაგრამ უდავოდ რთულად მისაღწევი იყო საბჭოთა კავშირის დანგრევა და შემდეგ ყოფილი ცეკას მდივნის საქართველოს პრეზიდენტად გახდომა.**

- რაც შეეხება, გორბაჩოვს რომ გარანტიები ჰქონოდა ამ მასონებისგან თუ ვიღაცებისგან, გორბაჩოვი ხომ უმუშევარი დარჩა, ფაქტობრივად. ელცინმა გამოაგდო იქედან, ელცინმა აჯობა.

**- მოვიდა დრო, როდესაც თქვენც მოგიწყვეს რევოლუცია, შეიძლება შემდეგ რაღაც პოლიტიკური პროცესები იმართება, ანუ ეს ყველაფერი არის ტყუილი? რაც ამ სხვადასხვა წიგნებში წერია?**

- მე არ ვიცი, რა წერია მაგაში, არც მინდა, რომ წავიკითხო, იმიტომ, რომ ვიცი წინასწარ, რომ ტყუილია ყველაფერი.

**- თქვენ ბრძანდებით მსოფლიო პოლიტიკოსი, რას ნიშნავს, ეს გვითხარით, რატომ ამბობენ ასე ხშირად და ამ ბრალდებას რატომ გიყენებენ, მართლა მართავენ მასონები მსოფლიოს თუ არა?**

- არა. არა, მე არ მჯერა. იმიტომ, რომ თვითონ ეს ინსტიტუტი, რა ინსტიტუტია, არ ვიცი.

**- და არაფერი არ გსმენიათ ამის შესახებ?**

- არ მსმენია, გამიგია, რომ მასონებზე ლაპარაკობენ. მეტი არაფერი.

**- და არც ეს მაგისტერიუმთან - არაფერი?**

- არცერთთან. ეს წიგნი რომც დამიტოვოთ, არც წავიკითხავ.

**- კარგით, მაშინ არ დაგიტოვებთ და მე წავიღებ. ეს არის, კიდევ ერთხელ ვიტყვი, პლატონოვის წიგნი და მეორე წიგნია, რომელზეც ჩვენ ვსაუბრობთ, ლოლლი ზამოისკის წიგნი „მასონიზმი და გლობალიზმი“, სადაც ერთშიც და მეორეშიც საუბარი არის ედუარდ შევარდნაძეზე. ბატონო ედუარდ, ბოლო პერიოდში ერთ-ერთი მთავარი თემა ქართულ პოლიტიკაში საქართველოს რეალობაში არის პრივატიზაციის პროცესი. იყიდება ყველაფერი სინდისის გარდა, ერთგვარი ასეთი ფორმულირება მოახდინა კახა ბენდუქიძემ.**

- სინდისიც იყიდება დღეს.

**- ასე ფიქრობთ?**

- მარტო დღეს არა, მარტო დღეს არა.

**დასასრული მე-14 გვერდზე**

















# ის რაც ჩვენებმა აჭარაში გააკეთეს ეს არის

# ისტორიული საქმე!




საპრეზიდენტო დაიჯესტი




**დასაწყისი იხ. მე-12 გვერდზე**

**– იქნებ დაგვიკონკრეტოთ რაიმე მაგალითით, სინდისი რატომ იყიდება?**

- სინდისს მოვეშვათ ახლა.

**– ამბობენ, რომ შევარდნაძის დროს გაპარტახებული ქვეყნის გადარჩენა უნდა მოხდეს, ამ პროცესით სხვა გამოსავალი არ არსებობს. რომ ქვეყანა იყო დანგრეული, ეკონომიკა იყო დანგრეული და დღევანდელი ხელისუფლება არის იძულებული, რომ უცხოელებს მიჰყიდოს ყველაფერი.**

- პრივატიზაციის ყველაზე დიდი მასშტაბები იყო ჩემს დროს, მე რომ პრეზიდენტი ვიყავი და სახელმწიფოს მეთაური.

**– კაპიკებში მისცაო ვიღაც კონკრეტულ პირებს რაღაც ძალიან მნიშვნელოვანი ობიექტები...**

- კაპიკებში კი არა, ვაჩუქე ბევრს, ოფიციალურად ვაჩუქე კიდეც ბევრს, იმიტომ, რომ პატარა ფაბრიკაა, დიდი ფაბრიკაა, გაჩერებულია, ნედლეული არა აქვს, არაფერი არა აქვს და პატრონი არავინ არა ჰყავს. ვისაც ვაჩუქეთ, იმ კაცმა თავი მოიკლა, სადღაც ფული ისესხა, ფული იშოვა და აამუშავა. რახან ამუშავდა, პროდუქცია შეიქმნა, ე. ი. ბიუჯეტში ფული შემოვიდეს... ხალხი დასაქმდა, ძალიან ბევრი ობიექტი ასევე ან მართლა იაფად გაიყიდა, ანდა ზოგიერთი მართლაც კიდეც გავაჩუქეთ. ბიუჯეტში საკმაო რაოდენობის თანხა შემოდიოდა და ის ხალხი, ვინც დასაქმებული იყო, საშემოსავლო გადასახადებს იხდიდა.

**– მობილური ტელეფონი გირეკავთ? ვინ გირეკავთ ხოლმე დღის განმავლობაში?**

- ბევრი. ინგას გარდა ყველა. ერთხელ ხომ დამირეკეთ?

**– კი, დაგირეკეთ, ინტერვიუზე შესათანხმებლად და დიდი მადლობა, რომ გვთანხმდებით ხოლმე.**

- რა, არ უნდა გაიყიდოს? არ უკითხავთ ჩემთვის, თორემ თვითონ მათ ვეტყოდი. არ შეიძლება პორტების გაყიდვა, ნავსადგურების გაყიდვა.

**– რატომ?**

- გამორიცხულია, იმიტომ, რომ ეს ნიშნავს იმას, რომ შავ ზღვაზე ჩვენი კონტროლი, ფაქტობრივად, აღარ იქნება.

**– არც ბათუმის სანაოსნო უნდა გაიყიდოს?**

- არ შეიძლება. არც ბათუმის ნავსადგურის გაყიდვა შეიძლება, და არც სანაოსნოს. არ ვიცი, ეს რომელ სანაოსნოზეა ლაპარაკი. ერთი სანაოსნო იყო, რომელზეც მონოპოლია ჰქონდა ბატონ ასლან აბაშიძეს. და იქ ვერავინ ვერ შედიოდა.

**– რატომ მიეცით ეს პორტი?**

- არაფერი არ მიგვიცია. თვითონ დაცვა დანიშნა და ფული რაც შემოდიოდა, იქ იყო „შავი ზღვის“ ბანკი და იმ ბანკში შეჰქონდა და აქ არაფერს არ რიცხავდა თბილისში.

**– რატომ ვერ მიაღწიეთ იმას, რომ ეს მონოპოლია არ ყოფილიყო?**

- ვერ გავაკეთე, ვერ შევძელი. რამდენჯერ ვუთხარი და თქვა, რომ, აი, ერთი-ორი თვე მაცალეთ და ერთი წელი მაცალეთ და, ბოლოს და ბოლოს, მეც ვვარაუდობდი, რომ ეს ფული იხარჯება აჭარაში. უნივერსიტეტი აშენდა, კულტურის ცენტრები აშენდა, ოპერა ააშენეს, ბავშვთა ოპერა ააშენეს და თვითონ ბათუმი გახდა კეთილმოწყობილი. ეს ყველაფერი მილიონები ჯდება. ამას მე ანგარიშს ვუწევდი და ძალიან არ ვზღუდავდი, ან როგორ შემეზღუდა. მაშინ უნდა დამეჭირა და დაჭერას კიდევ მოჰყვება ათასი უბედურება. აი, ახლა რაც გაკეთდა, სწორია ეს ნაბიჯი. მაგრამ შემთხვევით მოხდა ეს, რომ მსხვერპლი არ იყო.

**– აჭარის რევოლუციაზე საუბრობთ?**

- აჭარის რევოლუციაზე. როცა ის არხი გადალახეს. რა ქვია იმ არხს, დამავიწყდა...

**– ჩოლოქის არხი.**

- ჩოლოქის არხი. შეიძლება დიდი მსხვერპლი ყოფილიყო. მაგრამ მოხდა ისე, რომ თვითონ აჭარის ხელმძღვანელობა არ იყო ამისთვის მზად.

**– ანუ ასლან აბაშიძე?**

- ასლანი არ იყო მზად ამისათვის და ჩვენებმა კარგად ისარგებლეს ამით და მერე აჭარაში რაც გააკეთეს, ეს არის ისტორიული საქმე.

**– ჩვენებმაო, – ბრძანეთ. ვინ თქვენებმა?**

- ა, ამ, დღევანდელმა მთავრობამ!

**– ძალიან ხშირად გიყენებენ ხოლმე ასეთ ბრალდებას. ეხლა, ჩვენებმაო, რომ თქვით, მხოლოდ იმიტომ გისვამთ კიდევ ერთხელ ამ კითხვას – რომ რეალურად ისინი და შევარდნაძე არიან ერთნი, მაგალითად, ოპოზიცია ამბობს ამას, იგივე შალვა ნათელაშვილი საუბრობდა ამაზე, თუნდაც, ეთერში და სხვებიც, რომ შევარდნაძე პლუს დღევანდელი ხელისუფლება, ეს ნიშნავს „ჩვენებს“. ანუ უფრო სწორად, ერთს.**

- ახლა შალვა ნათელაშვილის ნათქვამს ვერ ავყვები და არც კანონი არის ჩემთვის, რა თქვა. არც ისაა კანონი, რასაც ბატონი მიშა იტყვის. პრეზიდენტის, მიუხედავად ამისა.

**– რატომ არ ემორჩილებით პრეზიდენტს?**

- არა, ნუ, ვემორჩილები, თუ მე მეხება რაიმე! თუ არა, სხვა მხრივ...

**– ვინ მიგაჩნიათ ყველაზე წარმატებულ ფიგურად დღევანდელ ხელისუფლებაში?**

- არ დავყოფდი მე ასე, იცით. მე მაინც მინდა, წარმოვიდგინო, რომ, ეს არის, სამთავეს კარგად ესმის ერთმანეთის. მინდა, ეს ასე წარმოვიდგინო.

**– არის ეს ასე?**

- არ ვიცი, ვერ გეტყვით. შეიძლება ჩხუბობენ, მე არ მაქვს არავითარი სხვა ინფორმაცია. გარეგნულად ჩანს, რომ ერთად არიან. საქმის ინტერესებიდან გამომდინარე, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, ერთად უნდა იყვნენ. მერე ახლა, რომელს რა მოუვლის, რომელს რა დაემართება, რა შეუჯდება ტვინში, ღმერთმა იცის.

**– რა შეიძლება შეუჯდეს თავში?**

- არ ვიცი, შეიძლება დღეს კარგად იქცევა კაცი, ნორმალურია და ხვალ რაღაცა დაემართოს.

**– კარგით, მინდა, გისურვოთ წარმატება, მინდა, გისურვოთ ბედნიერება, მინდა, გისურვოთ, რომ გეცხოვროთ ბედნიერ საქართველოში.**

## ვაი, სირცხვილო!

***ტრაგიკულად დაღუპული საქართველოს პრემიერ-მინისტრის სამუდამო განსასვენებლის გვერდით უსახელო საფლავია, იქვეა დაკრძალული ჯაბა იოსელიანიც, შოთა ნიშნიანიძე, ირაკლი აბაშიძე... იყო დრო, მწერლები მიაჩნდათ საქართველოში პანთეონში დაკრძალვის ღირსად. შემდეგ და შემდეგ შეიცვალა პროფილი და ახლა ვიღას აღარ შეხვდებით „ძვირფას მიცვალებულებს“ შორის.***

# ვისია

# უსახელო საფლავი დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში?



სული, – ხორცს
რომ გასცილდება –
ვცოცხლობ
ერთი ნუგეშით:
არასოდეს გაცივდება
საქართველოს უბეში!

*გივი ძნელაძე*

1. ზურაბ ჟვანია; 2. შოთა ლომსაძე;
3. გივი ძნელაძის
„უცნობი“ საფლავი;




4. მედეა ჯაფარიძე,
რეზო თაბუკაშვილი;
5. ჰამლეტ გონაშვილი;
6. ოთარ ლითანიშვილი

თუ პოეტიც გამოერია ახალ საფლავებს შორის, მისი საფლავი ან უსახელოა, ან მოუვლელი, ან ღობე არ აქვს, ან ქვა არ ადევს... გარდა იმისა, რომ ლიტერატურა არ უყვარს ჩვენს ნეოკომუნისტურ-ნეონაცისტურ ხელისუფლებას და მწერალთა კავშირს დაუნდობლად ებრძვის, კაპიკი რომ კაპიკია, ქვეყნის ბიუჯეტიდან ეს თანხაც არ არის გამოყოფილი უმდიდრესი ქართული კლასიკური მწერლობისათვის - ზედიზედ იხურება ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთები, მწერალთა კავშირის გამომცემლობები, მწერალს „პატრონი მოუკვდა“, არადა, მწერალია პატრონი ერისა, მისი „მაჯაშისა შემტყობარი“, მისი საგანძურის გუშაგი, „ერის წყლული რომ აჩნია წყლულად“.

ყოველი ერის სიდიადე მწერლის სიდიადით განიზომება. რა არის შვეიცარია ჟან-ჟაკ რუსოს გარეშე - ბანკირთა თავშესაფარი, რა არის რუსეთი ტოლსტოის გარეშე - დიდი დათვის თანავარსკვლავედი, რა არის დიდი ბრიტანეთი ჯორჯ გორდონ ბაირონის, რადიარდ კიპლინგის გარეშე, გერმანია გოეთეს გარეშე... ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს. ეს ასეა. კონსტანტინეს საფლავი კოლხური კოშკის ეზოში კოშკიანად გადაწვეს, ნოდარ დუმბაძე ვარაზისხევში ერთ მიყრუებულ „ალაგას“ დაკრძალა მისმა სიყრმის მეგობარმა, საქართველოს იმჟამინდელმა ცეკას პირველმა მდივანმა ედუარდ შევარდნაძემ... ამ საშინელებათა თხრობაც შორს წაგვიყვანს. ვინ იცის, რამდენ პასუხგაუცემელ კითხვას აღძრავს ერთი უსახელო საფლავი დიდუბის პანთეონში, რომელზეც, ჰა და ჰა, გაზაფხულზე ხაროზს ია.

2001 წლის 21 ოქტომბრის „ლიტერატურული საქართველოდან“ ერთი ლექსი მახსოვს:

**„სულ მალე თანდათანობით**
**მივნელდები და მივქრები,**
**დიდი თუ არა, დამრჩება**
**პატარ-პატარა წიგნები,**
**შენ თუ არ გემახსოვრები,**
**მე მაინც შენთან ვიქნები“.**

ამ ლექსს საქართველოს უძლევნის პოეტი.

თითქოს იწინასწარმეტყველაო გივი ძნელაძემ და სულ მალე გარდაიცვალა კიდეც.

მუხრან მაჭავარიანმა მწარედ დაიტირა პოეტი-მეგობარი, შვილის ნათლია. - „ჩემი სიჭაბუკისდროინდელი მეგობრებიდან ეს ერთიღა იყო და ესეც წავი-

აზმა მეოთხე

# მოსვლა „მგლის შვილთა“

*გაგრძელება. დასაწყისი იხ. „მამული“ 2005 წლის №14-19.*

## რომაელები და ქართველები

66 წლის შემოდგომის მიწურულს პომპეუსმა ლეგატ აფრანიუსის სარდლობით სომხეთში სამეთვალყურეოდ დატოვა თავისი არმიის ერთი ნაწილი. თვითონ მთავარსარდალი ძირითადი ძალებით დაიძრა ჩრდილოეთისკენ.

დაზამთრდა. რომაელები მიუახლოვდნენ მტკვრის ზემო წელს და გამოსაზამთრებლად დაბანაკდნენ. პომპეუსმა აქვე მიიღო ტიგრანისაგან სხვადასხვა სახის საფურაჟე მარაგი და ფული გაცილებით მეტი, ვიდრე ეს დათქმული იყო.

რომაელები სამ ბანაკად იდგნენ. ერთს თვითონ მთავარსარდალი მეთაურობდა, დანარჩენ ორს — მისი ლეგატები, მეტელუს ცელერი და ლუციუს ფლაკუსი.

ალბანთა მეფე ოროისემ სცადა თავის დროზე უკუეგდო კარზე მომდგარი საფრთხე, ამასთან მან საჭიროდ სცნო თავისი მეგობრის, ტიგრან მრწემის გამოხსნისათვის ეზრუნა და გადაწყვიტა თავს დასხმოდა რომაელებს.

17 დეკემბერი იდგა, რომაელთათვის სატურნალიების საზეიმო დღე. ოროისემ იფიქრა, რომ სწორედ ამ დღეს რომაელები სატურნალიების ზარზეიმით გაერთობოდნენ და საომარ ყურადღებას გაინელებდნენ.

40 000 ალბანელი მიადგა მტკვრის ზემო წელს. ოროისემ თავისი არმია სამად დაჰყო და ცალ-ცალკე შეუტია რომაელთა ბანაკებს. თვითონ მეფე თავს დაესხა მეტელუს ცელერის ბანაკს, სადაც ეგულებოდა შეპყრობილი სომეხი უფლისწული. ცელერი მტრის მოულოდნელ თავდასხმას მედგრად დაუხვდა და ძლიერი კონტრშეტევით უკუაქცია იგი.

ალბანელთათვის განსაკუთრებით მძიმე შეიქნა რომაულ „კასტრასთან“ (სამხედრო ბანაკი) ბრძოლა, ლუციუს ფლაკუსს თავისი ბანაკისათვის ორრიგი თხრილები შემოევლო და, როცა მან მოჩვენებითი უკუქცევით ალბანელები პირველი თხრილის შიგნით შეიტყუა, ლეგიონერები ერთბაშად მოუბრუნდნენ და ჩეხვაზე გადავიდნენ. ბევრმა უკუქცეულმა ალბანელმა ფართო თხრილის გადალახვა ვეღარ მოახერხა და შიგ ჩაიღუპა.

პომპეუსმა ბრძანება გასცა და სამივე ბანაკი ერთიან იერიშზე გადავიდა. მტკვრის გადალახვისას ალბანთა ლაშქარი კვლავ ძლიერ დაზარალდა.

ოროისემ რომაელებს დაზავება სთხოვა. პომპეუსმა ალბანთა ქვეყანაში შეჭრა ჯერჯერობით ნაადრევად ჩათვალა და სამშვიდობო წინადადებაზე დათანხმდა.

65 წლის გაზაფხულზე რომაელები იბერთა მიწა-წყალზე შემოიჭრნენ.

მაშინ იბერიაში მეფობდა არტაგი.

იბერთა მეფემ მსოფლიო დამპყრობლებთან გულდაგულ შეტაკება უსაზმნო საქმედ ჩათვალა და პომპეუსს დესპანები გაუგზავნა სამეგობრო ურთიერთობის დასამყარებლად. მაგრამ არტაგი იმასაც ვარაუდობდა, რომ გულზვიადი რომაელი მთავარსარდალი, რომელსაც დიდძალი და მრავალი გამარჯვებებით გათამამებული არმიები ჰყავდა, დაზავებაზე ასე იოლად არ დათანხმდებოდა და ამიტომ პარალელურად ჯარების შეყრასა და საომარ სამზადისს შეუდგა.

პომპეუსი თავისი ლეგიონებით ისე სწრაფად მიადგა მცხეთის აკროპოლისს — არმაზციხეს, რომ არტაგისთვის მისგან შემოთავაზებულ ზავზე არც კი უპასუხნია.

არტაგმა ჯარების გამოყვანა ვერ მოასწრო, არმაზციხე მცირერიცხოვან ციხიონს მიანდო, თვითონ მტკვრის მარცხენა ნაპირზე გადავიდა და ხიდი დაწვა, რომ ამით მცხეთისკენ რომაელთა გადასვლა შეეფერხებულიყო.

პომპეუსმა არმაზციხე აიღო და ქართლის სატახტოს გული მის ხელში მოექცა. ამგვარად, რომაელი დამპყრობელი დაეუფლა დიდ სტრატეგიულ და სავაჭრო ქალაქს, რომელიც ალბანეთისკენ და სომხეთისკენ გასასვლელი გზების გასაღებს წარმოადგენდა.

პომპეუსი ინდოეთიდან შავი და ხმელთაშუა ზღვებისკენ მომავალ დიდ სავაჭრო გზაზე იდგა. აქ მან დააზუსტა: ინდოეთიდან ბაქტრისა და ოქსის (ამუდარია-სირდარია) გამოვლით კასპიის ზღვამდე სავაჭრო ქარავნისთვის შვიდი დღე კმარა, ხოლო კასპიის ზღვიდან პონტოს ფასისამდე მტკვარით, ძირულითა და რიონით — ხუთი დღე. ბოლოს და ბოლოს, ამ გზით ინდურ საქონელს იტალიამდე ოცი-ოცდახუთი დღე თუ დასჭირდება...

მაგრამ, იბერია ჯერ დასაპყრობი ჰქონდა პომპეუსს.

არმაზციხეში რომაული ციხიონი დააყენა და მტკვრის ხელმარცხნივ გადასალახავად მოემზადა.

როცა არტაგი დარწმუნდა, რომ პომპეუსი მარტო მტკვრის მარჯვენა სანაპიროების დაპყრობით არ კმაყოფილდებოდა, იძულებული გახდა საზავო მოლაპარაკება განეახლებინა. მეფე მეგობრობას სთავაზობდა რომაელს, თან სურსათით დახმარებასა და მტკვარზე ხიდის აღდგენას აღუთქვამდა.

მეფემ დანაპირები კიდევაც შეასრულა, მაგრამ პომპეუსი იბერიის, ამ უცნაური აქამდე დაუმორჩილებელი ქვეყნის სრულიად დასამორჩილებლად იყო მოსული და მაინც გადაიყვანა ჯარები მტკვრის მარცხენა სანაპიროზე.

# უქარქაშო ხმლები

**ლევან სანიკიძე**



არტაგი გადამწყვეტ ბრძოლას კვლავ განერიდა, მდინარე არაგვზე გადავიდა და ხიდი აქაც დასწვა.

რომაელები მდინარის გადალახვას შეუდგნენ. იბერიელები შეებნენ, მაგრამ ფრიად დაზარალდნენ.

პომპეუსი მტკვარ-არაგვის გზა-კვანძს მთლიანად ფლობდა, მაგრამ ეს მაინც არ იყო სრული გამარჯვება.

იბერიელები თარეშულ-პარტიზანულ ომზე გადავიდნენ. ღრმა და უსიერ ტყე-ღრეებში მიიწევდნენ, მტერს გზას უჭრიდნენ, ქვას აგორებდნენ, ზვავებს სხლეტდნენ, მაღალ ხეებზე საფრდებოდნენ და მომხდურთ მიზანაუცდენლად ესროდნენ ისარს, თვალშეუდგამი ტყეებიდან და წკვარამებიდან ელვასავით გამოიჭრებოდნენ, მტერს მიესეოდნენ და კვლავ ელვისებურად გაუჩინარდებოდნენ...

მაშინ რომაელებმა ტყეების გაჩეხვა და ცეცხლის წაკიდება დაიწყეს.

იბერიელი მეომრები ნადგურდებოდნენ.

დაჭრილ და დახოცილ ქართველ მეომართა შორის რომაელებმა მრავალი ქალი აღმოაჩინეს. გაოცება იმდენად ძლიერი იყო, რომში ხმა ჩავიდა, პომპეუსი აღმოსავლეთში ამაძონებს ებრძვისო.

არტაგმა ისევ გაგზავნა დესპანები პომპეუსთან, — კვლავ დაზავებას ითხოვდა. თან დიდი ძღვენი აახლა რომაელ სარდალს: ოქროს ტახტი, ოქროს მაგიდა და ოქროს სარეცელი. მაგრამ რომაელი მაინც უნდობლობას უცხადებდა იბერთა მეფეს და ზავის აუცილებელ პირობად მის ვაჟებს მძევლად მოითხოვდა.

მეფე დიდხანს ყოყმანობდა, მაგრამ როცა ზაფხულის ძლიერი სიცხისაგან არაგვის წყალმა კლება დაიწყო და რომაელებმაც მისი გადალახვა ადვილად შეძლეს, არტაგი დათანხმდა და პომპეუსს მძევლად გაუგზავნა თავისი შვილები.

არტაგი და პომპეუსი დაზავდნენ.

იბერია „რომაელი ხალხის მოკავშირედ და მეგობრად“ გამოცხადდა.

რაკი იბერიის მხრივ უშიშროება უზრუნველყო, პომპეუსმა არმიები კოლხეთისაკენ დაძრა. რომაელებმა გადაიარეს ლიხის მთა და ძირულა-რიონის ხეობაში დაეშვნენ. ისინი გზადაგზა ადგილობრივ ქართულ ტომთაგან ზოგს იმეგობრებდნენ, ზოგსაც იარაღით იმორჩილებდნენ.

ასე მიაღწიეს ქალაქ ფასისს, სადაც პომპეუსს მიეგება მისგანვე ზღვების სადარაჯოდ გამოგზავნილი ნავარქი სერვილიუსი. მისგან პომპეუსმა შეიტყო, რომ მითრიდატე კოლხეთიდან ბოსფორს წასულა. საბაბი, რომლითაც რომაელი სარდალი თავის ლაშქრობას ამართლებდა, ადგილზე აღარ არსებობდა, მაგრამ მას ახლა არავითარი საბაბი აღარ სჭირდებოდა. ქვეყანა უკვე დალაშქრული და დამარცხებული იყო.

მცირე ფიქრის შემდეგ პომპეუსმა ირწმუნა, რომ იგი ვერ შეძლებდა ჩრდილოეთ შავი ზღვისპირეთში ლაშქრობას და გადაწყვიტა, ეს წელი (65 წ.) ლეგენდარული კოლხეთის სრული დამორჩილებისათვის მოენდომებინა. მან ფასისიდან გაილაშქრა ჩრდილოეთისკენ. ამბობდა, კავკასიონს უნდა ვეწვიო, პრომეთეს ტანჯვის ადგილსო. რომაული პლუტოკრატიის რჩეულს განსაკუთრებით აინტერესებდა კავკასიონის მთებიდან ჩამომდინარე ნაკადულების ოქროს ქვიშა და გრძელბეწვიანი ცხვრის ტყავებით ამ ოქროს შეგროვების კოლხური წესი.

მაგრამ რომაელები, რაც უფრო ჩრდილოეთით მიიწევდნენ, მით უფრო ხშირად მარცხდებოდნენ მამაც მთიელ ქართველობასთან შეტაკებებში.

პომპეუსმა დროზე იცოდა თავის შეკავება. ამჯერადაც მან შეუძლებლის შეძლებაზე ხელი აიღო და სამხრეთისაკენ შემობრუნდა. დასავლეთ საქართველოს დაპყრობილი ტერიტორიები სამმართველოდ გადასცა ვიღაც არისტარქეს. ზღვების მეთვალყურეობა ისევ სერვილიუსს დაავალა და თვითონ ალბანეთის წინააღმდეგ დაიძრა.

## რომაელები და ალბანელები

პომპეუსს უნდოდა, ალბანეთსაც ისევე მოულოდნელად დასხმოდა თავს, როგორც იბერიას. იგი ალბანეთისკენ გაემართა არა უმოკლესი გზით, არამედ სომხეთის გავლით, რათა სამხრეთიდან მოულოდნელად შეჭრილიყო უცხო ქვეყანაში.

კოლხეთიდან სომხეთისკენ მიმავალ გზაზე, მესხეთის მთებზე მცხოვრებმა „შვიდსოფლელებმა“ (შკვითინებმა) პომპეუსს სამი ცენტურია ამოუჟლიტეს. თურმე უცხო, დაუპატიჟებელ სტუმრებს შვიდსოფლელებმა ველური თაფლით სავსე ქოთნები გამოუფინეს გზაზე. რომაელები თაფლს დაეხარბნენ, დაეწაფნენ, დაბრუვდნენ და გონწართმეულნი დაჟუჟეს მასპინძლებმა.

პომპეუსი სომხეთს მივიდა. სომხეთი წყნარად დახვდა. აქედან იგი ჩრდილოეთისკენ გაეშურა და მდინარე მტკვარს მიადგა (დღევანდელი ყაზახისა და აღსტაფის მახლობლად). მდინარის მარცხენა ნაპირი მაღალი ხის ღობურებით იყო გამაგრებული. რომაელებმა მაინც შეძლეს მეორე ნაპირზე გადასვლა. ისევ იბერთა მიწაზე იდგნენ. რამდენიმე დღის განმავლობაში მიემართებოდნენ კამბეჩოვანის სიცხიან ველებზე. ძლივს მილასლასებდნენ სიცხისა და წყურვილისაგან დაოსებულნი. ტყვე მეგზურები ცდილობდნენ, არასწორი გზით წაეყვანათ დაუპატიჟებელი სტუმრები.

ბოლოს, პომპეუსის ლაშქარი მდინარე იორს მიადგა. წყურვილისაგან დატანჯული მეომრები და ცხოველები ხარბად დაეწაფნენ ცივ წყალს. ბევრს მუცლის გვრემა დამართა უზომო წყლის სმას.

იორიდან ალაზნამდე იარეს, იბერიის მიწა-წყალი განასრულეს და ალბანეთის მიწებზე შედგეს ფეხი. ალაზნის გადალახვისთანავე პომპეუსმა მიიღო ცნობა, რომ ახლოვდებოდა ალბანთა მეფე ოროისე 60 000 ქვეითი მეომრითა და 12 000 ცხენოსნით.

პომპეუსს გაცილებით მრავალრიცხოვანი არმია ჰყავდა. მან წინა ხაზზე გააწყო კავალერია; უკან ფარებს ამოფარებული ქვეითი ლეგიონები დაალაგა, დაჩოქილნი, — მტერს რომ არ შეენიშნა მისი რიცხობრივი უპირატესობა.

ალბანელები დანახვისთანავე ეძგერნენ რომაულ მხედრობას. პომპეუსის ცხენოსნებმა მტერს ზურგი აქციეს და გზა გაუხსნეს უკან ჩასაფრებულ ლეგიონებს. ლეგიონებიც აღიმართნენ ჩვეული მრისხანებით. ნადირთა ტყავით შემოსილი ალბანელნი უსაზმნოდ აწყდებოდნენ მსოფლიოში უპირველესი საომარი აღჭურვილობის მქონე გაწვრთნილ არმიას.

ოროისეს ძმა, კოსისი, პომპეუსს მიეჭრა და მკერდზე მძლავრად აძგერა შუბი, რომაელის ფარფლებიანმა ბექთარმა აისხლიტა ალბანელის შუბი. წამსვე პომპეუსმა მოიქნია მახვილი. კოსისი შუაგაჩეხილი გადმოეშვა ცხენიდან.

რომაელთა მხედრობამ ფლანგებიდან შეუტია მტერს. ალბანელნი ალყაში მოექცნენ და განადგურდნენ. ცოტანი გადარჩნენ სიკვდილს.

პომპეუსს განზრახული ჰქონდა, კასპიის ზღვამდე მისულიყო. სამი დღის განმავლობაში მიიწევდნენ წინ. მაგრამ სიცხეების, უწყლობისა და შხამიან ქვემძრომთაგან შეძრწუნებულმა მეომრებმა უარი განაცხადეს შემდგომ წინსვლაზე.

პომპეუსს ლუკულუსის ბედი გაახსენდა: ლეგიონები რომ აუჯანყდნენ აღმოსავლეთში. ამიტომ იგი დათანხმდა ალბანთა მეფის თხოვნას და ზავი შეკრა მასთან.

***გაგრძელება შემდეგ ნომერში***

და!.. ტყე აიჩეხა! - ტყის ადგილას ერთი ხე დავრჩი!

ახლაც თვალწინ მიდგას გივის სოფელი ბურნათი: ბიძია ევგენი - გივის ძია, ძვირფასი ადამიანი, ქალბატონი ელისო და თეკლე - გივის დედა და ბიცოლა, გივის დები - ელიკო და ლამარა, სათნოებით სავსენი, გივის ძმა - ნოდარი, მეზობელ-ნათესავები - პროკოფი, ეშანე, მიტუშე...

გივი იყო ჩემი განუყრელი მეგობარი, შოთას შემდეგ *(ნიშნიანიძე. - ს.ბ.)* და შოთასთან ერთად! - ჩემი ჭირისა და ლხინის თანამოზიარე! - ჭირი კი, ვინც მიცნობს, ყველამ კარგად იცის, მუდამ უხვად მქონდა.

გივი იყო ნათლია ჩემი პირმშოსი, მას სხვა ნათლული არ ჰყოლია. რაც მთავარია, გივი იყო ჭეშმარიტი პოეტი.

მშვიდად იყავ, ჩემო გივი!

საქართველო შენისთანებს არ ივიწყებს!“ - გულდათუთქული დასტიროდა გივი ძნელაძეს მუხრან მაჭავარიანი.

კარელიურ-ფინური ხალხური ეპოსი „კალევალა“ შესაშური სიზუსტით თარგმნა ასევე ბრწყინვალე ლირიკოსმა პოეტმა გივი ძნელაძემ.

**„ო, რა ნელა თენდება,**
**ო, რა ჩქარა ღამდება,**
**გაიხედე, თუ ძმა ხარ,**
**თენდება თუ ღამდება“...**

მას სხვა სიმღერებიც ჰქონდა:

**„ერთი ქუჩის ერთ კუთხეში**
**ერთხელ ერთმა ქალმა...“.**

გივი ძნელაძის ლექსები იმღერებოდა თავისთავად, ძალდაუტანებლად, ქართული, ტრადიციული, ხალხური მელოდია მისი ლექსის სტრიქონებში იყო დავანებული.

სამი წლის წინ გარდაიცვალა ბატონი გივი. ამასწინათ კი გაზეთ „მამულში“ დაიბეჭდა მაია მარგველანის წერილი „ზურაბ ჟვანიას საფლავზე ვარდები დაჭკნა“, სადაც დიდუბის პანთეონის საერთო ხედი იყო დასტამბული. ერთ-ერთი საფლავის სარედაქციო მინაწერი გვამცნობდა - „საფლავი უცნობია“.

**ნუთუ პანთეონში შეიძლება უსახელო, უცნობი საფლავი იყოს?! - ეს ხომ სახელმწიფოს სირცხვილია. სერიოზულად დავინტერესდი ამ საფლავის ბინადარით და მივაკვლიე კიდეც - უსახელო საფლავი გივი ძნელაძეს ეკუთვნის. ვაი, სირცხვილო!**

რა გახდა ერთი ქვა ამ სამი წლის მანძილზე, ასე უჭირს ქვეყანას? მე ბოდიშს ვიხდი გივი ძნელაძის შვილების - ძიძიას და ტატოს წინაშე. მახსოვს, სახელმწიფო ხელისუფლებისაგან იმ წლებში დევნილი პოეტის უმუშევრობა, წიგნის გამოუცემლობა, სიდუხჭირე, მაგრამ პანთეონი ხომ კერძო სასაფლაო არ არის? იქ ლიტერატურის თაყვანისმცემლები მიდიან ხშირად, უცხოელებიც სტუმრობენ ქართველი ერის „ღმერთების სასაფლაოს“ და სირცხვილია, სირცხვილი მხოლოდ გავლენიან „მიცვალებულთა“ პატივისცემა, სახელმწიფოებრივი ყურადღება. გულმა უმტყუნაო გივი ძნელაძეს. ამ კაცს გული ჰქონდა. უგულო, უთვისტომო, უსამშობლო ხელისუფალთ კიდევ ერთხელ შევახსენებ - ნუ გძულთ ქართველი ერი, თორემ ქართველი ერისგანაც სიძულვილს მოიმკით!

აი, რა ლექსი დატოვა საწერ მაგიდაზე მშობლიურ სოფელ ბურნათში თქვენგან „შერისხულმა“ ქართველმა პოეტმა:

**გულში აროდეს**
**არ მქონია ჯიბრი არვისი,**
**მით უფრო - შური,**
**შური - სხვაა,**
**ჯიბრი სულ სხვაა...**
**სამოთხეში ვართ,**
**ჯოჯოხეთის შესადარისი**
**ყოფა გვაქვს... რა გვჭირს,**
**ვინ დაგვწყევლა,**
**რა ღვთის რისხვაა?!**
**ვინ იცის - იქნებ**
**ყველაფერი ჩემი ბრალია,**



მარცხნიდან: **გივი ძნელაძე, რეზო ქეიშვილი, ტარიელ ქანტურია, მუხრან მაჭავარიანი, თამაზ წივწივაძე**

**წავალ ბატონო, ოღონდ**
**გაქრეს ლუსკუმი ღამე!**
**სხვისი თუ არა -**
**ჩემი თავი ხომ მაბარია,**
**მე წავალ, ოღონდ**
**საქართველოს**
**ეშველოს რამე!“**

ეს ლექსი უკანასკნელი აღმოჩნდა.

ჩემო ძიძია და ტატო, მაპატიეთ ამ წერილის გამოქვეყნება. გივი ძნელაძის საფლავი საქართველოს ეკუთვნის, ხელისუფლება ვალდებულია პანთეონების წინაშეც!

**სიმონ ბალახაძე**

*ჩვენი გაზეთის წინა ნომერში გამოქვეყნებულ წერილს „ხვალ ჟიული შარტავას დახვრეტენ!“ („მამული“, 2005 წლის № 20) გამოეხმაურა საქართველოს პირველი პრეზიდენტის — ზვიად გამსახურდიას მეუღლე, „დიდი ეროვნული გაერთიანების“ ლიდერი, ქალბატონი მანანა არჩვაძე-გამსახურდია. მან ჩვენთან საუბრისას გულთბილად გაიხსენა ბატონი ჟიული შარტავა და „მამულს“ გაანდო ის ფასდაუდებელი ინფორმაცია, რომელიც, ვფიქრობთ, ქართულ პრესაში დღემდე არ გახმაურებულა. საქმე ეხება ზვიად გამსახურდიასა და ჟიული შარტავას საქმიან შეხვედრებს, ორი დიდი მამულიშვილის — დევნილობაში მყოფი კანონიერი პრეზიდენტისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის სატელეფონო საუბრებს, აფხაზეთის ომს, ცეცხლისა და ტყვიების წვიმაში გახვეულ სოხუმს, პრეზიდენტის სამშობლოში დაბრუნებას, ჟიული შარტავას დახვრეტის მიზეზთა მიზეზს!... ეს გახლავთ უნიკალური ინფორმაცია და სევდიანი ამბავი, რომელიც უამრავ საიდუმლოს ხდის ფარდას და ნათლად შეგვაგრძნობინებს საქართველოს უკანასკნელი თხუთმეტწლიანი ისტორიის სისხლიანი ქრონიკების ავბედითობას.*

# მანანა არჩვაძე-გამსახურდია:

# ზვიად გამსახურდია ჟიული შარტავას პრემიერ-მინისტრის პოსტს სთავაზობდა!



**- ქალბატონო მანანა, ზვიად გამსახურდია და ჟიული შარტავა ერთმანეთს ადრიდანვე იცნობდნენ თუ აფხაზეთის ომმა დააკავშირა ისინი ერთმანეთს?**

- ბატონ ჟიულის, როგორც კარგ ქართველს და კარგი საქმის მკეთებელს, საქართველოში ვინ არ იცნობდა!.. იგი საქართველოში ეროვნული ხელისუფლების მოსვლის მსხვერპლი ნამდვილად არ გამხდარა, რადგან, ვიდრე პირველი მრავალპარტიული არჩევნები ჩატარდებოდა და ზვიადი გაიმარჯვებდა, ჟიული, რომელიც რუსთავის ქალაქკომის მდივანი იყო, კომუნისტებმა მანამდე გაათავისუფლეს. ზვიადი ჯერ კიდევ უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე იყო, როცა ერთ დღეს მეუბნება, - **მანანა, ჩემთან, იცი, ვინ იყო? - ვინ იყო-მეთქი? - ვკითხე... - ჟიული შარტავა!**

**- შეგიძლიათ გაიხსენოთ ეს პერიოდი უფრო დაწვრილებით?**

- 1990 წელი იდგა. ზვიადი, ალბათ, ორი-სამი თვის მოსული იყო ხელისუფლებაში, იგი არჩევდა კადრებს... მან ყველას მოუწოდა, განურჩევლად პარტიული წარმომავლობისა და წარსულისა, დამდგარიყვნენ ერთად დამოუკიდებელი და თავისუფალი საქართველოს ასაშენებლად. ზვიადს ჟიული შარტავას პატრიოტიზმსა და კარგ ქართველობაში ეჭვი არასოდეს შეჰპარვია და ამიტომ დაავალა თავის თანაშემწეს, სასწრაფოდ მოეძებნათ იგი, რათა პირადად შეხვედროდა. მართლაც, ბატონი ჟიული ზვიადს ესტუმრა, მათი საუბარი იყო ძალიან მეგობრული და თბილი...

**- სად შეხვდნენ ისინი ერთმანეთს?**

- უზენაეს საბჭოში, ზვიადის კაბინეტში! ზვიადმა ჟიულის უთხრა: **ჟიული, შენ იმდენად კარგი ქართველი ხარ, რომ მინდა, ძველებურად საქართველოს სამსახურში ჩადგე. შემოგთავაზებ ნებისმიერ თანამდებობას, რომელსაც ხელს მოჰკიდებ და ეს თანამდებობა შენთვის ნამდვილად არ იქნება დამამცირებელი.** ზვიადმა ჟიულის შესთავაზა ერთ-ერთი სამინისტროს ხელმძღვანელობა... ჟიული ზვიადს უარის თქმასაც ვერ უბედავდა, მაგრამ მას რაღაც აფერხებდა და ზვიადს უთხრა, - **ვიფიქრებ!...** რადგან ბატონმა ჟიულიმ ასეთი რამ თქვა, ზვიადს იმედი გაუჩნდა, ალბათ, დაფიქრდება და მოვაო, მაგრამ, როცა ჟიულის პასუხი შეაგვიანდა, ზვიადმა მეორეჯერაც მოიკითხა იგი. ზვიადი და ჟიული ისევ შეხვდნენ ერთმანეთს და ზვიადმა ჰკითხა, - რატომ შეფერხდი ამდენ ხანს, თუ შენ ეს თანამდებობა არ გაკმაყოფილებდა, მაშინ პირდაპირ გეთქვა, რა თანამდებობა გსურდა და მზად ვიყავი, ყველაფერი მომეცა, რადგან მე შენში ძალიან კარგ ქართველს ვხედავ, რომელსაც მთელი ცხოვრება ჯერ კიდევ წინ აქვს. მე შენ კარიერას არ გიმზადებ, მინდა, წარმოჩნდე საქართველოში ისეთი, როგორიც ხარ! რასაკვირველია, ჟიულის ეს სიტყვები ესიამოვნა, მადლობა გადაუხადა ზვიადს. პიროვნულად და შინაგანად ჟიული ისეთივე ქართველი იყო, როგორიც ბოლომდე დარჩა, მას თავისი სამსახურებრივი მდგომარეობა უკრძალავდა და აიძულებდა, ვერ შეხვედროდა ზვიადს, თორემ ისინი ერთმანეთს კარგად იცნობდნენ. სხვათაშორის, ზვიადი ძალიან გულნატკენი ჩანდა...

**- რატომ?**

- ამბობდა, მაინც ვერ ვხვდები, რატომ მეუბნება ჟიული უარსო. ზვიადმა ისიც მითხრა, - ჟიულის ვუთხარი, თუ შენ ის გაბრკოლებს, რომ კომკავშირში და ცეკაში იყავი, მოიხსენი ეს ბარიერი, ჩემთვის ამას არანაირი მნიშვნელობა არ აქვს. **მთავარია, შენ ხარ ის პიროვნება, რომელიც სჭირდება საქართველოს!...** მოგეხსენებათ, ზვიადი გულწრფელი იქნებოდა, მას ნამდვილად არაფერში დასჭირდებოდა ფამილარობა და ჟიულის წინაშე მუხლებზე დადგომა. ზვიადი პატივს სცემდა ჟიულის და რასაც მასზე ფიქრობდა, ყველაფერი გულღიად უთხრა. მეორე შეხვედრის დროს ჟიულიმ ზვიადს მიუგო: ბატონო ზვიად, ჯერ კიდევ ვერ გავერკვიე სიტუაციაში და მაპატიე!.. მათ ბევრ რამეზე ილაპარაკეს. საუბარი ეხებოდა კოლხეთს, საქართველოს მთლიანობას, მის მომავალს. ზვიადმა ჟიულის გააცნო თავისი გეგმები, კონცეფცია და ბოლოს უთხრა, - **იფიქრე, ჟიული, უსამსახუროდ შენი ყოფნა არ შეიძლება.** საქართველოში დადიოდეს ადამიანი, რომელსაც ამდენი რამ გაუკეთებია მისთვის და დღეს სადღაც მიმალული იყოს, არ ჩანდეს, ნამდვილად არ მსურს. მერე რა, რომ შენ კომუნისტებთან იყავი! ჟიული, შენ ხარ მშენებელი კაცი, შეგიძლია, ააშენო ახალი საქართველო! მიუხედავად მათი ასეთი გულთბილი საუბრისა, ზვიადმა ვერც მეორე შეხვედრიდან შეიტყო ჟიულის საბოლოო გადაწყვეტილება და შეთანხმდნენ მესამე შეხვედრაზე.

**- ქალბატონო მანანა, მესამედ როდის შეხვდნენ ბატონი ზვიადი და ბატონი ჟიული ერთმანეთს?**

- ეს უკვე ზვიადის პრეზიდენტობის პერიოდია... მესამე შეხვედრა დროში გაიჭიმა, ზვიადი წუხდა და მეუბნებოდა,- **მანანა, ისე არ გამომივიდეს, თითქოს ჟიულის ვაწუხებდე, რაღაც აფერხებს ამ კაცს და ამის მიზეზი ვერ ამიხსნიაო!...** მესამე შეხვედრის დროს ზვიადმა პირდაპირ უთხრა ჟიულის, - ცოტა ხნით შემოგთავაზებ ისეთ თანამდებობას, რომელიც საწყისი იქნება იმისა, რომ შენ მთავრობის მეთაური გახდე!

**- რას ამბობთ, ქალბატონო მანანა, ზვიად გამსახურდიამ პრემიერმინისტრობა შესთავაზა ჟიული შარტავას?**

**- დიახ!**

**- მე ეს არსად წამიკითხავს და გამიგონია, ქალბატონო მანანა, ეს ფაქტი, დარწმუნებული ვარ, არავინ იცის!...**

**- დიახ, ეს არავინ იცის!...**

**- სიგუასთან ამ დროს როგორი ურთიერთობა ჰქონდა პრეზიდენტს?**

- სიგუასთან სიტუაცია უკვე დაძაბული იყო იმდენად, რამდენადაც სიგუა თავად ძაბავდა ურთიერთობებს. ფორმალურად ერთიანობა სუფევდა, ზვიადი ცდილობდა, სიგუასთან დაპირისპირების ამბავი არ გახმაურებულიყო, რადგან პრეზიდენტს ეს სირცხვილად მიაჩნდა. დღეს რომ ატრიალებენ ყველას თანამდებობებზე, მსგავსი რამ ზვიადისთვის მიუღებელი იყო. ყველას ახსოვს, როგორ წარუდგინა ზვიადმა სიგუა ქართველ ხალხს, მაგრამ როგორი პიროვნებაც ის აღმოჩნდა, მთელმა საქართველომ იცის. ზვიადმა, მე და იმ ადამიანებმა, ვინც ხელისუფლებაში იყო, კარგად ვიცოდით, რას აპირებდა სიგუა, მაგრამ ფორმალური ერთიანობა ჯერ კიდევ არსებობდა. ზვიადი ცდილობდა, ყოველგვარი დაპირისპირების გარეშე, ლამაზად მომხდარიყო სიგუას ჩანაცვლება ჟიული შარტავათი, რომელიც იყო საქართველოს ერთგული და არა - მოღალატე.

**- რა უთხრა ბატონ ზვიადს ბატონმა ჟიულიმ, პრემიერმინისტრობაზეც უარი თქვა?**

- დიახ, უარი განაცხადა!...

**- მიზეზად რა დაასახელა?**

- მიზეზი არ უთქვამს და ვერც ჩვენ გავიგეთ. ზვიადი ისეთი იყო ბუნებით, რომ ჩაძიება არასოდეს უყვარდა და ზნეობრივადაც არ იყო გამართლებული, რომ შეკითხვებით თავი მოებეზრებინა ჟიულისათვის. ისინი ერთმანეთს ძალიან კარგად, მეგობრულად დაშორდნენ. ზვიადი იმ დღეს შინ რომ მოვიდა, მითხრა, - **მანანა, ჟიულიმ ისევ უარი მითხრა, მეწყინა, მაგრამ არ ვაგრძნობინე...** არ მეგონა თუ უარს მეტყოდაო!.. ამის შემდეგ საქართველოში მოვლენები კატასტროფულად განვითარდა და დაიწყო პუტჩი. თქვენ რომ გამოაქვეყნეთ, **ვალტერ შურღაია გააფრთხილა ჟიული შარტავამ, პრეზიდენტს გადაეცით, ოპოზიცია ომს იწყებსო, სიმართლე გითხრათ, ზვიადს ამის შესახებ ჩემთვის არ უთქვამს!** ზვიადს პუტჩის წინა დღეებში ინფორმაციის მიწოდება უკვე აღარ სჭირდებოდა, იმდენად ჩახედული იყო ყველაფერში - ვინ რას აპირებდა, ვინ სად დარბოდა, თვითონ თამაზ დუმბაძეს უწერია თავის „საბრალდებო დასკვნაში“, როგორ მოძრაობდნენ პუტჩისტები თბილისსა და მოსკოვს შორის, როგორ უკავშირდებოდნენ შევარდნაძეს ბაქოს გზით თუ პირდაპირი რეისით - თბილისი-მოსკოვით! ზვიადს ყველგან ჰყავდა თავისი ხალხი. ისინი აწვდიდნენ ინფორმაციას, მაგრამ თუ მართლა იყო ასეთი ფაქტი და ვალტერ შურღაია მართლა გააფრთხილა ჟიულიმ, **საინტერესოა, რატომ პირადად ზვიადთან არ შევიდა შარტავა მაშინ, როცა მისთვის პრეზიდენტის კარი ყოველთვის ღია იყო.** მე ხომ ვიცი, ჟიულის ნებისმიერ დროს შეხვდებოდა ზვიადი და რისი მოერიდა, ვერ გეტყვით!...

**- აფხაზეთის ომმა და ჩვენმა საერთო უბედურებამ ისევ დააახლოვა ზვიად გამსახურდია და ჟიული შარტავა?**

- აფხაზეთი და შიდა ქართლი შევარდნაძემ ჯერ კიდევ 1992 წლის 24 ივნისს დაგომისის შეხვედრაზე ჩააბარა რუსებს. შევარდნაძე, ვახტანგ გოგუაძე, ელცინი, გრაჩოვი, რუსეთის მთელი გენერალიტეტი, კიტოვანი შეიკრიბნენ დაგომისში. ჯერ სატელეფონო საუბრებით ამზადებდნენ შეთანხმებისათვის ნიადაგს. ზუსტად 24 ივნისს თბილისში ტელევიზიის აღების ინსცენირება იმიტომ მოაწყო შევარდნაძემ, რომ ხალხის ყურადღება დაგომისისკენ არ გადაეტანა. 24-ში, 15 საათზე, შევარდნაძე და სხვა პუტჩისტები უკვე დაგომისში იყვნენ. იქ გამართული მოლაპარაკების სტენოგრამა არძინბამ პირდაპირ გადმოუგზავნა ჯოჰარ დუდაევს, რომელმაც ეს დოკუმენტი გადასცა ზვიადს, სადაც პირდაპირ ეწერა, რომ შევარდნაძე და მისი ხუნტა სავარძლის შესანარჩუნებლად მზად არის, რუსეთს გადასცეს აფხაზეთი და შიდა ქართლი, ოღონდ იმის სანაცვლოდ, რომ რუსეთი მხარს არ დაუჭერს საქართველოში კანონიერი ხელისუფლების აღდგენას. **მოგეხსენებათ, შევარდნაძეს, სიგუას, კიტოვანს, იოსელიანს და ყველა დანარჩენ პუტჩისტებს, თუ ქვეყანაში იარაღის ძალით დამხობილი კანონიერი ხელისუფლება აღდგებოდა, გაასამართლებდნენ როგორც სახელმწიფო დამნაშავეებს და ამიტომ თავიანთი თავის გადასარჩენად ყველაფერზე წავიდნენ, ქვეყნის ტერიტორიები ჩააბარეს!** მახსენდება გორბაჩოვის სატელეფონო საუბარი ზვიადთან. როცა გორბაჩოვმა ზვიადს ჰკითხა, - თქვენ დამოუკიდებლობის გამოცხადებას აპირებთ? ზვიადმა უპასუხა, - ვაპირებ და ამას არც საბჭოთა კავშირის კონსტიტუცია გვიკრძალავს და არც საქართველოს კონსტიტუცია! მაშინ გორბაჩოვმა ზვიადს უთხრა, - „Тогда вы уедете без Осетии и без Абхазии!“ გორბაჩოვმა ეს დანაქადები ზვიადის დროს ვერ შეასრულა, მიუხედავად იმისა, რომ სამაჩაბლოში ომი იყო! ბევრი ზვიადს აბრალებს ცხინვალში ომის გაჩაღებას, მაგრამ მობრძანდნენ და მე ყველას გავახსენებ, რომ ჯერ კიდევ გუმბარიძის დროს, 1990 წლის 26 მაისს, როგორ დაარბიეს ცხინვალში შეკრებილი ქართველები, როგორ დაასისხლიანეს, სასტიკად სცემეს და როგორ რეკავდა მერე ეს ხალხი „კოლხურ კოშკში“ ზვიად გამსახურდიასაგან დახმარების მისაღებად. მაშინ კომუნისტები იყვნენ ხელისუფლებაში!... ზვიადმა აფხაზებთან მცირედი დათმობით სოხუმში მშვიდობა უზრუნველყო. აფხაზები უზენაეს საბჭოში ვერასოდეს შექმნიდნენ საკონსტიტუციო უმრავლესობას და საქართველოს საწინააღმდეგო გადაწყვეტილებასაც ვერ მიიღებდნენ. ეს იყო ზვიადის გონივრული კომპრომისი. ვალდებული ვარ, ვილაპარაკო მხოლოდ სიმართლე და გითხრათ, რომ **არძინბა ცნობდა მხოლოდ ზვიად გამსახურდიას.** ზვიადთან საუბრისას არძინბამ განაცხადა, - მე ვცნობ საქართველოს კანონიერ, ლეგიტიმურ ხელისუფლებას და პრეზიდენტად ვაღიარებ ზვიად გამსახურდიას! მინდა, აღვნიშნო, რომ, როცა ჩვენ გროზნოში ვიმყოფებოდით, არძინბა რამდენჯერმე დაგვიკავშირდა ტელეფონით, ესაუბრებოდა ზვიადს. არძინბა ზვიადს ეუბნებოდა, - თქვენ კანონიერად არჩეული პრეზიდენტი ხართ და როგორც კი დაბრუნდებით საქართველოში, იცოდეთ, რომ მე თქვენი ქვემდებარე ვიქნები - თქვენ მთელი კავკასია გიჭერთ მხარს და არანაირი სურვილი არ მაქვს, კავკასიას წინ აღვუდგე და კავკასიელები დავიპირისპირო!...

**- ქალბატონო მანანა, როცა არძინბა ამას ეუბნებოდა ზვიად გამსახურდიას, აფხაზეთში შევარდნაძეს ომი გაჩაღებული ჰქონდა?**

- არა, არა! აფხაზეთში ამ დროს ჩვენი მომხრეები სოხუმის მთავარ მოედანზე გამოდიოდნენ, დღედაღამ იქ იდგნენ, იყო გაუთავებელი მიტინგები და ითხოვდნენ კანონიერი ხელისუფლების აღდგენას. ერთ-ერთი სატელეფონო საუბრის დროს ზვიადმა უთხრა არძინბას... **ბატონო ვლადისლავ, ძალიან გთხოვთ, რომ სოხუმში მიმდინარე მიტინგები არ დაარბიოთ! როგორც კი თუნდაც ერთ მოქალაქეს ხელით შეეხებიან, მაშინ ჩვენ შორის მდგომარეობა გართულდება!** არძინბამ უპასუხა, - **ბატონო ზვიად, პირიქით, მე ყველანაირად ვერიდები ამ სიტუაციას და არასოდეს მომიწოდებია, დაეშალათ მიტინგები, მაგრამ თქვენ მიაქციეთ ყურადღება და თუ შეგიძლიათ, მიაწვდინეთ ხმა გივი ლომინაძეს, ლომინაშვილს და ავთანდილ იოსელიანს, რადგან სოხუმში თუ ვინმე დაარბევს თქვენი მომხრეების მიტინგებს, იცოდეთ, სწორედ ესენი იქნებიან დამრბევები.** ესენი არიან შევარდნაძის ხალხი, რომლებსაც აქ არეულობის დაწყება სურთ!... მაშინ იყო, ზვიადმა რომ უთხრა, - **ვლადისლავ, ერთი რამ მინდა, გთხოვო, ჩვენებს საინფორმაციო საშუალებების გამოცემის შესაძლებლობა** აკრძალული აქვთ და იქნებ, ერთი გაზეთი გაატარო რეგისტრაციაში!.. - კი, ბატონო, ბრძანეთო!... - დაეთანხმა არძინბა. - გაზეთ „აღდგომის“ წარმომადგენლები მოვლენ მაშინ შენთან და აფხაზეთის იუსტიციის სამინისტრომ ეს გაზეთი რეგისტრაციაში გაატაროსო! - უთხრა ზვიადმა. მეორე დღესვე „აღდგომა“ არძინბამ რეგისტრაციაში გაატარა. სხვათაშორის, ისიც მინდა, აღვნიშნო, რომ აფხაზეთიდან გროზნოში ზვიადთან ჩამოდიოდნენ მეორე-მესამე რანგის ოფიციალური პირები და ზვიადს მათთან შეხვედრები ჰქონდა!...

**- ქალბატონო მანანა, რას ამბობთ, ეთნიკური აფხაზები ჩადიოდნენ გროზნოში ზვიადთან?**

- დიახ, დიახ და ისინი არავითარ შემთხვევაში არ აპირებდნენ საქართველოს შემადგენლობიდან გასვლას, მაგრამ, **როცა შევარდნაძემ გაყიდა აფხაზეთი, არძინბას თავი უნდა გადაერჩინა, თავი უნდა შეენარჩუნებინა** და ჩემთვის სავსებით გასაგებია არძინბას პოზიცია.

**- ვინ იყო აფხაზთაგან ზვიადთან გროზნოში ჩამოსული?**

- მაგალითად, კონსტანტინე ოზგანი იყო ჩამოსული, წარმოგიდგენიათ? ოზგანი პირადად შეხვდა გროზნოში ზვიადს!...

**- რაზე ისაუბრეს?**

- საუბრები იყო საჩვენო, საქართველოსთვის, მისი ერთიანობისთვის სასარგებლო. აფხაზები ხვდებოდნენ, რომ შევარდნაძე ომს იწყებდა, აფხაზებს ომის შიში ჰქონდათ და ამიტომ სურდათ, ზვიად გამსახურდია რაც შეიძლება მალე დაბრუნებულიყო საქართველოში, რათა თავიდან აეცილებინათ სისხლისღვრა. გროზნოში სხვა აფხაზი პიროვნებებიც ჩამოდიოდნენ ზვიადთან, მაგრამ აღარ მინდა ახლა მათი გვარების დასახელება, თვი-

*დასასრული 26-ე გვერდზე*

***შაჰ-აბასის მიერ ქართველთა სპარსეთში გადასახლება იყო მიზეზი ქართლ-კახეთისა და სამხრეთ საქართველოს ტერიტორიების თითქმის სრულიად დაცარიელებისა და მათ ნაცვლად უცხო ტომთა ჩასახლება-გამრავლებისა. საინტერესოა, რა ძალით იჩინა თავი ქართულმა გენმა იმ შორეულ სპარსეთში და როგორ მოხდა, რომ ქართველებმა შეძლეს გამორჩეულად მაღალი სახელისა და დიდების მოპოვება ირანის იმპერიის უშველებელ ტერიტორიაზე.***

მართალია, ქართველების ირანში ბარბაროსული გადასახლებით გამოწვეულ ტრაგედიას ვერავითარი თავსმოხვეული სიკეთე ვერ გადაფარავს, მაგრამ ამ უაღრესად ნეგატიურ მოვლენაზე საუბრისას ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ქართველების დამკვიდრებამ ირანში გამოიწვია ამ უშველებელი იმპერიის შიგნით მნიშვნელოვანი ძვრები საზოგადოებრივ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში, რაც უდავოდ ქართული გენის სიძლიერის გამოვლინება იყო.

იმის გამო, რომ ქართველი საზოგადოება არ იცნობდა ირანში ჩასახლებული ქართველების შესახებ მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერების ნაშრომებს, ამიტომ **საქართველოში ბევრი დარწმუნებულიც კი არის, რომ შაჰ-აბასმა ქართველები ჩაასახლა ირანში მხოლოდ იმ მიზნით, რომ ისინი მონებად ექცია, შავი სამუშაოს შესრულება დაეძალებინა ან, სულაც, საზარბაზნე ხორცად გამოეყენებინა.**

სინამდვილეში კი საქმე სხვაგვარად იყო:

ჯერ ერთი, ირანის სამხედრო ელიტას განუწყვეტელი ომებისათვის ესაჭიროებოდა უამრავი ჯარისკაცი სამხედრო ძალების შესავსებად და ამას აკეთებდა კიდეც ისეთი მებრძოლი ერების ჩამოსახლების ხარჯზე, როგორებიც არიან ქართველები.

მეორეც, ქართველების გადმოსახლებაში შაჰ-აბასს ჰქონდა საკუთარი ინტერესიც, რასაც ნათლად გვამცნობს ინგლისელი მკვლევარი და სპარსეთის ისტორიის დიდი მცოდნე - ჟან-ბატისტ ტავერიერი:

***„შაჰ-აბასი დიდად აფასებდა ქართველების ნიჭსა და ენერგიას, მას ძლიერ სურდა, მიეზიდა თავის კარზე ქართველი საზოგადო მოღვაწეები და მეომრები. ამით შაჰს უნდოდა, შეერყია ყიზილბაშების ურდოთა ძალა, რომელთა მერყევ, არასტაბილურ ერთგულებაზე იყო დამოკიდებული მისი დინასტიის ბედი“.***

*ამიტომ იყო, რომ ირანში ჩასახლებული ქართველები თავდაპირველად დაასახლეს კასპიისზღვისპირა მოსავლიან რაიონებში თავრიზსა და შირაზს შორის, სადაც მათ მიეცათ საშუალება, განევითარებინათ სოფლის მეურნეობა.*

*ამ ქართულ ოჯახებს აძლევდნენ 3 წლის ვადით სესხს მეურნეობის მოსაწყობად და სესხის დაფარვამდე ისინი გათავისუფლებულნი იყვნენ ყველა იმ ძირითადი გადასახადისაგან, რომელიც მძიმედ აწვა ადგილობრივ გლეხობას.*

*1620 წელს გადმოსახლებულ ქართველებს შაჰ-აბასმა შეუერთა შაჰ-თამაზის მიერ გადმოყვანილი ქართული ოჯახებიც და ისინი ირანის დედაქალაქ - ისპაჰანის გარშემო დაასახლა.*

1677 წელს ქართველებით დასახლებული რაიონები დაუთვალიერებია ინგლისელ მოგზაურ ფრაიერს, რომელიც წერს: ***„ეს ადგილი დასახლებულია ქრისტიანი ქართველებით, რომელთა უმრავლესობა ვენახების მფლობელია. აქ ვენახი ძალიან კარგად ხარობს“.***

გარდა სოფლის მეურნეობისა, ქართველებს ევალებოდათ სამხედრო სამსახურში აქტიური მონაწილეობის მიღება. ქართველ სამხედრო თანამდებობის პირებს ეძლეოდათ ირანის მმართველობაში მაღალი რანგის თანამდებობები. მისიონერი დონ ჯუსტო-პრატო წერდა: ***„მთელი სპარსეთი სავსეა ქართველებით, მათ ხელშია არმია და საუკეთესო თანამდებობებიც მათ უკავიათ“.***

1715-1719 წლებში ირანში მყოფი რუსეთის ელჩი არტურ ვოლინსკი წერს: ***„მთელს ირანში საუკეთესო სამხედრო ძალად ქართველთა ჯარი მიმაჩნია. ქართველები ნამდვილი მეომრები არიან. ისინი, როგორც წესი, სპასალარებად ან სხვა მაღალ თანამდებობებზე ინიშნებიან, ადრეც, შაჰ-აბასის დროსაც, და სხვა შაჰების დროსაც ირანელებს თურქებთან, ინდოელებთან და სხვა ქვეყნებთან ომებში ყველა გამარჯვება ძირითადად ქართველთა მეშვეობით აქვთ მოპოვებული“.***

ყოველივე ზემოთ თქმულის გამო კი ქართველებს ისეთი მაღალი იმიჯი შეექმნათ ირანში, რომ მათ აუგს ვერავინ შებედავდა („ფერეიდანი“, 2002 წ. - ვ. ონიკაშვილი).

**ქართველების ასეთმა აღზევებამ შეაშფოთა ირანის სახელმწიფო ელიტის სპარსი მესვეურები. ისინი მიუხვდნენ შაჰ-აბასს ჩანაფიქრს, რომ ქართველებზე დაყრდნობით აპირებდა ყიზილბაშების პარპაშის შეკვეცას, ამასთან, ქართველების დიდი რაოდენობით თავმოყრა ირანის დედაქალაქ ისფაჰანის ირგვლივ, სახელმწიფოში მათ ბატონობას საშიშროებას უქმნიდა, თანაც ირანის ტახტის კარზეც აშკარად იგრძნობოდა ქართული და სპარსული ორიენტაციის დიდმოხელეთა დაპირისპირება.**

ყოველივე ამას მოჰყვა სერიოზული სამხედრო შეტაკება სახელმწიფო გვარდიასა და ქართველთა სამხედრო შენაერთებს შორის, რამაც დიდი უკმაყოფილება გამოიწვია ირანის სახელმწიფო და რელიგიურ დიდმოხელეთა შორის. **შაჰ-აბასს მოუხდა უკან დახევა და გადაწყვიტა, ირანის დედაქალაქსა და მის შემოგარენში მცხოვრები ქართველები გადაეყვანათ ფერეიდანის მხარეში.**

აი, ასე „გაჩნდნენ“ ირანში „ფერეიდნელი ქართველები“.

ქართველებმა ფერეიდანის ცენტრში დააარსეს **ქალაქი მარტყოფი,** რომელიც იყოფოდა




# ამერიკა „ირანის საქართველოსაც“ ემუქრება!

**ფერეიდანი,** ფერეიდუნ შაჰრი, ადმინისტრაციული ერთეული ირანში, ბახთიარის მთებში, ქ. ისპაჰანიდან დასავლ. 100 კმ-ზე. 1614—17 შაჰ-აბას I-მა 200 ათ. ქართველი ირანში გადაასახლა და საკმაოდ დიდი ნაწილი ფ.-ში დაასახლა. აქ შეიქმნა ქართ. სოფლები: ზემო მარტყოფი, ქვემო მარტყოფი, ჩუღურეთი (ჩოღურეთი), [illegible] ([illegible]), სიბაქი ([illegible]) და სხვ. ფ.-ის ერთ უბანში ([illegible]—„ქართველთა უბანი“) ცხოვრობენ ქართველები, დანარჩენ 3 უბანში ([illegible], [illegible], [illegible]) — სპარსელები, ქურთები, ლურები, ბახთიარები, სომხები. ფ.-ში ქართველების ჩასახლებით შაჰ-აბას I-ს მიზნად ჰქონდა დედაქალაქ ისპაჰანის დაცვა მომთაბარეთა (ბახთიარები, ლურები, ქურთები და სხვ.) თავდასხმისაგან. ფ.-ში მცხოვრები ქართველები პირველ ხანებში ინარჩუნებდნენ რჯულს და ზნე-ჩვეულებებს, მაგრამ შემდეგ მათ იძულებით შეუცვალეს სარწმუნოება. რამაც გარკვეულად შეცვალა მათი ზნე-ჩვეულებები, თუმცა დღემდე შეინარჩუნეს ქართ. ენა და ზოგიერთი ქართ. ჩვეულ. უკანასკნელ წლებში გამოქვეყნებული მასალებით, ქართველობა 12—14 ათ. კაცს შეადგენს.

ლიტ.: [illegible] [illegible], თბ., 1896; [illegible] ზ., [illegible] „[illegible]“, თბ., 1979; [illegible], [illegible] საქართველოში, თბ., 1981; [illegible], ფერეიდნელი ქართველები, თბ., 1981; [illegible], ფერეიდნელი ქართველები. თბ. 1962. დ. [illegible].

*„ქსე“, მე-10 ტომი, გვ. 262-263*

ზემო და ქვემო მარტყოფად. მის ირგვლივ შეიქმნა ქართველებით დასახლებული 12 სოფელი, რომლებიც ერთმანეთისაგან 6-7 კილომეტრით თუ იქნებოდნენ დაშორებული. ისე გონივრულად იყო განლაგებული ქართველი დასახლებები, ისე მტკიცედ იყო დაცული, რომ ვერცერთი არაქართველი ვერ ბედავდა მათზე თავდასხმას, თუმცა, ამის მსურველი მრავლად იყო, უპირატესად, ბახტიარ და ქურთ ყაჩაღთა შორის.

**ამგვარად, ქართველებმა ფერეიდანის მხარეში, მოსახლეობის უსაფრთხოების მიზნით შექმნეს საკმაოდ შეუვალი ბასტიონი!**

ფერეიდნელმა ქართველებმა განსაკუთრებით ისახელეს თავი ირან-ავღანეთის ომის დროს. **როდესაც ავღანელებმა ირანის მთელი არმია გაანადგურეს და მთლიანად დაიპყრეს ირანის ტერიტორია (გარდა, რა საკვირველიც არ უნდა იყოს, ИМ „პატარა საქართველოსი“, რომელსაც ფერეიდანი ერქვა!!!)** ეს იყო ნამდვილი სასწაული: **ავღანელებმა მთელი ირანის დაპყრობა შეძლეს, ხოლო ფერეიდნელი ქართველების დამარცხება ვერ მოახერხეს.** მითუმეტეს, რომ საქვეყნოდ ცნობილი იყო ავღანთა შეუპოვრობა და სისასტიკე, რაც ასე მწარედ იწვნია თავის თავზე სპარსეთის მოსახლეობამ.

ფერეიდნელი ქართველების ამ გმირობამ აღაფრთოვანა და აალაპარაკა ირანისა და მთელი ახლო აღმოსავლეთის ქვეყნები.

როდესაც ავღანელები, როგორც იქნა, განდევნეს სპარსეთიდან, ირანის შაჰის ტახტზე ასულმა ძლევამოსილმა ნადირ-შაჰ-ავშარმა განსაკუთრებით აღნიშნა ქართველთა გმირობა და ერთგულება, რაც გამოიხატა მის მიერ გამოცემული სიგელებით. **ნადირ-შაჰის სიგელის თანახმად, ფერეიდანის ქართველებს თითქმის ავტონომიური უფლებები ენიჭებოდათ: შაჰი მათ არ აიძულებდა მიეღოთ მაჰმადიანობა და მათ მიეცათ უფლება ქართულ ენაზე მეტყველებისა. გარდა ამისა, ქართველები არამარტო თავისუფლდებოდნენ ყველა სახის სახელმწიფო გადასახადისაგან, არამედ მათ გადაეცათ მუდმივ მმართველობაში ფერეიდანის გარშემო არსებული სპარსული რეგიონებიც, რომლებიც დასახლებული იყვნენ ბახტიარებით, ლორელებით და სომხებით.**

ე.ი. ავღანებთან ბრძოლის დროს გამოჩენილი განსაკუთრებული შეუპოვრობისა და გმირობისათვის, ქართველთა ოჯახების პირად შემოსავალს დაემატა მათზე დამოკიდებულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობისაგან აკრეფილი ხარკიც (ეს ხარკი ადრე შედიოდა სახელმწიფო ხაზინაში).

ასე გამოხატა ირანის შაჰმა ქართველების მიმართ თავისი მადლიერება, რამაც, ცხადია, გამოიწვია ირანში ქართველებისადმი კიდევ უფრო მეტი პატივისცემა.

საერთოდ, ირანში ყველასათვის მისაბაძი და საამაყო გახდა ქართველობა და ამიტომ იყო, რომ ბევრი ირანში ჩამოსახლებული არასპარსელი თავს ქართველად ასაღებდა.

აღსანიშნავია, რომ ასევე **განსაკუთრებული პატივისცემით ეპყრობოდნენ ქართველებს ნადირ-შაჰის შემდგომ ტახტზე ასული სხვა შაჰებიც, მაგალითად, ადილ-შაჰის მეფობის დროსაც ქართველები ინარჩუნებდნენ ყველა პრივილეგიას და ასევე ინიშნებოდნენ მაღალ სახელმწიფო თანამდებობებზე.**

მაგრამ, ვაი რომ, მაინც დადგა დრო ყველაზე დესპოტი შაჰის, **ქერიმ-ხანის გამეფებისა.** მას სძულდა ყველა ის, ვისაც ადრე პატივს მიაგებდნენ სხვა შაჰები. ქერიმ-ხანი განსაკუთრებით ვერ იტანდა მის წინამორბედ ადილ-შაჰის ფავორიტებს. ამიტომ იყო, რომ მისი რისხვა თავს დაატყდა სპარსეთში ლაღად მცხოვრებ ფერეიდნელ ქართველებს: ადილ-შაჰმა არაფრად ჩააგდო მათი დამსახურება ავღანელებთან ომის დროს და გაუუქმა ნადირ-შაჰის მიერ გაცემული პრივილეგიის მიმნიჭებელი სიგელები, **და რაც ყველაზე ცუდი იყო - ქართველებს მკაცრად მოსთხოვა მაჰმადიანობის მიღება.** იგი ცეცხლითა და მახვილით უსწორდებოდა ყველას, ვინც ამას უარყოფდა. ცნობილმა ირანელმა ისტორიკოსმა ისკანდერ-ბექ-მუნშიმ აღწერა ქართველების გამაჰმადიანების ტრაგედია, მან მკაფიოდ გამოხატა ქართველებზე თავსმოხვეული ფერისცვალება: **„ქართველებმა სიძულვილით შეადგეს ფეხი მაჰმადიანობაში“-ო,** - წერდა იგი.

თუმცა ქართველთმოძულე ქერიმ-ხანმაც კი ვერ თქვა უარი ქართველი მეომრებისა და სახელმწიფო მოხელეების გამოყენებაზე და როგორც ადრე იყო, ისევე გაგრძელდა ქართველების დანიშვნა მაღალ თანამდებობებზე, სახელდობრ:

**- ირანის დედაქალაქ ისფაჰანის გუბერნატორი იყო ყოლომ-ჰოსეინ-ხან ბურჯი, რომელიც შემდეგ 1815 წლიდან გახდა ირანის ჯარების სპასალარი** (მთავარსარდალი). **1820 წელს იგი შეცვალა ისევ ქართველმა იოსებ-ხან გურჯმა;**

**- ირანის აზერბაიჯანის მხარის გუბერნატორი იყო ბეჟან-ხან ბურჯი, რომელიც 1830 წლიდან გახდა მთელი ირანის სახელმწიფოს პრემიერ-მინისტრი.**

**- ირანის დედაქალაქ ისფაჰანის გუბერნატორი იყო მანუჩარ-ხან-ბურჯი;**

მათ გარდა კიდევ ბევრი სხვა სახელმოხვეჭილი და დაფასებული ფერეიდნელი ქართველი იყო და არის დღესაც ირანის სახელმწიფოში მაღალ თანამდებობაზე.

## ბოლოთქმა

მაგრამ, რა ფუფუნებაშიც არ უნდა ყოფილიყვნენ ქართველები ირანში და როგორი მაღალი თანამდებობებიც არ უნდა ჰკავებოდათ, მათი გული და სული მაინც ყოველთვის მიპყრობილი იყო „დიდი საქართველოსაკენ“.

- სწორედ ამიტომ გაწირეს თავი ქართველმა მხედრებმა, როდესაც გადაწყვიტეს უნებართვოდ სამშობლოში დაბრუნება.

- ამიტომ თხზავდნენ ფერეიდნელი ქართველები ლექსებს და მითებს „დიდ საქართველოზე“.

- ამიტომ არის გავრცელებული ფერეიდნელ ბავშვებში რწმენა, რომ თუ მოახერხებ და ცისარტყელას ქვეშ გაირბენ - იქ, „დიდ საქართველოში“ მოხვდები...

- აი, ამიტომ სტკივათ ქართველებს გული ფერეიდანში, რომ ნაკლებად ვაქცევთ მათ ყურადღებას...

- და ამიტომ იყო, რომ მათ ასეთი მწარე, სინანულით სავსე სიტყვები შემოგვითვალეს ჩვენ:

**„ჩვენს ქალებს, წიწილაც კი რომ დაკარგონ, მთელი ღამე ჯავრით არ დაეძინებათ, საქართველომ კი სამასი ათასი ქართველი დაკარგა და როგორ ხდება, რომ ისინი აღარც კი ახსენდებათ?“**

- ვაი რომ, ეს მართლაც ასეა!

**განა ისეთს რას გვთხოვენ ფერეიდნელი ქართველები?**

**მათ ხომ დღეს არც შიათ და არც სწყურიათ!**

**ისინი არც ჩვენი სიმდიდრის მათთან გაყოფას გვთხოვენ და არც ჩვენთან აპირებენ უკან ჩამოსახლებას!**

არა, ბატონებო, მათ მხოლოდ ჩვენი ქართული გულის სითბო და მოფერება სჭირდებათ და კიდევ სჭირდებათ ის, რომ მათ ჩვენგან იგრძნონ არა შეცოდება და შებრალება, არამედ დაფასება და აღიარება იმ გამძლეობისა და ვაჟკაცობისათვის, რაც მათ გამოიჩინეს **400 წლის განმავლობაში შორეულ უცხო ქვეყანაში მარტოდ მიტოვებულებმა.** შეძლეს სათუთად შეენახეთ „დიდი სამშობლოს“ სიყვარული და კიდევ ის, რომ იქ, უცხო ქვეყანაში ზოგიერთებივით კი არ შეერცხვინათ ქართველი კაცის სახელი, არამედ, პირიქით - საქებრად და საამაყოდ გახადეს იგი სპარსეთის იმპერიაში!

ეს, მითუმეტეს, გასაკვირი და დასაფასებელია, **რომ მათ 400 წლის განმავლობაში არავინ ჩასჩიჩინებდა საქართველოს სიყვარულს, საქართველოს შესახებ მათ არც რადიოში შეეძლოთ მოესმინათ და არც ტელევიზიაში ეხილათ!** საქართველოში მცხოვრებ ქართველებსაც კი სჭირდებოდათ შეხსენება სამშობლოს სიყვარულისა, რასაც მეტყველებს დიდი ვაჟას ვედრება: „ღმერთო, შეაყვარე ქართველს საქართველო!“

აი, ასეთი დაფასება და ასეთი ყურადღება სჭირდებათ მათ ჩვენგან. ეს და სხვა არაფერი!

**გურამ ხაჭაპურიძე,** *ექიმი*

## რედაქციისაგან:

**ისტორია ხშირად ცვლის ორიენტირებს. საქართველოს ისტორიული მტერი — სპარსეთი, სადაც დღეს ფერეიდანის სახით პატარა საქართველო შეფუფულა, ამერიკის დიდმყრობლური ინტერესების სფეროში მოექცა. საით წაგვიყვანს ისტორიის ხომალდი? ხომ არ იძიებს შურს ამერიკასთან შეკრული ახალი საქართველო უძველეს მტერზე და ხომ არ აქცევს ჩვენს მიწა-წყალს ირანზე თავდასხმის პლაცდარმად? მრავალსაუკუნოვანმა ბრძოლებმა ვერ გატეხეს საქართველო! ეგანდ, ამერიკელებმა არ მიაკლან იგი უმწეო წიწილასავით ნავთობისათვის გაჩაღებულ თავის უზინძურეს თამაშობებს.**

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „მამული“ 2005 წლის №14-17.

იუდეველთა უძველესი მიწის თავზე მოკაშკაშე ვარსკვლავები გულღია და ალერსიანები არიან. მათ ბევრი რამ იციან და პირველი თხოვნისთანავე მზად არიან, ყველა საიდუმლო გაგიზიარონ. თუმცა, ზოგჯერ ისინიც ცდებიან. მაგრამ არც ისე ხშირად.

კრემლის ვარსკვლავები, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ მიერ აღწერილ პერიოდში, ასეთი სიტყვაუხვები არ ყოფილან. მათ ყველაფერი იცოდნენ და არასოდეს ცდებოდნენ. საიდუმლოებებს ისინი საიმედოდ ინახავდნენ გრიფით „სრულიად საიდუმლოდ“. ფხიზლად ადევნებდნენ თვალს საკუთარ რჩეულებს. ხელისუფლების მწვერვალისკენ მიმავალ გზას უნათებდნენ მათ. და როცა დარწმუნდებოდნენ, რომ „სწორი გზით მიდიხართ, ამხანაგებო!“ – თავიანთი საბოლოო ვერდიქტი გამოჰქონდათ.

ჩვენი თხრობის ერთ-ერთი გმირი, რომელიც 1928 წლის 25 იანვარს დაიბადა და რომლის ჰოროსკოპიც მკითხველს წინა თავში გავაცანით, აბსოლუტურად სწორი გზით მიდიოდა. ლენინურად ცხოვრობდა და იბრძოდა, ლენინურად ანაწილებდა კადრებს გადამწყვეტ უბნებზე. ლენინურად აღმართულიყო სოციალისტური საკუთრების, ცხოვრების საბჭოთა წესისა და კომუნისტური მორალის საიმედო მებრძოლ გუშაგად. და ამიტომ ძალიან მალე გადაინაცვლა მოადგილის სავარძლიდან მინისტრის სავარძელში. „მებრძოლი გუშაგის“ პერსონალურმა ავტომობილმა (ნომერი 42-42, ეს ქართული საბჭოთა ოხრანკის მეთაურის ასაკი გახლდათ) საშინელი სისწრაფე განავითარა და გზაზე ყველა ანტიპოდი გადათელა – გამფლანგველები, გამომძალველები, ქრთამის მიმცემ-ამღებები, სპეკულანტები, ჩრდილოვანი ეკონომიკის ვეშაპები და ლიფსიტები, კომბინატორები, „ვალუტჩიკები“, ფაბრიკა-ქარხნების წაპნიები – მოკლედ, ყველა, ვინც ლენინურად ცხოვრებასა და შრომას უშლიდა ხელს.

ბევრი დრო გავიდა თუ ცოტა, კრემლის ბობოლა ვარსკვლავები დარწმუნდნენ, რომ მათი გათვლა სწორი აღმოჩნდა და საპასუხისმგებლო პარტიული გადაწყვეტილების მიღების ჟამი დადგა. ჩაფიქრდა ყველაზე მთავარი და კაშკაშა ვარსკვლავი მოსკოვის ცის კამარაზე, ხშირი წარბები გადაივარცხნა, მეფური ხელით შეიმაგრა ჩამოვარდნილი ყბა და რეფერენტს „თბილისის ქალაქკომის შესახებ დადგენილების“ ძირითადი დებულებები უკარნახა.

ამ ჭეშმარიტად ისტორიული დოკუმენტის ძირითადი დასკვნა გახლდათ მტკიცება, რომ „მიუხედავად მიღწეული მნიშვნელოვანი წარმატებებისა, სკკპ ნაცადი საბრძოლო რაზმის მუშაობაში ჯერ კიდევ არსებობს სერიოზული ნაკლოვანებები.“ შედეგად კი ვარსკვლავთა რჩეული „შევარდენის“ კიდევ ერთი ზეასვლა მივიღეთ, ამჯერად – თითქმის ვერტიკალური.

ასეთი ზეობის საათები შევარდნაძის ცხოვრებაში ჯარისკაცებივით გამწკრივებულან. ასე რომ, ეს ბრუნი ყურადსაღები და ბევრ რამეში განმსაზღვრელიც გახლდათ, მაგრამ არა ყველაზე მნიშვნელოვანი. „ყველაზე-ყველაზე“-ს ჩვენ მომავალში გიამბობთ.

●

ვარსკვლავები, დიდად სამწუხაროდ, ჩვენსავით მოკვდავნი არიან. გამონაკლისს არც კრემლის ვარსკვლავები შეადგენენ. თითქმის ორი ათეული წელი გვინათებდა ულრუბლო მომავლის გზას „ბედნიერების არქიტექტორის“, „განმუხტვის სტრატეგის“, „მშვიდობის მედროშის“ და „დიადი გამგრძელებლის“ ვარსკვლავი. მაგრამ საათმა დაჰკრა და იგი ჩაქრა. მოკლედ, „ძვირფასმა“ (ძალიან, ძალიან ძვირფასმა) ლეონიდ ილიჩმა ჩვენი ჭირი წაიღო. ხოლო მას შემდეგ, რაც კიდევ ორი „ალამდარი“ კრემლის სასაფლაოზე ისე მიასვენეს, დიადი სახელმწიფოს მშრომელებისა და მთელი პროგრესული კაცობრიობისათვის კომუნისტური სამოთხისაკენ გზის განათება არ დასცალდათ, ისტორიის ლომბერის მაგიდისაკენ, ბოლოს და ბოლოს, მავანმა – ვლადიმერ ილიჩისებურად მელოტთავიანმა გაიკვლია გზა.

ამბობენ, ლაქები მზესაც კი აქვსო. რა დასამალია, ასეთი ლაქა მიხეილ სერგის ძე გორბაჩოვის ნათელ თავზეც იყო.

და სწორედ ამ ლაქამ თუ მის ქვეშ მომუშავე ტვინის ხვეულებმა უკარნახა, რომ ბანქოს ქაღალდის არევა და დარიგება სულ სხვაგვარად იყო საჭირო. კადრები უწინდებურად წყვეტდნენ ყველაფერს. და ამჯერად მათ ჭკვიანურ განლაგებას ქვეყანაში „საჯაროობა“, „კონსენსუსი“, „დაჩქარება“ და „გარდაქმნა“ უნდა დაემყარებინა. ახალმა გენსეკმა გზადაგზა ისიც აგვიხსნა, როგორ უნდა შეგვეთავსებინა ბოლო ორი, თითქოსდა შეუთავსებელი პოსტულატი – „გარდაქმნა მარშით!“

თავს შევიკავებთ ამ ყველაფერს მოდევნებული აურზაურის აღწერისაგან. მკითხველთა უმრავლესობამ ის საკუთარ ტყავზე გამოსცადა. მხოლოდ იმას გეტყვით, რომ მშრომელები, რომელთაც თითქოს აღარაფერი აკვირვებდა, საგონებელში ჩააგდო კოზირის ერთ-ერთი კარტის განლაგებამ. სტალინის „შევარდნების“ – მოლოტოვის, ვიშინსკის, გრომიკოს ადგილი ბრეჟნევისეული წვრთნისა და გორბაჩოვისეული გაწვევის „შევარდენს“ – ედუარდ შევარდნაძეს ერგო. არჩევანი, რომელსაც მომავალში მნიშვნელოვანი როლის შესრულება ეწერა როგორც დიდი სამყაროს, ასევე (თუ უფრო მეტად არა) პატარა საქართველოს ბედში.

უეჭველია, რომ ეს არჩევანი გარკვეულწილად პრეტენდენტის მიერ მიღებული განათლებით იყო ნაკარნახევი – ქუთაისის პედინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი სახუმარო საქმე როდია, თუნდაც ის დაუსწრებლად დაამთავრონ. საგარეო პოლიტიკური უწყების მეთაური თავისუფლად უნდა ერკვეოდეს როგორც ძველი, ისე უახლესი ისტორიის ყველა მზაკვრობაში. არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა „შევარდენის“ მიერ მინისტრის (თუმცა – რესპუბლიკის და თანაც შინაგან საქმეთა) სარბიელზე მიღებულ გამოცდილებას. ჰო, და კიდევ, ჩარლზ დიკენსის სიყვარულს – ძირითადი დიალოგის წარმოება ხომ ინგლისელ-ამერიკელ თანამოსაუბრეებთან, მასავით დიდი მწერლის თაყვანისმცემლებთან მოუწევდა.

სავარაუდოა, რომ გარკვეული როლი „შევარდენის“ ეროვნულმა კუთვნილებამაც ითამაშა.

– რა, ჩვენი ჯუმბერი ვერ გაქაჩავს? – თვალმოჭუტულმა შინაურულად იკითხა ახალმა „მშვიდობის მედროშემ“.

საუბარი იყო ცკ-ის დარგობრივ მდივანზე, სოფლის მეურნეობის კურატორზე ჯუმბერ ილიას ძე პატიაშვილზე, რომელთანაც გენმდივანი ბობოქარი კომკავშირული სიყმაწვილის ხანაში ერთ „მეგობრულ გუნდში“ მღეროდა „თუკი პარტია იტყვის – საჭიროა! კომკავშირი უპასუხებს – არის!“ მაშინ მიხეილ სერგის ძე – ალკკ ბელადი – სიმღერას იწყებდა, ჯუმბერ ილიჩი კი – საქართველოს კომკავშირის ლიდერი – როგორც გუნდის რიგითი მომღერალი, ბანს აძლევდა.

ეჰ, ოქროს დრო იყო!

აბა, რა უნდა უპასუხო ასე ერთმნიშვნელოვნად დასმულ შეკითხვას, რომელშიც ეჭვი კი არა, თავისი კაცის დაწინაურების აშკარა სურვილი ჟღერს? სიტყვებით „ვერა, ვერ გაქაჩავს“ ვეზირის კარიერის დაწყება არაფრით ეგების. პატრონის გადაწყვეტილებით მეტისმეტი აღფრთოვანებაც არ ივარგებს – მერე შენვე გისაყვედურებენ: ეს ვის გაუწიე რეკომენდაცია, სულელო? და საგარეო საქმეთა ახალმა მინისტრმა უპასუხა ისე, როგორც უნდა ეპასუხა, – გაურკვევლად:

# სახელისუფლო თამაშები სასიკვდილო შედეგით



## გიორგი ბეზირგანი

# პაიკთა და ლაზიერთა ზეობა

## თავი V



დადგა დრო, ოდესღაც კავკასიური ნაციონალობის პირთაგან გაწმენდილი კრემლის ოლიმპის კარი ქართველისთვის გაეხსნათ. თუმცა, არსებობდა თეორიული საფრთხე, რომ ის მესამე გახდებოდა.

ამგვარად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მიხეილ სერგეევიჩის არჩევანი ყოველმხრივ გააზრებული და, პრინციპში, ოპტიმალური გახლდათ, რაშიც სულ მალე თვალნათლივ დარწმუნდა არა იმდენად დაობლებული რესპუბლიკა, რამდენადაც მთელი პროგრესული (და აგრესიული) კაცობრიობა.

გადასაწყვეტი დარჩა ერთი მნიშვნელოვანი საკითხი – ვის მზრუნველ ხელს ჩააბარებდნენ საქართველოს. სწორედ ეს კითხვა დაუსვა გენმდივანმა თავის ახლად გამომცხვარ მინისტრს.

ამბობენ (პირადად არ მომისმენია, გადმოცემით ვიცი), რომ მინისტრმა პასუხად რამდენიმე გვარი დაასახელა – რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, თბილისის პარტიის ქალაქკომის პირველი მდივანი და უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მოსკოვში მომუშავე მდივანი, რომელმაც პარტიული კიბის ყველა აუცილებელი საფეხური თავის დროზე სამშობლოში, საქართველოში გაიარა. საქართველოს კპ ცკ-ის ორი მდივანი, რომლებიც, შესაბამისად, ეკონომიკას და სოფლის მეურნეობას კურატორობდნენ, დასახელებული არ ყოფილა.

– ისიც გაქაჩავს.

ანუ, ისე გაიგე, როგორც გინდა. ვისაც დააყენებ – ყველა გაქაჩავს. კრემლის ფხიზელი კონტროლით. და შენი ბრძნული ხელმძღვანელობით.

ამგვარად, საკითხი გადაწყდა, და ზეობის საათმა – კიდევ ერთხელ – მხოლოდ სახელისუფლო თამაშებში გამობრძმედილი ლაზიერის კი არა, პარტიული პაიკისთვისაც ჩამოჰკრა.

●

არ ვიცი, შეადგინა თუ არა ვინმემ ოდესმე ჯუმბერ პატიაშვილის ჰოროსკოპი. თუმცა ვვარაუდობ, რომ უბრძენესი ებრაელი ვარსკვლავთმრიცხველებიც კი ვერ გამოწურავდნენ ციფრებისა და მნათობების განლაგებისაგან იმ თვისებებს, რომლებიც საქართველოს ნაცვალის პოსტზე მის წინამორბედს ახასიათებდა და რომლებითაც მიხეილ ფიჩხაძემ გაგვახარა ბესტსელერში „წიგნი პრეზიდენტზე“.

დინების საწინააღმდეგოდ ცურვა? ყოველთვის და ყველაფერში სხვების უკან ჩამოტოვება? გარემოებათა შესაბამისად ტრანსფორმირება? ფლიუგერის შერხევისთანავე მრწამსის შეცვლა?

მომიტევეთ, მაგრამ განა შეიძლება იმ მრწამსის შეცვლა, რომელიც არ გაგაჩნია და არც არასდროს გქონია? და რა საჭიროა დინების საწინააღმდეგოდ ცურვა, როცა უმჯობესია, ტალღას მინებდე, დინება კი, თუ ღმერთი ინებებს, საჭირო ადგილზე თვითონ გამოგრიყავს.

# ★ ხვალ იყო გუშინ

არ ვიცი, მოძებნიდნენ თუ არა ებრაელი წინასწარმეტყველები ჯუმბერ პატიაშვილის ჰოროსკოპში ისეთ თვისებას, როგორიცაა „სიბრძნე“. ვფიქრობ, მოძებნიდნენ. და ეს „არგამოჩრის“, საჭირო დროის დალოდების უმაღლესი სიბრძნე იქნებოდა. სიბრძნე, რომელიც უძველეს დროს აღმოსავლეთში ჩამოყალიბდა – „მოთმინებით იჯექი შენი სახლის ზღურბლთან და წინ აუცილებლად ჩამოგიტარებენ მტრის ცხედარს.“ არა, „ცხედარი“ და „ჩამოგიტარებენ“ მეტისმეტია. უბრალოდ, იჯექი, ნუ გამოეჩრები. და მაგრად გეჭიროს სავარძლის სახელურები. ერთიც ვნახოთ და, ერთი საფეხურით მაღლა მდგომი სავარძელი გათავისუფლდეს. დაიკავე და ისევ დაელოდე.

და პატიაშვილი ელოდა. ელოდა და თანამდებობებს იცვლიდა. მოთმინებით იჯდა კომკავშირის ქალაქკომის ზღურბლთან. კომკავშირის ცკ-ის ზღურბლთან. პარტიის რაიკომის ზღურბლთან. პარტიის ცკ-ის ზღურბლთან. და ყველაფერი მუდამ „ფერში უჯდებოდა“. ხელისუფლების კიბეს ესკალატორივით აჰყავდა სულ მაღლა-მაღლა. ისევე, როგორც პაიკი, რომელიც „E-2“-დან იწყებს, თანდათან გადალახავს ყველა კვადრატს და ლაზიერი ხდება.

●

ძერჟინსკის ქუჩაზე მდებარე დიდი სახლის სახელისუფლო დერეფნებში ჩოჩქოლი ატყდა. ყოველ კუთხეში მსტვინავი ჩურჩულით მსჯელობდნენ შესაძლო კანდიდატურებზე. ცკ-ის „ტოტალიზატორი“ შეუსვენებლად მუშაობდა. დადეთ ფსონები, ბატონებო! მთავარ გარბენში ფავორიტად რატომღაც ყველა თენგიზ მენთეშაშვილს თვლიდა. არგუმენტი – საქართველოს იცნობს, პრაქტიკულად ყველა ხაზზე „გამსვლელია“, მოსკოვში მუშაობს – უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის საპატიო თანამდებობაზე. სხვა რაღაა საჭირო? მაგრამ ზოგ-ზოგები ეჭვობდნენ. არა, ბატონო, მოსკოვში გაწვეული მმართველი ტყუილად არ ამოტივტივებულა თბილისის ქალაქკომზე მიღებული დადგენილების ტალღაზე. ყველაფრის სათავე თბილისია. ესე იგი, არჩევანი ქალაქკომის პირველი მდივნის გურამ გაბუნიას სასარგებლოდ გაკეთდება. „გულშემატკივრები“ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს დიმიტრი ქართველიშვილსაც გამოუჩნდნენ. მოკლედ, ყავის ნალექზე მკითხაობა გაჩაღდა.

და უცებ საიდანღაც ჯუმბერ პატიაშვილის სახელი აღმოცენდა, დერეფნებში იცოცა, გაძლიერდა და მთელ ხმაზე აჟღერდა. მენთეშაშვილზე ფსონის დამდებთ თავიდან ამის დაჯერება არ სურდათ. სახალხო მეურნეობის მართვის ინსტიტუტის დირექტორმა, უმაღლეს წრეებთან დაახლოებულმა სულიკო ქადაგიძემ ჩემს ფრთხილ შეკითხვაზე – რამდენად რეალურია მსგავსი ვარიანტი – ცხარედ მომიგო:

– არა და არა, ეს შეუძლებელია. რა თქმა უნდა – მენთეშაშვილი. ჯუმბერი – კატასტროფაა.

კატასტროფა ვისთვის – „ერთიანი“ საქართველოსთვის თუ პირადად მისთვის, ბატონ სულიკოს არ დაუზუსტებია. და თუმცა საქართველოსთან დაკავშირებითაც ყველაფერი სულ მალე გაირკვა, ქადაგიძეს თითქოს გულმა უგრძნო – პირადად მისთვის ეს მართლაც კატასტროფა აღმოჩნდა. ინსტიტუტიდან, რბილად რომ ვთქვათ, მიაბრძანეს.

ქადაგიძის პასუხმა სრულებით ვერ დამამშვიდა და როგორც ეკონომიკის დარგში ცკ-ის მდივნის თანაშემწე, ჩემს კოლეგას – სოფლის მეურნეობის მდივნის თანაშემწეს „დავესხი თავს“. აქეთურ-იქითურზე საუბრისას ვითომ სხვათაშორის ვუთხარი:

„ამბობენ, შენი შეფი დღეს მოსკოვში მიფრინავს დასამტკიცებლად.“

„ამბობენ,“ – საზეიმოდ გაებადრა სახე კოლეგას.

და მივხვდი, რომ ჯუმბერ პატიაშვილის თვითმფრინავი უკვე ასაფრენ ბილიკზეა, თუ ჰაერში არა. ბუნებრივია, სასწრაფოდ გავუზიარე ეს ამბავი ჩემს შეფს.

– მელას რაც ელანდებოდა... – თავიდან მომიცილა სოლიკო ხაბეიშვილმა.

ცოტა ხნის შემდეგ შეფს რაღაცისთვის სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს უფროსი დასჭირდა. ყურმილი მდივანმა აიღო და აუწყა, რომ ამხანაგი ზედგინიძე ადგილზე არ არის, რადგან აეროპორტში აცილებს... ვის? – ხაბეიშვილს არ უკითხავს. ყურმილი ნელა ეშვებოდა ბერკეტზე. იქიდან ჯერ კიდევ ისმოდა მდივნის წკრიალა ხმა. სოლიკოს სახე შეეცვალა და მის თითებში ბოლომდე ჩამწვარი სიგარეტის ფერფლისფერი გაუხდა.

**შემდეგ ნომერში:**

**„აბელისა და კაენის იგავი“**



კინომოყვარულებს კარგად ახსოვთ რეჟისორ თემურ ფალავანდიშვილის მიერ 1976 წელს გადაღებული ფილმი სიყვარულზე — „რაჭა, ჩემი სიყვარული“, სადაც მთავარ როლებს ასრულებენ რუსთავის დრამატული თეატრის მსახიობი, 22 წლის ბადრი კაკაბაძე და ჩეხი მსახიობი ანდრეა ჩუნდერლიკოვა. ბატონი ბადრისთვის ეს პირველი მთავარი როლია კინოში, როგორც თვითონ ბრძანა, ანდრეა ჩუნდერლიკოვა კი 70-იანი წლების ჩეხური კინოს ვარსკვლავი გახლდათ. აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ფილმი საქართველოს ულამაზეს კუთხეში — რაჭაში კი არა, არამედ სლოვაკურ სოფელ რაჭასა და აფხაზეთში — სოფელ განთიადშია გადაღებული.

# გურამ ლორთქიფანიძე: „რაჭა, ჩემი სიყვარული“ რაჭაში არ არის გადაღებული!..



გურამ ლორთქიფანიძე „რაჭა, ჩემი სიყვარულის“ გადაღებიდან 29 წლის შემდეგ

**ბადრი კაკაბაძე:** - ამ ფილმის გადაღება დავიწყეთ 1976 წლის მაისში. რამდენიმე კადრი თბილისში - კინოსტუდიის პავილიონშია გადაღებული, შემდეგ სლოვაკეთში - ბრატისლავაში გავაგრძელეთ. იქ დაახლოებით ორი კვირის განმავლობაში ვმუშაობდით. კინოში აქამდეც მქონდა ნათამაშევი („გაქცევა განთიადისას“, „თბილისი და თბილისელები“, „იმერული ესკიზები“), მაგრამ მთავარი როლი სწორედ ამ ფილმში მომცეს. 22 წლის ვიყავი, თეატრალური ინსტიტუტი უკვე დამთავრებული მქონდა, ვმუშაობდი რუსთაველის დრამატულ თეატრში.

**- ფილმში ქართველი მსახიობების გარდა სლოვაკებიც მონაწილეობენ - მათთან საუბარი არ გიჭირდათ?**

- რუსულად ვსაუბრობდით. სლოვაკური ძალიან ჰგავს რუსულ ენას. თანაც მაშინ ახალგაზრდა ვიყავი, მათი ენაც ადვილად ავითვისე.

**- რას იტყვით თქვენს პარტნიორზე - ჩეხ მსახიობ ანდრეა ჩუნდერლიკოვაზე?**

- ნიჭიერი მსახიობი იყო, კარგი პიროვნება. ჩემზე ერთი წლით უფროსი გახლდათ. იმ პერიოდისთვის სლოვაკეთში პრიმა მსახიობად ითვლებოდა. ჩეხი იყო, მაგრამ სლოვაკეთის კინოსტუდიაში იღებდნენ.

**- მის გამო ხიდიდან მართლა თქვენ ხტებით თუ კასკადიორი?**

- დიახ, მართლა მე გადავხტი. ეს არის მდინარე ბზიფი აფხაზეთში. მდინარეზე გადებული ის ხიდი მანამდე შეგხვდებათ, სანამ რიწის ტბაზე ახვალთ. ბზიფი ღრმა მდინარეა, ცივი. ვიდრე გადავიღებდით, მოვსინჯე სიღრმე, სად ჩავმხტარიყავი. ხიდის ქვემოთ არ იყო ისეთი ღრმა წყალი, ამიტომ ფეხებით გადავეშვი. წინააღმდეგ შემთხვევაში, დავიმტვრეოდი.

**- როგორი მდინარეა დუნაი, რომლის ნაპირზეც თქვენი რჩეულის - დარინას რჩევით მოხვდით?**

- დიდი მდინარეა, განიერი, მაგრამ კამკამა და გამჭვირვალე წყალი ნამდვილად არ არის - იმ ადგილას, სადაც ჩვენ გადავიღეთ, საკმაოდ მღვრიე იყო, მაგრამ იმ სიტუაციაში, რაშიც ჩვენ აღმოვჩნდით (ფილმში შიშვლები რომ ვართ), გვიშველა *(იცინის)*.

**- ბესო ხიდაშელის გმირი ხიდზე ხელს რომ გარტყამთ, ძალიან დაშავდით?**



- ნამდვილად მარტყამს და ამ ეპიზოდის გადაღების შემდეგ კარგა ხანს გაბრუებული ვიყავი. ძალიან მეცოდება, მენანება, დღეს ჩვენ გვერდით რომ აღარ არის.

**- როგორი მასპინძლები იყვნენ სლოვაკები?**

- არაჩვეულებრივი მასპინძლები არიან. საერთოდ, სადაც ღვინის კულტურაა განვითარებული, იქ ხალხიც სხვანაირია, გულთბილი, კეთილმოსურნე, ქეიფის მოყვარული.

# ბადრი კაკაბაძე: დარინამ ქორწილში დამპატიჟა, მაგრამ ვერ წავედი...



ბადრი კაკაბაძე „რაჭა, ჩემი სიყვარულის“ გადაღებიდან 29 წლის შემდეგ



**- ანდრეა ჩუნდერლიკოვას ისე დაემშვიდობეთ, როგორც ფილმში („არ წახვიდე, დარინა“...)?**

- ძალიან დამწყდა გული. გადაღებები რომ დამთავრდა და ერთმანეთს დავცილდით. თქვენ წარმოიდგინეთ, 27 ოქტომბერს ფილმის გადაღება დავამთავრეთ, 30 ოქტომბერს კი ქორწილი ჰქონდა დანიშნული. დაპატიჟებული ვიყავით, მაგრამ ჩვენი ჯგუფი, სამწუხაროდ, საქართველოში დაბრუნდა.

**- როგორი დამოკიდებულება გქონდათ დანარჩენ მსახიობებთან?**

- ყველასთან კარგი ურთიერთობა მქონდა. მაგალითად, ბატონი დოდო აბაშიძე და იპოლიტე ხვიჩია მამაჩემის მეგობრები იყვნენ (მამა - ბიძინა კაკაბაძე მსახიობი არ იყო, მაგრამ ხელოვნების მოღვაწეებთან კარგი ურთიერთობა ჰქონდა). შეიძლება ითქვას, რომ იპოლიტე ხვიჩიას სახლში გავიზარდე - მე და მისი შვილიშვილები 62-ე სკოლაში ერთად ვსწავლობდით. გურამ ლორთქიფანიძესთან დღემდე საუკეთესო ურთიერთობა მაქვს. ფილმში მონაწილე ბევრი ცნობილი ადამიანი გარდაიცვალა, მათ შორის, ბესო ხიდაშელი, რომელიც ძალიან ადრე წავიდა ამ ქვეყნიდან.

**- ფილმის პრემიერა სად გაიმართა?**

- ფილმი 1977 წელს გამოვიდა, პრემიერა ბრატისლავაში შედგა. მაგრამ არ დავსწრებივარ. ერთ-ერთ პიროვნებასთან შეკამათება მომივიდა, ეტყობა, ეს ამბავი ვიღაცამ „სადაც ჯერ არს“ თქვა და პრემიერაზე არ გამიშვეს. საქართველოდან იყვნენ რეჟისორი თემურ ფალავანდიშვილი, დოდო აბაშიძე, ირაკლი გოცირიძე და, თუ არ ვცდები, გურამ ლორთქიფანიძე.



**გურამ ლორთქიფანიძე:** - ფილმში სოფლის კულტმასობრივი სექტორის გამგეს ვთამაშობ. სანამ ამ გადაღებაზე მიმიწვევდნენ, ელდარ შენგელაია მიღებდა „სამანიშვილის დედინაცვალში“, მაგრამ ისე მოხდა, რომ როლზე არ დამამტკიცეს და იმედა კახიანი მიიწვიეს. არ მწყენია, რადგან იმედა ჩემი მეგობარია... დოდო აბაშიძე მოვიდა, მითხრა, - წვერი გაიპარსე, თემურ ფალავანდიშვილი სოლიკო ჟღენტის სცენარის მიხედვით ფილმს იღებს, ერთ-ერთი როლი შენ უნდა შეასრულოო. საოცარი კაცი იყო დოდო, მპატრონობდა, მეხმარებოდა.

მახსოვს, როდესაც სლოვაკეთში მივემგზავრებოდით, მსახიობებმა თან რუსული წარმოების პატარა წითელი ტელევიზორები წავიღეთ. გვითხრეს, კარგად იყიდებაო. იპოლიტე ხვიჩიამ სამი ტელევიზორი წამოიღო, მაგრამ ვერ გაყიდა, უკანვე ჩამოიტანა თბილისში *(იცინის)*.

**- როგორ მოგეწონათ სლოვაკეთის რაჭა?**

- კომუნისტების დროს ჩვენს რაჭველ კოლმეურნეებს მართლაც ჰქონდათ კავშირი სლოვაკ რაჭველებთან. საქმე ის გახლავთ, რომ ორივე მხარეში ყურძენი მოჰყავთ, ღვინოს აწარმოებენ. სლოვაკურ რაჭაში ოდასახლებია აშენებული, სახლის ქვემოთ მარანია. იქ წურავენ ყურძენს, თვითონაც მიირთმევენ და ყიდიან კიდეც. ეს სოფელი მევენახეობით ირჩენს თავს. ისეთი ყურძენი მოდის, როგორიც ჩვენი ციცქა და ცოლიკაურია... საოცარი ქალაქია ბრატისლავა, ულამაზესი. ერთ დროს ბრატისლავასა და ვენას შორის, თურმე, ტრამვაი დადიოდა და სლოვაკები საღამოობით ვენის ოპერის თეატრში ოპერას ესწრებოდნენ. ახლა ეს კავშირი დარღვეულია.

**- რამდენი წლის ხართ ამ ფილმში?**

- დაახლოებით 44-45 წლის. 6 მაისს 75 წლის ვხდები. კარგი დრო იყო, არაჩვეულებრივი ჯგუფი შეიკრიბა როგორც ქართველების, ისე სლოვაკების. დარინას როლის შემსრულებელი ანდრეა ჩუნდერლიკოვა ჩეხი იყო, პრაღაში ცხოვრობდა, მაგრამ სლოვაკეთში იღებდნენ. საოცარი გოგო იყო, სხვათაშორის, გადაღებების დროს გათხოვდა. ერთ საღამოს გამოგვიცხადა: - Я выхожу замуж, - პრაღაში გაემგზავრა და იმჟამად ჩეხოსლოვაკიაში ცნობილ მუსიკოსთან - კოდეშთან დაიწერა ჯვარი. ხომ გახსოვთ - ღამით დარინას სახლთან სერენადას რომ ვმღერით, იმ საღამოს ჩამოვიდა, ავტობუსში ქორწილი გადავუხადეთ, დილამდე ვიქეიფეთ. მახსოვს, ბედნიერებისაგან ცრემლი როგორ ჩამოსდიოდა. ბადრიმ არაჩვეულებრივად შეასრულა როლი, ბესომაც. ბესო ამ რამდენიმე წლის წინათ ტრაგიკულად გარდაიცვალა - გასაღები არ ჰქონდა და მეზობლის აივნიდან თავის აივანზე გადადიოდა, ფეხი დაუცურდა და მერვე სართულიდან ჩამოვარდა. ეს იყო დიდი ტრაგედია... ამ ბიჭებზე გაცილებით უფროსი ვარ - თითქმის 25 წლით... არ დამავიწყდება დუნაის სანაპიროზე გადაღებული ეპიზოდები. ვწევართ ასე შიშვლები და უცებ გოგოები არ გამოჩნდნენ?! *(იცინის)* მე ქვედა საცვალი მეცვა, ისინი მთლად ტიტლიკანები იყვნენ. თქვენ წარმოიდგინეთ, რეჟისორმა არ გვითხრა, რომ გადაღების დროს ეს გოგოები უნდა გამოჩენილიყვნენ. უცებ ვთქვი - შიშველი უცხოელი ვარ-მეთქი... მოსკოვში ფილმის გასინჯვაზე ამ ფრაზის ამოღება უნდოდათ, ამის თქმა როგორ შეიძლებაო... ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ფილმში რაჭაში გადაღებულ ეპიზოდს ვერსად ნახავთ - სლოვაკეთსა და აფხაზეთშია გადაღებული.

**- კიდევ რას გაიხსენებთ?**

- როგორ შეიძლება არ ვახსენო ბატონი ვასილ ჩხაიძე. ერთი სლოვაკი გრიმიორი გოგო მოეწონა, გინდა თუ არა, ჯვარი უნდა დავიწეროო, თვითონაც თანახმააო. რაღას ვიზამდით, ის გოგო შვილად ერგებოდა, მაგრამ ქორწილი მაინც გადავუხადეთ - ვითომ ჯვარი დავწერეთ, სწორედ ისე, როგორც ფილმშია - როცა დარინა და ზაური ხმლების რიგში გადიან და ქორწილს უხდიან. კარგი ხუმრობა გამოგვივიდა *(იცინის)*.



ბადრი კაკაბაძე, ანდრეა ჩუნდერლიკოვა, ბესო ხიდაშელი

*ესაუბრა*

**ქეთევან ხამიცაშვილი**



# გურამ პეტრიაშვილი: წერილები ფეშანგს



## წინათქმა

***ვისაც უცხოეთში დიდხანს არ უცხოვრია, იმან არ იცის, რას ნიშნავს ეს ორი სიტყვა — ქართული გაზეთი. ყოველი ქართული გაზეთი ჩემთვის არის გულის სამშობლოსთან შეხება. ყოველი! ამას ხაზს ვუსვამ. კარგიც, ცუდიც, ბრძნულიც, სულელურიც, ამფერიც, იმფერიც, შარშანდელიც, დღევანდელიც... აი, ჩავიგდე ხელში. ნაცნობს გამოვლიტე. დავანამუსე, რა გული გაგიძლებს, რომ ამ საღამოს შენ ორსა კითხულობდე, მე კი ერთიც არა მქონდეს-მეთქი.***

*ნახევარი საათი ატრიალა ხელში ხან ერთი, ხან მეორე. თავისთვის უკეთესი სურდა აერჩია. მშვიდად ველოდი. გაზეთი ამას ჩემზე ნაკლებად არ უყვარს, მაგრამ, ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ, ჩემნაირად არ იცის გაზეთის ამბავი. ვიცი, რასაც ეძებდა. სად უფრო გამოჩენილი პიროვნების ინტერვიუ იყო დაბეჭდილი და სად უფრო მნიშვნელოვან თემებზე იყო საუბარი.*

*ბოლოს, როგორც იქნა, აირჩია. თავისი მაგრად ჩაბღუჯა, მეორე გამომიწოდა და... გულიც გამოაყოლა. ისევ ეეჭვებოდა არჩევანი.*

*მერე გავცვალოთ-მეთქი. თავი დამიქნია, თუმცა, ორივემ ვიცით, ერთი თუ ჩავიგდეთ ხელში, მერე ის გაზეთი სახლიდან ვეღარ გადის.*

*ჰო, იმას გეუბნებოდით, თუ ბოლომდე, ანუ რედაქტორის გვარამდე არ ჩაიკითხავ გაზეთს, ვერ მიხვდები, რამდენად მნიშვნელოვანი ამბები იმალება შიგ და რამდენად ნამდვილი იქნება გულის სამშობლოსთან შეხება.*

*შეიძლება უშველებელმა წერილმა არ გვითხრას იმდენი, რასაც გვეტყვის რომელიღაც გვერდზე უმნიშვნელო ინფორმაციებში მიმალული რამდენიმე სიტყვა...*

*მოკლედ, მივიტანე სახლში ის გამოცინცლულ-გამოღლეტილი გაზეთი, მოვკალათდი სავარძელში და დავიწყე კითხვა...*

*სამი წუთიც არ იყო გასული, რომ ფეშანგის გადავეყარე.*

*გავუღიმეთ ერთმანეთს.*

*იმისი ღიმილი დამცინავი და თითქმის თავხედური იყო, ჩემი — ნაღვლიანი.*

**— როგორა ხარ, ფეშანგი, ძმაო და შვილო? — ვკითხე მე.**

— როგორც ყოველთვის, ძალიან კარგად, — მიპასუხა იმან.

**— არ იშლი ხომ შენსას?**

— რა უნდა მოვიშალო, კაცო, ასეთი ვარ და რა ვქნა.

**— ნუ ტყუი, ვიცი, რომ შეგიძლია უკეთესი იყო.**

— რას დამდევ, კაცო!

**— არა, ფეშანგი, ჩემი თავი შემოგევლოს, დაგდევ კი არა, გაზეთს რომ გავშლი, ღმერთსა ვთხოვ, ფეშანგის ნუ შემახვედრებ-მეთქი.**

— თავს რატომ არ დამანებებ, ვინა ხარ!

**— ვერ დაგანებებ, იმიტომ, რომ ქართველი მწერალი ვარ და, აბა, ვინ უნდა დაიცვას ენა შენნაირებისაგან, თუ არა მე?**

— ეეჰ, მოგცლია, რაღა! — მითხრა ფეშანგიმ და გაქრა.

*ამოვიოხრე, რადგან ვიცი, რომ შეიძლება რამდენიმე აბზაცის მერე ისევ ამეტუზოს წინ...*

**ვინაა ეს ფეშანგი და, მართლაც, რას გადავეკიდე, რას მოვითხოვ მისგან?**

*თავიდან არც კი ვიცოდი, თუ არსებობდა.*

*ვკითხულობდი სხვადასხვა გაზეთში ოკრობოკრო და ოღროჩოღრო ქართულით დაწერილ წერილებს თუ ცალკეულ წინადადებებს და ვფიქრობდი, ამას და ამას ეშლება, ამას, აი, აქ ასე უნდა დაეწერა, ხოლო იმას იქ ისე-მეთქი.*

*და ერთხელ მივხვდი, რომ უშნო ქართულით ერთი კაცი ავსებს ჩვენს გაზეთებს!*

*დიდი თვალთმაქცია. ხან ერთ ფსევდონიმს ამოეფარება, ხან მეორეს. ხან ქალია, ხან — კაცი. ფოტოებსაცა ბეჭდავს. ვითომც, ეს მე ვარო. აი, თმაგაშლილ ქალად შემოგვასაღა თავი ერთ გაზეთში. მეორეში კი უწვერული ჭაბუკის ფოტო შემოგვაჩეჩა. ხან პოლიტიკოსის ნიღაბს აიფარებს, ხან მსახიობისას, ხან ვისას და ხან ვისას.*

**ვინაა სინამდვილეში?**

*ვიცი, რომ ქართველია. ისიც ვიცი, რომ არ იცის დედაენის მნიშვნელობა და ამიტომ არც უყვარს ენა. უფრო უცხოურს ეტანება ყველაფერს. ძირითადად, რუსულს. ქართულს არაფერსა კითხულობს, არც გაზეთებს და, მითუმეტეს, არც წიგნებს. ეგ კი არადა, რამეს რომ დაწერს, არც გადაიკითხავს...*

*ფეშანგი მე დავარქვი.*

*მიყვარს ეს სახელი. ქართულია, და თან მისი პატრონი ბუნებით ცუდი არ უნდა იყოს. თუ რამე ეშლება, არაა მისი ბრალი. ასე გაზარდეს და რა ქნას.*

*მოგეხსენებათ, ყოფილა უწინ ასეთი მწერალი ფეშანგი ფაშვიბერტყაძე. როგორღაც ისე აეწყო ჩემი ცხოვრება, რომ აქამდე ვერ გავეცანი მის შემოქმედებას. ერთი კი ნათელია: ამ სასწაულებრივ ქართულ ლიტერატურაში კაცი სახელს რომ დატოვებს, ის კაცი უკვე მაგარია. ჩემს ფეშანგის, ცხადია, არ მოვეშვები. გადავწყვიტე, დროდადრო წერილი მივწერო-ხოლმე. მჯერა, რომ ადრე თუ გვიან შეუყვარდება ქართული ენა და ჩაუჯდება ქართულ წიგნებს. წაიკითხავს ძველსაც და ახალსაც და ერთ მშვენიერ დღეს აქეთ შემომიტევს: არა გრცხვენია, ჩემი სეხნია ფეშანგი ფაშვიბერტყაძე რომ არ წაგიკითხავსო?*

## წერილი პირველი

ფეშანგი! ხომ მისმენ, ბიჭო!

აბა მოუსმინე, რა დაგიწერია:

„რუსეთის მხრიდან რომ პროვოკაციებია მოსალოდნელი, **ამის თაობაზე ყველა ინფორმირებული ვართ.** ყველამ ვიცით ისიც, რომ **ისეთი ჯარის პირობებში, როგორიც ქართული არმიაა,** ნატომდე არავინ მიგვიშვებს“.

„ამის თაობაზე ყველა ინფორმირებული ვართ“ არვარგა.

ჯერ ერთი, ვისგანა „ვართ ინფორმირებული“? რაო, რუსეთის სპეცსამსახურებმა ჩამოუარეს ყველა ქართველს და ჩასჩურჩულეს, ასეთ და ასეთ პროვოკაციებს გიპირებთო?

მეორეც, შე კაცო, ასე ოფიციალურად რატომ გველაპარაკები მკითხველებს, თითქოს რუსი ოფიცერი ხარ და ჩვენ კი შენი ჯარისკაცები?

განა არა ჯობს, უბრალოდ გვითხრა, „ეს ყველამ ვიცით-თქო?

ნახე, რა კარგად გადაებმება წინადადებები ერთმანეთს:

„...ეს ყველამ ივიცით. ყველამ ვიცით ისიც, რომ...“

ახლა ამას დააკვირდი.

რისი თქმა გინდოდა ამ სიტყვებით:

„ისეთი ჯარის პირობებში, როგორიც ჩვენი არმიაა“.

ალბათ, იმისა, რომ ცუდი ჯარი გვყავს, ხომ?

ჩვენ ვინღა გამოვდივართ მაშინ?

აბა, ჰე, დაფიქრდი. დაძაბე გონება.

ჰო, ჰო, მიდი.

ჩვენ გამოვდივართ... ცუ-დი ჯა-რის...

ვერ მიხვდი?

პირველ ასოს გეტყვი. „პ“.

აჰა, კიდევ ორი ასო: „პ-ა-ტ...“

ჰო, ფეშანგის შემოვევლე!

„პატრონები“!

„ცუდი ჯარის პატრონები“.

ჩავწეროთ ახლა ყველაფერი ქართულად:

„რუსეთის მხრიდან რომ პროვოკაციებია მოსალოდნელი, ეს ყველამ ვიცით, ყველამ ვიცით ისიც, რომ ჩვენი ჯარის პატრონებს ნატოში არავინ შეგვიშვებს“.

**„ამ ფაქტთან დაკავშირებით პირველი ხმაური** იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარემ გოჩა პაიჭაძემ ატეხა“.

„ამ ფაქტთან დაკავშირებით“ რუსულის კალკია („ვ სვიაზი ს ეტიმ ფაკტომ“)

ქართულად ვამბობთ „გამო“.

მაგალითად:

ჩვენს ძმას, ფეშანგის ქართული იმის გამო ეშლება და, რა დასამალია, ემძიმება კიდეც, რომ რუსულ გაზეთებს უფრო ხშირადა კითხულობს, ვიდრე ქართულ წიგნებს.

გაიგე, ფეშო?

ეს „პირველი ხმაური“ რაღა დარდუბალაა, ბიჭო?

არის მეორე, მესამე და მეასე ხმაურიც?

„პირველ ხმაურს“ კი არ ტეხს ვინმე, არამედ სხვებზე ადრე ტეხს ხმაურს, ანუ „პირველი“.

დავწეროთ:

„ამ ფაქტის გამო ხმაური პირველმა ატეხა იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარემ გოჩა პაიჭაძემ“

**„გაჰკიოდა ხაზარაძის მიმართულებით სანდრო ბრეგაძე“.**

ეჰ, ფეშანგი, ერთი შენი ქართულის მასწავლებელი მაჩვენა! არა, შვილო, ცემას კი არ ვუპირებ. აი, ამ შენს სიტყვებს ვაჩვენებდი და ვნახავდი, გაწითლდებოდა თუ არა ერთი სასაცილო ცხოველის სხეულის უკაცრავულო ნაწილივით.

ფეშანგი, ბიჭო, კიევში უკრაინელებს და რუსებს რომ ვასწავლი ხოლმე ქართულს, პირველივე გაკვეთილზე თუ არა, მეორეზე აუცილებლად ვეუბნები ჩვენი ზმნის ერთ-ერთ მთავარ თვისებაზე.

ქართულ ზმნას, ფეშანგი, მიმართულება აქვს ყოველთვის.

შენი „გაჰკიოდა ხაზარაძის მიმართულებით“ ისევ და ისევ რუსულის გავლენითაა შემომძვრალი (კრიჩალ პო ნაპრავლენიუ) და მარტო იმას გვამცნობს, რომ ერთი უკიოდა მეორეს.

ქართულად კი შენ ისიც შეგეძლო დაგეხატა, თუ რომელი სად იყო ამ დროს და — რა მდგომარეობაში.

შენ წარმოიდგინე, ქართულად რომ იტყოდი, მკითხველი იმასაც კი მიხვდებოდა, თუ შენ სად იყავი, როცა ზემორე ნახსენები პარლამენტარი კიოდა.

არა გჯერა?

ა, ბატონო, ვწერ:

„ამოჰკიოდა ხაზარაძეს სანდრო ბრეგაძე“.

ეს წინადადება იმას ნიშნავს, რომ შენ და ხაზარაძე სადღაც ზევით იდექით (ალბათ პარლამენტის ქანდარაზე), ხოლო სანდრო ბრეგაძე ქვევით იყო.

სხვათაშორის, ბრეგაძეს შეეძლო ვაჟას სტრიქონების პერიფრაზით ეთქვა და შენც შეეყვანე ისტორიაში:

თქვენ ზევითა ხართ, მე — ქვევით,

ამოგკივივართ მძლავრადა...

გავაგრძელოთ თუ უკვე მიხვდი, რომ ქართულად ბევრნაირად შეიძლება თქმა ხაზარაძისა და ბრეგაძის, თუ შეიძლება ასე ითქვას, აკუსტიკურ-ფსიქოლოგიური კონტაქტის თაობაზე.

დაჰკიოდა, ჩაჰკიოდა, მიჰკიოდა, შეჰკიოდა, შემოჰკიოდა...

გესმის, ფეშანგი, ფხიზლად იყავი, ბიჭო! აღარ წამოგცდეს მეორედ ასეთი დარდუბალა: „ის გაჰკიოდა იმის მიმართულებით“.

ხომ პონიალ?

ჰოდა, მალადეც.

„ის გამძაფრებული ინტერესი, რასაც ადამიანები **აღორძინებაში** მიმდინარე პროცესების **გარშემო** იჩენენ“...

ეს როგორ გავიგოთ, ძმაო ფეშანგი?

ჯერ ერთი, ბრჭყალები სჭირდება პარტიისა თუ ორგანიზაციის სახელწოდებას. უნდა იყოს: „აღორძინებაში“.

მეორე.

პროცესების „გარშემო“ როგორ იჩენენ ინტერესს ადამიანები?

რა ვიფიქროთ?

პროცესები მიმდინარეობს და ის ადამიანები გარშემო სხედან თუ დგანან?

ფეშანგი, გამოტყდი, ეს „გარშემო“-ც რომელიღაც უცხოენიდან მოიტანე, ხომ? ალბათ, ისევ რუსულიდან?

ინტერესს, ფეშანგი, ბიძია, იჩენენ პროცესებისადმი.

დაიმახსოვრე!

დავწეროთ:

„ის გამძაფრებული ინტერესი, რასაც ადამიანები „აღორძინებაში“ მიმდინარე პროცესებისადმი იჩენენ...“

„საკანონმდებლო ორგანო **ტრადიციული მუშაობის სტილს** უბრუნდება“.

რას ნიშნავს „ტრადიციული მუშაობა“? ან მისი სტილი?

არა, ფეშანგი, სხვანაირად უნდა დაგეწერა, კერძოდ:

„საკანონმდებლო ორგანო მუშაობის ტრადიციულ სტილს უბრუნდება“.

„დღის წესრიგის დამტკიცებას **მინიმუმ** ოთხი საათი დასჭირდა“.

„მინიმუმ“ და „მაქსიმუმ“ არაა ქართული.

შენ, ძმაო ფეშანგი, მართლაც სულ არა კითხულობ ქართულ წიგნებს?

თუ კითხულობ, აუცილებლად გეცოდინებოდა, რომ „მინიმუმ“ ქართულად მშვენივრად ითქმის: „სულ ცოტა“, ხოლო „მაქსიმუმ“ ასევე ბრწყინვალედ „ბევრი ბევრი“.

მაშ დავწეროთ:

„დღის წესრიგის დამტკიცებას სულ ცოტა ოთხი საათი დასჭირდა“.

„...**თითქმის** არ ყოფილა **არც ერთი** მნიშვნელოვანი მოვლენა, **რაშიც** მას უშუალო მონაწილეობა არ მიეღოს“.

ფეშანგი, სადა რბის შენი გონება, ვერ გავიგე.

დააკვირდი, ბიჭო, ამ სიტყვების მნიშვნელობებს: „თითქმის“, „არც ერთი“.

როცა ვამბობთ „თითქმის“-ო, ესე იგი სისრულეს რაღაცა აკლია.

ხოლო როცა „არც ერთი“ არ აკლია რამეს, იქ სისრულეა.

გაიგე?

არ ვარგა „რაშიც“.

ახლა კი დავწეროთ:

„...არ ყოფილა არცერთი მნიშვნელოვანი მოვლენა, მას რომ უშუალო მონაწილეობა არ მიეღო“.

„მან უდიდესი წვლილი შეიტანა **ეროვნული ეკლესიის** ავტოკეფალიის აღდგენის საქმეში, ასევე ქართული სულიერი კულტურის სიძველეთა შესწავლისა და დაცვა-გადარჩენის **მიმართულებითაც**.

ფეშანგი, ნუ შემიკალი ხელში ამ „მიმართულებებით“.

ვიღაცა რომ მეორის „მიმართულებით გაჰკიოდა“, ეს კიდევ შეიძლება გაიგოს კაცმა, მაგრამ „წვლილის შეტანა რაღაცა მიმართულებით“ ნამეტანია, ვეჟო!

ეს „ეროვნული ეკლესია“ საიდანღა მოიგონე?

ქართველები ვართ მართლმადიდებელი ქრისტიანები. ამ სარწმუნოებისა კი სხვანიც არიან. ამიტომ ვერ ვიტყვით, ეროვნული სარწმუნოება გვაქვსო და ვერც ჩვენს ეკლესიას ვუწოდებთ ეროვნულს.

ქართული რომ ჰქვია, განა საკმარისი არაა?

დავწეროთ:

„მან უდიდესი წვლილი შეიტანა როგორც ქართული ეკლესიის ავტოკეფალიის აღდგენის, ასევე ქართული სულიერი კულტურის სიძველეთა შესწავლისა და დაცვა-გადარჩენის საქმეში“.

„**საოჯახო განათლებასთან ერთად** მღვდელ ფილიმონ კარბელაშვილს თბილისის სემინარიაც დამთავრებული ჰქონდა“.

მიხვდი, რაცა თქვი, ფეშო?

იმ კაცს ერთად დაუმთავრებია საოჯახო განათლება და სემინარია. განა შეიძლება ითქვას „საოჯახო განათლების დამთავრება“?

არა, ძმაო, არა!

უნდა ითქვას ასე:

„იმის გარდა, რომ მღვდელმა ფილიმონ კარბელაშვილმა ოჯახში მიიღო განათლება, თბილისის სემინარიაც ჰქონდა დამთავრებული“.

„ისინი მიიჩნევენ, რომ დასავლეთი, განსაკუთრებით კი ამერიკა, ამ **ნაბიჯზე არასოდეს წავა**“

ყურადღებით, ფეშანგი!

„ნაბიჯზე წავა“ რუსულის კალკია.

ქართულად იქნება ასე:

„...ამ ნაბიჯს არასოდეს გადადგამს“.

„...სავალუტო ფონდმა ჯორბენაძეს გაცილებით ადრე მიმართა **თხოვნით** და რამდენიმე კანონის მიღება **სთხოვა**“.

მისმენ, ფეშანგი?

„მიმართა თხოვნით“ და „მიღება სთხოვა“ ერთ წინადადებაში ვერ მორიგდებიან.

ჯობს, გამოვიყენოთ „თხოვნის“ მაგიერ სხვა ზმნა და გაჭირვების ტალკვესი — სხვათა სიტყვის „ო“.

ნახე, როგორი ბუნებრივი გახდება წინადადება:

„...სავალუტო ფონდმა ჯორბენაძეს გაცილებით ადრე სთხოვა, ეს რამდენიმე კანონი მიიღეო“.

თან სიტყვაც ნაკლები დავხარჯეთ. ესეც საქმეა!

„...მოწიწებული **ტონით** ისე ითხოვს საგანგებო სესიის დანიშვნას...“

ფეშანგი, ციც!

„ტონი“, ცხადია, რუსულიდან შემოგვაპარე, ხომ?

ქართულად იქნება:

„ისეთი მოწიწებული ითხოვს...“

„ისე მოწიწებულად ითხოვს“...

მეც მოწიწებულად გთხოვ: ფეშანგი, წიგნები იკითხე. ქართული!

„...აკაკი ბობოხიძემ კი საკანონმდებლო ორგანოს სამტრედიისკენ **სთხოვა ყურადღების მიპყრობა“.**

ფეშანგი, შევღონდი!

კაცი არა ხარ?

რასა ჰგავს, ბიჭო, ეს: „სამტრედიისკენ სთხოვა ყურადღების მიპყრობა“.

მომისმინე!

ჯერ უნდა დაწერო ზმნა.

ქართული ზმნა ისეთია, რომ თვითონ გიკარნახებს, თუ როგორა თქვა, რაც გინდა.

დავწეროთ

„...აკაკი ბობოხიძემ კი საკანონმდებლო ორგანოს სთხოვა...“

ახლა უყურე!

შენ აპირებ, რომ „ყურადღების მიპყრობა“-თი გაგვიხეთქო გული.

ერთხელ და სამუდამოდ უთხარი შენს თავს, რომ ქართულ ენას არ უყვარს ზმნის საწყისი ფორმა, ანუ ინფინიტივი. ქართულს უყვარს, როცა ზმნის უკან დგას ვინმე.

„სთხოვა ყურადღების მიპყრობა“ კი არა, არამედ „სთხოვა, ყურადღება მიაპყარითო“.

მიხვდი, ხომ, ფეშანგი?

მაშინ დავწეროთ:

„...აკაკი ბობოხიძემ კი საკანონმდებლო ორგანოს სთხოვა, ყურადღება მიაპყარით სამტრედიასო“.

ამით ვამთავრებ პირველ წერილს.

ძალიან გამახარებ, თუ მეორე წერილს აღარ მომაწერინებ.

ჩაუჯექი, ძმაო და შვილო, ფეშანგი, ქართულ წიგნებს, ისწავლე ქართული.

შენ ხომ არა გგონია, რომ მართლაც იმის მეტი საქმე არა მაქვს, რომ შენი ნაცოდვილარი ვქექო?

მშვიდობით!

და აღარა გნახოს ჩემმა თვალებმა!

ეჰ, ფეშანგი!

***სახელმწიფო ტელევიზიის ყოფილი დიქტორი ჟანეტა არჩვაძე ტელევიზიასა და რადიოში 48 წელი მოღვაწეობდა. ამ ხნის განმავლობაში ის ყოველი ოჯახის სასურველი სტუმარი იყო. ქალბატონი ჟანეტა ერთადერთი დიქტორია, ვისაც სახალხო არტისტის წოდება მიენიჭა. პირველად მაყურებელს იგი 1956 წელს მიესალმა... მანამდე კი თეატრალურ ინსტიტუტში სცენასა და მსახიობის ხელოვნებას აკაკი ხორავამ აზიარა, თამაშობდა მარჯანიშვილის თეატრში...***

# ჟანეტა არჩვაძე: არ ვწუხვარ იმაზე, რისი გამოსწორებაც არ შემიძლია!



- თეატრში მისვლამდე ვმოღვაწეობდი რადიოში, ესტრადაზე, დიდი წარმატებით გამოვდიოდი დიდ საკონცერტო დარბაზში. ვმონაწილეობდი ფილარმონიაში დადგმულ პირველ სპექტაკლში „ასეც ხდება“ (არჩილ ჩხარტიშვილის დადგმა იყო, აღადგინა გაიოზ ქართველიშვილმა).

**- თეატრალური ინსტიტუტის კურსდამთავრებულმა ესტრადას მიანიჭეთ უპირატესობა?**

- მაშინ მარჯანიშვილის თეატრში შტატი არ იყო, ამიტომ სამი წელი საესტრადო სცენაზე ვიღვაწე... თეატრში იმ დროს მივედი, როცა ვერიკო ანჯაფარიძე, ვასო გოძიაშვილი, სერგო ზაქრაძე, პიერ კობახიძე და სხვები სცენაზე საოცრებებს ახდენდნენ. ჩემი პირველი სპექტაკლი გახლდათ „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“. როლში ყოველგვარი რეპეტიციის გარეშე შევედი და ტასია განვასახიერე. მანამდე სპექტაკლი ნანახი მქონდა, მიზანსცენები მახსოვდა, ამიტომ არ გამჭირვებია. ჩემი პარტნიორები იყვნენ ვასო გოძიაშვილი, გიორგი შავგულიძე (ჩემს საქმროს თამაშობდა). მახსოვს, როგორ მეხუმრებოდა: - მოდი, აგწიო... არ დამივარდე, კაცო... შავგულიძე უდიდესი პროფესიონალი იყო, რაც უნდა უმნიშვნელო დარბაზში გამოსულიყო, გრიმს საგანგებოდ იკეთებდა, კოსტიუმს კოხტად ირგებდა. მისი შემხედვარე უდიდესი მოწიწებითა და პატივისცემით განეწყობოდი მაყურებლის მიმართ, მეტ პასუხისმგებლობას გრძნობდი. ლენა ყიფშიძესთან, გოგი გელოვანთან, ავთო ვერულეიშვილთან ერთად ვითამაშე „ნანაში“. ჩემამდე ნანას როლს ნიჭიერესი და ულამაზესი მარინე თბილელი თამაშობდა, ამიტომ, ცოტა არ იყოს, მეშინოდა, როგორ მიიღებდა მაყურებელი ამ გმირს ჩემი შესრულებით. მაგრამ ყველაფერმა კარგად ჩაიარა. საშუალება მომეცა, ჩემი ვოკალური მონაცემები თეატრშიც გამომევლინა. კარვის სცენაში მე და ლენა ყიფშიძე ვმღეროდით - სიმღერაში საგანგებოდ გვამეცადინა გოგი გელოვანმა. ჩემი უშუალო პარტნიორი „ნანაშიც“გიორგი შავგულიძე იყო, რომელიც მეუღლის როლს ასრულებდა. მოგვიანებით, როდესაც ის „მამლუქის“ გადაღებაზე მიიწვიეს, ზურაბ ლაფერაძემ შეცვალა. სეზონის დახურვის შემდეგ გასტროლებზე გავემგზავრეთ. ეს იყო უბედნიერესი წლები ჩემს ცხოვრებაში. არასოდეს დამავიწყდება ლენა ყიფშიძის სოფელში - საღოლაშენში გატარებული ორი დღე, სადაც ისვენებდნენ ლენას დედა, დები და პატარა ზურიკო. ბავშვი უჭმელი იყო, გამხდარი, მაგრამ გასაღები მოვუნახე - დიაფილმებს ვუჩვენებდი და ამით გახალისებული საჭმელს სიამოვნებით მიირთმევდა. ლენას დები მთხოვდნენ, ერთი ორი დღეც დავრჩენილიყავი, იქნებ ზურამ მოიკეთოსო... მანრჯანიშვილის თეატრში არაჩვეულებრივი დამოკიდებულება მქონდა იაშა ტრიპოლსკისთან. შემდეგაც, ტელევიზიაში ხშირად გვიწევდა ერთმანეთთან შეხვედრა - გადაცემა „ფოტომონადირე“ მიჰყავდა. მახსოვს, ერთხელ მთხოვა, ბრეხტის წიგნი მათხოვეო (არ იშოვებოდა). ვათხოვე და იმდენად მოეწონა, ვაჩუქე. ბოლოს იაშა „ლეჩკომბინატთან“ დავინახე, მეუღლესთან ერთად ხელკავით მიდიოდა, მოძრაობა უჭირდა, თვალი ავარიდე, არ მსურდა ასეთ მდგომარეობაში მყოფი მენახა.

**- ვინ იყო თეატრალურ ინსტიტუტში თქვენი პედაგოგი?**

- ბედმა გამიღიმა და თავიდანვე, პირველ ორ წელიწადს ლილი იოსელიანი მასწავლიდა. ძლიერ პედაგოგთან მოხვედრა ხომ შემდგომი წარმატების გარანტიაა. მესამე კურსიდან აკაკი ხორავა მამეცადინებდა. ინსტიტუტში მთავარი როლი ვითამაშე „პლატონ კრეჩეტში“ (ლიდას როლი განვასახიერე). როგორც უნდა გაგიკვირდეთ, აკაკი ვასაძემ მათამაშა ქაბატოს როლი „ხანუმაში“. სახასიათო როლზე ერთგვარი გამოცდა მომიწყო. დოდო ალექსიძემ ოთარ მეღვინეთუხუცესის კურსზე მიმიწვია. გორკის „უკანასკნელში“ ნადეჟდას როლი შევასრულე. სცენაზე სიგარეტი უნდა მომეწია, მწეველი არ ვიყავი და ამ საქმეს თავი ვერაფრით გავართვი. ბოლოს მითხრა, - არა უშავს, ნუ მოსწევ, ღერი მაინც გეჭიროსო. სიამოვნებით ვიხსენებ ინსტიტუტის წლებს, ჩემს პედაგოგებს. არასოდეს დამავიწყდება აკაკი ხორავა. გამოჩნდებოდა თუ არა დერეფანში, სტუდენტებს სუნთქვა გვეკვროდა, ბუზის გაფრენის ხმას გაიგონებდით. ყოველ როლს, რომლის თამაშიც სცენაზე გვიწევდა, თავიდან თავად ასრულებდა, გვაჩვენებდა, გვასწავლიდა. „Покажи глаза, какие глаза у тебя“,- დაიბუხუნებდა. განსხვავებული ხელწერა ჰქონდა ლილი იოსელიანს - თვითონ გაძლევდა იმპროვიზაციის საშუალებას, გმირის სახე თავად უნდა გაგეხსნა, ხასიათი გამოგეკვეთა. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ რუსთაველის თეატრში ვაპირებდი მუშაობის დაწყებას, მაგრამ იმხანად თეატრის დირექტორს აკაკი ხორავას სკანდერ-ბეგის როლზე იღებდნენ ალბანეთში, პავლე კანდელაკმა კი ჩემი მიღება მის გარეშე ვერ გაბედა.

**- თეატრს როგორ შეელიეთ?**

- თეატრში თამაშის პარალელურად ტელევიზიაშიც ვმუშაობდი. ძალიან დატვირთული ვიყავი - მიმყავდა საინფორმაციო გადაცემები, საბავშვო პროგრამები, მთავარი როლის გარდა, თეატრში ვმონაწილეობდი მასიურ სცენებში, გაცდენა არ შეიძლებოდა. იმ პერიოდში (1958 წელს) ოჯახიც შევქმენი. ამიტომ განცხადება დავწერე და მარჯანიშვილის თეატრიდან გათავისუფლება ვითხოვე. მახსოვს, თეატრის იმჟამინდელმა დირექტორმა ვერიკო ანჯაფარიძემ (კაბინეტში ოთარაანთ ქვრივი დამხვდა - ვერიკოს მაშინ ამ როლში იღებდნენ, გრიმის მოხსნას და ტანსაცმლის გამოცვლას ვერ ასწრებდა) მითხრა: - როლზე კარგად მუშაობ, შესანიშნავი ხმა გაქვს, თეატრში წარმატებას მიაღწევო... მაგრამ მე ხომ ვიცოდი - თეატრში თუ ხარ, მთელი არსებით თეატრს უნდა ეკუთვნოდე, სხვა საქმე არ გამოგივა.

**- მეუღლე ხომ არ იყო თეატრში მუშაობის წინააღმდეგი?**

- შოთას უყვარდა თეატრი და კარგად იცნობდა თეატრალურ ხელოვნებას, მაგრამ ისიც იცოდა, რომ ოჯახი და რამდენიმე ადგილას სამსახური ჩემთვის მძიმე ტვირთი იქნებოდა.ჩვენ ტელევიზიაში ერთად ვმუშაობდით, ერთ საქმეს ვემსახურებოდით. შოთა არჩვაძე გახლდათ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, კაკო ძიძიგურთან ერთად ტელევიზიის ერთ-ერთი დამაარსებელი, ტელევიზიის პირველი გადაცემის სცენარის ავტორი, რომელიც 1956 წელს გავიდა ეთერში, კინორედაქციაც სწორედ მისი დაარსებულია, მუშაობდა კინოსტუდიაშიც. მოგვიანებით ჩვენი შვილი - კახა არჩვაძე ტელევიზიის ოჯახის წევრი გახდა. უფროსი ვაჟი ვასიკო კი თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსტიტეტის კათედრის დოცენტი გახლავთ. ერთი ექიმი ოჯახში აუცილებლად გვჭირდებოდა *(იცინის)*.

**- თქვენი პირველი გადაცემა...**

- ეს იყო ტელევიზიის სათავეებთან, 1956 წელს, პირველი სატელევიზიო ჟურნალი „მერცხალი“. შემდეგ ავთო გაჩეჩილაძემ დააარსა „ასფურცელა“, „საპოვნელა“. ვეძებდით თანატოლებისაგან განსაკუთრებული ნიჭით გამორჩეულ ბავშვებს. სწორედ აქ მოვიწვიეთ პირველად თამრიკო ჭოხონელიძე, ნინო სურგულაძე, დათო ევგენიძე. მე მათი ტელენათლია ვარ *(იღიმება)*. შემდეგ იყო „ძილისპირული“, „ცეროდენას ეკრანი“. ჯემალ და ოთარ სეფიაშვილებს საბავშვო გადაცემებისთვის არაჩვეულებრივი მუსიკა და ლექსი ჰქონდათ შექმნილი. ხომ გახსოვთ „ჯადოსნური ეკრანი“? შეიძლება, მაშინ სათანადო ტექნიკა არ იყო, მაგრამ ის თოჯინები, რომლებითაც ამ გადაცემაში ვსარგებლობდით, ბავშვებს უყვარდათ. გადაცემას - „იავნანას წერილების კვალდაკვალ“ - ფსიქოლოგ გივი ლოგუასთან ერთად ვუძღვებოდი. უამრავი წერილი მოდიოდა, იმართებოდა დისკუსია. საერთოდ, გადაცემის წარმატებას განსაზღვრავს ტელეპიროვნება, რომლისაც სჯერა და უსმენს მაყურებელი. აჩქარებული ტონი, „შუშის“ თვალები და მორბენალ სტრიქონს გაყოლებული მზერა ტელეპიროვნებას ვერ ჩამოაყალიბებს.

**- როდის დაიხურა თქვენი გადაცემა „ცეროდენას ეკრანი“?**

- 1995 წელს. გადაღება გარეთ იყო დანიშნული, მაგრამ მომზადებული სცენარი შემრჩა ხელთ. მითხრეს, რომ გადაცემა აღარ შედგებოდა. ის-ის იყო, იწყებოდა „ბასტი-ბუბუზე“ რეპეტიციები. დიქტორების ოთახი ტელევიზიის პირველი კორპუსის პირველ სართულზე იყო განთავსებული, მერე მეორეზე აგვიყვანეს, მოგვიანებით კი ნელ-ნელა მოგვიშორეს. საოცარია, ხანდაზმულ დიქტორებს ყველა ქვეყანაში პატივისცემით ეპყრობიან, იწვევენ გადაცემებში წამყვანებად. მაგალითად, რუს დიქტორებს კირილოვსა და შატილოვას დღემდე მიჰყავთ გადაცემები. როგორ, მათ სსრკ-ის გადმონაშთები ვუწოდოთ? ასეც ხომ არ შეიძლება. სკოლა ოქროს მედალზე დავამთავრე, მიღებული მაქვს ტელევიზიის ფრიადოსნის მედალიც. მრავალი წლის განმავლობაში ვმუშაობდი რადიოში. პატარა ოთახში მაგიდა და მიკროფონი იდგა, მაგრამ ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ჩემს მსმენელს ვხედავდი, მათთან ერთად ვმსჯელობდი... რა გითხრათ, დღეს უკვე გაუქმებულია ქეთო ლანდიას სახელობის სალონი, საიდანაც ვკითხულობდით ლექსებს, არაჩვეულებრივ ნაწარმოებებს. რადიოს საშუალებით მსმენელმა მოისმინა ოტია იოსელიანის რომანი „იყო ერთი ქალი“, რომლის ჩანაწერი ახლაც არსებობს. სხვათაშორის, ოტია იოსელიანს ეს 6-საათიანი ჩანაწერი პირადად გადავეცი. გამომცემლობა „სხივში“ სპეციალურად უსინათლოებისათვის ფირზე იწერებოდა ტექსტები.

**- როგორც ცნობილია, თქვენ მონაწილეობდით საქართველოს ტელევიზიის ისტორიაში პირველად გადაღებულ რეკლამაში...**

- დიახ, ეს იყო მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი-რეკლამა, რომელიც მოსკოვის დაკვეთით გადაიღეს. ვმონაწილეობდით მე, ქართლოს კასრაძე და თენგიზ ჩანტლაძე. წარმოდგენილი იყო ჯემის რეკლამა „Как приятно, как полезно, вот-вот это, вот-вот это“. სიუჟეტი ასეთია: დედა ბავშვებისთვის ჯემიან ნამცხვარს აცხობს, მაგრამ ბავშვები ჯემს ცომის მომზადებამდე ჭამენ. დიასახლისი მაღაზიაში ისევ ყიდულობს ჯემს, მაგრამ ნამცხვრის მომზადებას ვერ ასწრებს, რადგან ახალნაყიდ ჯემს სახლში დაბრუნებული მეუღლე და მისი მეგობრები შეექცევიან. ქალი ისევ მიდის მაღაზიაში და უკვე მესამედ ყიდულობს. შემდეგ კადრში ჩანს გორის საკონსერვო ქარხანა, ჯემის მომზადების პროცესი. ისევ უჩვენებენ ოჯახს, სტუმრებს, დიასახლისი კი მღერის - „Как приятно, как полезно“ - და აჩვენებენ უგემრიელეს ჯემს.

რას ვიზამთ, დრო გადის... უკვე 75 წლის გახლავართ, 48 წელი ტელევიზიასა და რადიოში ვმოღვაწეობდი, მიყვარდა ჩემი მაყურებელი. არ მახსოვს, მომზადებისა და მეცადინეობის გარეშე უპასუხისმგებლოდ გადაცემის გადაღება დამეწყო. სიმდიდრესა და ქონების დაგროვებაზე არასოდეს მიფიქრია. ახლაც, დღევანდელი გადასახედიდან ისევე ვფიქრობ - გვიყვარდეს ერთმანეთი და სხვა ღირებულებაზე არ დავხარჯოთ ჩვენი ზნეობა, მორალი. 10 მცნება - ცხოვრების კანონი, უკვე დაწერილია, მეტი წესი და რიგი აღარ არის საჭირო. ვისწავლოთ და შევიმეცნოთ. ჩემს ერთგულ მაყურებელსა და მსმენელს თქვენი გაზეთის საშუალებით ინგლისის მეფის - გეორგ მეხუთის შეგონებით დავემშვიდობები, რომელმაც ბუკინგემის სასახლის ბიბლიოთეკაში შემდეგი წარწერა გააკეთა: მასწავლე, არ ვინდომო შეუძლებელი და არ ვწუხდე იმაზე, რისი გამოსწორებაც არ შეიძლება.

*ესაუბრა*

**ქეთევან ხამიცაშვილი**



ქუთუ ჩხიკვაძე, ვალიკო ძაგნიძე, ჟანეტა არჩვაძე, მიშა ჯოჯუა ფილარმონიის სცენაზე.



„უკანასკნელნი“. ჟანეტა არჩვაძე ნადეჟდას როლში.





***„ვნანობ, რომ არეულობა დღემდე არ დაწყნარდა ჩემს ქვეყანაში, პროცესები მეტისმეტად გაიწელა. მომბეზრდა, ველარ ვუყურებ ამდენ გაჭირვებას, შიმშილს. ეს უპატრონობაა. მთავრობას, ეტყობა, სძინავს, კულტურაზე არავინ ზრუნავს. რამდენი ხანია, საავტორო უფლებებისთვის ვიბრძვი, ამ პრობლემაზე არავინ ფიქრობს. ახლა ბრაზილიაში მაქვს მიწვევა, ალბათ, წავალ კიდეც, ვნანობ, რომ ამ ქვეყანაში ჩემი გამოცდილება აღარავის სჭირდება“, — ამბობს ცნობილი კომპოზიტორი იაკობ ბობოხიძე.***



# იაკობ ბობოხიძე: ვნანობ, რომ საქართველოში კომპოზიტორის საავტორო უფლებებს არავინ იცავს

— პოპულარობისთვის არასოდეს მიბრძოლია. ჩემზე ამბობდნენ, — იაშა ყოველთვის ჩრდილში დგასო. ჩრდილში ყოფნა მერჩივნა, სამაგიეროდ, ბედნიერი ვარ, რომ ჩემს სიმღერებს ხალხი მღერის. სიმღერა თუ ხალხური გახდა, კომპოზიტორისთვის ამაზე დიდი აღიარება არ არსებობს. „ფიფქები“ 35 წლის წინათ დავწერე, „სიმღერა საქართველოზე“, რომელსაც დავით გამრეკელი ასრულებდა, — 45 წლის წინათ. ე.ი. დროს გაუძლო ჩემმა მუსიკამ, თანამედროვეობამდე მოაღწია და როგორ არ შემიპყროს სინანულმა, როდესაც ილახება ჩემი საავტორო უფლებები, როდესაც ამახინჯებენ ტექსტს, ფორმას, ჰარმონიას. სანამ ცოცხალი ვარ, შემითანხმონ, რას აპირებენ. ჩემთვის მიუღებელია უნიჭო შესწორებები. მაგალითად, შარშან ნიკა მემანიშვილმა ჩემი „ფიფქების“ არანჟირება გააკეთა, დაამონტაჟა და მისამღერად გადააკეთა, შემდეგ მას სხვა მუსიკა მიუსადაგა. საქმე სასამართლოში მაქვს აღძრული. ასეთებზეა ნათქვამი — „ბრიყვი მიუშვი ნებასა, თვით შეეყრება სნებასა“. ან ხომ გახსოვთ, ლუდი „ალუდას“ რეკლამა — ფონად გასდევს დამახინჯებული ჩემი მუსიკა და ტექსტი. როდესაც დირექტორთან ჩემი პრეტენზია გამოვთქვი, გაკვირვებით მიპასუხა — რეკლამა 10 წამი მიდის, სამაგიეროდ, მთელი საქართველო უსმენსო. ჩემს მუსიკას საქართველო რომ უსმენს, ამაზე მაქვს საუბარი. ყველას გასაგონად ვამბობ — პატივი ვცეთ საავტორო უფლებებს...

როგორ არ აღვშფოთდებოდი, როდესაც თემურ ხვიბლიანმა ჩემი სიმღერა დამახინჯებულად იმღერა. ჩემი შვილი დედამისს დაუკავშირდა, იმ უკანასკნელმა კი ასე უპასუხა — ჩემს შვილს 200 სიმღერა აქვს, ბობოხიძის სიმღერა რაში სჭირდებაო... მე 30 სიმღერა მაქვს, სულ ეს არის... დასანანია, რომ თანამედროვე ესტრადაში არ იგრძნობა სულიერება და არც იქნება მანამ, სანამ პროფესიონალი კომპოზიტორი არ დაწერს სიმღერას.

რამდენიმე წლის წინათ ანა კალანდაძის ლექსების მიხედვით კაპელისთვის საგუნდო ნაწარმოები დავწერე (ეს ჟანრი ხელშეუხებელი იყო ქართულ მუსიკაში), მაგრამ კაპელის ხელმძღვანელობამ ეს ნაწარმოები ვერ გაიგო. მივხვდი, რომ ამის შესრულება არ შეეძლოთ — დირიჟორმა შეცდომა დაუშვა — შუა სიმღერის დროს ტონი მისცა, ე. ი. მომღერლები მაღალ პროფესიულ დონეზე ვერ აიყვანა... ეს ნაწარმოებები დღემდე შეუსრულებელი დარჩა... დიდი სურვილი მქონდა, ორფრთიანი საახალწლო მისალოცი ბარათები გამეკეთებინა — გადაშლიდით და „ფიფქების“ მუსიკა აჟღერდებოდა. დასანანია, რომ სპონსორი ვერ ვიპოვე, თუმცა, დაპირება არაერთი მქონდა.

დასანანია, წლები რომ გადის და ვბერდები. მინდა, ბევრი მოვასწრო. ოთხი შვილი გავზარდე, ახლა შვილიშვილები უნდა დავაყენო გზაზე. გადავცე მათ, თუკი რაიმე მაქვს — სიკეთე, სიყვარული... დასანანი იქნება, რომ გაიზარდონ „მგლებად“, ასევე დასანანი იქნება — გაიზარდონ „ცხვრებად“, რადგან დაიჩაგრებიან. ხომ ხედავთ, რა გარემოცვაში ვცხოვრობთ... ნოსტალგია მაქვს ჩემი სტუდენტობის წლების — ეს იყო ჩემი ცხოვრების ნათელი, მსუბუქი ხანა, არ ვიცოდი, რა იყო გაჭირვება. 1949-57 წლებზე მოგახსენებთ. არასოდეს არაფერი მითხოვია. მხოლოდ ჩემს საქმეს ვაკეთებდი. ერთი სახუმარო ამბავი მახსენდება: ჩემზე თქვეს, ლაურეატობა უნდა მივანიჭოთო. ჩემმა მეგობარმა ბიძინა კვერნაძემ იხუმრა — ლაურეატობა, ბინა, მანქანა ბებერს უნდა მისცე, ახალგაზრდას წყალი უნდა დაალევინოო... *(იცინის)*. პავლე ინგოროყვამ მასთან სტუმრად მისულ ვასილ მჟავანაძეს, ნაცვლად იმისა, რომ „ვოლგა“ ეთხოვა (როგორც ოჯახის წევრებმა ურჩიეს), უთხრა — საქართველოს გაუფრთხილდითო... დასანანია, რომ დღეს ეს პატრიოტული გრძნობა და სულიერება დაიკარგა. ეს უნდა დავიბრუნოთ, სულიერება კედლის მხატვრობაში არ უნდა ვეძებოთ. იქ სულს ვერსად ნახავთ. დასანანია, რომ შემოქმედებაში იდეა იკარგება. ცნობილმა მხატვარმა სერგო ქობულაძემ თქვა — როდესაც ვერ ვხატავ, შემოქმედებით აღმაფრენაში მაშინ ვარ, როცა ვხატავ, ტკივილი ნელდება, ასეთი შეგრძნება მქონდა, როცა ოპერის ფარდას — ორფეოსს ვხატავდიო. ეს იყო ერთი ნახატის გამოფენა, რომელსაც დროისთვის უნდა გაეძლო. დასანანია, რომ დაიწვა...



წლებმა დიდი გამოცდილება შემმატა. კინოსტუდიის მუსიკალური განყოფილების მთავარი რედაქტორი ვიყავი. 70 ფილმისთვის შევქმენი მუსიკა, მათ შორის — რეზო თაბუკაშვილის 6 დოკუმენტური ფილმისთვის, მაგრამ დღეს არავის უნდა ჩემი პროფესიონალიზმი. ახლა მომზადებული მაქვს 30 სიმღერა საქართველოზე.

ამერიკის 11 სექტემბრის ტრაგედიის დროს დაღუპული ადამიანების ხსოვნას მუსიკა მივუძღვენი, მაგრამ ამერიკელებს ეს მუსიკა არ სჭირდებათ, არ უნდათ, გაიხსენონ ის ტრაგედია. ვერ გაიგეს ქართველებმა, რომ ჩვენ უფრო სათუთები და ადამიანურები ვართ, ვიდრე ამერიკელები. გულწრფელად განვიცადე, მუსიკა დავწერე... 3 ათასი კაცი დაიღუპა, მაგრამ ვითომ ეს ყველაფერი არ ყოფილა...

დასანანია, რომ დღეს არაფრად მიაჩნიათ გალაკტიონის პოეზია, შოთა რუსთაველის სიბრძნე. ის მწერალი ჩემთვის მიუღებელია, რომელიც აღწერს თამარ მეფის სარეცელს; ის რეჟისორი, რომლისთვისაც „ვეფხისტყაოსანი“ არაფერს ნიშნავს. საოცარია, რატომ ხმას არ იღებენ კრიტიკოსები. ჩემი ერის პოზიცია მიჭირავს და სულაც არ მინდა, წარსული შემიბღალონ. ეს უპატრონობაა, მთავრობას, ეტყობა, სძინავს, კულტურაზე არავინ ზრუნავს.

განვიცდი და გული მწყდება, რომ ამ ქვეყანაზე აღარ არიან არაჩვეულებრივი მომღერლები — ჰამლეტ გონაშვილი, ჯანსუღ კახიძე, ალექსი მაჭავარიანი — ჩემი მეგობარი და მასწავლებელი. დასანანია, რომ მას უამრავი დიდი ფორმის ნაწარმოები დაუდგმელი დარჩა. ჰამლეტ გონაშვილზე ამბობენ, კარგი ხმა ჰქონდაო — გენიოსი იყო, ღრმა სულის პატრონი, დიდი პიროვნება... ასეთი რომ იყო, ხმაც იმიტომ ჰქონდა ისეთი ჟღერადი. ეს სულია... როგორ არ დამწყდეს გული წარსულზე, ჩემს ახალგაზრდობაზე... მეგობრებთან ერთად სანადიროდ დავდიოდი, ნანადირევს თანაბრად ვიყოფდით, ისე, როგორც ჯოყოლა და ზვიადაური. ბიძინა კვერნაძე და მე შეთანხმებული ვიყავით — როცა სანადიროდ მივდიოდით, ოჯახს არ ვაგებინებდით. დავურეკავდი, — ჰაი, ჰაი, ჰაი-თქო, — ვეტყოდი და უკვე გასაგები იყო, რომ სანადიროდ უნდა წავსულიყავით.

ვნანობ, რომ ამ ქვეყანაზე აღარ არის დედაჩემი — ნინო ურუშაძე (80 წლის ასაკში გარდაიცვალა). სწორედ დედაჩემის დაჟინებით გავხდი მუსიკოსი. ისე დავამთავრე მუსიკალური სკოლა, ტექნიკუმი, რომ სახლში პიანინო არ მქონდა, მასწავლებელი შინ მაკითხავდა და თავისთან მივყავდი. ინსტრუმენტი მოგვიანებით, კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ შევიძინე. ერთი მეზობელი ხუმრობდა — იაშა ცალი თითით უკრავდა და კომპოზიტორი როგორ გამოვიდაო... დედა ჩემს ხელში გარდაიცვალა — გამთენიისას გონება დაკარგა, ხელები გაუცივდა, ლოყები ჯერ კიდევ თბილი ჰქონდა... ლოყებზე დავუწყე კოცნა... მთელი ჩემი შემოქმედება დედას ეძღვნება.

საერთოდ, უკონფლიქტო ადამიანი ვარ, ასე განსაჯეთ, თითქმის არავისთვის მიწყენინებია. მახსოვს, რადიოში ვმუშაობდი, ხმის რეჟისორების უფროსი ვიყავი. ერთმა თანამშრომელმა ტრანსლაციაზე წასვლა არ ისურვა. დაგსჯი-მეთქი, დავემუქრე და მის მაგივრად წავედი. შერცხვა, საყვედურს ელოდა, მაგრამ არაფერი ვუთხარი... მერე მთელი სიცოცხლე ჩემი მონა იყო... ადამიანი უნდა ეცადოს, თავი უხერხულ მდგომარეობაში არ ჩაიგდოს, სული არ დაიმძიმოს. უფალს შევთხოვ: — უფალო ღმერთო, დალოცე ერი, მამული ჩემი, მოყმე და ბერი, გულში კვლავ ანთია იმედი ხვალის, რწმენაა ჩემი ფარი და ხმალიც...

***ესაუბრა***
**ქეთევან ხამიცაშვილი**

***რედაქციისაგან:***

არასოდეს დაივიწყოთ: ეს ლექსი გალაკტიონისაა, მუსიკა — იაკობ ბობოხიძის

## ვერხვები

**ზღაპარი იგი მათრობს და მხიბლავს**
**ძველი ღვინის სმით, უღონოდ, მძაფრად,**
**სადღაც დაკარგულ ვარდს და გვირილებს**
**მოგონებებში ვიჭერ თანაბრად.**

*ვერხვის ფოთოლთა თეთრი ლაშქარი*
*აშრიალდება უშორეს ზღაპრად.*

**მას შემდეგ ბედი და იალქანი**
**ქარის სიმძიმით გადაიხარა,**
**შენ კი სადა ხარ ამდენი ხანი?**
**რისთვის, ან ვისთან? არ ვიცი, არა.**

*ვერხვის ფოთოლთა თეთრი ლაშქარი*
*აშრიალდება უშორეს ზღაპრად.*










www.Zaliko.com








*ჩვენი სტუმარია მხატვარი ზაალ სულაკაური*

- კარიკატურაში გამოვხატავ ამა თუ იმ ადამიანის ხასიათს, განწყობას, იუმორს, აუცილებელია, ყურადღება გამახვილდეს იმ დეტალზე, რაც ყველაზე თვალშისაცემია პიროვნების გარეგნობაში. მაგალითად, გივი ბერიკაშვილს ან თემურ წიკლაურს ვერ დახატავ დიდი ცხვირის გარეშე. ირაკლი წერეთელი მეჩხუბება ხოლმე, - მსუქანს რატომ მხატავო, მაგრამ სხეულის ისეთი საინტერესო ფორმა აქვს, გამხდარს ვერ დავხატავ. თემურ წიკლაურმა თავისი კარიკატურის ნახვისას ბევრი იცინა, - უცხვირპირო კაცის დედა ვატირეო, - მითხრა. ზურაბ ქაფიანიძეს გაზეთში უნახავს თავისი კარიკატურა, გაკვირვებულს უკითხავს, - ვინ არის, კაცო, ეს სულაკაური, ვისი ბიჭიაო. შემდეგ რუსთაველზე შემხვდა, - ბატონო ზურაბ, მე ვარ, ვალიკოს ბიჭი-მეთქი (მამაჩემი კინოსტუდიაში მუშაობს, დუბლაჟის მთავარი რედაქტორია). ხელები მომხვია და ისე ძლიერად მომიჭირა, ახლაც მტკივა *(იცინის)*. ავთანდილ მარგიანის კარიკატურა გაზეთ „დროში" დაიბეჭდა. რედაქციაში მივარდა, - მაჩვენეთ, ვინ არის ეს სულაკაურიო *(იცინის)*.

**- თითქმის ყველა ცნობილი პოლიტიკოსის კარიკატურა შექმენით. ვინმე თუ გაგინაწყენდათ?**

- თუ პოლიტიკოსს იუმორის გრძნობა არა აქვს, პოლიტიკაში არც უნდა იყოს. ცხადია, ვინმე აუცილებლად დახატავს, ხუმრობას ვერ გაიგებს და დაიჩაგრება. მაგალითად, ასლან აბაშიძე ვერ იტანდა თავის კარიკატურებს. თავისი თოჯინა ამოაღებინა „დიდების ზღაპრიდან" („დიდების ზღაპართან" ვთანამშრომლობდი). მე სხვაგვარად ვფიქრობ, ასეთ ზღაპარში რომ მოხვდეთ, ჩათვალეთ, პოლიტიკურ ელიტაში ხართ. აი, შევარდნაძე სულ სხვაგვარად უყურებდა ასეთ ამბებს, საოცარი იუმორი ახასიათებდა. მაგალითად, ფოთის მერმა თავისი კარიკატურა რომ ნახა (შიშველი დავხატე, სასირცხვო ადგილებზე ხელებაფარებული), დამირეკა და მისაყვედურა, - მეწყინა, რატომ დამხატეო.

**- კარიკატურებიანი კარტი პოლიტიკოსებს როგორ მოეწონათ?**

- ამ კარტზე წინა მოწვევის პარლამენტარები არიან გამოსახულნი. მაგალითად, ტუზი ასლან აბაშიძეა, კაროლი - მამალაძე, ამ კარტში მიხეილ სააკაშვილიც არის, ისიც ტუზია. ჯოკერი შევარდნაძეა.

**- რატომ შევარდნაძე?**

- შეიძლება, შევარდნაძე ტუზი იყოს და ვიღაც სხვამ მოჯოკროს? *(იცინის)*. ჟვანიას არაერთი კარიკატურა და თოჯინა მქონდა შექმნილი. კარგად ვიცნობდი, ჩემი ნახატები თავის სამუშაო კაბინეტშიც ჰქონდა, ყოველი ახალი ნამუშევრით ძალიან ხალისობდა.

**- პრეზიდენტების კარიკატურებზე რას იტყვით?**

- მიხვდით, ვარდით ხელში სააკაშვილია. აქვეა ვიქტორ იუშჩენკოს კარიკატურა, აქეთ - ვლადიმერ პუტინის. კარიკატურებს იმიტომ კი არ ვხატავ, რომ ვინმეს მიმართ ცუდი განწყობა მაქვს - აქ იუმორია, ხასიათი... მეტი არაფერი. თუნდაც, გურამ დოჩანაშვილის კარიკატურა... არა მგონია, დღევანდელ საქართველოში მასზე დიდი მწერალი ვინმე იყოს, გენიოსია.

**- თოჯინები?**

- უამრავი თოჯინა მაქვს გაკეთებული. ჯერ კიდევ 1990 წელს, ომსა და უბედურებაში, მე და ჩემი მეგობარი რეჟისორი მულტფილმისათვის პლასტელინისგან თოჯინებს ვძერწავდით, თან ვხატავდი (დაახლოებით 3 ლარის ოდენობის კუპონს გამოვიმუშავებდი). ჩემი ძმა ნახატებს ყიდდა და საჭმელი მოჰქონდა. ბოლოს ისე მოხდა, რომ მულტფილმი ვერ გადავიღეთ. დღეს ეს თოჯინები (23 გმირი და 20-მდე დეკორაცია) კინოსტუდიაში ინახება. მიხო და ორი მარო პენოპლასტისაგან არის გაკეთებული (როგორც პლასტელინი, ისე შეიძლება მისი დამუშავება, 24 საათში ქვავდება). ასევე „THE BEATLES" ჯგუფის მომღერლებიც, ჰიტლერის კარიკატურული თოჯინაც. მულტიპლიკაცია და მასთან დაკავშირებული სამუშაოები ჩემთვის ბავშვობიდანვე ცნობილია. მინახავს, როგორ მუშაობდა ბიძაჩემი - კარლო სულაკაური „სალამურას", „ბომბორას", „საზამთროს" გადაღებებზე, ხელით ვეხებოდი ამ არაჩვეულებრივ თოჯინებს. მიმაჩნია, რომ მულტიპლიკაცია კარიკატურიდან აღმოცენდა. სხვათაშორის, წელს ქართულ მულტიპლიკაციას 75 წელი უსრულდება. სამწუხაროა, რომ ამას არავინ აღნიშნავს. ისევე, როგორც ყველა სფეროში, აქაც მძიმე სიტუაციაა, არ არის დაფინანსება. 10-წუთიანი მულტფილმისათვის საკმაოდ სერიოზული თანხებია საჭირო. არადა, ჩვენი მულტფილმები დისნეისაც ნანახი ჰქონდა და ძალიანაც მოსწონდა.

**- როგორც ცნობილია, „მაგთის" ანიმაციებზე მუშაობთ...**

- დიახ, „მაგთის" ანიმაციები ჩემი შექმნილია. მულტფილმებს ვერ ვიღებ, მაგრამ ე.წ. პატარა კადრებზე ვმუშაობ. გავაკეთე სარეკლამო ტიხრებიც. თუ გახსოვთ, იტალდიზაინის რეკლამა - „იყიდე, რა", „მაესტროს", „ჩიტო-გვრიტო"(ჩიტები რომ მიფრინავენ და ა.შ.).

**- ვინ იყვნენ პირველი კარიკატურისტები?**

- პირველი კარიკატურისტები ისინი იყვნენ, ვინც ჯერ კიდევ ცივილიზაციის დასაწყისში გამოქვაბულის კედლები მოხატა *(იცინის)*. ჩემს მასწავლებლად და კლასიკოსად მივიჩნევ XIX საუკუნის კარიკატურისტს ონორე დომიეს. ძალიან კარგად ხატავდნენ რუსი კარიკატურისტები, ე. წ. კუკრინისტები. საერთოდ, როგორც უდიდეს მხატვარსა და ხელოვანს, გამოვარჩევ რემბრანდტს. ერთი ზედმეტი დეტალი არ არის მის ნახატებში. განათებულია და სხივი ეცემა იმ ადგილს, რომელიც მთავარია იმ ნამუშევარში. აი, ხომ ხედავთ, წვერიც და თმაც მისნაირად მაქვს გაკეთებული.

**- ქართველი კარიკატურისტები?**

- გიგლა ფირცხალავა, ვახტანგ კუცია, მურთაზ აბაშიძე. „ნიანგში" არაჩვეულებრივი კარიკატურები იბეჭდებოდა. დღეს კარიკატურაზე თითქმის არავინ მუშაობს. მხატვრებს ურჩევნიათ, რომელიმე ფირმის ლოგოში გაცილებით დიდი თანხა აიღონ, ვიდრე კარიკატურაში. კერძო შეკვეთები რომ არ მქონდეს, არსებობას ვერც მე შევძლებდი. ინტერნეტში მაქვს ჩემი საიტი - www. Zaliko.com. ვისაც სურს, შემოვიდეს ჩემს სამყაროში, ინტერნეტით შეუძლიათ დაკავშირება. სწორედ ასე ვთანამშრომლობ ისრაელთან, ფინეთთან, ამერიკასთან. თუ ვინმე დაბადების დღეზე წასვლას აპირებს, მახატვინებს სურათიდან მეგობრის კარიკატურას და ამ ერთი საჩუქრით 15 კაცი მიდის დღეობაზე *(იცინის)*... ჩემთვის უდიდესი შეფასება იყო გიზო ნიშნიანიძის სიტყვები: - კუკრინისტებსაც დავუხატივარ, მაგრამ შენი ნახატი გაცილებით უკეთესიაო.

**- „დარდუბალა 2"-ში არავის მიუწვევიხართ?**














# ჩემი არჩევანი იუმორი და სასიამოვნო განწყობილებაა!

- ზაფხულში შალვა რამიშვილმა კი დამირეკა, მაგრამ მაშინ დასასვენებლად ვიყავი. - ჩამოვალ და შემდეგ მოვილაპარაკოთ-მეთქი. მაგრამ შალვას პრობლემები შეექმნა...

**- ფუნჯით ხატავ?**

- ფერად კარიკატურებს გუაშითა და საღებავით ვხატავ, შავთეთრს - გრაფიტის ფანქრით, რომელსაც რკინის მძიმე ჯავშანი აქვს *(იცინის)*. ასეთი ფანქრები ყველგან იყიდება, იშვიათობას არ წარმოადგენს. ფანქარი და ფურცლების ჩასადები ყუთი ყოველთვის თან მაქვს, ამ ნივთებთან ერთად სად აღარ მიმოგზაურია - მთელი საქართველო მოვიარე, თურქეთი.... ვხატავ სახლში, სამსახურში, რესტორანში, დაბადების დღეებზე და ა.შ. ამ რამდენიმე წლის წინ ყუთი გამიტყდა, კინაღამ მოვკვდი. ეს კი ჩემმა მეგობარმა ზაურ შენგელიამ მაჩუქა („მაესტროზე" წყალში მხტომარე ბაყაყები მისი დახატულია).

**- თქვენს ოჯახში ერთადერთი მხატვარი ხართ?**

- თითქმის ყველა ხატავს. საერთოდ, სულაკაურები წარმოშობით თუშეთიდან ვართ (სულ 20-მდე ადამიანი). პაპაჩემი მფრინავი იყო, სადღაც ხევში ჩაიჩეხა. ისეთი ოხერი იყო, ცოცხალი რომ გადარჩენილიყო, 37-ში მოკლავდნენ. მამაჩემი - ვალიკო სულაკაური ფილმ „თუში მეცხვარის" ავტორია, ბიძა - კარლო სულაკაური ზემოთ ხსენებული მულტფილმების ავტორი, არჩილი - მოგეხსენებათ, მწერალი. ბაკურ სულაკაურს, ალბათ, იცნობთ, ჩემი ძმაა, გიორგი - ჩემი ნათესავი („თუში მეცხვარე" - ზურიკო) - „TV+"-ის დირექტორია, ჩემი ტყუპისცალი - ზურაც ხატავს, ჩემი შვილიც. ვცდილობთ, ხელოვნებაში ჩვენი წვლილი შევიტანოთ, მაგრამ ყველას დამ გვაჯობა - 6 შვილი ჰყავს. შვილები ყველაზე დიდი სიმდიდრეა ამ ქვეყანაზე

ესაუბრა
ქეთევან ხამიცაშვილი

გიორგი ბეზირგანი

# თბილისი, 1937 წელი



გამოქვეყნდა. დასაწყისი იხ. „მამული" 2005 წლის №14-17

## უარყოფილი მშობლები

თბილისიდან მაგადანამდე ათასობით კილომეტრია. უსასრულობის ტოლია გზა საქართველოდან კოლიმამდე. როგორ გინდა, ჩააღწიო თბილი და ალერსიანი შავი ზღვიდან ავად აქოჩრილი ოხოტის ზღვის ნაპირამდე?.. რიონისპირა პაწია სოფელ საჯავახოდან არცერთ რუკაზე რომ არ არის აღნიშნული - გეოგრაფიული ატლასიდან გამქრალ ნოგაევის უბემდე?..

იმ ეპოქაში, რომელიც დიდი ხანია, უკან მოვიტოვეთ, მაგრამ სამუდამოდ ჩვენთან და ჩვენში დარჩება, ეს კითხვები არ არსებობდა: ამ გრძელი და მძიმე გზის გადალახვა შეეძლო ნებისმიერს - ჩვეულებრივ მშრომელს თუ მაღალი რანგის მოხელეს, ქალსა თუ კაცს, მოხუცსა და ბავშვსაც კი. „წითელი ეშელონები" ამ გზას ერთ თვეს ანდომებდნენ. დანიშნულების პუნქტამდე ნახევარი თუ ჩადიოდა, უფრო ხშირად - მხოლოდ მესამედი...

პარადოქსია, მაგრამ... იმაზე, ვინც გზაში კვდებოდა, ბედი ჰქონიაო, - ამბობდნენ...

●

სტანისლავ რედენსი - სტალინის ქვისლი (მას ბელადის მეუღლის - ნადეჟდა ალილუევას ღვიძლი და ჰყავდა ცოლად) 1937 წლის გაზაფხულზე დააპატიმრეს. რედენსი სამოქალაქო ომისდროინდელი კადრის ჩეკისტი და ჩეკას მეფის - ფელიქს ძერჟინსკის („რკინის ფელიქსის") მარჯვენა ხელი იყო, 20-იანი წლების დასაწყისში სათავეში ედგა ჩეკასა და მთავარ პოლიტსამმართველოს უკრაინაში, საქართველოში, ბელორუსიაში, მერე კარგახანს მეთაურობდა მოსკოვის უშიშროების სამსახურს. დაპატიმრებამდე ცოტა ხნით ადრე ყაზახსტანის შინაგან საქმეთა სახალხო კომისრად გაამწესეს.

და უცებ - ტელეფონოგრამა დედაქალაქიდან: სტანისლავს მოსკოვში იხმობდნენ, სასწრაფოდ და გადაუდებლად.

მაგრამ რედენსი სულაც არ აჩქარებულა - მატარებლით გაემგზავრა, სალონ-ვაგონში „მოყუჩდა თავის თანამეინახეებთან და კახპებთან ერთად და მთელ გზაზე, ალმა-ათიდან მოსკოვამდე, მამაპაპურად „გრიალებდა", უზრუნველად ატარებდა დროს დედაქალაქში ახალ, უფრო მაღალ პოსტზე დანიშვნის იმედით.

რას იზამ, ასეთი გახლდათ ყოჩაღი პოლონელი სტანისლავ რედენსი - წითელი დროშის ორდენის ერთ-ერთი პირველი კავალერი - არაერთხელ დაჯილდოებული სახელობითი იარაღით; კაცი, რომელსაც რუტინულ კაბინეტურ საქმიანობას მხიარული სუფრა ერჩივნა, ხოლო პარტიულ ამხანაგებთან ურთიერთობას - ქალთა საზოგადოება. ერთხელ განრისხებულმა სტალინმა სწორედ განუწყვეტელი ქეიფისა და სხვათა ცოლების ცდუნების გამო გადაიყვანა იგი საქართველოდან ბელორუსიაში, ვითომ მინსკში ვერ იზამდა იმას, რასაც თბილისში სჩადიოდა.

მაგრამ - ვაგლახ! - ჩამოჰკრა ქალების გულთამპყრობლისა და ბახუსის მოტრფიალის ჟამმა. არყით გატიალებული რედენსი პირდაპირ კაზანსკის ვაგზალში აიყვანეს და ლუბიანკის სარდაფში ჩააგდეს. მისი თანამეინახეებისთვისაც - ძმაკაცებისთვისა და ბოზებისთვისაც - სალონ-ვაგონში გადახდილი მრავალდღიანი ბანკეტი უკანასკნელი გამოდგა.

თავზარდაცემულმა ანა სერგეევნა ალილუევამ - რედენსის ცოლმა (ალმა-ათაში რომ გაემგზავრა, ქმარმა იგი მოსკოვში დატოვა - იმ მიყრუებულ ყაზახეთში დიდხანს არ დამაყოვნებენო) - პირდაპირ სტალინთან შესვლა ვერ გაბედა და დედას მიაშურა.

და აი, ოლგა ევგენიევნა, ფერდაკარგული და ერთიანად აცახცახებული, მუდარით უწვდის ხელებს სიძეს.

მაშ, შენ ამბობ, უდანაშაულოაო, არა? - ეკითხება სიდედრს წარბშეკრული სიძე. - მაგრამ აი, ეს ჩვენება, რომელიც მან პირველსავე დაკითხვაზე მისცა, სრულიად საპირისპიროს ამტკიცებს. იმთავითვე ვიცოდი, ეგ მოქეიფე და მექალთანე თავის წუთისოფელს ასე რომ დაასრულებდა!

- იოსებ! - ლამის ქვითინებს მოხუცი. - სტახი, რა თქმა უნდა, ლოთი, შფოთი და ლაზღანდარაა, ვიცი, რამდენჯერმე გიხსნია განსაცდელისაგან, მაგრამ... შენ ხომ იცი, ჩვენებებს როგორ



# უარყოფილი მშობლები

აწერინებენ ხოლმე ტუსაღებს - შიშით, ზეწოლით, ბოლოს და ბოლოს - ცემით... ქრისტეს სახელით გთხოვთ, გაარკვიე, იოსებ... ჩემი და შენი ნადენკას ხსოვნას გაფიცებ.

სტალინი ვაგლახად მოიღუშა.

- ევგენიევნა, ვხედავ, ჩვენი ორგანოებისთვის ცილის დაწამება გადაგიწყვეტია!.. კარგი, წუთით დავუშვათ, რომ ძალა დაატანეს. მაგრამ... რკინისებური ბოლშევიკი, სამოქალაქო ომის გმირი პირველმავე ზეწოლამ გატეხა?! ვის რა შავჭირად სჭირდება ასეთი გმირი, ასეთი ბოლშევიკი?! მთელი მისი გმირობა სირჩა არყისა და მუხლებზე შემომჯდარი შარახვეტია დედაკაცის ტოლფასია! ჩემს ცოლისდას, პირიქით, უნდა უხაროდეს, რომ, ბოლოს და ბოლოს, თავი დაიხსნა ამ ბრიყვისაგან, რომელიც მას წამდაუწუმ ღალატობდა.

- იოსებ, გულხელი დაიკრიფა და სთხოვა სიდედრმა, - შენ ხომ კარგად იცი, ანიუტას სიგიჟემდე უყვარს თავისი სტახი, უმისოდ სიცოცხლე არ შეუძლია... გევედრები, იოსებ...

- კარგი, - შეაწყვეტინა სტალინმა. - მივხედავ ამ საქმეს. სტახს აქ მოვაყვანინებ და პირადად დავკითხავ. მაგრამ - მხოლოდ ერთი პირობით: ჩვენს საუბარს შენი ქმარი - ჩემი სიმამრი, სერგეი იაკოვლევიჩიც უნდა დაესწროს. მე სავსებით ვენდობი მის პროლეტარულ ალღოს. დაე, მან გადაწყვიტოს, დამნაშავეა თუ არა რედენსი!

... მაგრამ სტალინს აღარ მოუხდა პატიმარ სტანისლავ რედენსთან საუბარი: სერგეი იაკოვლევიჩ ალილუევმა, ძველმა, ნაცადმა რევოლუციონერმა, ამ შეხვედრაში მონაწილეობაზე სასტიკი უარი განაცხადა: „აიყვანეს? - მაშასადამე, დამნაშავეა!" - მიახალა ცოლს პროლეტარული ალღოს მქონე მოხუცმა... ამის შემდეგ არც ოლგა ევგენიევნას და არც მის ქალიშვილს ანა სერგეევნას სტალინი აღარ შეუწუხებიათ.

სტანისლავი საგანგებო თათბირის წნეხში „გაატარეს", ზუსტად ისევე, როგორც იგი „ატარებდა" თავის მრავალრიცხოვან „კლიენტურას" ყაზახსტანში, უკრაინაში, მოსკოვში, ბელორუსიასა და საქართველოში... 1937 წლის დეკემბერში რედენსი დახვრიტეს.

●

**7 აგვისტო, 1937 წელი.**

აუტანლად ცხელოდა იმ დღეს. საჯავახოს სკოლის დირექტორმა ნოე მითაგვარიამ თავისი შვილები - 4 წლის ამირანი და 7 თვის ბორისი მაღალმთიან სოფელ ოფიტარაში აუყვანა დედას და, თითქმის არ ჩაუმუხლავს, მაშინვე უკან გამობრუნება დააპირა.

- რას შობი, ნენა, ისე მიხვალ, აფერს არ ჭამ? - შუწუხდა დედა. - დარჩი ამეღამ, მეისვენე და დილას წადი!

- არა, დე, არ შემიძლია, - გაუღიმა ნოემ. - ქვეყნის საქმე მელოდება. რაღაცა სირთულეებია ჩემს ახალ სკოლასთან დაკავშირებით. არადა, სასწავლო წელი კარზეა მომდგარი.

დედამ ამოიოხრა, თითისწვერებზე აიწია, შვილს შუბლზე ეამბორა, სამგზის პირჯვარი გადასწერა, წაღმა შემოაბრუნა და, ვიდრე ნოე თვალს არ მიეფარა, მზერა არ მოუშორებია დედისერთასთვის... შეიკლა ხელში ბიჭი ამ ახალმა სკოლამ, - გული ეკუმშებოდა მოხუცს. - პროექტი შედგენილია, სახელმწიფომ თანხები გამოყო, ვიღაცებმა ის ფული შეჭამეს, მერე ბუჩქებში მიიმალნენ და ახლა ნოემ უნდა იმტვრიოს თავი, ერთი ინსტანციიდან მეორეში გარბის, რომ როგორმე გამფლანგველები მზის სინათლეზე გამოიყვანოს, თანხა დააბრუნებინოს და ახალ სკოლას მოახმაროს... მოუსვენარი კაცია...

ბინდდებოდა, ნოე საჯავახოში რომ ჩავიდა. სოფელი უკვე იძინებდა. თავისი კარმიდამოს შორიახლოს მეზობელი შემოხვდა, უცნაურად შემოხედა მითაგვარიას.

- რა იყო, გერასიმე, კაცო, ვერ მიცანი? - გაეცინა ნოეს.

- გიცანი, მარა... სახლში მიდიხარ?

- აბა, სად წავალ? - გაიკვირვა ნოემ. - ხომ მშვიდობაა?..

- რა ვიცი... მგონია, ჯობია უკან დაბრუნდე...

- რას ლაპარაკობ, თუ იცი, კაძახო?!

- სხვისთვის შეიძლება არ მეთქვა, მარა შენ გეტყვი... - მეზობელმა ხმას დაუწია. - სოფლსაბჭოში სია შეადგინეს... კი მიხვდები, რა სიაც იქნება. ჰოდა, შენც წერიხარ იმ სიაში. ღამე „ენკავედეს" ხალხს ელოდებიან...

- სიაბდლეა მაგი! - გაეცინა ნოეს. - დედაკაცების მოგონილია ყველაფერი! რომელი სია, რომელი „ენკავედე"!.. არ დაიჯერო მაგი!

თქვა და იგრძნო, გულში სისხლი რომ გაეყინა.

ნაშუაღამევს მთელ საჯავახოს გაეღვიძა, მაგრამ გარეთ კაციშვილი არ გამოსულა - ყველა თავის რიგს ელოდა.

●

**ნიკოლოზ ბეზირგანი - დას, ეკატერინე მატიკოვას:**

„ჩემო ძვირფასო, მშობლიური კატიუშა!

გზაში ვარ, თავს სავსებით ჯანმრთელად ვგრძნობ. ორ კვირაში ვლადივოსტოკში ჩავალ, იქიდან ბუხტა ნოგაევოში გავემგზავრებით. ჩავალთ თუ არა, მისამართს შეგატყობინებ. დედას უთხარი, წერილებს თუ შეაგვიანდა, ნუ ინერვიულებს - ძნელია გზიდან გამოგზავნა. ნუ იდარდებ - ჩემი ნივთები და ფული ჩემთანაა. არ გატყუებ - მართლა სავსებით ჯანმრთელად ვგრძნობ თავს. შენ ყველაზე უფროსი ხარ და დედასაც და სხვებსაც შენ უნდა მიხედო. გკოცნით ყველას.

**თქვენი კოლია.**

ნოვო-უდინსკი. 12.07.37".

●

- ... ხოლო რაც შეეხება ალექსანდრ სემიონოვიჩ სვანიძეს, ამხანაგო სტალინ *(ალიოშა სვანიძე - ბელადის პირველი ცოლის ძმა. - რედ.)*... - თქვა შინაგან საქმეთა სახალხო კომისარმა ეჟოვმა, - სამწუხაროდ, ჩვენს ორგანოებს მასზე სერიოზული კომპრომატები აქვთ. ყველა შეტყობინება და დოკუმენტი აი, ამ საქაღალდეშია თავმოყრილი. ეჭვი გამოიწვია მისმა ხშირმა მოგზაურობამ უცხოეთში. გუშინ - ჟენევა, დღეს - პარიზი, ხვალ - ლონდონი... ნიშანდობლივია, რომ ეს გამგზავრება ყოველთვის როდი გახლდათ გამოწვეული პარტიის საქმის ინტერესებით... ახლა - მის ცოლზე, მარია ონისიმოვნაზე, ამხანაგო სტალინ... ძალზე ბევრს ყბედობს ეს ქალი, მეტისმეტად ბევრს... გარდა ამისა, ცნობილია, რომ, არსებითად, თბილისის საოპერო თეატრის ეს ყოფილი მომღერალი შეძლებულ ესპანელ-ებრაელთა ოჯახის - კორონათა წარმომადგენელი და, ამრიგად, ჩვენთვის უცხო ელემენტია. ამჟამად დგინდება მისი ესპანური კავშირ-ურთიერთობანი. ფრიად დამაფიქრებელია, სხვათაშორის, ამ ქალის ახლო ურთიერთობა ჟურნალისტ მიხაილ კოლცოვთან, რომელიც, შეიძლება ითქვას, ესპანეთში ათენ-აღამებს ხოლმე...

ეჟოვი გაჩუმდა, ბელადს ძაღლური ერთგულებით შეხედა (კუდის ქიცინიღა აკლდა!) და საძაგლად გაიღიმა. სტალინი უხმოდ ქაჩავდა მინავლულ ჩიბუხს.

- კოლცოვის პოლიტიკურ პორტრეტს და მის კავშირებსაც ვსწავლობთ, ამხანაგო სტალინ, - განაგრძო ჯუჯა სახალხო კომისარმა. - ალექსანდრ სემიონოვიჩ სვანიძე და მისი მეუღლე კი, სარგებლობენ რა თქვენთან ნათესაური კავშირით...

- მე ნათესავები არ მყავნან, ამხანაგო ეჟოვ! - ისეთი მკაცრი კილოთი შეაწყვეტინა ბელადმა თავის ჟანდარმს, რომ ჯუჯა მოულოდნელობისგან შეხტა. - არსებობენ პარტიის საქმის ერთგულნი და არსებობენ მისი მტრები. პარტიის მტრები ჩემი მტრები არიან!

●

**აგვისტოს მიწურული, 1937 წელი. თბილისი.**

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის უშიშროების სამმართველოში იმდენი საქმე დაგროვდა, რომ სახკომი სერგო გოგლიძე იძულებული გახდა, რაიონული „ტროიკების" ასობით გადაწყვეტილებათა შესწავლა და დამტკიცება თანამშრომელთა შორის გაენაწილებინა. კარგა მოზრდილი გროვა ხვდა წილად სახალხო კომისარიატის პასუხისმგებელ მუშაკს კალისტრატე ასლანიკაშვილსაც. იგი ერთიმეორის მიყოლებით ფურცლავდა ამ ქაღალდებს და თითქმის ავტომატურად აწერდა რეზოლუციებს „საგანგებო თათბირის" განაჩენებს: ვის - ხუთი წელი შრომა-გასწორების ბანაკში („შგბ"), სხვებს - გაძლიერებული რეჟიმის ათი წელი, ზოგსაც - იგივე ვადა „მიმოწერის უფლების გარეშე".

უცებ ასლანიკაშვილის ყურადღება მიიპყრო ერთმა გადაწყვეტილებამ: „მითაგვარია ნოე ევგენის ძე, დაბადებული 1903 წელს, სოფელი საჯავახო... ათი წელი მიმოწერის უფლების გარეშე". ეს ჩეკისტური ფორმულა ხომ... დახვრეტას ნიშნავდა!..

ნოე მითაგვარია... კალისტრატეს სიძე, ღვიძლი დის - ლოლას ქმარი...

მყისვე ის იფიქრა, ჩემ საწინააღმდეგოდ მომართული პროვოკაციააო. რამე უნდა ეღონა... კალისტრატე მძიმედ წამოდგა, ცოლისძმის სასიკვდილო განაჩენს დასწვდა და სახკომის კაბინეტის კარი შეაღო:

- სერგეი აქვსენტიევიჩ, - მიმართა გოგლიძეს. - აი, გამოირკვა, რომ... ერთ-ერთი ბრალდებული ნოე მითაგვარია, ჩემი ახლო ნათესავი. ერთი სიტყვით...

სახკომმა დაღლილი მზერა მიაპყრო თანამშრომელს, ქაღალდის ფურცელი გამოართვა და ხელში შეაბრუნ-შემოაბრუნა. მერე საწერკალამი აიღო, „მიმოწერის უფლების გარეშე" გადახაზა და მის ნაცვლად „შგბ" (შრომა-გასწორების ბანაკი) წააწერა.

- ამაზე მეტი მე არ შემიძლია, - ამოიოხრა გოგლიძემ.

მაგრამ ესეც „მეფური საჩუქარი" გახლდათ! აბრევიატურა „შგბ" სიცოცხლეს ნიშნავდა! თუმცა... უფრო ზუსტად - სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარს...

●

**თვრამეტი წლის შემდეგ. მოსკოვი. ტიმირიაზევის აკადემია.**

- ამხანაგებო! - განაცხადა პარტიული კომიტეტის მდივანმა. - პარტკომში შემოვიდა მესამე კურსის სტუდენტის ამირან ნოეს ძე მითაგვარის განცხადება, რომლითაც პარტიის წევრობის კანდიდატად მიღებას გვთხოვს. ფაკულტეტის პარტორგანიზა-

# ახირებულის სიბრძნე

ცია თანხმაა. თქვენი აზრი, ამხანაგებო?..

- ფრიადოსანია!

- კარგი საზოგადოებრივი მუშაკია!

- გვიამბოს საკუთარ თავზე!

- მოყევი, ამირან!..

ამირანი წამოდგა.

- რა გითხრათ... დავიბადე სამტრედიის რაიონის სოფელ საჯავახოში... მამა პედაგოგი იყო, დედა - დიასახლისი...

- მშობლები ცოცხლები არიან?

- დედა - დიახ... მამა რეპრესირებულია 1937-ში...

- რის გამო?!

- არ ვიცი. დააპატიმრეს, ათი წელი მიუსაჯეს და... აღარ დაბრუნებულა.

- საინ-ტერე-სოა... - თავისკანტურით თქვა პარტკომის ერთ-ერთმა წევრმა, ასპირანტმა. - მამა რეპრესირებულია საბჭოთა ხელისუფლების მიერ, შვილი კი არც დაინტერესებულა - რის გამო... იქნებ ტერორისტი, ტროცკისტი, ანტისაბჭოთა ელემენტი იყო?..

ოთახში ახმაურდნენ.

- წყნარად, ამხანაგებო! - ხელი ასწია მდივანმა. - მაშ, არ იცი, ხომ?

- არა, - თავი გააქნია ამირანმა.

- საკითხი გადადებულია! - დაასკვნა მდივანმა. - ვიდრე... ვიდრე ყველა გარემოება არ გაირკვევა. მითაგვარია! თავისუფალი ბრძანდებით!..

●

**ნოე მითაგვარია – ცოლს, ლოლა ასლანიკაშვილს:**

„სალამი, ძვირფასო ლოლა!

მომიკითხე ყველანი. დამიკოცნე დედა და ბავშვები. 12 აგვისტოს შემდეგ გზაზე ვარ, დღეს უკვე ჩავედით ქალაქ ვლადივოსტოკში (დღეს 8 სექტემბერია, 1938 წ.). ალბათ, დღესვე გავემგზავრებით გემით კუნძულ კალიმაზე. ამ ადგილს სხვადასხვანაირად ახასიათებენ. ზოგს ძალიან ეშინია იქაური ჰავის. განსაკუთრებით იქაურ ჰავას ვერ იტანენ გულით და ფილტვებით ავადმყოფები. ერთი სიტყვით, მე არაფერი ვიცი, არაფერი მახსოვს ამაზე გეოგრაფიიდან, ის კია, რომ ძალიან მაინტერესებს კალიმის ნახვა. მივდივართ ოქროს საძიებლად - ვინც იქ ყოფილა, იმათი გადმოცემით, კალიმაში კარგი პირობებია კვებისა და ხელფასის მხრივ. აგრეთვე იქ დიდი „ლგოტები" და „ზაჩოტები". ასე რომ, არ გაგიკვირდეს, თუ ჩემი ათი წელი 3-4 წელიწადში მოვათავო და შინ დავბრუნდე, ყოველ შემთხვევაში, შიში ვერ გვიხსნის, საჭიროა კეთილსინდისიერი და მამაცი შრომა.

ჩემი ეს ტანჯვა გამოწვეულია კერძო პირის კერძო ინტერესით და ეს გარემოება ვერასოდეს შემაძულებს სტალინურ ეპოქას და სტალინურ სამშობლოს.

ლოლიკო, სულიერად არ უნდა დავეცეთ, სიკვდილი ადამიანს ყველგან მიაგნებს: „ლაგერშიც" და სახლშიც. პირობებისადმი შეგუება ორგანიზმებს შველის.

ლოლიკო, არ ვიცი, რაც დღემდე გამოგიგზავნია, კალიმაზე... *(აღარ იკითხება. - რედ.).*

... დღეს 13 სექტემბერია. ისევ ქალაქ ვლადივოსტოკის გამანაწილებელ პუნქტში ვარ. როგორც გამოირკვა, აქედან იგზავნებიან ოთხი მიმართულებით: სახალინზე, კალიმაზე, ბუხტ-ნაგაევოზე და კამჩატკაში. მე საით - ჯერ არ ვიცი. ამ გამანაწილებელ პუნქტში ბევრი ეშელონი მოდის ყოველი მხრიდან. არიან ძველი ლაგერნიკები, ასევე მოყავთ ახალი პატიმრები... ერთ წაყვანაზე გემს მიყავს 8 ათასი კაცი. სახალინამდე აქედან ორ დღეში ჩავალთ, ბუხტ-ნაგაევომდე - შვიდ დღეში, კალიმაზე ცხრა დღეში, ხოლო კამჩატკაზე 17 დღეში. მიუხედავად იმისა, რომ ხალხი ბევრია, პირობებს მაინც არა უშავს. გვაძლევენ 700 გრამ პურს, ზოგჯერ სავსებით თეთრს, საუზმედ „ქაშას", ხოლო საღამოს „ქაშას" და „სუპს". კერძი იშვიათი ხარისხისაა, წყალს გვაძლევენ გადადუღებულს, სისუფთავე ძალიან დაცულია. ჩვენთან ქალებიც ბევრი მოდიან.

ლოლიკო, თუ ამდენხანს სახლის ყურეები არ შეგილამფავს, ახლა დამპალი იქნება.

მარად შენი მოსიყვარულე ნოე მითაგვარია".

*(წერილი საჯავახოში ჩამოვიდა და ადრესატს ჩაბარდა 1938 წლის 29 ოქტომბერს. - რედ.).*

●

**50 წლის შემდეგ...**

გემოვნებიანად ჩაცმულმა ორმა ახალგაზრდა კაცმა ბოდიშის მოხდით შეაღო სამედიცინო ინსტიტუტის დირექტორის კაბინეტის კარი.

- საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტიდან გახლავართ, - წარუდგინენ ისინი კაბინეტის პატრონს.

- ყურადღებით გისმენთ. რით შემიძლია, გემსახუროთ? - იკითხა დირექტორმა და ჟესტით სკამებზე ანიშნა მოსულთ. აშკარად ეტყობოდა, ამ მრისხანე ორგანიზაციის სახელის გაგონებას ოდნავადაც არ შეუშფოთებია.

- თქვენი სტუდენტის, გიორგი სოლიკოს ძე ხაბეიშვილის თაობაზე გაწუხებთ, - თქვა ერთ-ერთმა სტუმარმა.

- დააშავა რამე? - დაცინვით მოჭუტა თვალები დირექტორმა. - რა ჩაიდინა? „გულაგის არქიპელაგს" კითხულობდა და ავრცელებდა? თუ რესპუბლიკური მასშტაბის პარტიული ხელმძღვანელის წინააღმდეგ ტერორისტულ აქტს ამზადებდა? იქნებ სახელმწიფო მნიშვნელობის დოკუმენტები გადასცა უცხოეთის რომელსამე სპეცსამსახურს?

- იცით, რა, - ცოტა არ იყოს, დაიბნენ სტუმრები, - თქვენი სტუდენტი გახლავთ ვაჟი ცეკას ყოფილი მდივნისა, რომელსაც დიდი ოდენობით ქრთამის აღება ედება ბრალად. ამჟამად თბილისში მიმდინარეობს სასამართლო პროცესი...

- ვიცი! - შეაწყვეტინა დირექტორმა. - მერე?!

- აი, რა.. მამამ, გამოიყენა რა თავისი მდგომარეობა - რა თქმა უნდა, თანამდებობაზე მუშაობისას - შვილი, სავსებით უკანონოდ, თბილისის ინსტიტუტიდან მოსკოვის სამედიცინო ინსტიტუტში გადაიყვანა. და ეს მოხდა მას შემდეგ, რაც მართავდა რა გიორგი ხაბეიშვილი თბილისის ზღვაზე იახტას, მისი დანაშაულებრივი გულგრილობის თუ წინასწარგანზრახული ქმედების შედეგად, დაიღუპა მისი ორი ამხანაგი... ამ საქმეს ახლა პროკურატურა იძიებს...

- როდის მოხდა ეს? - ისევ მოჭუტა თვალები დირექტორმა.

- 1985-ის გაზაფხულზე...

- ახლა 1987 წელია. აქამდე რით ვერ გამოიძიეს?..

სტუმრები დუმდნენ.

დირექტორი წამოდგა.

- ჰოდა, როცა გამოიძიებთ, მაშინ მომახსენეთ. მანამდე კი... ხაბეიშვილი ფრიადოსანი სტუდენტი და ყოველმხრივ დადებითი პიროვნებაა. რაც შეეხება მოსკოვში მის გადმოყვანას - ყველაფერი კანონიერად მოხდა. ახლა კი... თქვენთან საუბარი დავამთავრე. კარგად ბრძანდებოდეთ...

●

**50-იანი წლები...**

მთელ თვეს მიიზლაზნებოდა თბილისის ნავთლუღის ვაგზლიდან დაძრული „წითელი ეშელონი" შორეული ციმბირის გაწედებისაკენ... ბალაჯარა... ასტრახანი... ურალსკი... ორენბურგი... დიდრონ სადგურებში მატარებელი არ ჩერდებოდა, სამაგიეროდ, საათობით იდგა ხოლმე შუაგულ სტეპში. სუსხიანი ქარი უბერავდა ფარღალალა ვაგონებში, ძვალსა და რბილში ატანდა პატიმრებს.

ახლა, 1952 წელს ლეგენდარული დირიჟორის ევგენი მიქელაძის შვილები - 17 წლის თინა მიქელაძე და მისი ძმა, 15 წლის ვახტანგი, პირუტყვის გადასაყვან ვაგონში შეხვდნენ და შობა-ახალ წელი გამხმარ-გაყინული შავი პურის ნატეხით „აღნიშნეს".

ღმერთო, შენ უშველე პატარა სპეცგადასახლებულთ!

უდედმამოდ დარჩენილ და-ძმას, შენ გარდა, ვერავინ უშველის!..

●

**ნანა და გიგი ბ-შვილები – ლ. პ. ბერიას:**

„ღრმად პატივცემულო ლავრენტი პავლეს ძევ!

მე 18 წლის ვარ, ვსწავლობ სამედიცინო ინსტიტუტის მეორე კურსზე, ვარ ფრიადოსანი. მყავს 14 წლის ძმა, რომელიც სწავლობს თბილისის 28-ე საშუალო სკოლის მე-8 კლასში. ჩვენი ყოფილი მშობლები, დედაც და მამაც, დაპატიმრებული არიან. ბინიდან გამოგვასახლეს, ამჟამად ვცხოვრობთ შეშის სარდაფში, სადაც მეცადინეობისათვის არავითარი პირობები არ არსებობს.

ძვირფასო, მშობლიურო ლავრენტი პავლეს ძევ!

გთხოვთ, უბრძანოთ, ნუ წაგვართმევენ სტალინური მზით გაშუქებულ ბედნიერ სიყმაწვილეს. პატიოსან სიტყვას გაძლევთ, თავგანწირვით ვიბრძოლებთ ლენინ-სტალინის დიადი საქმისათვის და კეთილსინდისიერი შრომით გამოვისყიდით ჩვენი ყოფილი მშობლების ბოროტ დანაშაულს.

**ნანა და გიგი ბ-შვილები.**

16 დეკემბერი, 1937 წელი".

**ახირებულის სიბრძნე**

წითელი და შავი - ორი ურთიერთგამომრიცხავი ფერი.

წითელი თუ შავი? - გააჩნია, რომელი მხრიდან შეხედავ საგანს. დიდმა ფრანგმა მწერალმა ანდრე ჟიდმა ასეთი რამ განაცხადა მოსკოვიდან დაბრუნების შემდეგ: „ყველაფერი ბუტაფორია გახლავთ, მხოლოდ და მხოლოდ - დეკორაცია, რომლითაც დაფარულია ნახევრად მშიერი, უმეცარი, ბნელი მოსახლეობა და სასტიკი აზიელი სატრაპები მმართველთა როლში. საბჭოები? სასაცილოა! განა ვინმე ამ უბედურ ქვეყანაში რაიმე ეკითხება?!"

აი, რომენ როლანი და ანრი ბარბიუსი კი სულ სხვა კუთხით, ასე ვთქვათ, წითელი მხრიდან ხედავენ საგანს. თავის წიგნში ბარბიუსი წერს: „სტალინი გახლავთ კაცი მუშის ხელებით, მოაზროვნის თავითა და ჩვეულებრივი ჯარისკაცის მაზარით..." ანდრე ჟიდისთვის კი სტალინი „ტელეფონიანი ჩინგიზ ყაენია"...

სად არის სიმართლე?.. ჰიტლერიც თვლის, რომ მართალია. აქეთ - სტალინს ჰგონია მართალი თავისი თავი. რომელ სიმართლეს უნდა მიემხროს კაცი?.. იქნებ მწერალი განზე უნდა გადგეს, ყველაფერს შორიდან ადევნოს თვალი და გულგრილად აღწეროს, რაც მის გარშემო ხდება?

მაგრამ... განსვენებულმა მაქსიმ გორკიმ თავისსავე კითხვას - „ვისთან ხართ თქვენ, კულტურის მუშაკნო!" - თავადვე უპასუხა: „ვინც ჩვენთან არ არის, ჩვენი მტერია!"

მაშ, რა ქნას ფრანგმა მწერალმა ლიონ ფოიხტვანგერმა? რომელი სიმართლე აირჩიოს?

მაგრამ რაკი ეს ფრანგი მწერალი ებრაელია, ცხადია, მას არჩევანი არ დარჩენია!..

კარი გაიღო. ფიქრში გართული მწერალი შეკრთა, შეკრთა თარჯიმანიც. მდივანმა - სუფთად თავგადაპარსულმა, ყელამდე ფრენჩშეკრულმა კაცმა - ხმადაბლა მიმართა სტუმრებს:

- ამხანაგი სტალინი ბოდიშს გიხდით ლოდინისათვის. ამხანაგი სტალინი მზად არის, მიგიღოთ.

ნუთუ აზიელი დიქტატორი, „ეს ტელეფონიანი ჩინგიზ ყაენი" ცნობილი ჰუმანისტის, მწერალ-დემოკრატის, „ახირებულის სიბრძნის" ავტორის ამხანაგად მიიჩნევს თავს?..

●

ერევანთან ახლომდებარე სამთავრობო აგარაკის გოთური სტილის პატარა ციხესიმაგრეში, რომლის კოშკიდანაც შარშან სომხეთის ცეკას თავკაცი ამატუნი გადმოხტა, დილაადრიან ტელეფონის ზარი გაისმა.

ყურმილი სომხეთის ახალმა მეთაურმა გრიგოლ არუთინოვმა აიღო.

- ცუდი ამბებია, გრიშა! - არც კი მისალმებია, ისე მიახალა ბერიამ.

არუთინოვს კინაღამ გული გაუსკდა. ამგვარი შესავალი კარგს არაფერს უქადდა. მაგრამ საშინელმა ამბავმა, რომელიც ლავრენტიმ აუწყა, პირიქით, დაამშვიდა კიდეც. „გადავრჩი!" - გაუელვა თავში.

- არც კი ვიცი, რანაირად გითხრა... ნინა შეამზადე როგორმე... მოკლედ, მაგისმა ძმამ - არტაშესმა... თავი მოიკლა...

ღამის პერანგისამარა ნინა - გრიშას ცოლი - თმაგაწეწილი და ფერდაკარგული, მეუღლის ზურგსუკან იდგა.

- როგორ?! - ძლივს ამოიღო ხმა არუთინოვმა - არტაშესმა?! როდის მოხდა ეს?

- წუხელ! - უპასუხა ბერიამ. - ამწუთას შემატყობინეს. კარგად იცი, რა ახირებული კაციც იყო შენი ცოლისძმა. რა მოხდა, ცოტა გავაკრიტიკე გუშინ, თათბირზე. კი მაგრამ, კრიტიკას ვინ მოუკლავს?

- გამოსვენება როდის არის? - წამოროშა გრიშამ და მყისვე მიხვდა, რაოდენ უადგილო იყო ეს კითხვა.

- გამოსვენებაო, ამბობ? - მკვახედ ჰკითხა ბერიამ. - უკაცრავად კი ვარ, მაგრამ... შენ ხომ კარგად იცი, რომ თვითმკვლელებს ყოველგვარი პატივის გარეშე კრძალავენ. მისი საქციელი მარტო ჩემი კი არა, მთელი პარტიის გამოწვევაა! განკარგულება გავეცი და დღესვე დამარხავენ. ნინა ნუ იღელვებს, ოჯახის წევრების მიმართ არავითარი ორგლონისძიებები არ იქნება. ბინასაც შევუნარჩუნებთ - მესმის, ორი ბავშვის დედაა. თქვენ, ალბათ, ჩამოხვალთ, ხომ?

- რა თქმა უნდა! - წაიბურტყუნა არუთინოვმა. -როდის, ლავრენტი?

- ხვალვე. - თქვა ბერიამ. - ხვალ, საღამოს, ოპერის თეატრში პრემიერაა - „ლატავრა". მე მინდა, რომ შენ და ნინა დაესწროთ. ასეა საჭირო, გესმის?

-„ლატავრა"? - აღმოხდა გრიშას.

- ჰო. ზაქარია ფალიაშვილის ოპერაა, პირველად იდგმება. დიდებული სპექტაკლია, თავად დავესწარი გენერალურ რეპეტიციას. მაშ, ჩამოხვალთ?

- რაკი საჭიროა... - ამოიოხრა არუთინოვმა, - ჩამოვალთ.

- ძალიან კარგი! - თქვა ბერიამ და გრიშას მოეჩვენა, რომ ლავრენტიმ ჩაიცინა. -ძალიან კარგი... - და ყურმილი დადო.

არუთინოვი ცოლს მიუბრუნდა.

- მაშასადამე, - გამოსცრა ნინამ, - ო-პე-რა-ში გვე-პა-ტი-ჟე-ბი-ან, არა?

ქმარმა თავი დაუქნია.

- ის თუ იცის, ვისი დადგმაა „ლატავრა"? - ჰკითხა ცოლმა. - იცი?

- ვიცი...

- მაშასადამე, დღეს ძმა დამისაფლავეს, ხვალ კი სამთავრობო ლოჟაში უნდა დავჯდე, რომელიც დიდი დირიჟორისა და ჩემი ძმის სისხლით არის მოსვრილი, ხომ?

გრიშამ მკლავში ხელი მოავლო ცოლს.

- ასეა საჭირო, ძვირფასო... რა ვქნათ...

ნინა მკერდში ჩაეკრა ქმარს და მწარედ აქვითინდა. დიდი ამაგი ჰქონდა გაწეული უმცროს ძმაზე...

...ოპერა „ლატავრას" პრემიერამ გრანდიოზული წარმატებით ჩაიარა. აფიშებზე - გასაგებ მიზეზთა გამო, სპექტაკლის რეალური დამდგმელის - ევგენი მიქელაძის გვარი, რა თქმა უნდა, არ ეწერა. მეორე დღეს კი გაზეთები იუწყებოდნენ, რომ სპექტაკლს ესწრებოდნენ „საქ. კპ (ბ) ცკ-ის პირველი მდივანი ლ.პ. ბერია და სომხეთის კპ (ბ) ცკ-ის პირველი მდივანი გ.ა. არუთინოვი მეუღლეებითურთ".

●

**მარია სვანიძის დღიურიდან** ***(ი.სტალინის ქვისლის - ალიოშა სვანიძის მეუღლე. ჩანაწერი უთარიღოა. - რედ).***

„აი, ავიღე საწერკალამი, მაგრამ არ ვიცი, რით დავიწყო, რა დავწერო... ყველაფერი ისეთი კატასტროფული სისწრაფით ხდება, მხოლოდ ყოველდღიური ჩანაწერებით თუ აისახებოდა...დამჭანცა იმ ადამიანთა სახელების განუწყვეტელმა, უსასრულო **ამოღებამ** *(გახაზულია მარიას მიერ. - რედ.)*, რომლებიც წლების განმავლობაში დიდ საქმეს აკეთებდნენ, ნდობით

გაგრძელება 26-ე გვერდზე



# თბილისი, 1937 წელი

**გიორგი ბეჟირგანი**

# თბილისი, 1937 წელი



იოსებ სტალინი დედასთან ერთად. უკანა პლანზე ლავრენტი ბერია და ნესტორ ლაკობა

## ახირებულის სიბრძნე

დასაწყისი 24-ე გვერდზე

სარგებლობდნენ, მრავალი ჯილდო მიუღიათ. ახლა კი ირკვევა, რომ ისინი ხალხის მტრები, მავნებლები, მოღალატეები, ჯაშუშები ყოფილან. აღშფოთებული ვარ და... მიკვირს... როგორ გამოგვეპარა ყოველივე ეს?

ახალი ამბავი - მოსკოვში ჩამოვიდა მწერალი ლიონ ფოიხტვანგერი. თითქმის ყველა მისი ნაწარმოები წაკითხული მაქვს".

●

საბჭოეთის ბელადთან საუბარი (ფოიხტვანგერი გერმანულად ლაპარაკობდა) საკმაოდ გაგრძელდა. სტუმარი თანდათან რწმუნდებოდა, რომ ანრი ბარბიუსი, უეჭველად, მართალი იყო. ზუსტად მოერგო სტალინის პიროვნებას მისი ფორმულა - „კაცი მუშის ხელებით, მოაზროვნის თავითა და ჩვეულებრივი ჯარისკაცის მაზარით..." ეს, მართლაც, არაჩვეულებრივი პიროვნებაა!

ტროცკი, რა თქმა უნდა, გენიოსია - ამაზე არავინ დავობს. პოლიტიკის ნაცვლად ლიტერატურას რომ გაჰყოლოდა, დიდი მწერალი დადგებოდა. პოლიტიკაშიც უნიჭიერესი კაცია, უფრო - ავი გენია, ვიდრე - კეთილი. ტროცკი მნგრეველია.

ხოლო სტალინი... ეს კაცი მაშენებლადაა გაჩენილი. იგი შენებას იწყებს ცარიელ ადგილას, შეიძლება ითქვას - ნულიდან. მშვიდი, გონებადამჯდარი, თავდაჭერილია - ტროცკის კი არ ჰგავს - არ უყვარს მყვირალა ფრაზები და იაფფასიანი ეფექტები! უაღრესად ზუსტი და ლაკონურია. შეიძლება ითქვას - ეს არის რუსი გლეხკაცის, რუსი მუშაკის ტიპი, რომელიც გენიალობამდეა ამაღლებული, თუმცა, მგონი, არც არის რუსი, ქართველიაო, - ამბობენ, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს! არც ნაპოლეონი იყო ფრანგი... მითუმეტეს, სტალინი სისხლითა და ხორცით, იდეითა და თვითშეგნებით უფრო მეტად არის რუსი, ვიდრე რომელიმე წმინდა წყლის რუსი მმართველი ყოფილა ოდესმე...

ბოლშევიკთა ბელადი, რომელიც ზოგს ცამდე აჰყავს, ზოგი კი ლაფში სვრის, განსაცვიფრებლად გულითადი, უბრალო და - რაც ფოიხტვანგერს ყველაზე მეტად გაუკვირდა - გულახდილი, გულწრფელი კაცი გამოდგა.

- მე მიხარია, - თქვა სტალინმა, - რომ თქვენ, ბატონო ფოიხტვანგერ, ყველაფერს მიუკერძოებლად უყურებთ. ჩვენი ქვეყანა ახალგაზრდაა, სულ 20 წლისა ვართ. ხარვეზები გვაქვს, მაგრამ ეს ზრდის თანამდევი ხარვეზებია. დასავლეთი გვკიცხავს... გვიკიჟინებს, დემოკრატიას ზღუდავთო. განა არარსებულის შეზღუდვა შეიძლება? რუს ხალხს არასოდეს უცხოვრია დემოკრატიის პირობებში. იგი ახლა სწავლობს მას და ნულოვანი ნიშნულიდან იწყებს. ჩვენ უდაბურ ადგილას შევქმენით გიგანტური მრეწველობა, ჩავატარეთ სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია. მალე დემოკრატიასაც ავაშენებთ.

- მეც გულახდილი ვიქნები, ბატონო სტალინ, - გაიღიმა ფოიხტვანგერმა. - დასავლეთში ბევრს ლაპარაკობენ კოლექტივიზაციის კოლოსალურ მსხვერპლზე. შეეფერება ეს სინამდვილეს?

სტალინმა გულღიად გაიღიმა.

- არ დაგიმალავთ, - თქვა მცირეოდენი დუმილის შემდეგ. - მსხვერპლი იყო და - მნიშვნელოვანიც. მაგრამ უამისოდ ჩვენი სახელმწიფო, განსხვავებული ბუნების ხალხთა ეს კონგლომერატი, აუცილებლად დაინგრეოდა. ეს კი მსოფლიო მასშტაბის მოვლენებს გამოიწვევდა. კოლექტიური მეურნეობის იდეა რუსი კაცის ბუნებაში დევს. თუ თქვენ რუსეთის ისტორიას იცნობთ, გეხსომებათ სტოლიპინის რეფორმები. მაგრამ რუსი გლეხკაცისთვის ფერმერული მეურნეობის გზა უცხო აღმოჩნდა. დიახ, მსხვერპლი იყო, მაგრამ არა იმდენი, რამდენსაც ბურჟუაზიული პრესა ასახელებს... თქვენ რაღაცის თქმა გსურთ, ბატონო ფოიხტვანგერ. ნუ გერიდებათ, ბრძანეთ.

მწერალი მცირე ხანს ყოყმანობდა. მერე გაბედა: - ბატონო სტალინ, როგორ უნდა შევუფარდოთ ერთმანეთს თქვენი სიტყვები დემოკრატიის მშენებლობის შესახებ და თქვენი პიროვნების, შეიძლება ითქვას, გაღმერთება, თუნდაც - „ულვაშას" ასობით და ათასობით პორტრეტი, რომლებითაც სავსეა მთელი მოსკოვი და, ალბათ, მთელი საბჭოეთი?

ვიდრე თარჯიმანი ხმას ამოიღებდა, სტალინმა თავი დააქნია და ჩაიცინა.

- მე ცოტათი მესმის გერმანული, - განუმარტა გაკვირვებულ სტუმარს ბელადმა. - მესმის, ოღონდ ლაპარაკს ვერ ვბედავ. იცით, რა... მიღწეულ წარმატებებს ხალხი პარტიის სახელს უკავშირებს. პარტიის ლიდერი კი მე ვარ. გეთანხმებით, ეს ქება-დიდება წრეგადასულია, მეტისმეტია, მაგრამ აქ ვერაფერს გახდები. ხალხი ამგვარად გამოხატავს თავის მადლიერებას. ისე, გამოგიტყდებით: ცოტათი მეც მეუხერხულება, „ულვაშას" ამდენ პორტრეტს რომ ვხედავ ხოლმე...

სამივეს გულიანად გაეცინა.

- კიდევ ერთი შეკითხვა, ბატონო სტალინ, - თქვა ფოიხტვანგერმა, როცა სიცილი ჩაცხრა.- ქუჩებში და თავყრილობებზე თქვენი პორტრეტის გამოჩენა, ასე თუ ისე, გასაგებია, მაგრამ, აი, რემბრანდტის ნაწარმოებთა გამოფენაზე მე ვნახე თქვენი სკულპტურა, რომელიც, მაპატიეთ და, საკმაოდ დაბალი მხატვრული დონისაა...

სტალინი მოიქუფრა.

- ქლესა რეგვენი მტერზე უარესია, - თქვა მკაცრად. - არიან ადამიანები, რომელთაც დაგვიანებით ცნეს საბჭოთა რეჟიმი. ან კიდევ თავს გვაჩვენებენ, რომ ცნეს. ახლა კი სურს, გაათკეცებული გულმოდგინებით გამოისყიდონ ყველაფერი. ეს სახიფათო ხალხია.

●

პროცესი დასასრულს მიუახლოვდა. პროკურორმა და ადვოკატმა უკვე თქვეს თავიანთი სათქმელი. რამდენიმე ბრალდებულიც გამოვიდა. ილაპარაკა იური პიატაკოვმა. ბოლოს კარლ რადეკმა წარმოთქვა თავისი უკანასკნელი (პირდაპირი მნიშვნელობით!) სიტყვა.

- არ არსებობს არანაირი დასაბუთება, - მთელი თავისი გამოსვლის განმავლობაში რადეკს ღიმილი ეფინა სახეზე, - რომლითაც ნებისმიერ ნორმალურ პიროვნებას შეეძლოს, თავი იმართლოს სამშობლოს ღალატის ბრალდებაში. მაგრამ მე აუცილებლად მინდა, ვთქვა ერთი რამ: ჩვენ ბანდიტები და ჯაშუშები გვიწოდეს, რაც სიცრუეა და მე ამის გამო მტკიცე პროტესტს ვაცხადებ! ჩვენთვის ჩადენილი დანაშაულიც საკმარისია. და კიდევ: ყველა განსასჯელის ჩვენება **ჩემს** - დიახ, **ჩემს** - ჩვენებას ემყარება. და თუ ბანდიტებთან გქონიათ საქმე, საიდან ასკვნით, რომ სიმართლეს ვლაპარაკობდით?

კარლ რადეკს „ბედნიერი ბილეთი" შეხვდა - მკაცრი რეჟიმის 10 წელი.

რადეკმა უკანასკნელი მზერა მოავლო „თანამზრახველებს" და რაღაცნაირი, ენით აუწერელი, შემზარავი ღიმილით გაჰყვა ბადრაგს.

...მთელ სიცოცხლეში ვერ დაივიწყებს ამ საშინელ ღიმილს „ახირებულის სიბრძნის" ავტორი, სახელგანთქმული მწერალი ლიონ ფოიხტვანგერი. თავისი წიგნის - „მოსკოვი 1937"-ის განყოფილება, სადაც რადეკპიატაკოვის პროცესია აღწერილი, მან ასე დაასათაურა: „აშკარა და საიდუმლო ტროცკისტთა პროცესებში". ეს „აშკარა" წიგნში დაწვრილებითაა აღწერილი, „საიდუმლო" კი საიდუმლოდ დარჩა.

●

ვოროშილოვმა ფრთხილად შეაღო კაბინეტის კარი, საწერ მაგიდას მიუახლოვდა და ხელებჩამოშვებული, დამწუხრებული შედგა ძველი მეგობრის წინაშე.

- კობა... - თქვა და ხმა ჩაუწყდა.

სტალინმა თავი ასწია. ვოროშილოვს თვალები ცრემლით ავსებოდა.

- ჰო... ნურაფერს მეტყვი, კლიმ... გმადლობ...

წამოდგა და მეგობარს მოეხვია.

- იქნებ... - წამოიწყო ვოროშილოვმა... - იქნებ შენთვისვე ჯობდა, თბილისში გადაფრენილიყავი, კობა... გულს მოგეშვებოდა...

- ვიცი, კლიმ, ვიცი... მაგრამ... ხომ გესმის, რა ამბავი ატყდებოდა, რა მოჰყვებოდა ჩემს ჩასვლას... არა, არ შემიძლია!.. მე უკვე მაშინ, 35-ის შემოდგომაზე გამოვეთხოვე დედას...

●

„საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტი, ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და სახალხო კომისართა საბჭო ღრმა მწუხარებით აუწყებენ ქართველ ხალხს, რომ 4 ივნისს, 23 საათსა და 05 წუთზე, მძიმე ავადმყოფობით (ფილტვების ანთება) გამოწვეული გულის დამბლის შედეგად თავის ბინაში გარდაიცვალა ამხანაგ სტალინის დედა ეკატერინე გიორგის ასული ჯუღაშვილი".

„... უამრავი ხალხი მოვიდა ეკატერინე ჯუღაშვილთან გამოსათხოვებლად. ყვავილებში ჩაფლული კუბოს თავთან ქართულწარწერებიანი გვირგვინებია: „ძვირფას და საყვარელ დედას შვილის - იოსებ ჯუღაშვილისაგან (სტალინისაგან)"; „ძვირფას და დაუვიწყარ ეკატერინე ჯუღაშვილს ნინა და ლავრენტი ბერიებისაგან"... სამგლოვიარო პროცესია ნელა უახლოვდება მამადავითს. მთაწმინდის პანთეონში, ახალგაჭრილ სამარესთან მღელვარე სიტყვას წარმოთქვამს საბჭოთა საქართველოს სტალინური ხელმძღვანელი, ამხანაგი ლავრენტი ბერია. მოკლე სიტყვებით გამოდიან აზერბაიჯანის კპ (ბ) ცეკას პირველი მდივანი მ.დ. ბაგიროვი, სომხეთის კპ (ბ) ცეკას პირველი მდივანი გ.ა. არუთინოვი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი აკაკი ხორავა, შრომით კოლექტივთა წარმომადგენლები. 6 საათსა და 50 წუთზე ეკატერინე ჯუღაშვილის კუბოს სამარეში უშვებენ. ჟღერს „ინტერნაციონალი" (გაზეთი „ზარია ვოსტოკა". 9 ივნისი, 1937 წელი).

●

**<u>სექტემბერი, 1937 წელი. ქალაქი ბათუმი. საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს გამსვლელი სესია.</u>**

- საქმე, რომელსაც ვიხილავთ, რთულია, - განაცხადა სახელმწიფო ბრალმდებელმა, რომელიც აშკარად ბაძავდა სახელგანთქმულ ვიშინსკის. - მას დიდი რეზონანსი აქვს არამარტო ბათუმსა და აჭარაში, არამედ მთელ საქართველოში, რომლის მშრომელებიც აღშფოთებით მოითხოვენ, სასტიკად დაისაჯონ კონტრრევოლუციურ-მავნებლურ-ჯაშუშურ ორგანიზაციათა წევრები, რომელთაც მზიურ აჭარაში დაიდეს ბუდე, დამკვიდრდნენ ბათუმში, სადაც ამ საუკუნის გარიჟრაჟზე მოღვაწეობა დაიწყო დიდმა სტალინმა. ისინი დაუკავშირდნენ რა ტროცკისტებს - ლადო ლომინაძეს, ერიკ ბედიასა და არტაშეს გეურქოვს - თავხედურად აკეთებდნენ თავიანთ ბნელ საქმეებს. მე მოგიწოდებთ თქვენ, ამხანაგო მოსამართლენო, მკვლელთა და ჯაშუშთა ამ სისხლიან ბანდას, რომლის მიზანიც იყო საქართველოსთვის აჭარის ჩამოშორება, გამოუტანოთ ერთადერთი სწორი განაჩენი, რომელსაც მოიწონებს მთელი მშრომელი მოსახლეობა: ცოფიან ძაღლთა ხროვა უნდა დაიხვრიტოს!

მაგრამ სასამართლო სისხლმოწყურებულ პროკურორზე უფრო ლმობიერი გამოდგა. დახვრეტა მიუსაჯეს აჭარის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ყოფილ თავმჯდომარეს ზაქარია ლორთქიფანიძეს, მსუბუქი მრეწველობის ყოფილ სახალხო კომისარს გიორგი რამიშვილს და ილია მეგრელიძეს, რომელიც დაპატიმრებამდე აჭარის მიწათსარგებლობის სახალხო კომისარი იყო.

დანარჩენებს ათ-ათი წელი მიესაჯათ შრომა-გასწორების ბანაკებში.

●

**<u>1998 წლის შემოდგომა „ლიმონათის ქვეყნის" დედაქალაქი.</u>**

„საუკუნის პროცესად" მონათლული სამსჯავრო უმაღლესი სასამართლოს დარბაზში უკვე მთელი წელია, მიმდინარეობდა. სხდომა, თითქმის ყოველდღიურად, ჩიხში ექცეოდა. ბრალდებულები უარს აცხადებდნენ წინა ჩვენებებზე და სხეულის ჩალურჯებული ადგილების დემონსტრირებით ასაბუთებდნენ, ჩვენება ფიზიკური ზეწოლით ჩამოგვართვესო. თავად მთავარი განსასჯელი, წარსულში „კანონიერი ქურდი", საკონცენტრაციო ბანაკების ყოფილი ბინადარი, მეორე კი - პროფესორი, მწერალი და „ლიმონათის ქვეყნის" მეორე პირი, ნიადაგ ხუმრობდა, რკინის გალიიდან ნაცნობებს ესალმებოდა და ხალისით არიგებდა ავტოგრაფებს. ყველაზე უფრო მაშინ გამხიარულდა, როცა მებადრაგეთა შორის თავისი ყოფილი პირადი მცველი შენიშნა:

- შენ! - დაუძახა და ხელი დაუქნია. - აბა, შენ იცი, ისევე კარგად დამიცავი, როგორც ადრე მიცავდი!

ძველ წინამძღოლს ნამდვილად შეეძლო, არ ენერვიულა: „ევროპული სახლისაკენ" აჩქარებით მიმავალ „ლიმონათის ქვეყანაში" უკვე გაუქმდა სიკვდილით დასჯა

**შემდეგ ნომერში:**

**ბახჩოს ხიზნები**

---

## ზვიად გამსახურდია ჟიული შარტავას პრემიერ-მინისტრის პოსტს სთავაზობდა!

მე-16 გვერდიდან

თონ გამომეხმაურონ, თუ კარგია!... ეს არის სიმართლე და მე ვერავინ მეტყვის, რომ ვცრუობ!..

**- ქალბატონო მანანა, ამბობენ, აფხაზეთის ომის დროს ჟიული შარტავა სისტემატურად უკავშირდებოდა გროზნოში მყოფ ზვიად გამსახურდიას და ფრონტზე შექმნილი მდგომარეობის შესახებ დევნილ პრეზიდენტს დეტალურ ინფორმაციას აწვდიდაო. ადასტურებთ ამ ფაქტს?**

- რა თქმა უნდა, ვადასტურებ, და მე არაერთხელ ვყოფილვარ ზვიადისა და ჟიულის სატელეფონო საუბრების მომსწრე. კარგად მახსოვს, 1993 წლის 27 ივლისის სოჭის ხელშეკრულების შემდეგ, როცა შევარდნაძემ აფხაზეთიდან მძიმე სამხედრო ტექნიკა გამოიყვანა, სოხუმში უკიდურესად მძიმე ვითარება შეიქმნა. ყველა კარგად ხვდებოდა, რომ შევარდნაძე აფხაზეთს რუსეთს აბარებდა... ერთხელაც, შუაღამისას, დაახლოებით დილის 3 საათზე, გროზნოში, იმ სახლში, სადაც ჩვენ ვცხოვრობდით, ტელეფონის ზარის ხმა გაისმა. ზვიადმა ყურმილი აიღო, სოხუმიდან მას ჟიული შარტავა ურეკავდა... - ბატონო ზვიად, გამარჯობა, ჟიული ვარ, შარტავა! - ასე მიესალმა იგი საქართველოს დევნილ პრეზიდენტს. ჟიულიმ ზვიადს უთხრა, რომ აფხაზეთში საშინელი სიტუაცია იყო და შევარდნაძე აფხაზეთს აბარებდა. იგი ზვიადს დაწვრილებით უყვებოდა, რა ხდებოდა აფხაზეთში, რა მდგომარეობა იყო ფრონტის ამა თუ იმ უბანზე. თავის მხრივ, ზვიადიც რჩევებს აძლევდა ჟიულის და აკვალიანებდა, თუ ვისთვის მიემართა, ვინ იყო სანდო და ვისი იმედი უნდა ჰქონოდა. ზვიადს იმ ღამეს არ უძინია, სიგარეტს ეწეოდა და ოთახში ბოლთას სცემდა! მინდა, გითხრათ, რომ მსგავსი სატელეფონო საუბრები ზვიადსა და ჟიულის შორის კვირაში ხუთჯერ, ექვსჯერ, მინიმუმ, ორჯერ მაინც იმართებოდა. ემჩნეოდა, რომ ბატონი ჟიული აშკარად წუხდა, ქვეყნის ბედი ადარდებდა და კარგად ხვდებოდა, რომ შევარდნაძეს აფხაზეთი გაწირული ჰქონდა.

**- ქალბატონო მანანა, როგორ ფიქრობთ, შეიძლებოდა, შევარდნაძეს სცოდნოდა ამ საუბრების შესახებ?**

- რა თქმა უნდა, შევარდნაძემ ყველაფერი იცოდა... ჟიულიმაც იცოდა, რომ მას უსმენდნენ, მაგრამ თავს წირავდა და ჩვეულებრივი ტელეფონიდან ურეკავდა გროზნოში ზვიადს...

**- შეიძლება თუ არა, ჩავთვალოთ, რომ ჟიული შარტავას დახვრეტის მიზეზთა მიზეზი ზვიად გამსახურდიასთან მისი ხშირი სატელეფონო საუბრები იყო?**

- რა თქმა უნდა, ერთადერთი მიზეზი ეს იყო! შევარდნაძე უშიშროების წყალობით ზედმიწევნით ფლობდა ინფორმაციას იმის შესახებ, რომ ჟიულის ზვიადთან ხშირი კონტაქტი ჰქონდა და სწორედ ამიტომ გაწირა იგი...

**- ქალბატონო მანანა, გადმოცემით თუ იცით, როგორი იყო ზვიად გამსახურდიას რეაქცია, როცა მან ჟიული შარტავას დახვრეტის ამბავი გაიგო?**

- როგორც მითხრეს, ზვიადი საშინლად აღელვებულა, თურმე, და უთქვამს, - ამ ნაძირალამ და მკვლელმა შევარდნაძემ მოკლა ჟიული! მე ისიც ვიცი, რომ ზვიადმა სანდო ხალხი გამოარჩია და ჟიული შარტავას ოჯახს თავისი სამძიმარი გაუგზავნა. ერთი სიტყვით, შევარდნაძემ ჟიული შარტავა გზიდან ჩამოიშორა და გაწირა. ამის შემდეგ იგი მისი ყველაზე დიდი მოწინააღმდეგის, საქართველოს პირველი პრეზიდენტის - ზვიად გამსახურდიას გზიდან ჩამოსაშორებლად იწყებს მზადებას!

*ესაუბრა*
**დიტო ჩუბინიძე**

## გილოცავთ



18 ნოემბერს კოლორადოს შტატში, ქალაქ დენვერში გაიმართა ჩემპიონატი ძიუდოში, “Pan Master American Championship” რომელშიც პირველი ადგილისა და ოქროს მედლის მფლობელი გახდა ქართველი თანამემამულე თეიმურაზ ტაბატაძე

თემურ, თქვენი მეგობრები ვუერთდებით ამ დიდ სიხარულს. თქვენი ეს წარმატება გვაფიქრებინებს რომ თქვენ შეძელით მთელ მსოფლიოსთვის დაგენახებინათ ჩვენი პატარა ქვეყნის ვაჟკაცობა, სულის სიძლიერე და სიმაღლე.

ჩემო კუდრაჭა **ნინიკო**, გილოცავ დაბადების დღეს, უფლის მადლიანი კალთა გფარავდეს, წმიდა ნინოს სახება გზას გიკვალავდეს. გაიზარდე ჯანმრთელი, ბედნიერი, სრულიად საქართველოს და მშობლების საამაყო ქალიშვილი.

**გკოცნი და გეხვევი შენთვის უცნობი ბებია ბაული**

ჩვენს ძვირფასს **მზია კიკნაველიძეს** ვულოცავთ ქალიშვილის **გვანცა მშვენიერაძისა** და **სოსო დიასამიძის** დაქორწინებას. ვუსურვებთ ბედნიერებასა და ბედნიერ საქართველოში ცხოვრებას.

**ჯული წამალაშვილი, მანანა აბრამიშვილი, მანანა ვარსიმაშვილი**

დაბადების დღეს ვულოცავთ ჩვენი გაზეთის ერთგულ მეგობარს, ამერიკაში ქართული საღამოების სულისჩამდგმელს, ცივი დეკემბრის თბილ მეგობარს თინათინ ყენიას, ვუსურვებთ იმის ნებას, რომ თავის პატარას მალე დაუბრუნდეს და ჩაეხუტოს.

გაზეთ „მამულის“ რედაქცია აცხადებს

**კონკურს**

მუსიკალური და თეატრალური ნიჭის მქონე პირების გამოსავლენად. დაწვრილებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ: 347-528-0037

## სამადლობელი

ეს პატარა წერილი სამადლობელია. პირველ რიგში დიდი მადლობა გაზეთ „მამულს“, რომ ამერიკაში არსებობს და ბედნიერ წუთებს გვჩუქნის.

მინდა ჩემი მადლიერება გამოვხატო აგრეთვე ჩემს ირგვლივ მყოფთა მიმართ, რომლებიც ავადმყოფობის დროს გვერდში მედგნენ და მამხნევებდნენ, ინაწილებდნენ ჩემს ტკივილებს.

გაიცანით ნუნუ ექიმი!

გაგელიმებათ, მაგრამ ჩვენც გვყავს ამერიკაში ნუნუ ექიმი, ნუნუ ვაშაკიძე... მან „ახალი სისტემა შეიმუშავა“ დიაგნოზის ტელეფონით დასმისა.

დამისვა დიაგნოზი და ექოსკოპიამაც იგივე დაადასტურა!

არ მინდა გამომრჩეს ლარისა ექიმიც, რომელიც გვერდში მედგა ტკივილების დროს.

დამიჯერეთ, რომ არ შემიძლია სიტყვები ვიპოვო მადლობის გადასახდელად „თვისტომის“ სამედიცინო ჯგუფის მისამართით, მშვენიერი ირინა მიქაბერიძისადმი, ნიკა ჩხეიძისადმი რომლებმაც მე სიცოცხლე მაჩუქეს, ოპერატიული ჯგუფი შეკრიბეს და ადგილზე გამიკეთეს ანალიზები, ექოსკოპია თუ კარდიოგრამა, მომიძებნეს ექიმი...

მადლიერების დღეა ამერიკაში და მე თქვენზე ვფიქრობ ძვირფასებო!

ნელი ქართველიშვილი

## სამძიმარი

ჩვენს საყვარელ ერთგულ მეგობარს **მზია შენგელიას,**

მთელი გულით შენთან ვართ ამ მძიმე დღეებში. გითანაგრძობთ იმ დიდ მწუხარებას, რომელსაც ასე მტკივნეულად განიცდი 7 წლის უნახავი დის, ახალგაზრდა **ნინო შენგელია-კირტაიას** უდროოდ გარდაცვალების გამო.

შენ უფლება არა გაქვს სულით დაეცე! იქ, სამშობლოში შენ გელოდება დამწუხრებული მშობლები, დაობლებული ორი მცირეწლოვანი დისშვილი, ახლობლები.

გამაგრებას, გამძლეობას გისურვებთ! ასეთი მწუხარება ბოლო ყოფილიყოს შენს ცხოვრებაში.

*პატივისცემით:*

**თინა, ვენერა, დიანა, გედა, სოფიკო და მერაბი**

## განცხადებები

ვარ კვალიფიციური სპეციალისტი. მოვამზადებ ინგლისურ ენაში ნებისმიერი ასაკისა და დონის მსურველებს.

**მარინა გეგელაშვილი** (ტელ: 631-276-6864)
მის: 1702 west 6 street, Apt 3K
Brooklyn, NY 11223

**სურვილი მაქვს გამოვიწერო გაზეთის:**

☐ 12 ნომერი ღირებულებით 24 დოლარი
☐ 12 ნომერი ევროპაში 50 დოლარი

(სახელი და გვარი ბეჭდური ასოებით)

(ქუჩის დასახელება, აპარტამენტის N)

(ქალაქი ZIP-CODE და ტელეფონი)

ჩეკი ან მანი ორდერები **M. KATCHAKHIDZE** სახელზე გაფორმებული უნდა გამოაგზავნოთ შემდეგ მისამართზე:

**P.O. BOX 13121, JERSEY CITY, NJ 07303** 22

**1 იანვარს მთავრდება ხელმოწერა გაზეთზე „მამული“**


**KAVCAS EXPRESS**

**გადაზიდვები**



საჰაერო

- აშშ-დან საქართველოში კილოგრამი - $6.7
- საქართველოდან აშშ-ში კილოგრამი $8

ნებისმიერი დოკუმენტაციისა და მასალის თარგმნა და ნოტარიზირება



მიულოცეთ ახლობლებს ჩვენი ნამცხვრებით

ქორწილი, დაბადების დღე, ძეობა, დღესასწაული...

აშშ: 1(201)333-2200
თბილისი: (995) 32 952-609
ბათუმი: (995) 99 491-992



საზღვაო

აშშ-დან საქართველოში კგ - $4

www.gezi.us
www.carbycar.com

# რესტორანი „ნაციონალში"





მამუკა ონიაშვილი



თამარ გეგეჭკორი



გურამ ჯაში

მღერიან და ხუმრობენ ქართული ესტრადისა და თეატრის ვარსკვლავები



მზია კვირიკაშვილი



ზურა დოიჯაშვილი

დაგვიკავშირდით:
**347-528-0037**

**9 დეკემბერს, კვირას, საღამოს 7 საათზე**
**Restaurant NATIONAL**
273 Brighton beach ave, Brooklyn, NY